

1924

ასი წელი აჯანყებიდან

„ვფიქრობდი გამარჯვებაზე,
რომელსაც ჩემი სიცოცხლე ვანაცვალე!“



1924

ასი წელი აჯანყებულან

თბილისი

2024

ISBN 978-9941-9903-9-7

Udc (უაკ)94(479.22)"1924"
ბ-783

1924

ასი წელი აჯანყებიდან

პროექტის ხელმძღვანელი: *ბადრი ჩერქეზიშვილი*
მირიან ხოსიტაშვილი
რედაქტორი – *ნინო ყიფშიძე*

შემოქმედებითი ჯგუფი:

ლია კერესელიძე, ეკატერინე კუხალაშვილი,
ეკატერინე კაციტაძე, ვიქტორია ხავთასი,
ნანა გრიგალაშვილი, ივანე ჯახუა,
მერი ბარბაქაძე, თეა შუბითიძე,
ლალი ეხვია, ლილი საყვარელიძე.
ირმა ლალიძე,

კონსულტანტი – *ოთარ ჯანელიძე*, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

სსიპ – საქართველოს
შინაგან საქმეთა
სამინისტროს აკადემია



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

© გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა ან გავრცელება კომერციული მიზნით, წერილობითი ნებართვის გარეშე.

გარეკანი – ბიძინა ბირველის სიტყვები და შეფიქვლების“ ფოტო.

უკანა ყდა – ბიძინა ბირველის სამეულის სხდომის ოქმი და ამონარიდი დაკითხვის ოქმიდან.

წინათქმა	5
სერგო ორჯონიკიძის მოხსენება	9
აჯანყებულები სვანეთიდან	23
1924 წლის აჯანყება და სამეგრელო.....	39
აჭარაში ერთ დღეს დახვრეტილი 23 პირი	45
ჭიათურის აჯანყება	55
„ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“	61
მიხეილ ლაშქარაშვილი – შეფიცულთაგან ერთ-ერთი და სამშობლოსათვის თავგადადებული	69
ქაქუცა ჩოლოყაშვილი და შეფიცულები	73
1924 წელს დახვრეტილი დამფუძნებელი კრების წევრები	79
იასონ ჯავახიშვილი: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გედის სიმღერა“ თუ ბრძოლის დასაწყისი	91
1924 წელს დახვრეტილი სასულიერო პირები	101
ანტისაბჭოთა ამბოხებაში ბრალდებული ქალები	107
ახალგაზრდები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ	115
სპირიდონ ჭავჭავაძე	123
1924 წელს დახვრეტილთა სია	134

ენათქმა

1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან ასი წელი გავიდა. ეს ისტორიული თარიღი წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნება, მაგრამ იყო დრო, როდესაც მისი ხსენება ჩვენში საგანგებოდ იკრძალებოდა. მკაცრად იყო გასაიდუმლოებული აჯანყებასთან დაკავშირებული დოკუმენტები და საარქივო მასალა, – იმდენად, რომ მათზე ხელი ცნობილ მკვლევართაც კი იშვიათად მიუწვდებოდათ.

აჯანყება დიდხანს უსამართლოდ იყო მიჩნეული „მენშევიკურ კონტრრევოლუციურ ავანტიურად“. ეს გახლდათ ამ მოვლენის საბჭოური შეფასება და განაჩენიც, რომლის არათუ შეცვლა, კომუნისტურ პერიოდში გადასინჯვაც კი წარმოუდგენელი იყო. არც გადასინჯულა. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ცნობილ შემაჯამებელ ნაშრომში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულში, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნდა, განსახილველი თემა ზუსტად ამ ჭრილშია წარმოჩენილი. საგულისხმოა ისიც, რომ ტომში, რომელიც 1920-1930-იანი წლების მონაკვეთს მოიცავს და თითქმის 1000 გვერდს შეადგენს, აგვისტოს აჯანყებას სულ სამიოდე ფურცელი ეთმობა. აქ აღნიშნულია შემდეგი: „საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოვიდნენ მეფის ყოფილი ოფიცრები, კულაკები, ვაჭრები, თავადაზნაურები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. ...გლეხობის ფართო მასებმა ზურგი შეაქციეს აჯანყებას. მუშათა კლასი, უღარიბესი და საშუალო გლეხობის ძირითადი მასები მტრულად შეხვდნენ მას“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში, თბ., 1976, გვ. 201).

სინამდვილეში, აგვისტოს აჯანყება იყო ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის აზვირთებული საერთო-სახალხო შემართება, რომელმაც საქვეყნოდ ცხადყო, რომ ქართველი ერისთვის თავისუფლება არა უბრალო, არამედ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, რომ საქართველო ვერ იგუებს და არ შეურიგდება თავსმოხვეულ საბჭოურ რეჟიმს.

1922 წელს ანტისაბჭოთა პლატფორმაზე მდგომმა პოლიტიკურმა პარტიებმა, განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციოდ, თბილისში დამოუკიდებლობის კომიტეტი – დამკომი, იგივე პარიტეტული კომიტეტი – დააფუძნეს. დამკომთან მალე „სამხედრო ცენტრიც“ ჩამოყალიბდა.

საქართველოს დეოკუპაციის წინაპირობად პარიტეტულ კომიტეტს ქართველი ერის შეიარაღებული გამოსვლა მიაჩნდა, რომლისათვისაც იგი, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური კუთხით ემზადებოდა. დამკომი ემიგრირებული მთავრობის მეშვეობით ცდილობდა, ევროპულ სახელმწიფოებში, უპირველესად საფრანგეთსა და ინგლისში, მოეპოვებინა დიპლომატიური, ფინანსური და იარაღით დახმარება და იმავდროულად, ამ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს მხარდასაჭერად განეწყო.

საქართველოში წარმოებულ ბრძოლას გამოძახილი და თანაგრძნობა ჰქონდა საბჭოეთთან დაპირისპირებულ ევროპის სახელმწიფოებში, კერძოდ, საფრანგეთში, პოლონეთში, იტალიაში და სხვ. დასავლეთის საზოგადოებრივი

აზრი ოკუპირებული საქართველოსადმი კეთილგანწყობით იყო გამსჭვალული, იგი სოლიდარობას უცხადებდა უტეხი ნების, თავისუფლებისათვის შემართულ და დამპყრობელთან შეურიგებელ ქართველ ერს. დასავლურ პრესაში მრავლად იბეჭდებოდა თანაგრძნობით აღსავსე წერილები მეზრძოლი საქართველოს მიმართ, მაგრამ ამ ბრძოლაში საქართველოს უცხოეთში რეალური მოკავშირე არ გამოუჩნდა. როგორც აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ 1955 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშშია ხაზგასმული: „არავის სურდა უთანხმოება შორეულ კავკასიაში მდებარე პატარა ქვეყნის გამო საბჭოთა რუსეთთან“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობა გარკვეულ იმედს მაინც ამყარებდა ევროპაზე, მოელოდა მისგან ფინანსურ და იარაღით დახმარებას, მაგრამ პრაქტიკული შედეგი არ ჩანდა.

იმ მოლოდინით, რომ შეიარაღებულ გამოსვლას მეზობელი ხალხებიც შეუერთდებოდნენ და დასავლეთიც დახმარების ხელს გამოიღებდა, 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყება დაიწყო. სამწუხაროდ, იმედები ფუჭი გამოდგა. საქართველოში აღმართული აჯანყების დროშა ბრძოლის ველზე ეულად დარჩა. თავგანწირულ ქართველებს არსაიდან არავინ მიშველებია. აჯანყებამ მარცხი იწვნია და უზომო მსხვერპლიც მოჰყვა. მამულის დახსნის კეთილშობილურმა იდეამ დიდძალი ქართველის სიცოცხლე შეინირა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სასტიკად იძია შური და მეზრძოლ საქართველოს მასობრივი რეპრესიებით გაუსწორდა (მარტო აჯანყების დღეებში, ოფიციალური ცნობით, 980 ადამიანი დახვრიტეს. არაოფიციალური მონაცემებით, ეს რიცხვი 5-6 ათასს უტოლდება).

აჯანყების დამარცხებამ რეპრესიებს გადარჩენილ საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს თავისუფლებისათვის ბრძოლის ალტერნატიული გზის ძიებისაკენ უბიძგა. საბჭოთა რეჟიმთან შეიარაღებული დაპირისპირების ნაცვლად, 1924 წლის შემდეგ კურსი წინააღმდეგობის მშვიდობიანი ფორმებზე იქნა აღებული და მოქმედებამ კულტურულ-საგანმანათლებლო ფრონტზე გადაინაცვლა. როგორც სპირიდონ კედია აღნიშნავდა: „ქართველობამ შეიარაღებულ ბრძოლას ხელი შეუშვა და დაქანცული, შინაგანი სულიერის წინააღმდეგობის პოზიციებზე გადავიდა“.

„საქმე დიდებული“ და „საქმე საშინელი“, „ერის გამოფხიზლების“, „სიხარულის და ჭმუნვის დღე“, „სიცოცხლისა და სიკვდილის პაემანი“ უწოდა ნოე ჟორდანიამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას.

აგვისტოს აჯანყების თარიღს ყოველწლიურად მხოლოდ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ეხმაურებოდა, რითაც პატივს მიაგებდა ეროვნული თავისუფლებისათვის მეზრძოლ თანამემამულეებს. ჩვენს ემიგრაციაში ამ მოვლენას „სიამაყისა და სევდის დღე“ განიხილავდნენ და მიაჩნდათ, რომ „საქვეყნო მიზნისათვის გაღებული მსხვერპლი უშედეგოდ და უნაყოფოდ არასოდეს იკარგება“.

აჯანყების მარცხი და საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული მასობრივი რეპრესიები დიდი ეროვნული ტრაგედია იყო, რომელიც ქართველი საზოგადოებისთვის კოლექტიურ ტრავმად დარჩა.

დამარცხების მიუხედავად, ქართველობა სულიერად არ გატეხილა, ერში არ ჩამკვდარა დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება, მაგრამ საჭირო გახდა იმპერიულ რეჟიმთან იარაღით დაპირისპირების ტაქტიკის ძირეული შეცვლა.

პატრიოტული ძალები საქართველოში ახლა მშვიდობიანი შრომისა და აღმშენებლობის, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის ასპარეზზე ყურადღების გადატანის პოლიტიკას დაადგენენ, რომელსაც გონივრული ალტერნატივა აღარც გააჩნდა.

„1924 წლის აჯანყებით ქართველმა ერმა სცადა გადაეგდო ეროვნული მონობის უღელი. იგი დამარცხდა, მაგრამ მან სისხლით ჩასწერა ისტორიაში თავისი ურყევი სურვილი: ...იყოს თავისუფალი, აღიდგინოს საკუთარი, ქართული სახელმწიფო“ (ყოფნალი „დროშა“, პარიზი, 1975, № 84).

საქართველოს ისტორია თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა, – ნერდა ივანე ჯავახიშვილი. მართლაც, ძალმომრეობისადმი შეურიგებლობა, დამპყრობლისადმი დაუმორჩილებლობა, თავისუფლებისათვის მუდმივი შემართება და მომავლის იმედი იყო ის მთავარი მახასიათებლები, რამაც საუკუნეთა გასწვრივ ქართველ ხალხს მრავალ განსაცდელში გააძლებინა და საკუთარი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებით დღემდე მოიყვანა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება, არსებითად, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთმიმართების გარკვევას, საბჭოთა იმპერიისაგან საქართველოს თავდაღწევისა და დამოუკიდებელი ცხოვრების განახლების მიზანს ემსახურებოდა. საქართველოს წინაშე ამ აჯანყებიდან ასი წლის შემდეგაც მწვავედ დგას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა. ჩვენი ქვეყნის მინა-წყლის 20 პროცენტი დროებით ისევ ჩრდილოელ მეზობელსა აქვს ოკუპირებული. ამდენად, აგვისტოს აჯანყებასთან მიმართებით, აუცილებელია მისი როგორც შედეგების, ისე გამოცდილების მიუკერძოებელი, ობიექტური გააზრება და იმის გაცნობიერება, რომ ეს მოვლენა მხოლოდ წარსულს არ ეკუთვნის და ის დღევანდელობასაც უკავშირდება.

წინამდებარე წიგნში, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ასი წლისთავის აღსანიშნავად გამოდის, იბეჭდება ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით მომზადებული პუბლიკაციები. მათი ერთად გაცნობა მკითხველს საშუალებას მისცემს, პირველწყაროების მეშვეობით გაიფართოს ცოდნა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ, უფრო ღრმად ჩაიხედოს ამ მოვლენის ლაბირინთებში და უკეთ გაითავისოს მისი არსი.

წიგნი დახმარებას გაუწევს საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორიის სპეციალისტებს, ისტორიის პედაგოგებსა და ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებს. გამოცემას ინტერესით გაეცნობა ფართო მკითხველიც.

ოთარ ჯანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სერგო ორჯონიკიძის მოხსენება

საქართველოს გასაბჭოების მთავარმა ორგანიზატორმა, საბჭოური იმპერიის ერთ-ერთმა შემქმნელმა, სასტიკმა და „გულანთებულმა“ ბოლშევიკმა სერგო ორჯონიკიძემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარებულიყო და არ დაინდო არავინ, ვინც კი ოდნავ წინააღმდეგობა გაუწია. მისი პიროვნული თვისებები კარგად იკვეთება 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გამართულ სხდომაზე, რომელზეც მან ვრცელი მოხსენება გააკეთა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მენშევიკებზე, თავადაზნაურობაზე და აჯანყების უშუალო მონაწილეებზე.

„ბევრ თქვენგანს ეშინია დაჭერის – გაძლევთ პატიოსან სიტყვას, დაჭერები არ იქნება, ყველას გამოგიშვებთ“, – ამ სიტყვებით მიმართა მან დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას. პატიოსანი სიტყვა „არ გატეხა“, პარტიული დავალება „პირნათლად“ შეასრულა და ასეულობით ადამიანს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა.

ს. ორჯონიკიძის მოხსენების სრული ვერსია შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული არქივის №14 ფონდშია დაცული. გთავაზობთ ჩანაწერის მცირე ვერსიას (სტილი დაცულია):

„სერგო ორჯონიკიძის მოხსენება (ნაძალადევის თეატრში.)
1924 წ. 1 ოქტომბერი საღამოს 5 საათზე

ორჯონიკიძე.

ამხანაგებო, აი ამ გაზეთებიდან უნდა გაგაგებინოთ თქვენ რა ხდება საქართველოში. რანაირი და რა ამბებია ჩვენში. მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ მე პირველად გავიგე ეს ამბები ამ გაზეთებიდან და აი თქვენც უნდა გაგაგებინოთ. ეს პირველი გაზეთი არის რუსული შავრაზმელი მილიუკოვის გაზეთი, რომელიც პარიზში გამოდის, სადაც ნოე ჟორდანიას ბრძანდება საქართველოს გამათავისუფლებელი კაცი.

...გაზეთი გამოდის ბერლინში 12 სექტემბრის არის (კითხულობს რუსულად)... იქ სწერია... თურმე გურულებიც მაჰმადიანები ყოფილან...

...აჯანყება არის თურმე მთელს საქართველოში, მთელი საქართველო მათ ხელში ყოფილა. გარდა ამისა აჯანყება ყოფილა აზერბაიჯანში და ჩრდილო კავკასიაში. 4 სექტემბერს დიდი ბრძოლა ყოფილა დერბენდის კედლებთან. მეორე ტელეგრამაში არის ნათქვამი, რომ აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში, ზაქათალაში... საშინელი ბრძოლა არისო. შემდეგ აქ არის ნოე ჟორდანიას მიმართვა რუსეთის მთავრობის მიმართ, სადაც ის ეუბნება შესწყვიტეთ ბრძოლა და ჩვენ მზად ვართ შევაჩეროთ ბრძოლა და ზოგიერთ დათმობაზე წავიდეთ.

ეს არის ამხანაგებო ის ცნობები, რომლითაც ევროპას აცნობებენ იმას, რაც ხდება საქართველოში, ვინც იმ დღეებში იყო სოფლებში გურია-სამეგრელოში, ან, თუ გინდა აქ, გარე კახეთში-ვაზიანში, ის ამავე ცნობებს გაიგონებდა.

გაიგონებდა რომ მთელი ამიერკავკასია ხელში აქვს მენშევიკებს, ნოე ჟორდანიას თბილისში არის და მხოლოდ აქ უნდა მოვიშოროთ ბოლშევიკები თავიდან და ამით ყველაფერი გათავდებო და როგორც ვხედავთ, ის, რასაც აქ ლაპარაკობდენ და რასაც სწერენ შავრაზმელ გაზეთებში ერთი და იგივეა. რა თქმა უნდა ამათში კავშირი არის. რა თქმა უნდა მენშევიკებს უნდოდათ მოეწყოთ აჯანყება მთელ ამიერკავკასიაში, ჩრდილო კავკასიაში. მე ვფიქრობ თქვენ გახსოვთ ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერილი ნოე ჟორდანიასი. ყველა ეს ა(ღ)წერილი იყო, მხოლოდ ის ამბობდა, რომ აჯანყება უნდა დაიწყო ჩრდილო კავკასიაში, მოსწვევით ამიერკავკასია რუსეთს, მერე გადავიდეს საქართველოზე და ამნაირად უნდა გაიმარჯვოს აჯანყებამო. შემდეგ მე წაგიკითხავთ ზოგიერთ ჩვენებებს იმ სახელოვან პარიტეტული კომიტეტის ჩვენებებისას, რომელმაც თვითონ მოაწყო ეს აჯანყება ჩვენში. მე ხელთ მაქვს ბოჭორიშვილის ჩვენება, რომელიც წევრი იყო პარიტეტული კომიტეტის. რას ამბობს ის? ის ამბობს, რომ აჯანყებას ვამზადებდითო. კომიტეტში შედიოდა მენშევიკური პარტიის წარმომადგენელი სხიველების, მემარჯვენე ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების და ესერების.

ესერების წარმომადგენელი ამ პარიტეტულ კომიტეტში გახლავთ ეს ბოჭორიშვილი. ის ძალიან დალაგებით მოგვიყვება, თუ რა კონფერენციები ქონდათ, რა გადაწყვეტილება გამოიტანეს, რა მსჯელობა ჰქონდათ და სხვადასხვა.

ის ამბობს იმას, თუ რანაირად გააკეთა მოხსენება კოტე ანდრონიკაშვილმა ამ წლის გაზაფხულზე, სადაც სთქვა, რომ – სამეგრელოში მათ ხელთ ჰყავთ ექვსას-შვიდასი შეიარაღებული კაცი, გურიაში ათასი, სვანეთში ათასი, ჩოლოყაშვილს ყავს 600 კაცი, თბილისში გვყავს 1700 კაცი. გამოსვლა უნდა დაგვეწყო ლონდონის კონფერენციის დროს, მაგრამ ხელი შეგვიშალა ვალიკო ჯუღელის დაჭერამ. 18 აგვისტოს პარიტეტული კომიტეტი შეიკრიბა და მაშინ გადაწყდა, რომ 28 აგვისტოს ღამის 2 საათზე უნდა დაგვეწყო აჯანყება ყველა საქართველოს კუთხეებში და იმნაირად ქონდათ განანილებული თავიანთი როლები, ჩოლოყაშვილს უნდა აეღო მანგლისი. ...ცაგურიას უნდა აეღო ჩვენი ლაგერი, რომელიც ვაზიანში იყო. როგორც მოგეხსენებათ იქ მთელი ამიერკავკასიის არტილერია არის და ნურას უკაცრავად, მაგრამ იქ იქნება 150 ზარბაზანი და ყველა ეს უნდა აეღო ცაგურიას, განეიარაღებინა ნანილები ამ ყოფილ პოლკოვნიკ ცაგურიას და მერმედ წამოსულიყო თბილისზე და აეღო ის. ლაშქარაშვილს უნდა აეღო ახალქალაქი და გორი. თვითონ პარიტეტულ კომიტეტს უნდა ეხელმძღვანელებია. ამათთვის და ამისთვის სცნო საჭიროდ გასულიყო გორში და შიომღვიმის მონასტრიდან ხელმძღვანელობა მეტად საეჭვოა, მაგრამ ამოურჩევიათ, ალბათ ბერების ლოცვა შეგვეწვეაო.

ბოჭორიშვილი ამბობს, კოტე ანდრონიკაშვილი და ჯავახიშვილი 24-ს გავიდნენ ქალაქიდან, და მე, ბოჭორიშვილი, რადგან ლეგალურად ვცხოვრობდი გადავწვიტე 25-ს გავსულიყავი... წავედი მცხეთაში, იქ დამხვდა კაცი, რომელმაც წამიყვანა ანდრონიკაშვილთან და ჯავახიშვილთან. იქ დამხვდნენ შალვა ამირეჯიბი და დავით ონიაშვილი. ჩვენ გვყავდა ოხრანა 5 კაცისაგან. 28 აგვისტოს მოვიდა ლაშქარაშვილისაგან კაცი და თქვა მზად ვართ ავიღოთ ახალქალაქი და გორი.

ჩვენ მივეცით განკარგულება, რომ აელო გორი. იმავ დღეს ჩოლოყაშვილი-საგან მოგვივიდა კაცი მანგლისის რაიონიდან, რომელმაც გვაცნობა – პარიტეტულმა კომიტეტმა სთქვა, რომ 600 კაცი ჰყავსო, მაგრამ ის კი გვატყობინებს – 300 კაცს ველოდი, მაგრამ 60 კაცი მოვიდაო. მაგრამ მიუხედავად ამისა იმედი მაქვს მანგლისს ავიღებო და იარაღს ავყრი ჯარსო და მერე გადავალ და კავშირს შევკრავ ცაგურისათანო.

29-ს არავითარი ცნობა არ იყო. 30-ს ჩოლოყაშვილმა შეგვატყობინა მანგლისს დავეცით, ვერ ავიღეთო და იძულებული ვიყავი უკან დამეხიაო, ახლა დუშეთს ავიღებო.

31-ს მოვიდა ხმა ჩვენამდე, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში აჯანყება დაიწყო. ეს გახლავთ ხელმძღვანელი, პარიტეტული კომიტეტის წევრი. 28-ში დაიწყო აჯანყება, 31-ს კიდევ ჩავაქვრეთ ეს აჯანყება და მათ კი 31-ს მოსდით ცნობა, რომ აჯანყება დაიწყო. უკეთესი ხელმძღვანელი ღმერთმა შეარცხვინა.

31-ს საღამოს ჩოლოყაშვილი შეგვხვდა და გვითხრა, რომ მე ცაგურისათან კავშირს შევკრავო.

პირველ სექტემბერს არავითარი ცნობები არ გვექონია. ჩვენ ვიცვლიდით ალაგს. გადავდიოდით ერთი ადგილიდან მეორეზე. ამ დროს წითელ არმიელებმა აგვიტყვეს სროლა. ჩვენი ოხრანა გაიქცა. მე ჩირგვებში დავიმალე. მერმე წამადგა თავზე იასონ ჯავახიშვილი. მითხრა ზურგში ვარ დაჭრილი. ვნახე არავითარი ჭრილობა არ ჰქონია. მერმედ ჩამაცივდა ფეხში ვარ დაჭრილიო. ისიც ვნახე – არც იქ არავითარი ჭრილობა არ ქონდა. დილამდე გამოვიცვალეთ რამოდენიმე ადგილი. დილას იასონ ჯავახიშვილმა დაიწყო ტირილი მწყურია და წავიდეთ წყალზეო. მე შევეხვეწე ერთ დღეს მაინც მოვიცადოთ-თქო... ჩვენ წავედით შიო მღვიმის მონასტერში, სადაც დაგვიჭირეს. შალვა ამირაჯიბი და დავით ონიაშვილი არ გვინახავს, არ ვიცოდი სად იყო. დაგვიჭირეს მოგვიყვანეს სადგურზე. ფული მოდიოდა საზღვარგარეთიდან, მაგრამ ვისგან არ ვიცი. ღებულობდა და ხარჯავდა ფულს პრეზიდენტი. სჩანს რომ უმრავლესობა მოსულ ფულებისა იხარჯებოდა სამხედრო ორგანიზაციაზე, აჯანყების მოსამზადებლად.

ესერების პარტიას ფული არასოდეს მიუღია მენშევიკებისაგან. ჟორდანიას წერილის შესახებ, რომელიც იყო გამოგზავნილი აჯანყების მოსამზადებლად საზღვარგარეთიდან მე პირველად გაზეთებიდან გავიგე, სადაც მოთავსებული იყო ტექსტი ამ წერილისა (თარგმნის რუსულად). მე ერთ კრებაზე შევეკითხე ანდრონიკაშვილს მართალია თუ არა ჟორდანიას წერილის არსებობა და მართალია, – რატომ არ იყო გარჩეული პარიტეტული კომიტეტის მიერ? მან მიპასუხა – ეს იმიტომ, რომ წერილი მიმართული იყო მენშევიკური ცეკას სახელზე (რუსულად თარგმნის). ჩოლოყაშვილს კავშირი ჰქონდა პრეზიდენტთანო, აი ეს ჩვენება პარიტეტული კომიტეტის წევრის ბოჭორიშვილისა...

აქ აი ამ ქალაქებში, რომელიც ხელში მაქვს არის ჩვენება თითოეული მათგანისა. ჯავახიშვილისა მაგალითად, რომელიც პირდაპირ ამბობს – უკანასკნელი აჯანყების მოსაწყობად ჩვენ ამდენი და ამდენი ფული მოგვივიდაო. აქ ყველა ამის წაკითხვა შეუძლებლად მიმაჩნია და ჩვენ ახლო მომავალში ამის ბეჭდვას გაზეთებში დავინწყებთ. მე პირადად მზად ვარ, თუნდ დიდ თუნდა

პატარა კრებაზე სადმე წავიკითხოთ ყველა ეს იმიტომ, რომ აქედან აშკარა ხდება რას ამზადებდნენ ეს ვაჟბატონები, რანაირად და რისი იმედი ჰქონდათ. ფიქრი იმაზე, რომ მენშევიკები თავის ძალით აიღებდნენ საქართველოს და გაიმარჯვებდნენ ამას ტუტუციც არ დაიჯერებს, ცხადია რომ მთელს თავის იმედებს ამყარებდნენ დასავლეთ-ევროპაზე. „– მოვლენ ინგლისი და საფრანგეთი და დაგვეხმარებიანო“. ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტი, რომელიც ამბობს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა მიიღო ჩხენკელი და დაპირდა მას დახმარება. გვაქვს აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ერიომ მიიღო წერილი და დაჰპირდა დახმარება. გვაქვს კიდევ ბევრი დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის რენოდელს, საფრანგეთის მენშევიკური პარტიის ლიდერს, რომელიც ამბობს – „დაიწყეთ იმოქმედეთ და ჩვენ რითაც უნდა დაგვიჯდეს გიშველითო“. ეხლაც იძახიან ბოლშევიკები მაღავენ და არ ამხელენ რა ხდება დასავლეთ ევროპაში. ლაპარაკობენ, რომ ნაციათა ლიგამ დააყენა საკითხი საქართველოს შესახებ. მართალია დააყენა, ჩვენ ეს არ დაგვიფარავს. დააყენა, მერე რა რომ დააყენა. რამდენი სულელი და თუ გინდ ათასი ჭკვიანიც რომ იყოს ეს ხელსაყრელი არ არის იმათთვის, რამდენიც არ უნდა ილაპარაკოთ არაფერი არ გამოვა.

ჩვენ ვიცით, რომ ისინი მათ მხარს უჭერენ, აუარებელი დოკუმენტები აქვე მაქვს და ამ დღეებში გამოსულ პროკლამაციებში მენშევიკები პირდაპირ გაიძახიან ჩვენ გვეხმარება ევროპა, ბოლშევიკებს კი რუსეთიო და სხვა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. როდესაც აჯანყებას აწყობ, ხალხს მოუწოდებ აჯანყებისთვის, რა თქმა უნდა ერთგვარი პროგრამა უნდა გქონდეს აჯანყებისთვის. თუ შენ გარკვეული პროგრამა არ გაქვს, თუ ხალხს არ გაუშუქებ ამას რისთვის მოუწოდებ, რომ მან სისხლი დაღვაროს. როცა ამას მოუწოდებ აუცილებელად საჭიროა უჩვენო გლახს, მუშას ან ვაჭარს, თუ რისთვის მოუწოდებ, თორემ რაც უნდა მონდომებული იყოს სისხლს არ დაღვრის. უნდა უთხრა რა გინდა, რომ მისცე მას. აი ამ დოკუმენტებში ვერ ნახავ მოთხოვნილებას, რომელიც ამბობდეს, რომ ამ მუშას უფრო კარგ მდგომარეობაში ჩავაყენებ ვიდრე დღეს არის, ან იმას ამბობდეს, რომ მუშას პატარა ხელფასი აქვს და გაუდიდებთო, ან დიდი სამუშაო დღე აქვს და შეუმოკლებთო, არც იმას ამბობენ, რომ მინას გლახს გადავცემთო, ვერც ერთ ასეთ საკითხს თქვენ აქ ვერ ნახავთ. არც იმას ამბობენ, რომ ბოლშევიკებს გავრეკავთ და სოფელს იაფფასიან პურს ან ჩითს მივანოდებთო, არც ერთი ასეთი ეკონომიური კითხვა არ არის დასმული, გარდა ასეთი სისულელეებისა: „კომსომოლისტების ნუ გეშინიათ, მოვსჭრით თავსო და მოგიტანთო“. ...კარგი რა იქნება მერე, მოსჭრან თავი კომსომოლისტებს და ბრეგვადეს მიუტანონ, რა გამოვა ამით მერე, რა იქნება. ეს არის ბავშვური სისულელე. ერთადერთი ლოზუნგი არის ამაში საქართველოს დამოუკიდებლობა. მეტს ვერაფერს ვერ მოითხოვენ. რომ აიღოთ ანდრონიკაშვილის ჩვენება დაინახავთ, რომ ის პირდაპირ ამბობს „თქვენ გასაოცარი ხალხი ხართ, თავადაზნაურობას ჩამოართვით მინანყალი, ეხლა რაღას ეშტერებით, ჩვენ შევეუკავშირდით ყოფილ მექარხნეებს და თავადაზნაურობას, რომელნიც უკმაყოფილონი არიან: რა ნიადაგზე შეუკავშირდნენ – რა თქმა უნდა იმაზე, რომ მიწები ჩამოართვან და რასაკვირველია კახეთის თავადაზნაურობა საბჭოთა ხელისუფლების მომხრე არ იქნებიან...“

...ჯიბეში მქონდა ქალაღდი, სადაც დანერილი იყო თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინ გაიქცა სვანეთისაკენ. ესენი არიან ჭყოღუა (ჭკოღუა-ავტ.), შარვაშიძე, დადიანი, დაღეშქელიანი და ... მაგრამ ტყუილი იქნება იმის თქმა, რომ მარტო დადიანები იყვნენ, იყო ნაწილი გლეხობისა. ზოგი თავის ნებით, როგორც მოხდა გურიაში, ზოგი შიშით ჩათრეული, ძალით გაყვანილი. მოიღრბენდნენ თოფით და იძახოდნენ: აბა გამოღდი, ბოღშევიკები აღარ არიან ყვეღგან გაღენეს ისინი და აბა გამოღდი. გლეხებმა არ იციან რაშია საქმე. ყოფიღ გვარღიეღებს ეუბნებოდნენ: ამ სამნახეღარი წღის განმაღვღობაში, რაც ბოღშევიკები აქ არიან თქვენ მოგეციმათ სრული ჯამაღირი, მხოლოდ ეხღა გამოღდი. მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, გურიაში მონაწიღეობა მიიღო გლეხობამ. ჩვენ, მე და ამხანაღი ფიღიპე მახარაძემ, მეორე დღესვე ჩამოვიარეთ სოფღები, ვიღაპარაკეთ ნაგომარში...

...ვეკითხებოღით გლეხებს რაზე აჯანყღით რა გინდათ, გურუღები აქ ბევრი იქნება და ვინც გურული არ არის იმათ უნდა უთხრა: გურია მონიწავე უბანია, ცქვიტი, ყოჩაღი ხაღხია, ლაჩარი ხაღხი არ არის. საზოგადოთ რომ შეეკითხები პასუხის მოციმა შეუძღლიათ. უბრალო გლეხი იქ ორატორია ძმაო იმისთანა, რომ ვერც კი შევეღრებით. შევეკითხე, ხომ ხეღავთ დამარცხღით, ყვეღაფერი გათავღა, ჟორღანია ვერ მოღა. – ნოე ჟორღანია აქ რომ იყო, მაშინ გავაღღეთ და ეხღა რად შემოღუშეღბთ. გუშინ მოტყვიღღით, მაგრამ ახღა ხომ ხეღავთ ნოე ჟორღანია შორს არის, ჩვენ კი ავად თუ კარგად ერთად უნდა ვიყვეთ. ბევრ თქვენგანს ეშიწია დაჭერის – გაძღვეთ პატიოსან სიტიყვას დაჭერები არ იქნება, ყვეღას გამოგიშეღბთ. გვითხარით რაშია საქმე. რა გგონიათ რა პასუხი მივიღღეთ – მოგვატყუეს ბატონო თუ გვაპატიებთ კარგია...

რაშია კაცო საქმე რად გამოღდი? იმათმა გვითხრეს – ყვეღაფერი აღებუღღია, მოგვატყუეს. მაგალითად საღღგურ ნაგომარში აიღღეს ტღღეფონის ტრუბკა და იძახოდნენ: „ა ვინ ხარ? ბაქო ხარ? რა ამბავი მაქ, ბაქო ჩვენ ხეღშიაო, ახღა დერბენღისაკენ მივღღივართო“, აი გაზეთებშიაც სწერია, რომ დიღდი ბრძოღაა დერბენღშიო – მოგვატყუეს, შეგვაცღინეს, ჩვენს მეტი არავინ დარჩაო და ჩვენც მივიღღეთ მონაწიღეობაო“. მე ვუთხარი როგორ ხართ ასეთი სუღღეღები, რომ არ იცოღღით რომ მაქედან ბაქომღღე პირდაპირ მართული არ არისო. „ჩვენ რა ვიციოღღით მოგტყუვღღით და დავიჯერეთ“, არა თქვენ მოტყუვღღით და დავიჯერეთ იმიტომ რომ თქვენც ეგრე გინღოღათ, თქვენ გინღოღათ, რომ ბოღშევიკური მთავრობა არ ყოფიღღიყო და ყოფიღღიყო მენშევიკური. მე ერთ დიღ კრებაზე, რომ გამოვეღდი ტაში დამიკრეს, მე ვუთხარი რაშია საქმე, გასაკვირი ხაღხი ხართ, გუშინ ტაშს უკრავღღით მენშევიკებს და დღღეს მე, მასხრობა ხომ არ არის, ან მე უნდა დამიკრათ, ან მეორეს, ან ერთს უნდა მიემხროთ და ან მეორეს. მე დავუყენე კითხვა, როგორ გგონიათ მენშევიკები, რომ მოვიღღენ მიწას მოგიმატებენ? – ვერა. მიწა არ არის და ისინი ვერ გააჩენენ. იაფფასიან საქონელს მოგციმენ? – საიღან? – ამბობენ ინგღღისისა და საფრანგეთის საქონელი უფრო იაფად იქნებაო. კარგი შეიძღღება ის უფრო იაფი იყოს, მაგრამ პურს მოგიტანენ? – არა. გიჭერთ ჩვენ? – არა. მშვიღღობიანობა არის თუ არა? – არის. აჯანყებისთვის დაგხვრიტეს? – არა. 7 კაცი დახვრიტეს მხოლოდ. პარიტიტული კომიტეტი დასახვრეტი არის თუ არა? – იმე არ დაგიხვრეტიათო? – თქვენ ხართ დასახვრეტი თუ ისინი არ დაგიხვრეტიათო...

ბოლშევიკებს ხალხის ხვრეტა უყვართ თუ რაშია საქმე? ეს მხეცს უყვარს კაცის შეჭმა, ჩვენ ვხვრეტთ იმიტომ, რომ მეტი საშველი არ არის. ჩვენ ხომერიკის და ჯუღელის გვეშინია? – ჩვენ მთელ მეორე ინტერნაციონალს არ დავზოგავთ რასაკვირველია თუ ხელში ჩაგვივარდა და ხელი შეგვიშალა. ამას, ასეთ სისულელეებს ნუ დაიჯერებთ. ჩოხატაურში ერთ კრებაზე ფილიპე მახარაძემ ჰკითხა ხალხს, რაშია საქმე? – რა არ ვარგა, რა არ მოგნონთ? როდესაც იარაღს იღებ ხელში მაშინ უნდა გქონდეს ისეთი მიზეზი, რომელიც გაიძულებს აიღო თოფი, გამოხვიდეთ საუკეთესო მომავლისათვის. თუ ამისათვის იღებ იარაღს – ვაშა შენს ვაჟკაცობას. არაფრად არ ვარგა ის გლეხი და ის მუშა, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა თოფით ხელში...

...პირველად – როდესაც მენშევიკები გავიდნენ საქართველოდან, მაშინ დასტოვეს გურიაში 7 ათასი პარტიის წევრი. 30 წელიწადია, რაც გურია მენშევიკების ხელშია. ყველა ბელადები იქიდან გამოდიოდნენ, დაწყებული ნოე ჟორდანიას, რამიშვილი, მეორე რამიშვილი, ჩხიკვიშვილი, ხომერიკი და ყველა სხვა საუკეთესო წევრები მენშევიკებისა და ყველა გურიიდან არიან. კიდე 905 (1905 წ.-ავტ.) წელში გურულებმა სთქვეს: ჩვენ მენშევიკებს მივდევთ, ამ 7 000 წევრიდან 1500 გამოვიდა პარტიიდან, ნაწილი მათგანი ამ აჯანყების დროს მიემხრო ისევე აჯანყებას, ნაწილი ჩვენთან დარჩა და პატიოსნათ იბრძოდა მათ წინააღმდეგ, ნაწილი კი დაჯდა სახლში, არც იმათ მიემხრო და არც ჩვენ მოგვემხრო. მაშასადამე გურიაში დარჩა მენშევიკური პარტიის წევრი 2.000 კაცამდე მაინც, უნდა ვთქვათ, რომ მათი პარტიის წევრები, ძველი პარტიის წევრები არიან 20-15-10 ცნობით პარტიაში ნამყოფი, გამოცდილი განვრთნილი ხალხი არის, პოლიტიკაში არ არიან დაბალ საფეხურზე მდგომი.

ინტელიგენცია, რომელებიც იქ არის მასწავლებლობა და ამ მასწავლებლობის დიდი უმრავლესობა მენშევიკები არიან. მიწის კითხვა (საკითხი-ავტ.) გურიაში როგორ გადანყდება, როცა მიწა არ არის. ის პატარა-პატარა ნაჭერი მიწისა, რომელიც გლეხობას დაერიგა ვერაფერ ეფექტს ახდენს. თვითონ გურულმა იცის, რომ იქ მიწა არ არის. მიწა რეზინა არ არის რომ გავწიოთ...

...ასი სწორედ იმ იმედით, თუ მენშევიკების მთავრობა იქნა, მაშინ ისევე გურულები გამევიდოდნენ და სწორედ ეს უსახავთ გურულებს კარგ პერსპექტივებს. გგონიათ რომ კარგი მდგომარეობა შეექნებათ, თორემ მეტი მათ არაფერი აქვთ საზრუნავი. დიდი კითხვა თავიდან დაწყებული დღემდის, რომელიც არ ამომშრალა ჩვენს ბრძოლაში, არის დამოუკიდებლობის საკითხი, მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ დამოუკიდებლობას დღეს ერთნაირად ებლაუჭებიან მენშევიკი, ეროვნულ დემოკრატი, მღვდელი, ვაჭარი, ყოფილი თავადი...

...თუ დღეს არ არის ყველაფერი ისე, როგორც გვინდა, ამის მიზეზია დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია და მათი ყურმოჭრილი მონები ქართველი მენშევიკები, რომელნიც საშუალებას არ გვაძლევენ მშვიდობიანად, ადამიანურად ვიმუშაოთ. დამოუკიდებლობაზე აქვთ ლაპარაკი. პირდაპირ დავაყენოთ საკითხი – მენშევიკების დამოუკიდებლობა არის საქართველოს ინგლისის კოლონიად გადაქცევა. ბოლშევიკებს კი აქვთ მჭიდრო კავშირი რუსეთთან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან, რომ ჩვენი ერი ალორძინდეს, მობრძანდეს და ვისაც უნდა სთქვას, ამ სამი წლის განმავლობაში ქართველ ერს დაუკარგეთ ენა,

ლიტერატურა, ზიანი მივაყენეთ ეროვნულ კულტურას... ეხლა ამბობენ ბოლ-შევიკებს ყავთ ჯარი, ჩეკა და ამით გაიმარჯვენო. ეს უნდა ცოდნოდათ. ეს ორ დღეში არ შეგვიქმნია. ჩვენ გვყავდა ჯარიცა და ჩეკაც და რა თქმა უნდა მოვიხმარეთ. აბა რა ეშმაკად გვინდოდა, მაგრამ საკითხი ამაში არ არის. რატომ მოხდა, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა მით უმეტეს აღმოსავლეთ საქართველოში არ გაჰყვა მათ, დარჩა ჩვენთან... ქართველი გლეხი და მუშა არ გაჰყვა მენშევიკებს, როდესაც მას აჯანყებისაკენ მოუწოდეს. არ გაჰყვა იმიტომ, რომ არ გრძნობს ეროვნულ დამონაწევას. ეროვნული ინტერესის შეზღავანას, კულტურის შეზღავანას, არ გრძნობს ამას, რომ მას ვინმე ართმევს მის ქონებას და არ შეიძლება არ დაინახოს, რომ ის მეგობარი მოკავშირე, რომელიც ყავს მას რუსეთის სახით, მას ეხმარება... ქართველმა გლეხმა და მუშამ უცებ იგრძნო, რომ თუ დღეს მოუვიდა მენშევიკი ხვალ დაინყება ეროვნული ბრძოლა ქართველ და სომეხს შორის, ქართველებს და თათრებს შორის და სხვა. ეს ბრძოლა იყო მუდამ და დღეს აშკარად შეიქმნა რატომ მოხდა ის, რომ როდესაც გაიგეს რომ აჯანყება მოხდება, აჭარლების ერთმა ნაწილმა – 1500 კაცმა იარაღი აისხა და ერთი ნაწილი ოსმალეთისკენ წავიდა და მეორე ნაწილი კი გურიისკენ. რათა ეს, რისთვის? იმიტომ რომ ისინი, ვინც ოსმალეთისკენ წავიდნენ შიშობდნენ, რომ ბეგები უკან შემოვიდნენო. იქ არიან გახიზნულები ბეგები – ასლან ბეგ აბაშიძე და სხვები. ამ ნაწილმა აჭარლებისა შექმნეს რაზმი და საზღვარი უნდა შეეკრათ, მეორე ნაწილი კი გურიისკენ, რომ წავიდა ამბობდა, ჩვენ ქართველების წინააღმდეგ კი არ მივდივართ, ბოლშევიკებთან ერთად მენშევიკებსაც უნდა შევებრძოლოთო. რატომ, იმიტომ რომ თუ საბჭოთა ხელისუფლება დაინგრა და მენშევიკები დაბრუნდნენ, ისევე ჩვენს შორის ძველი შუღლი ჩამოვარდება ჩვენს შორისო...

...მე ერთ კრებაზე ვთქვი პარიტეტულ კომიტეტზე შერცხვენილები არიან-თქო, რომ მათ არათუ აჯანყების მოწყობა, არც სიკვდილი სცოდნიათ. და მართლაც სამარცხვინოა მათი მოქმედება. ცხადია, როდესაც აჯანყებას აწყობს უნდა იცოდეს, ან გაიმარჯვებს, ან დამარცხდება. თუ გაიმარჯვებს ხომ კარგი და თუ არა და ცხვირს დაგიმტვრევენ. მე ვფიქრობ ამ აჯანყების მოწყობამ ერთი რამ დაუმტკიცა ქართველ ერს, ეს ის რომ მენშევიკების მოქმედება დღეს ქართველი ხალხის მიმართ არ იყო მოყვრული, ძმური, არამედ ეს არის საძაგელი, მოღალატური მოქმედება. გამოიძახო ხალხი აჯანყებისკენ მაშინ, როდესაც შენ არავითარი ძალა არ შეგწევს, ხალხი არ მოგყვება...

...საკითხი ასე დავაყენოთ: კარგი, მაგრამ რატომ, რათა ინტერესებს ინგლისს და საფრანგეთს საქართველოში აჯანყების მოწყობა? ჯერ ერთი დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებისთვის სანატრელი არის, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში მუდამ იყოს ომი, რათა ვერ შევძლოთ აღმშენებლობა, ვერ ავაშენოთ სახელმწიფო, ვერ წავწიოთ მუშების მდგომარეობა... მთელი ევროპის რეაქციონური, ბურჟუაზიული პრესა სწერს – აი საქართველოში საშინელი აჯანყება მოხდა, მთელი მუშა და გლეხი აუჯანყდა კომუნისტურ მთავრობას. გერმანელი კორესპონდენტი იყო ჩემთან და მეკითხებოდა – რამდენი კაცი დახვრიტეთო. რად გინდა – ვკითხე, ზოგი ამბობს 10.000 კაცი არის დახვრიტილი, ზოგი 5.000. მე ვუთხარი, არც ათი ათასი და არც ხუთი ათასი, მართალი თუ გინდა 500 კაცამდე

არის დახვრეტილი. არ დავფიცავ მითუმეტეს აქ თქვენს წინაშე დაფიცვა არ არის საჭირო. მეორე მხრით სასტიკი ბრძოლაა მაკდონალდს და ლიბერალებს შორის. ხომ იცით მეორე ინტერნაციონალის ბელადი, თავმჯდომარე იყო ის კაცი და დღეს ინგლისის მთავრობის თავმჯდომარეა. მან შეკრა ერთგვარი ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, რომლის ძალით ჩვენ უნდა მოგვეცენ სესხი. მართალი უნდა მოგახსენოთ, კიდევ რომ მოგვეცენ ეს ბევრად ხელსაყრელი არ არის ჩვენთვის, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ინგლისმა ფული მოგვეცა თუგინდ ათი კაპიკიც იყოს, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფო ენდობა საბჭოთა კავშირს და სესხს აძლევს... ჩინეთში ამხანაგებო ჩვენ დიდი გამარჯვება ვპოვეთ. იქ იყო ამხ. კარახანი. ჩინეთმა სცნო რუსეთი, ერთადერთი იმედი არის ჩინეთისა საბჭოთა ხელისუფლება. მან სცნო მხოლოდ დღეს საბჭოთა კავშირი არა იმიტომ, რომ წინათ არ უნდოდა ეს, მაგრამ ემინოდა ამერიკის და ინგლისის და დღეს კი გაბედა და სთქვა – მე ვცნობ საბჭოთა კავშირს, ვკრავ მასთან ხელშეკრულებას, ვაძლევ რკინიგზებს, უბრუნებ შენობებს და სხვა ამისთანა. ამიტომ იქ მოხდა აჯანყება. იქ მოახდინეს გადატრიალება, მოისყიდეს რამდენი გენერალი და მოახდინეს სასტიკი ომი თვითონ ჩინეთში. იქ მიაქროლეს თავისი გემები მოკავშირეებმა და ამბობენ, რომ ჩვენ ჩვენი მოქალაქეები უნდა დავიცვათო. ეხლა ავღანისტანში, ინდოეთში ყველგან იზრდება საბჭოთა კავშირის გავლენა. მათ სურთ ყველგან მოგვიხდინონ აჯანყება და შემდეგ აყვირდენ – აი საბჭოთა კავშირს როგორ უჯანყდებიან პატარა ერები. ის ვერავის გაანთავისუფლებს და ამ აჯანყების მიზეზი აქ საქართველოში, რამდენიც უნდა ვეძიოთ ვერ ვნახავთ...

...შეცდომები გვაქვს. მე ვფიქრობ ეს საკითხი აშკარად უნდა დავსვათ და ვთქვათ პატარ-პატარა შეცდომები აუცილებლად გვექონდა, რომელიც უნდა აღვნიშოთ და შევასწოროთ. უპირველეს ყოვლისა შეცდომები არის ჩვენი მოხელეები და ამხანაგების მხრივაც. ზოგიერთმა ამხანაგმა გლეხთან ლაპარაკი არ იცის, გამოვა ხალხში, კიდია ამხელა მაუზერი, რომელიმე ისპოლკომის თავმჯდომარე, ან სოვეტის, ან რაღაც ჯანდაბა და ამ გლეხს ისე ელაპარაკება, ვითომც ძველი მამასახლისი იყოს. შე მამაცხონებულო მოდი, გამოელაპარაკე გლეხს, გაიგე მისი გასაჭირი. მერმედ სოფლის სულელური გადასახადი... აგერ გლეხმა გასაყიდად ორი ქათამი შემოიყვანა, დაადებენ გადასახადს, გამოუვა რაღაც ორი კაპიკი. აღმშენებლობისათვის ეს არაფერს წარმოადგენს. ამ გლეხს კი აღიზიანებს. ანდა აიღეთ შეშის საქმე, შეშას ვერ ღებულობს გლეხი, ტყე კი გვაქვს. ჩვენი მოხელეები ადგილობრივ ვერ არიან სათანადო სიმაღლეზე. მეორეს მხრივ ჩვენთვის აშკარა არის დღეს, რომ ჩვენს დანესებულებებში აუარებელი მენშევიკები და ეროვნულ-დემოკრატიები არიან, რომლებიც განგებ აწვალენ გლეხობას, რომ მათი უკმაყოფილება გამოიწვიონ. ჩვენ გვაქვს კანონი, რომ დავარდნილი ხე, უნდა მიეცეს გლეხს სრულიად უფასოდ, მაგრამ ლესნიკი არ აძლევთ და როცა შეეკითხებით – რატომ არ ასრულებს კანონს, ის გვიპასუხებს, რომ არ ვიცოდი იყო თუ არა ასეთი კანონიო. ეს რასაკვირველია ტყუილია. შე მამაცხონებულო, აპა რა იცოდი ლესნიკი ხარ, ახლა კოოპერაცი-აში დაუყინიათ, რომ ვარ ძველი კოოპერატორი და სხედან, მაგრამ ისინი არიან

ნაციონალ-დემოკრატები და იმის მაგივრად, რომ დაეხმარონ ხალხს, ცდილობენ რაიმე სისულელე ჩაიდინონ, რომ სახელი გაგვიტეხონ. რასაკვირველია, გლეხი არ აჯანყდება დროზე პარკის ფული რომ არ მისცე, მაგრამ როცა იმის მიზეზს აძლევს, აგიტაცია გასწიოს ჩვენს წინააღმდეგ, ეს საქმეს ავნებს...

...ფართალი მოგვცეს იმისთვის, რომ იაფფასებში დაურიგო გლეხებს და მუშებს. შენ ამ ფართალს აძლევ ვიღაც სპეკულიანტს. ამის გულიზა უნდა დახვრიტონ გინდ კომუნისტი იყოს, გინდ სხვა... ის რაც მოხდა ჩვენში, ეს თითქმის აუცილებელი იყო. იმიტომ, რომ მენშევიკურ პარტიას კიდევ დარჩა ერთგვარი ძალა საქართველოში. გარდა გურიისა, რომელზეც მე უკვე ვილაპარაკე აღსანიშნავია, რომ საქართველოში არის მცხოვრებლების 5 ნახევარი % თავად-აზნაურობა, ე.ი. 130.000. ხშირად ამბობენ ჩვენი თავად-აზნაურობა გამყვლეფი არისო. მართალია, მაგრამ გამყვლეფიც, რომ აიღო, სულ უბრალო ჩემი მეზობლები, ორჯონიკიძეები, მეც აზნაური ვარ (სიცოცხლი), ისინიც ამბობენ ჩვენ აზნაურის შვილები გახლავართ, ჩემს ძარღვებში წითელი სისხლი არის და სხვა. და სანამ ამათ სისხლს არ გამოიღებ ხეირი არ იქნება და მართალი იყვენენ კახელი გლეხები, ცოტა რომ მითეთექვეს თავად-აზნაურობა...

...ჩვენში არის ოფიცრობა 7500 ნიკოლოზის ყოფილი ოფიცრები. მართალი უნდა მოგახსენოთ, ქართველი ოფიცრობა ნიკოლოზის ჯარში ყველაზე რეაქციონური და ყოჩალი ელემენტი იყო. ყოჩალები ვართ, მიეცი მათ თოფი, რევოლვერი – გაგვაქრობენ. ხომ დაინახავდით კვირა დღეებში რუსთაველის ქუჩაზე განიერ შარვლებს რომ იცვამენ, ეს ვაჟბატონები იყვენენ ამ აჯანყების ტეხნიკური გამტარებელნი. იცით თუ არა არ ვიცი, მაგრამ კოტე ანდრონიკაშვილი ამბობს – ქართული ჯარი ჩვენ მხარეზე არისო, მას ალბათ იმედი ჰქონია, რომ ჯარის სათავეში ყოფილი აფიცრები იყვენენ. ეს ოფიცრები თავად-აზნაურობაა, მათ ბოლშევიკებმა მიწა ჩამოართვეს, პაგონები ჩამოღლიტეს, არაფერი დარჩათ და რა თქმა უნდა ისინი კმაყოფილნი არ იქნებიან. ჯამაგირს ვაძლევთ მართალია, მაგრამ ცოტას ვაძლევთ და ამიტომ ჩვენი მტრები არიან და თუ რამე დაინწყებოდა, რა თქმა უნდა ისინი მათი მომხრე იქნებოდნენ. მაგრამ შერცხვენ კი ძალიან. უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ ამ 2 თვის წინათ სურამში ვიყავი, შევხედე კარისკაცებს – სამაგალითო ბიჭები არიან, მაგრამ მეთაურები, რომ დავინახე გული გამისკდა. ყველა ნიკოლოზის ოფიცრები იყვენენ და რა დღესაც გინდა საბჭოთა ხელისუფლებას ხიმტზე წამოაგებდნენ. ამიტომ 400 კაციდან – 200 გამოვრეკე. ამ 200 კაცმა ყველამ მიიღო მონაწილეობა ამ აჯანყებაში. მათ მაგივრად დავაყენე გლეხის შვილები, ჩვენი გამოზრდილი და გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ეს აჯანყება მათთვის ეგზამენის დაჭერა იყო. იმიტომ რომ ჯარის გამოცდა შეიძლება მხოლოდ ბრძოლის ველზე... სრული სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამნახევარი წლის განმავლობაში, ჩვენ შევქმენით ისეთი პატარა ქართული ლაშქარი, რომელიც რა წუთშიაც გინდა, ღამე იქნება თუ დღე, თოვლში თუ წვიმაში, მზად არის თავის შტიკით დაიცვას საბჭოთა ხელისუფლება. თუ გინდა გამოცადოთ რანაირი გრძნობები აქვს გლეხს, ვის ემხრობა ის, ამის გამოცდა შეიძლება ბრძოლის ველზე. სენაკის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობდნენ, რასაკვირველია გლეხები. ბალდათზე გავგზავნეთ 30 კაცი – წითელარმიელი. ამათი გაბრიყვება ძალიან ადვილად შეიძლებოდა,

მათზე თავდასხმაც ადვილად შეიძლებოდა. მთელი დივიზიის შეცდენა ძნელია, იმიტომ, რომ იქ ყველა მომხრე არ გეყოლება. მაგრამ ასეთ პატარა ერთ მუჭა ჯგუფს, თუ ერთი ყავს გამყიდველი, მისი შეცდენა ადვილია, მაგრამ არც ერთი ასეთი მაგალითი არ ყოფილა, რომ ნითელარმიელს გადაერბინოს მტრის ბანაკში. არიან ზოგი ძველი ოფიცრები, თავად-აზნაურობის წარმომადგენლები, რომელნიც ჩვენს ჯარში დარჩნენ და მიიღეს მონაწილეობა ამ აჯანყების ჩაქრობაში. აი ამათაც ისე პატიოსნად და სინდისიერად შეასრულეს თავისი მოვალეობა, რომ მადლობის მეტი არაფრის ღირსი არ არიან. ეს ღრიალი, რომელიც საზღვარგარეთ არის, დღეს არავითარ საფრთხეს ჩვენთვის არ წარმოადგენს და რამდენიც არ უნდა იჩერჩეტონ მენშევიკებმა, ეს ისეთივე ბზუილი იქნება, როგორც აქამდე იყო...

იმ ხალხს, რომელსაც ეშინია აჯანყებაში მონაწილეობის მიღების გამო დაბრუნება, პირდაპირ უნდა უთხრათ ჩამოვიდნენ და მათ სასჯელი არ მოეღოს. ზოგი არ მოდის დაგვხვრეტენო, დაჭერა არაფერი, დაგვხვრეტენო. აქ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მთავრობამ ერთხელ და სამუდამოდ გამოაცხადა ვინც დაბრუნდება, ის თავისუფალია, სახლში წავიდეს. რასაკვირველია თვალყურს ვადევნებთ, თუ პატიოსნად იქნებიან ხომ კარგი, თუ არა და რა ვქნათ. ერთი სიტყვით ყველამ, ვინც მიიღო მონაწილეობა ნებით თუ უნებლიეთ, მოვიდნენ, ჩაგვაბარონ იარაღი და შეეგუონ მშვიდობიან ცხოვრებას. ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ მშვიდობიანი ცხოვრება არ შეგვიწყვეტია. ეხლა მენშევიკებმა ისახელეს თავი და რამოდენიმე დღის მუშაობა შეგვანწყვეტინეს. დღეიდან ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას და ვიმუშავებთ მანამ, სანამ არ დავარწმუნებთ მთელ მუშათა კლასს, რომ საბჭოთა ხელისუფლებაში არის ხსნა, როგორც ქართველი ხალხის, ისე ყველა დაჩაგრული ერების...

რაც შეეხება იმას, რომ ყველამ გამოვიდეს და ილაპარაკოს რა მიმართულეობისაც უნდა იყოსო, ამაზე უკაცრავად, ჩვენ ნებას ვერ მივსცემთ, მაგალითად კახელ თავად-აზნაურობას, რომ გამოვიდეს და იქადაგოს რაც სურს. მას, მაგალითად სურს, რომ ბოლშევიკები ჩამოაგდოს და ჩვენ ამის ნებას ვერ მივსცემთ. აი კახეთში გლეხებმა სამასი კომლი რომ გამოყარეს გარეთ და თვითონ შევიდნენ მათ სახლებში, ჩვენი ლევანა ლოლობერიძისათვის უთქვამს: „აი ასე ვზივართ მოფთხნილი ჩვენი თავადის სახლშიო“. და ამ თავადს სურს, რომ გლეხი გამოაგდოს და იმის ადგილზე თვითონ დაჯდეს. ეხლა ამის დამწერს უნდა შევეკითხო, მომხრე არის, რომ უკან დაბრუნდეს თავად-აზნაურობა, თუ დარჩეს გლეხობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სჯობია გლეხი დარჩეს. გვისაყვედურებს კიდეც ამის დამწერი, თუ რატომ არ ვაძლევთ ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლებას. ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს, რომ მენშევიკებს სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებას არ მივსცემთ...ხალხი ავსაც ამბობს და კარგსაც. კახელმა გლეხმა სთქვა, აილო ქვა და თეთქვა თავად-აზნაურობას, გამოაგდო სახლიდან. ვისაც უნდა კარგს იტყვის, ვისაც უნდა გლახას... გურიის გლეხობამ გვითხრა, ესენი ვინც არიან, ჩვენ დავიჭერთ და თავიდან მოვიცილებთო, მაგრამ ჩვენ გამოვაცხადეთ, ვინც 15-მდე დაბრუნდება მთავრობა აპატიებს, ვთქვით და შევასრულეთ...

...რაც შეეხება მეთაურებს, რომლებიც ცეკაში სხედან, მე ვფიქრობ, რომ პარიტეტული კომიტეტის წევრებს სასამართლოში მივსცემთ, დანარჩენ

პატარ-პატარა ხელმძღვანელებს კი, თუ თქვენც დამეთანხმებით, გავუშვებთ... არაა? მე ვფიქრობ ამხანაგებო, რომ ვინც პატარა შეჩუქხურდნენ, ისინი საკმარისად დაისაჯენ. შურისძიება კი, არც პარტიას და არც მთავრობას არ ეკადრება. უნდა ვიხმაროთ ყოველივე ღონისძიება, რომ ვისაც შეუძლია სამუდამოდ ზურგი შევაქციოთ ავანტიურისტებს, მათ ხელი უნდა შეუნყოთ და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მთავრობა გამოიჩინს ლმობიერებას... სხვათაშორის ამბობენ ბევრი უდანაშაულო დახვრიტესო. ღმერთმა იცის მათი თავი. უნდა მოგახსენოთ, რომ შესაძლებელია მართლაც დახვრიტეს. რამდენად ისინი დამნაშავე იყვნენ ამის პასუხის მოცემა არ შემიძლიან. სწორედ იმაში გამოიხატება უბედურება ასეთი დროის, რომ დამნაშავესთან ერთად ხვდება უდანაშაულოც... კაცის დახვრეტა ცუდია. ვინ გამოვა ისეთი ჯალათი კაცის დახვრეტას ტაში დაუკრას. ასეთი იყო ნერონი ძველ დროში და ეხლა ვალიკო ჯულელი... რას იზამ, როდესაც აჯანყება არის, რომელიც უნდა ჩააქრო, ზომებიც უნდა მიიღო... ჩვენც განა გული არ გვტკივა, მაგრამ რა ვქნათ. ჩვენ ქართველ ხალხს ვეუბნებოდით, მუშას, გლეხს, ინტელიგენტს, ყველას, ავანტიურას თავი დაანებეთ, ნუ გაჰყვებით ისეთ პარტიას, რომელიც ასეთ დღეში ჩაგაყენებთ, მაშინ არც დამნაშავე და არც უდანაშაულო იქნება. მაგრამ ეხლა მეტი საშველი არ არის. გამოიყვანეთ ვინც გინდათ, ჰკითხეთ რას იზამს, როდესაც შინ უნყობენ აჯანყებას, როცა ქალაქებში ჰყრიან ასეთ ფურცლებს ... – „მოქალაქენო, უკვე ოთხი წელიწადია, რაც ცეცხლით და მახვილით... იარაღმა გადასჭრას ჩვენი დავაო“. ეს გახლავს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ფურცელი, რომელიც შიომღვიმის მონასტერში ბრძანდებოდა...

როდესაც ასეთი ფურცელი გამოდის, როდესაც აჯანყებისკენ მოუწოდებენ, რა უნდა ქნა შენ? გულზე ხელი დაიკრიფო, ვთქვათ სისხლი დაიღვრება, ვაითუ შეცდომა მოგვივიდეს. ეს უდანაშაულო მივახვრიტოთ, ათის მაგიერ თერთმეტი დახვრიტოთ. ასე კაცო არ გამოდის, არ გამოვა. ამიტომ არის, როდესაც ჩვენზე ლაპარაკობენ ბოლშევიკებმა ჩაიდინეს ისეთი სიბოროტე, რომლის გამართლება ყოვლად შეუძლებელია, ჩაიდინეს იმიტომ, რომ დარწმუნდნენ იმაში – თუ საკმაო ძალას არ უჩვენებ გამარჯვება შეუძლებელია. მათ იცოდნენ ეს, მაგრამ მაინც მოუწოდეს ხალხს აჯანყებისკენ. კიდევ ჩვენი ბედნიერება, რომ ხალხი არ გაყვა, რომ გაყოლილიყო მაშინ მსხვერპლი მეტი იქნებოდა რა თქმა უნდა. ჩვენს წინაშე იდგა საკითხი: ან ორ დღეში უნდა მოგვესპო ყველაფერი, ან თუ გაგრძელდებოდა მეტი მსხვერპლი იქნებოდა. წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა თბილისში ისე, როგორც ჭიათურაში იყო, ყველას ეძინა, ჯარს ეძინა და დაგვძლიეს, ჩაიგდენ ხელში ქალაქი. მერმედ რა ეგონათ, თავს დავანებებდით. მოსკოვი არ გვეხმარებოდა, ჯარს არ გამოგვიგზავნიდა, მამ რისთვის შემოვედით, შავ ზღვაში გადავაგდეთ მენშევიკები. ნოე ჟორდანიას ჭკვიანი კაცია და როდესაც იმ წერილებს სწერდა არ იცოდა, რომ ჩვენ რუსეთის მოკავშირე ვართ. კარგი, დაგვემართა უბედურება. დროებით გაიმარჯვენ, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ჩვენ მოგვახმარებდნენ ჯარებს, რასაკვირველია მოგვეშველებოდნენ, ეს ასე იქნებოდა. და როდესაც ეს მათ იცოდნენ, სულელი უნდა იყო კაცი, რომ აჯანყების მოწყობა იფიქრო. და მართლაც სულელი უნდა იყო, როდესაც ვაზიანი, სადაც 150 ზარბაზანი არის, ვილაც ცაგურიას უნდა აეღო, წაერთვა

ყველა ეს ზარბაზნები. აი ასე აჯანყების მოწყობა, ეს ისეთი ავანტიურაა, რომ მისი ბადალი არ ყოფილა ჯერ...

...ქართველი ინტელიგენტები გაიძახიან, რომ ჩვენ სამსახურს არ გვაძლევენ და რუსებსა და სომხებს კი დაურიგესო. მართალია, ეს ხანდისხან ხდება. რატომ? როდესაც განმენდა ხდება, ხშირად ქართველები ინმინდებიან. იმიტომ, რომ ქართველ ინტელიგენტს დღემდის ჩვენსკენ პირი არ მობრუნებია, სულ მუდამ ზურგი ქონდა მოქცეული და მისჩერებია ევროპაში ყორდანიას. მას უნდა ისარგებლოს ჩვენი ჯამაგირით, რომ ჩვენვე ყელი გამოგვჭრას...

ქართველ ინტელიგენციას სტუმარს უწოდებთ, მაგრამ რა ვქნათ, ბრძოლა არის ჩვენსა და მათ შორის. ჩვენ გვწამს ჩვენი ერის აღორძინება, მუშათა კლასის განთავისუფლება, გლეხის განთავისუფლება. მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება სწორედ ამნაირად, ამ გზით გვწამს. დღეს კი არ დაგვიწყია, ამაში დავბერდით, აქ არიან ამხანაგები, რომელნიც 30 წელიწადი იბრძვიან ამ საქმისთვის. მე ჩემი ახალგაზრდობა, ეხლა 38 წლისა ვარ, 18 წლიდან ბოლშევიკი ვარ... ეხლა ძმაო ვერ გამოვიცვლები იმისათვის, რომ ქართველი ინტელიგენცია აწრიპინდეს. რუსეთის ინტელიგენცია იბრძოდა დენიკინთან ერთად გლეხების წინააღმდეგ. იქ რუსი იყო ერთი მხრითაც და მეორე მხრითაც. ერთი მხრით დენიკინი და მასთან ინტელიგენცია, ინტელიგენცია არ წავიდა მუშებთან და გლეხებთან, წავიდა დენიკინთან. კომუნიტებს რა ექნათ, ვინც მოყვა ომის დროს თავი მოუკვნიტეს, ზოგი საზღვარგარეთ დალაყუნობს, მილიუკოვი ძმაო ინტელიგენცია, საუკეთესო ინტელიგენცია. იმდენი ცოდნა რომ მოგვცა რა გვიჭირს. საუკეთესო პროფესორები იყვნენ შარშან რუსეთში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ჯერ უნდა ვსინჯოთ, მაგრამ თუ იქნებიან ისეთი ინტელიგენტები, რომელთაც მაინცა და მაინც სიძულვილი და შური შეიტანოს ჩვენ მუშა და გლეხს შორის და არეულ-დარეულობა გამოიწვიოს, ჩვენ დიდი მონივნებით უნდა ვთხოვოთ: „ჩვენ ერთმანეთს ვერ ვურიგდებით, ერთხელაც იქნება თავს შეგვაჭყლებავთ, აიკარით თქვენი ბარგი-ბარხანა და წადით ყორდანიასთან...

ჩვენ აღარ შეგვიძლიან ერთხელ კიდევ დავუშვათ ის, რაც მოხდა. ეს არ შეგვიძლია. და ამიტომ ყველამ უნდა იცოდეს, მუშამ, გლეხმა, ინტელიგენტმა, არაინტელიგენტმა, პარტიულმა და უპარტიომ, რომ ვისაც არ სურს ჩვენთან ადამიანურად მუშაობა, ჩვენთან ერთსულოვნად თანამშრომლობა, ეიკრას ბარგი და წაბრძანდეს. ამას ვეუბნებით ჩვენ მთელ ჩვენ ინტელიგენციას (პარახოდი მივსცეთ მათ). პარახოდსაც მივსცემთ და პურის ფულსაც მათ, სანამ ყორდანიაში მივიდოდეს.

...ყოვლად შეუძლებელი და დაუშვებელია, რომ ისეთი ინტელიგენტი, რომელიც ჩვენ გვყავს და, რომელსაც შეუძლია ბევრი გააკეთოს, მაგრამ ზიზლით გვიცქერს ჩვენ, შეუძლებელია დავუშვათ, რომ მომავალშიც ამის საშუალება მივსცეთ. მაგალითად გურიაში ბევრი მასწავლებლები აი რას ეუბნებიან გურულ ბავშვებს: ასი წლის წინათ... უთხრეს რუსებმა ქართველებს – შენ გექნება თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ენა, მაგრამ მერე ნელ-ნელა ყველაფერი ეს წაგვართვესო და გაგვხადეს უბრალო რუსეთის პროვინციაო. ასევე მოიქცევიან ბოლშევიკებიც. მასწავლებლები, რომლებიც ჩვენ სოფლებში გვყავს და, რომლის გულისთვისაც ჩვენ ტყავიდან ვძვრებით, რომ ორი კაპიკი ვიმოვოთ,

ეს არის ამხანაგებო, ის ცნობები, რომლითაც ევროპას აცნობებენ იმას რაც ხდება საქართველოში, ვინც იმ დღეებში იყო სოფლებში ვურია-სამეგრელოში ან თუგინდა აქ გარე კახეთში-ვახიანიში ის ამავი ცნობებს ვჭჭჭჭჭჭჭჭ ვაიგონებდა. ვაიგონებდა რომ მთელი ამიერკავკასია ხელშიაქვს მენშევიკებს ნოე ქორდანიას თბილისში არის და მხოლოდ აქ უნდა მოვიპოროთ ბოლშევიკები თავიდან და ამით ყველაფერი გათავდებაო და როგორც ვხედავთ ის რასაც აქ ლეპარაკობდნენ და რასაც სწერენ ამ შავრახმელ გაზეთებში ერთი და იგივეა. რა თქმა უნდა ამათში კავშირი არის. რა თქმა უნდა მენშევიკებს უნდაოთ მოეწყოს აჯანყება მთელ ამიერ-კავკასიაში, ჩრდილო-კავკასიაში. მე ვფიქრობ თქვენ გახსოვთ ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერილი ნოე ქორდანიისა, ყველა ეს ამერილი იყო მხოლოდ ის ამბობდა რომ აჯანყება უნდა მოეწყოს ჩრდილო

მართალია დაგვხვრიტეს ბათუმში 18 კაცი მაგრამ ესენი გლეხები კი არ იყვნენ და მუშები კი არ იყვნენ, არამედ ღენერალი ფურცელაძე და ვიღაც ეშმაკები. მეორე ცნობა: ეს გაზეთი გამოდის ბერლინში 12 სექტემბრის არის (კითხულობს რუსულად)

რომ მასწავლებლების მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. და ეს იმიტომ, რომ მან შეასწავლოს მონაფეს რა არის საბჭოთა ხელისუფლება და აი ეს მასწავლებელი ასეთ რამეებს აგონებს მონაფეებს, როგორ გნებავთ თქვენ, ასეთი მასწავლებელი დავტოვოთ სკოლაში? არ დავტოვებთ, რამდენიც უნდა იყვიროთ, არ დავტოვებთ. ჩვენ დავტოვებთ სკოლაში იმ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან ჩვენ შვილებს იმას, რაც ჩვენთვის საჭიროა. ეს უნდა გაიგოს ქართველმა ინტელიგენტმა. არ შეიძლება მუდამ გაბუტვა და ძახილი როგორ გაგვიბედავენ ჩვენ ამასო. რატომ ვერ გაგიბედავთ, მე გეტყვით დიდი წარსული გაქვთ, ნიკოლოზს ფეხებს ულოკავდნენ და როდესაც ჩვენ ნიკოლოზის წინააღმდეგ ვიბრძოდით, ის ვირი მამაძაღლები, უბრალო გლახა ლაქიები იყვნენ, კაკარტას მიიკრავდნენ შუბლზე და ისე დადიოდნენ. ვერ ნახავდით ისეთ საძაგელ ჩინოვნიკს, როგორიც ქართველი იყო რუსეთში. ლენინი ამბობდა, რომ თუ პატარა ერის წარმომადგენელი გარუსდა, იმაზე საძაგელი არა იქნება რაო. როდესაც ნიკოლოზის მთავრობა იყო ყველა ჯაშუში და აგენტი ნიკოლოზის მთავრობისა ქართველები იყვნენ. რამდენი თქვენ, მუშებს, ქართველი პრისტავის მათრახი

მოგხვედრიათ. ახლა კი გამოდიან და ამბობენ, რომ საქართველო რუსეთის კოლონია არისო. მე კი გეტყვით, თქვენ იყავით ყურმოჭრილი მონა ნიკოლოზისა, უბრალო ჩინოვნიკები, რომლებიც ულოკავდით მას ფეხებს და თქვენ მოწაფეებს გარდა „ბოჟე ცარია ხრანი“ – და „სპასი გოსპოდის“ მეტს არაფერს ასწავლიდით.

დღეს მუშათა კლასის ხელისუფლებისათვის საჭირო არის ნასწავლი კაცი და თითოეული ინტელიგენტი, რომელიც მოვა ჩვენ ბანაკში, დაგვეხმარება, ასწავლის გლეხს, მუშას ქართულ ანბანს – მისი მადლობელი ვიქნებით, რაც შეგვეძლება ჯამაგირი მიირთვას, საზოგადო ცხოვრებაშიც მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ ნურასუკაცრავად, თუ არ მივიღოთ ისეთი ინტელიგენტი, რომელიც ჩვენი წინააღმდეგი არის, გლეხის შვილებს ჩვენ წინააღმდეგოდ ასწავლის. რუსეთის ინტელიგენცია, ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოლშევიკებმა გადალახეს ეს დაბრკოლება და დღეს საბჭოთა რუსეთს თავისი ინტელიგენცია ყავს. გუშინ ჩვენ არ გვყავდა წითელი კამანდირები, დღეს გვყავს. ჩვენ გვაქვს რაბფაკები, სადაც იზრდება გლეხის შვილები, მუშები. გვეყოლება ჩვენ ჩვენი ინტელიგენცია. ჩვენ ეს გვინდა, მეტი არაფერი...“¹

1. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, საქმე 41.


აჯანყებულები სვანეთიდან

საქართველოს იძულებითი ოკუპაციის შემდეგ მალევე დაიწყო საპროტესტო გამოსვლები. თავისუფლებისთვის ბრძოლის დროშა პირველად სვანეთში აფრიალდა. სვანეთში მოქმედებდნენ პარტიზანული რაზმები. ამ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ ბიძინა პირველი, ნესტორ გარდაფხაძე, ეგნატე გაბლიანი, მოსესტრო დადემქელიანი.

საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ბიძინა პირველის სახელი და გვარი ცნობილია და ისიც, რომ საქართველოს თავისუფლების იდეას შეეწირა, მაგრამ მისი შემართება, მამულიშვილური თვითშეგნება და უანგარო ბრძოლა ქვეყნის კეთილდღეობისთვის, ალბათ, დიდმა ნაწილმა არ იცის. ის ფრაზებიც უცნობია, რომელიც ბიძინა პირველს ეკუთვნის და რომლებიც უნდა გადაეცეს მომავალ თაობებს, რათა იცოდნენ, თუ რა ღირებულებები ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, რისთვის იბრძოდნენ და რისთვის სწირავდნენ სიცოცხლეს: „მე ამ ბრძოლაში ჩემს სიცოცხლეზე არ ვფიქრობდი. მე ვფიქრობდი გამარჯვებაზე, რომელსაც ჩემი სიცოცხლე ვანაცვალე“; „მე ოთხი წლის განმავლობაში გებრძოდით თქვენ და არასოდეს არ მიფიქრია ჩემ პირად ცხოვრებაზე და არასოდეს არ უნახვიარ მტერს უკან მოხედილი“; „მე გეუბნებით მხოლოდ, მე მიყვარდა ჩემი ერი, ჩემი ქვეყანა, ის მუდამ მიყვარება“; „უკანასკნელ სალამს მივუძღვნი ჩემს ერს, პატარა კუთხეს, რომელსაც მე ვემსახურებოდი მთელი ჩემი ახალგაზრდობით“; „დიახ, მოსამართლენო, მე მზათ ვარ, ჩემი მოქმედებისათვის პასუხი ვაგო. აი ჩემი გული, ის სამ ტყვიას გააცივებს მაინც. აი ჩემი სხეული, გინდათ ჩამაგდეთ ბნელ სარდაფში, მანამეთ, ამკუნეთ, დამგლიჯეთ, თქვენ წინაშე ვარ გულწრფელი სურვილით, რომ ჩემი ერისათვის რაიმე მომეტანა. დღესაც მარტო ეს დამრჩენია ვთქვა, რომ მე ვემსახურებოდი ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას“, – სასამართლო პროცესზე წარმოთქმული ეს სიტყვები 22 წლის ბიძინა პირველს ეკუთვნის.

ბიძინა პირველი 1902 წელს ზემო სვანეთში, დაბა მესტიაში დაიბადა, დაამთავრა ქუთაისის პირველი გიმნაზია და საქართველოს ოკუპაციისთანავე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაერთო.

1921 წლიდანვე საქართველოს ყველა კუთხეში ეროვნული ძალების ჩამოყალიბებასა და კონსოლიდაციას ჰქონდა ადგილი. სვანეთში ამ პროცესების ხელმძღვანელობა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბიძინა პირველს, მოსესტრო დადემქელიანს, ნესტორ გარდაფხაძესა და ეგნატე გაბლიანს დაევაალათ. სვანეთში პირველი ამბოხი 1921 წლის ზაფხულში დაიწყო, როდესაც ადგილობრივებმა სვანეთში მყოფი ბოლშევიკები განაიარაღეს და განდევნეს. აჯანყებულები მთელი ექვსი თვის განმავლობაში აკავებდნენ და არ უშვებდნენ ქუთაისიდან დაძრულ საოკუპაციო ძალებს. მართალია, საბოლოო ჯამში, ეს წინააღმდეგობა ქართველთა დამარცხებით დასრულდა, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეროვნული მუხტის გაძლიერებისთვის. ამას მოჰყვა შემდგომ უკვე მზადება 1924 წლის აჯანყებისთვის. სვანეთიც, ისევე როგორც საქართველოს



ბიძინა პირველი

3/1

პირველი: იმის შესახებ არაფერია ნათქვამი...

მეორე: 22 წლის იტალიის მუშაკი?

პირველი: შენვე ხარ.

მეორე: პოლიტიკური რწმუნა?

პირველი: ჩემი ერის ღირსეულობა.

მეორე: პასუხისმგებლობა ყოფილხარ?

პირველი: არასოდეს.

მეორე: ლევი სვანთაში რადიო ცხოვრობდით.

პირველი: მე დავარაჯერე ქუთაისის პირველი კლასი, როცა როცა საქართველოს განთავსება. ვისაზრდებოდა ხანებშიც ვაგვეჩვენებ სვანთაში იმ შობილელის ოჯახში და საქართველო ძალით იქნა დაპყრობილი. ვგრძობ, რომ რატომ ძალით წინააღმდეგ ვერ შევძელით, რომლის ხელში იყო საქართველო ახარები, რომელიც წინააღმდეგდით, არიოთ იქ ჩასვლისთანავე ვახერხებ ჩემი კლასისთვის მოგვანა სარეგულბა დასრულებს ვინაშე, მე ვანუხად ჩემი სურვილი რომ ვაჩინო ჩემი რწმუნა ჩემი რწმუნა კლასურულ რწმუნა იყო იმ დროს ლევიან დაამტკიცა...

მეორე: თუკარს დაამტკიცა იმ გეგმისგან რისთვის გეგმისგან - აქამდე მისი რწმუნა რისთვის ანუკობლით არ აქამდე მისი.

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 46

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР от 24 ноября 1937 г.

Присутствующие: [Имена]

Секретари: [Имена]

Слушали: [Текст протокола]

Постановили: [Решение]

Секретари: [Подписи]

ყველა კუთხე, ჩართული უნდა ყოფილიყო მასობრივ ამბოხებაში. 1924 წელს ბიძინა პირველი დამოუკიდებელი კომიტეტის წევრებს შეხვდა, მათ შორის, იასონ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე ანდრონიკაშვილს. გადაწყდა, რომ 1924 წლის აჯანყებას სვანეთსა და ლეჩხუმში ბიძინა პირველი უხელმძღვანელებდა. მას ერთადერთი მოთხოვნა ჰქონდა, აჯანყებაში მთელი საქართველო უნდა ყოფილიყო ჩართული და ამბოხებაც ყველა კუთხეში ერთ დღეს დაწყებულიყო, რაზეც ხელმძღვანელებისგან დასტური მიიღო.

სვანეთში ბიძინა პირველმა, ეგნატე გაბლიანთან ერთად, ცხენით შემოიარა მულახის, მესტიის, ბეროს, ლატალის, ცხუმარის და ეცერის თემები და ხალხს მოუწოდა, რომ 28 აგვისტოს, შუალამით, იარაღით ხელში გამოცხადებულიყვნენ ბალის მთაზე. ამბოხებულებმა მალევე შეძლეს მთელი ზემო სვანეთის დაკავება და მომდევნო დღეებში ქვემო სვანეთში გადავიდნენ, სადაც ნინალმდეგობის მოძრაობა შედარებით სუსტი იყო. პირველი მზად იყო, ცაგერზე მიეტანა იერიში, მაგრამ მალევე ცხადი გახდა აჯანყების კრახით დასრულება დანარჩენ საქართველოში და შესაბამისად, ბრძოლის გაგრძელების უშედეგობა. 1924 წლის პირველ ოქტომბერს ბიძინა პირველი დანებდა საბჭოთა ხელისუფლებას და აღიარა ყველა „დანაშაული“. მიუხედავად ამისა, პარიტეტული კომიტეტის დანარჩენ წევრებთან ერთად, ის მაინც დააპატიმრეს. თუ როგორ მზადდებოდა აჯანყება სვანეთში, ამის შესახებ ბიძინა პირველი დეტალურად ჰყვება სასამართლო პროცესზე. მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ ბიძინა პირველის ჩვენების სტენოგრაფიულ ჩანაწერს (დოკუმენტის სტილი დაცულია):

„რამდენი წლისა ხართ?
პირველი: 22 წლის.

თავმჯდომარე: თქვენი სოციალური მდგომარეობა?

პირველი: გლეხი ვარ.

თავმჯდომარე: ქონება გაქვთ რამე?

პირველი: არავითარი.

თავმჯდომარე: ოჯახური მდგომარეობა?

პირველი: უცოლო.

თავმჯდომარე: რა ხელობა გაქვთ?

პირველი: ინტელიგენტი, საშუალო განათლების.

თავმჯდომარე: რომელ პარტიას ეკუთვნოდით და რა დრომდე?

პირველი: საქართველოს დემოკრატიულ პარტიას 22 წლის ოქტომბრამდე. იმის შემდეგ არავითარ მუშაობას მე არ ვეწეოდი.

თავმჯდომარე: 22 წლის ოქტომბრის შემდეგ?

პირველი: შემდეგ არა.

თავმჯდომარე: პოლიტიკური რწმენა?

პირველი: ჩემი ერის თავისუფლება.

თავმჯდომარე: პასუხისმგებლობაში ყოფილხართ?

პირველი: არასოდეს.

თავმჯდომარე: თქვენ სვანეთში მუდამ ცხოვრობდით, თუ ხანდახან?

პირველი: მე დავამთავრე ქუთაისის პირველი გიმნაზია 21 წელში, როდესაც მოხდა საქართველოს გასაბჭოება. გასაბჭოების პირველ ხანებშივე გავემგზავრე სვანეთში იმ შთაბეჭდილებით, რომ მოხდა ოკუპაცია და საქართველო ძალით იქნა დაპყრობილი. მაგრამ მე ვიგრძენი, რომ რაკი ამ ძალის წინაშე ვერ შეძლო გამაგრება მთავრობამ, რომლის ხელში იყო სახელმწიფო აპარატი, მაშინ ჩვენ რა ძალას წარმოვადგენდით, ამიტომ იქ ჩასვლისთანავე მიზნად დავისახე, რომ ჩემი კუთხისთვის მომეტანა სარგებლობა კულტურულ და ეკონომიკურ ფრონტზე. მე განვუცხადე ჩემი სურვილი მაშინდელ რეჟიმს და მან მიმიწვია ჩავბმულიყავი კულტურულ მუშაობაში. ასეთი იყო იმ დროს თეატრის დარსება...

თავმჯდომარე: თეატრის დაარსებაზე არ გეკითხებით, სასამართლო გეკითხებათ აჯანყებაში რა მონაწილეობა მიიღეთ, როგორ აწყობდით ამ აჯანყებას?

პირველი: ამ ნაირათ მე მოგახსენებთ, ვიყავი სვანეთში 21 წლიდან, მე მინდა მოგცეთ ის სურათი, რომელმაც გამოიწვია სვანეთის ხალხის მიერ ნაბიჯების გადადგმა აჯანყებისაკენ. იქ იყო გამოგზავნილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლად სვანები. ცენტრიდან რწმუნებულ იყვნენ: სომეხი ვარნაზოვი და ერთი ურია, რომლებიც...

თავმჯდომარე: თქვენ გექნებათ შემდეგ საშუალება და უფლება ფართოთ დაახასიათოთ თქვენი თავი და სვანეთის მდგომარეობა. ამ ჟამად სასამართლოს აინტერესებს ფაქტიური მხარე ამ საქმის. ამიტომ გეკითხებით, თუ რანაირათ ეწყობოდა შეიარაღებული აჯანყება, რანაირი იყო თქვენი დამოკიდებულება ამ აჯანყებისადმი. ამავე დროს ვიმეორებ კიდევ, რომ თქვენ გექნებათ უფლება ვრცლად ილაპარაკოთ შემდეგ.

პირველი: შეიარაღებული აჯანყება ციდან არ ჩამოვარდნილა. მე მინდა დავასურათო თუ რა პირობებმა გამოიწვია ეს აჯანყება.

თავმჯდომარე: მე კიდევ გიმეორებთ, რომ თქვენი დაკითხვაც იმ წესით

უნდა ჩატარდეს, როგორც სხვების. გამონაკლისი არ უნდა იქნეს დაშვებული, ამიტომ გეკითხებით: საიდან გაიგეთ თქვენ რომ აჯანყება ეწყობა?

პირველი: რომელ წელში?

თავმჯდომარე: აი უკანასკნელი აჯანყების შესახებ.

პირველი: 1924 წ. ზაფხულში მე ჩამოვედი ტფილისში. აქ ვნახე პარიტიტული კომიტეტის წევრი, რომელმაც გადმომცა რომ საქართველოში მზადდება საერთო აჯანყება. მე მაშინვე განვაცხადე, რომ თუ ეს იქნება საერთო აჯანყება, მთელი ერის სურვილია, მთელი საქართველო იქნება, მათ მომცეს დასტური – ჩვენ მხოლოდ ჩვენ ძალებს ვეყრდნობით და იმედი გვაქვს მხოლოდ ქართველი ხალხის და ქართველი ხალხი მთლიანად მიიღებს მონაწილეობას გამოსვლაში. შემდეგ მე შევეკითხე, როგორ უყურებს ჩვენ საკითხს ევროპა. მათ მითხრეს, რომ ევროპაში დიდი თანაგრძნობა გვაქვს, დიდ მუშაობას აწარმოებენ ჩვენები მეორე ინტერნაციონალში და საერთო მუშათა წრეებში. აგრეთვე მითხრეს, რომ თუ ჩვენ შევსძლებთ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, მაშინ ევროპა გვპირდება პირველ ხანებში დიპლომატიურ დახმარებას და შემდეგ ყოველგვარ დახმარებას, რომ ჩვენი ერი გავანთავისუფლოდ. აი ასეთი ცნობები და დირექტივები მივიღე. მე დავეთანხმე გამოსვლებში მიმელო მონაწილეობა და ამის შემდეგ წავედი ზემო-სვანეთში. გადავეცი ეს ამბავი ადგილობრივ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობდნენ, ზოგმა უარი სთქვა, ზოგმა უარყოფითად შეხედა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ გამოვედი. როგორ გავატარეთ მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად წინდაწინ, ამის შესახებ მოგახსენებთ, რომ არავითარი მუშაობა ჩვენ არ გეჭიროდა, ხალხი სტიქიურად ისე იყო განწყობილი, რომ წინასწარი მუშაობა ზედმეტი იყო. ამისთვის, როდესაც მივიღეთ უკანასკნელი ამბები, რომ საქართველოში დანიშნული 28-29 აგვისტოს საერთო გამოსვლები – ჩვენ გამოვედით, ეს წერილი მე მივიღე ბეჩოდან. ამის შემდეგ მე წავედი ბეჩოსკენ და მთაზე დამხვდა ბრალდებული გაბლიანი, ჩავედი ბეჩოში, გავეცანი საბუთებს, რომელიც იყო მოსული ტფილისიდან და მეორე დღესვე, დილით უკვე ავიღეთ სვანეთის აღმასკომი, ადმინისტრაცია და სხვა დაწესებულებები. აქ ჩვენ რამოდენიმე ხანი შევეყვით ადგილობრივი საქმეების მონესრიგებას. შევქმენით ერთგვარი აპარატი, რომ არ ქონოდა ადგილი რაიმე ექსცესებს, შევქმენით ისეთი წესი, რასაც მოითხოვს ლეგალური, შევქმენით შტაბი ერთგვარი. არჩვენები თითონ ხალხმა მოახდინა. მე დამნიშნეს გამოსვლების ხელმძღვანელად.

3 სექტემბერს დაახლოვებით გადავედით ქვემო-სვანეთში. იქაც ასეთი სურათი დაგვხვდა. ხალხი იქაც ისე სტიქიურად იყო განწყობილი. იქაც მოხდა სწრაფი ლიკვიდაცია ადმინისტრაციის, ხელისუფლების. ჩვენ წავინიეთ წინ, მე თითონ მივდიოდი წინ, ჩემთან ცოტა ძალა იყო, სულ 50 კაცი, დანარჩენი გავამგზავრეთ... წინ შეხვდნენ კომუნარები, ჩასაფრებულები დახვდნენ, მაგრამ ვერ გაუძლეს ჩვენს მაგარ იერიშს, გაიქცნენ და რამოდენიმე კაცი ტყვედ ჩავიგდეთ. ისინი გაიქცნენ ცაგერის მიმართულებით და ჩვენ დავედევნეთ გზათ და თანდათან ვხვდებოდით ზოგს გამოქცეულს, ზოგ გზა-აბნეულს, არავითარი ზომები მათ წინააღმდეგ არ ყოფილა მიღებული. ჩვენ ჩავედით ცაგერში, მაგრამ აქ ჩვენ გავიგეთ, რომ გადატრიალება არ არის, ჩაქრობილი იქმნა აჯანყება.

ჩვენ შემოვარტყით ალყა ცაგერს, დავიკავეთ სტრატეგიული ადგილები იმ

მოსაზრებით, რომ თუ შემთხვევა მოითხოვდა წაგვეწია ქუთაისისკენ. აქ ერთი ხანი დავყავით, გვექონდა შეტაკება რუსის ჯართან და როცა გავიგეთ, რომ არსაიდან გამოსავალი აღარ არის და აჯანყება ჩაქრა სვანეთში დავბრუნდით უკან, იმ მოსაზრებით რომ ჩვენ ვიცოდით ქვემო სვანეთი გამაგრებული გვექონდა, მაგრამ მეორე ნაწილი სვანეთისა არა გვექონდა გამაგრებული და იქიდან თუ ჯარი შემოგვესეოდა ჩავრჩებოდით ტყვეთ. ამ დროს მოხდა შეტაკება რუსის ჯარებთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი სასტიკი იერიშით მიდიოდნენ, მაგრამ ვერაფერს გვაკლებდნენ. რუსის ჯარის ნაწილები გვივარდებოდა ხელში, ჩვენ იმათ განვადიარალებდით და თუ რომელიმე მათგანს ექიმობა ან სხვა რამე სჭირდებოდა გვექონდა საამისოდ მშვენივრად მოწყობილი საექიმო პუნქტები და ვშველოდით. ამ დროს ზემო სვანეთიდანაც ჩამოვიდა ასორმოცდაათი კაცი. გამოვიდნენ ჩვენთან სამეგრელოდან კალანდარიშვილი და ლაშქარი და გვითხრეს, რომ სამეგრელოში აჯანყება ჩაქრაო. ამავე დროს მივიღე გაზეთები, რომ საქართველოში აჯანყება ჩაქრაო. ნავიკითხეთ დეკლარაციაც, საქართველოს პარიტეტულ კომიტეტის მიერ ხელმოწერილი და რაკი დავინახეთ, რომ საბაბი აღარ ჰქონდა ჩვენ მოქმედებას, ავინიეთ ზემო სვანეთში და იმ გზას დავადექით, რომ საჭიროა მოქმედება ახლა საკუთარი ქურქის შესანახადო და ასეთი წერილები დავუგზავნეთ ყველა აქტიურ მონაწილეს, რომ რუსის ჯარს აღარავითარი წინააღმდეგობა აღარ გაუწიოთო. ჩვენ იარაღი ჩავაბარეთ, რაზმი დავშალეთ და მე ტყეში გავედი. სანამ ეს მოწერილობა მოუვიდოდათ ჩვენ აქტიურ მუშაკებს რუსის ჯარს შემოსვლა დაენყო. ხალხი სტიქიურად შეტაკებოდა მათ და 9 კაცი მოეკლათ, მაგრამ ჩემი წერილი მისვლოდათ და გადაეცათ იარაღი. ამის შემდეგ იწყება მოლაპარაკება ჩემსა და მთავრობის შუა. იქ გამოვგზავნე ერთი რწმუნებული საგანგებო კომისიისა, იმან მნახა მე და რაკი აჯანყება ასე დამთავრდა, რა კი ამაში ეს ჩემი აზრი გამტყუნდა, ახალ გზას დავადექი, შეუძლებელია ამ გზით სიარული. მე დავრწმუნდი, რომ ის ბრძოლა, რომელსაც მე მთელი ენერჯით, მთელი სიცოცხლით ვქმნიდი ოთხი წლის განმავლობაში, დავრწმუნდი, რომ ის არ არის სწორი და ვგრძნობდი, თუ განვაგრძებთ, მეტ ზიანს მოვუტანდით ქვეყანას. ამიტომ ავირჩიე თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერის კულტურულ და ეკონომიკურ აღმშენებლობისთვის. მე დავთანხმდი ამაზე და როცა მოვიდა საგანგებო კომისიის რწმუნებული მასთან გამოვცხადდი. მან განმიცხადა: თუ გულწრფელად აღიარებთ ყველაფერს, მთავრობა გაპატიებსო, გამოცხადდით მთავრობაშიო. მე ვსთქვი, რომ ეს არის ჩემი გზა და გეუბნებით, რომ ამიერიდან თქვენს წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს ვიღებ, მოვდივარ თქვენთან. ამ დროს იყო ნაწილი ჯგუფების, რომელიც ცუდს მოელოდნენ კერძო ინტერესების გამო რევკომის თავმჯდომარისგან და პასუხისმგებელ პირებისაგან, და ამიტომ ისინი იყვნენ გასული ტყეში და როდესაც მე მომიხდა ჩამოვლა, ჩამოვიყვანე ტყეში გასულები, მათ იარაღი ჩააბარეს მთავრობას, მთავრობასთან შევარიგე ისინი. მთავრობამ აპატია მათ. მე კი საგანგებო რწმუნებულთან წამოვედი თბილისში. იმის შემდეგ მე ვთანამშრომლობ საბჭოთა მთავრობასთან და დღეს საბრალდებო სკამზე ვზივარ.

თავმჯდომარე: თქვენ იყავით სვანეთისა და ლეჩხუმის სარდალი, ვინ დაგნიშნათ?

პირველი: ხალხმა ამირჩია.

თავმჯდომარე: სად, რანაირ პირობებში?

პირველი: როდესაც მოხდა აჯანყება სვანეთში, სვანეთის ხალხმა აირჩია ხელმძღვანელად ის, ვისაც ენდობოდა.

თავმჯდომარე: სვანეთის და ლეჩხუმის ხალხმა?

პირველი: სვანეთში როდესაც აჯანყება მოხდა, მოიყარა თავი ხალხმა, მეც იქ ვიყავი და ხალხმა ამირჩია ხელმძღვანელათ.

თავმჯდომარე: როდის გაიგეთ თქვენ პარიტეტული კომიტეტის დაარსება?

პირველი: მე 24 წლის ივნისამდე არ გამიგია.

თავმჯდომარე: როდის ჩამოხვედით თქვენ თბილისში?

პირველი: 24 წელში.

თავმჯდომარე: რა თვეში?

პირველი: ივლისში.

თავმჯდომარე: მაშინ გაიგეთ პირველათ პარიტეტული კომიტეტის არსებობა?

პირველი: დიახ.

თავმჯდომარე: ვინ გითხრათ?

პირველი: ჩემთან მოვიდა სტუდენტი პატარიძე, რომელთან ერთადაც მე ვმუშაობდი 17 წელში ქუთაისში. მან იცოდა, რომ მე ვიყავი ხელმძღვანელი სვანეთის გამოსვლების, იცოდა, რომ არავითარ ჯაშუშობას არ ჩავიდენდი, მენდობოდა და მითხრა: ასეთი მდგომარეობაა დღეს და შენი ნახვა უნდა ცეკას წევრს და უნდა ნახოვო. მე ვინახულე იასონ ჯავახიშვილი.

თავმჯდომარე: იცოდით, რომ იასონ ჯავახიშვილი იყო პარიტეტულ კომიტეტის წევრი?

პირველი: ვიცნობდი როგორც ცეკას წევრს.

თავმჯდომარე: პარიტეტული კომიტეტის წევრს როდის შეხვედით?

პირველი: იმ დღეებშივე.

თავმჯდომარე: ვის და რანაირად ხვდებოდით?

პირველი: პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე ანდრონიკაშვილს.

თავმჯდომარე: კიდევ?

პირველი: მეტს არავის.

თავმჯდომარე: თქვენ იცოდით, რომ ის პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე იყო?

პირველი: დიახ, მე გადმომცეს, რომ არსებობს პარიტეტული კომიტეტი და მიგიყვანთ მის თავმჯდომარესთან.

თავმჯდომარე: რა დავალებით ნახვედით?

პირველი: მე მათ განვუცხადე წინასწარ თუ კი გამოსვლები იქნება მთლიანი...

თავმჯდომარე: ბრალდებულთ, სასამართლო გეკითხებათ, კონკრეტულად, რა დაგავალათ პარიტეტულმა კომიტეტმა ანდრონიკაშვილის სახით?

პირველი: მე მან დამავალა: თუ კი საქართველოში დაიწყება აჯანყება, ამას წინასწარ გაცნობებ და შეეცადე სვანეთს გაუწიო ერთგვარი ხელმძღვანელობა და ორგანიზაციულად ჩამოაყალიბო მათი მოძრაობა.

თავმჯდომარე: სად უნდა მომხდარიყო აჯანყება, მარტო საქართველოში თუ სად.

პირველი: მთლიანად მთელ საქართველოში.

თავმჯდომარე: კიდეც?

პირველი: მეტი არა.

თავმჯდომარე: თქვენ უჩვენეთ წინად: პარიტეტულ კომიტეტის წევრმა გადმომცა, რომ მოკლე ხანში მოხდება აჯანყება საქართველოში, დალესტანში, აზერბაიჯანში და სომხეთში.

პირველი: მაგის შესახებ მოგახსენებთ: როდესაც მე დამკითხეს, მე ვუპასუხე, რომ აჯანყება უნდა მომხდარიყო მთელი საქართველოს მასშტაბით, როდესაც გამომძიებელმა შემეკითხა, გითხრათ თუ არა თქვენ მან, გამოსვლაში მონაწილეობას მიიღებს დალესტანი, აზერბაიჯანი და სომხეთი, მე ვუთხარი, ჩემთვის არაფერი არ უთქვამს და შეიძლება ეს იყო ასე.

თავმჯდომარე: თქვენ სასამართლომ შეგეკითხათ, ვინ დაგნიშნათ სარდლად, თქვენ უპასუხეთ, რომ თვით ხალხმა აგირჩიათ, ჩვენებაში კი გაქვთ ნათქვამი, რომ „პარიტეტულმა კომიტეტმა“ წინადადება მომცა მიმელო ხელმძღვანელობა სვანეთში და ლეჩხუმში.

პირველი: საზოგადოდ მე მოგახსენებთ, რომ ვიყავი გამოსვლების ხელმძღვანელი, მე აქედან ეს დავალება მქონდა. მაგრამ მე ამით არ დავკმაყოფილდებოდი, რომ ნდობა ხალხის არ ყოფილიყო. მე ეს საკითხი დავსვი ბეჩოში, როდესაც ხალხმა შეიყარა თავი. მე ვუთხარი მათ: ამოირჩიეთ ხელმძღვანელი და მათ ამირჩიეს მე.

თავმჯდომარე: მე გეკითხებით თქვენ, ვინ დაგნიშნათ პირველად სვანეთისა და ლეჩხუმის სარდლად. პარიტეტულმა კომიტეტმა აქედანვე გითხრათ თქვენ, რომ იქნებით სვანეთის და ლეჩხუმის ხელმძღვანელი.

პირველი: პარიტეტულმა კომიტეტმა მითხრა: შენ წადი სვანეთში, მე გაცნობებთ აჯანყების დროს და მაშინ გაუნვეთ ხელმძღვანელობას სვანეთში გამოსვლებს. ეს ასე იყო, მე ამას არ ვუარყოფ.

თავმჯდომარე: თქვენ ადასტურებთ, რომ პარიტეტულმა კომიტეტმა წინასწარ დაგავალათ მიგელოთ სვანეთში და ლეჩხუმში რაზმების სარდლობა.

პირველი: დიახ, სვანეთის.

თავმჯდომარე: ვინ აწარმოებდა სვანეთში აღრიცხვას?

პირველი: არ ყოფილა აღრიცხვა.

თავმჯდომარე: თქვენ სარდალი იყავით და არ იცოდით, რა ძალა გყავდათ?

პირველი: მე ვიცოდი, რომ მთელი სვანეთის ხალხი...

თავმჯდომარე: მე გეკითხებით შეიარაღებულ ძალაზე და არა მცხოვრებლებზე. რამდენი შეიარაღებული ძალის იმედი გქონდათ.

პირველი: 600 კაცის.

თავმჯდომარე: არავითარი წინასწარი აღრიცხვა არ ყოფილა?

პირველი: მე ვიყავი იქ 1921 წ. როდესაც გამოსვლები მოხდა, მერმედ თითონ მთავრობასთან ვმუშაობდი, მე ვიცნობ მთელი სვანეთის ვაჟკაცებს, ვიცნობდი თუ რას წარმოადგენდა თითოეული მათგანი, ვთვლიდი თუ რა იქნებოდა მათგან.

თავმჯდომარე: მაშასადამე, თქვენი ანგარიშით უნდა გამოსულიყო 600 კაცი, რამდენი გამოვიდა?

პირველი: თითქმის არაფერი დაჰკლებია.

თავმჯდომარე: თქვენ თუ იცით, ვინ მოიტანა ბეჩოში წერილი ტფილისიდან?

პირველი: ეს მოიტანა ერთმა სვანმა, არ ვიცი ჩარლიანმა თუ ფირცლიანმა.

თავმჯდომარე: თქვენ ნაიკითხეთ ეს წერილი.

პირველი: ნავიკითხე.

თავმჯდომარე: რა ეწერა შიგ?

პირველი: ის, რომ საქართველოში ხდება გამოსვლები, მთლიანი საქართველოს მასშტაბით, აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ დახმარებას გაგვინევს ევროპაო.

თავმჯდომარე: მაშასადამე, იყო, რომ ამ დღისთვის არის გამოსვლები დანიშნული და დაგვეხმარება ევროპაო. ვისი ხელმოწერილი იყო ეს წერილი?

პირველი: პარიტეტული კომიტეტის.

თავმჯდომარე: ხელს ვინ აწერდა?

პირველი: ფსევდონიმები იყო მიწერილი და მე მგონი, პარიტეტულ კომიტეტს ეკუთვნოდა.

ღვამიჩავა: თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ მოგიხდათ შეხვედრა კალანდარიშვილთან – შალვა და აკაკისთან. ესენი, ორივე ძმები შეირალებული იყვნენ, თუ არა?

პირველი: არა, იარალი არ ჰქონდათ.

ღვამიჩავა: ესენი შეირალებულ რაზმელებთან მოვიდნენ, თუ ცალკე?

პირველი: ცალკე და უიარალოდ.

ღვამიჩავა: მეორე ჯგუფს კი იარალი ჰქონდა?

პირველი: მეორე ჯგუფს კი.

ღვამიჩავა: ესენი ბრძოლის მომხრეები იყვნენ, თუ პირიქით?

პირველი: ისინი ამბობდნენ, სამეგრელოში გამოსვლები ჩამქრალია და ახლა ბრძოლა აღარ ღირსო.

ღვამიჩავა: ისინი მომხრე იყვნენ შერიგებისა?

პირველი: რასაკვირველია.

დადიანი: თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ ტფილისში თქვენი წინადადება გადაეცით ამხანაგებს, რომ დავალება გაქვთ აჯანყებაზე და ზოგი მათგანი წინააღმდეგი იყოო.

პირველი: მე ეს აზრი გავუზიარე გაბლიანსაც და ისიც არ მოემხრო. გვითხრა, რომ გადატრიალება არ მოხდება. ეს მხოლოდ უბრალო მსხვერპლს მოითხოვსო.

დადიანი: ვინ გითხრათ ეს – ეგნატე გაბლიანმა?

პირველი: დიახ.

დადიანი: იყო თუ არა სვანეთში წინადაც შესაძლებლობა, რომ ხალხი გამოსვლას აპირებდა და გაბლიანი იყო ამის წინააღმდეგი.

პირველი: დიახ, იყო. ჩვენ მუდამ გვიხდებოდა იმ მხრივ მუშაობა, რომ ხალხი შეგვეჩერებია. ამას აქაური აღმასკომის თავმჯდომარე დაამტკიცებს, რომ ჩვენ მუშაობა გვიხდებოდა, რომ ხალხს რამე სეპარატიული გამოსვლები არ ეწარმოებიათ.

დადიანი: რად უნდა გამოსულიყო ხალხი, პროპაგანდას ეწეოდნენ, თუ რა მიზეზი იყო?

პირველი: საზოგადო მდგომარეობა ასეთი იყო. გეცოდინებათ, რომ სვანები არასდროს არ დაივიწყებენ, თუ ვინმემ მას შეურაცხყოფა მიაყენა.

1876 წ. რუსის ჯარმა გაანადგურა სვანეთი და ერთ სოფელში წითელი მიწის მეტი არაფერი დასტოვა. სვანეთში დარჩენილი იყო შურისძიების ინსტიქტი იმ ნაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასე დაიმსახურა მხეცური ნაბიჯებით. ამის გამო რუსეთისადმი სიმპატია არ იყო სვანეთში. როდესაც საქართველოს ოკუპაცია მოხდა, ჩვენ ვხედავთ სვანეთში სურვილს, 21 წელში ცდა იყო, რომ რუსის ჯარი, როდესაც სვანები ვერ ეთვისებოდნენ, არ შემოსულიყო იქ. ამნაირათ მთავარი იყო რუსის ჯარის სიძულვილი ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ის გარემოება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი აწარმოებდნენ რუსოფილურ პოლიტიკას. შემოიღეს წარმოება რუსულ ენაზე, სვანებში ეწეოდნენ აგიტაციას, რომ ჩვენ ქართველები არა ვართ და ჩრდილო კავკასიის საშუალებით უნდა დავიკავოთ კავშირი რუსეთთან.

დადიანი (დამცველი): ლაფანის მთაზე სანამ დაიწყებოდა აქტიური შეტევა, გაბლიანმა გააფრთხილა თუ არა ხალხი?

პირველი: საზოგადოდ ჩვენ ასეთი პოლიტიკის ვიყავით რომ რომელიმე პირი მთელი თავისი ნებითა და სურვილით არ გამოყვებოდა, ჩვენს წრეში არ ჩაებმოდა. ეგნატე გაბლიანმა უთხრა: იცოდეთ ამ ჩვენს ცდას შეიძლება მოყვეს დამარცხება, შემდეგ განადგურებაც და ამიტომ ვისაც არა გაქვთ სურვილი, არ გამოხვიდეთო. მეც ვუთხარი ეს, მაგრამ ხალხმა გვითხრა: ჩვენ ეს ვიცით, ამას ვზომავთო.

დადიანი: წერილის შესახებ, რომელიც გაბლიანმა გამოგიგზავნათ, რა გახსოვთ?

პირველი: ეს ის წერილია, რომელშიაც გაბლიანი სწერდა, ცნობა არის და საჩქაროთ ჩამოდიო. მე ჩავედი ბეჩოში, ტყეში ვინახულე გაბლიანი და გავეცანი ცნობას.

დადიანი: ის წერილი ვინ გადმოგცათ თქვენ, გაბლიანმა გადმოგცათ?

პირველი: არა, ხეგლიანმა გადმომცა ეს წერილი.

დადიანი: თუ იცით, რატომ არის აქ ნათქვამი, რომ 25 აგვისტოს გაბლიანმა გაუგზავნა პირველს წერილი, ეს შეცდომაა?

პირველი: დიახ, ეს შეცდომაა...

ჯავახიშვილი: რამდენჯერ მოხდა სვანეთში აჯანყება?

თავმჯდომარე: ჩვენ ვარჩევთ ამ აჯანყებას.

ჯავახიშვილი: მე მხოლოდ მინდა გამოვარკვიო, რომ ჩვენ იქ არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობდით.

ლვამიჩავა: თქვენ იცით თუ არა, რომ 1924 წ. ხდებოდა ლიკვიდაცია ეროვნული დემოკრატიული პარტიის.

პირველი: დიახ, ვიცი.

ლვამიჩავა: ეთანხმებით თქვენ თუ არა იმ დეკლარაციას, რომელიც ახალგაზრდებმა გამოაქვეყნეს.

პირველი: დიახ, ამას ადასტურებს ის მდგომარეობა, რომ მე თვითონ გამოვცხადდი,

თორემ მე შემეძლო ტყეში წავსულიყავი და ძვირად დავუჯენდი თავს მტერს“.¹ სასამართლო პროცესზე ბიძინა პირველს საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მისცეს, რომელიც ასევე დაცულია შსს არქივში და რომელსაც ასევე უცვლელად გადავაზობთ ყოველგვარი კომენტარის გარეშე:

„პატივცემულო მოსამართლენო, აქ ბრალდებულმა სრულიად დამშვიდებით გადასწყვიტა ჩემი ბედის საკითხი და მოითხოვა განაჩენი უმაღლესი სასჯელი. ეს გარემოება მე მამძიმებს იმ მხრივ, რომ შეიძლება ის, რაც მე აქ უნდა ვთქვა თქვენ მიიღებთ იმათ, რომ თითქოს მე მეშინოდეს ან მე რაიმე შიშს მგვრიდეს და ამით იყოს გამოწვეული. სრულებით არა. მე მხოლოდ მინდა სასამართლოს მოვახსენო ის, რაც ჩავიდინე. დიახ, მე ამ 4 წლის განმავლობაში გებრძოდით თქვენ და მეკუთვნის უმაღლესი სასჯელი. დიახ, მართალია 4 წლის განმავლობაში ვებრძოდი იმ მთავრობას, რომლის იდეური პოლიტიკური მოწინააღმდეგე ვიყავი. მე ამ 4 წლის განმავლობაში მთელი ჩემის არსებით იმ გზაზე ვიდექი. მე ამ ბრძოლაში ჩემს სიცოცხლეზე არ ვფიქრობდი. მე ვფიქრობდი გამარჯვებაზე, რომელსაც ჩემი სიცოცხლე ვანაცვალე. არ იყო აქ პირადი მომენტი. აქ არ იყო რაიმე სხვა პირადი ანგარიში. აქ იყო სულ სხვა. ეს იყო ის, რომ მე ჩემი ერი მიყვარდა და ვგრძნობდი, რომ 21 წელი იყო სახიფათო ამ ერისათვის. ჩამოსული ჯარი იყო საოკუპაციო ჯარი და მე ამ შთაბეჭდილებით წავედი აქედან. მე არ მინდა მოვახსენოთ იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც შექმნილი იყო იქ, მე ოთხი წლის განმავლობაში გებრძოდით თქვენ და არასოდეს არ მიფიქრია ჩემ პირად ცხოვრებაზე და არასოდეს არ უნახივარ მე მტერს უკან მოხედილი, მაგრამ უნდა აღვნიშნო ისიც, რომ კარგად ვიცოდი, რომ დამარცხებულებს არ სჯიან, ვინაიდან მე ძვალში და რბილში მქონდა გამჯდარი, რომ დამარცხებულს არ სჭირია დამცირება. მე ჩემის ხელით ვუხვევდი ჭრილობებს იმ დაჭრილებს, რომელთაც ბრძოლის ველზე ვნახულობდი და რომელნიც შეიძლება ჩემის ხელით იყვნენ დაჭრილნი. მაგრამ რაც იყო, იყოს. რაც მოხდა მოხდა. მე ამის შეფასებას არ შევუდგები, მე არ შევუდგები იმ პირობების შეფასებას, რომელმაც ამ გზამდე მიმიყვანა. აი დღეს, რაკი ასე დასვით საკითხი, მე უარს ვამბობ. მე მხოლოდ ვიტყვი, რომ ის პირობები, რომელიც საერთოდ შეიქმნა საქართველოში და რომელმაც მე განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩამაყენა, თავის-თავად მამართლებენ სრულიად. მე მივიღე მონაწილეობა 21 წლის მიწურულში სვანეთის აჯანყებაში, მაგრამ ეს არ იყო ხელმძღვანელობა ჩემ მხრივ. მე როგორც ერთ-ერთი სვანი შვილი იმ კუთხისა, ვიდექი იმ გზაზე, საიდანაც უნდა მოსულიყო უცხო ძალა და მე უნდა დამეცვა ჩემი პატარა კუთხის უფლება. ამის შემდეგ 24 წელში ისევ მომიხდა ამ როლის შესრულება, მაგრამ 24 წელში მომხდარმა ამბებმა, როგორც მოვახსენეთ, სასტიკი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

მე ვიგრძენი რომ ამ გზით სიარული არ შეიძლებოდა და თუ ამ გზას გავაგრძელებდი მე არა თუ ბედნიერებას, პირიქით უბედურებას მოვუტანდი ჩემს კუთხეს. ეს აზრი გულწრფელი იყო და გადაწყვიტე გამოვცხადებულიყავი მთავრობის წარმომადგენელთან, ჯერ ლიკვიდაცია მომეხდინა იმ ნაწილების, რომელიც გაჭრილი იყვნენ ტყეში და მერე წამოვსულიყავი ტფილისში

1. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღნ. 2, ს. 377, ტ. 3, ფურც. 19-40.

მთავრობასთან, რომელიც შემპირდა სიცოცხლეს. მე შევასრულე ჩემი გულ-
წრფელი სიტყვა და ნაბიჯი, რომელიც აუცილებელი იყო სვანეთისთვის მოვას-
დინე, მერე წამოვედი ტფილისში. ჩემსში ასეთი შთაბეჭდილება იყო: შენ რომ
ჩახვალ ტფილისში მოგკიდებენ ხელს და დაპირებას არ შეასრულებენ. მე არ
მქონდა ნდობა, ვგრძნობდი, რომ მომატყუებდნენ, მაგრამ გადავდგი ეს ნაბიჯი.
როდესაც ჩამოვედი, აქ მთავრობამ მომცა ამნისტიის ქალაქი, შემპირდა, რომ
დამაყენებდა გზაზე და ვმსახურობდი. გადის რამდენიმე ხანი, ერთი წელი აქ
ვარ და ვასრულებ ჩემს სიტყვას, რაც განვაცხადე, მაგრამ დღეს პირობები შე-
იცვალა, მთავრობის მხრით და არა ჩემი მხრით. აქ მოქ. ბრალდებულმა მოინ-
დომა რომ უმაღლესი სასჯელით დავისაჯო. შეიძლება ზოგჯერ კიდევაც გაგი-
კვირდათ, როდესაც ნერვებ აშლილი ჩემს თითებს ვკმენდი და ვამბობდი – ეს
არ უნდა დავმართნოდა, არ უნდა მოტყუებულიყავი, როგორც არ უნდა ნავი-
დეს ჩემი ბედი, მე ამას არ ვაქცევ ყურადღებას, მე ახალგაზრდა ვარ და ჩემი
მომავალი წინ არის. ჩემი ახალგაზრდული გატაცებით ვფიქრობდი, რომ სარ-
გებლობა მომეტანა ჩემი პატარა კუთხისთვის, ამ აზრით ვიყავი. ამავე დროს
ჩემი მიზანი არის ხალხის სამსახური. როგორც გითხარით, ჩემი მომავალი წინ
არის, მთელი ჩემი შეხედულება გადავიტანე, რომ დავენაფო მეცნიერებას, შე-
ვიძინო რამე ისეთი, რომ მომავალში მეტი ბაგაჟით, მეტი წონით თუ გამოვიდე
და გამოვადგე ჩემს ერს. ბევრს არ ვიტყვი. მე ვიტყვი – დეე, გაიგოთ ამ ჩემი
მაგალითით, თქვენ როგორ ასრულებთ თქვენ სიტყვას, როგორ აფასებთ თქვენ
სიტყვას. თუ თქვენ მუხანათურათ, ეგრე ლალატური ნაბიჯით ჩამიდებთ, მა-
შინ მე მარტო მექნება სათქმელი მართალი ვიყავი, როდესაც თქვენ გებრძო-
დით. ეს მარტო შემიძლია ვსთქვა და უკანასკნელი სალამი მივუძღვნა ჩემს ერს,
პატარა კუთხეს, რომელსაც მე ვემსახურებოდი მთელი ჩემი ახალგაზრდობით.
სვანეთი, ჩემი პატარა სამშობლო, ლეგენდარული ქვეყანა არის. ის დღესაც
ლეგენდებით იკვებება. მე ვიცი, იქ დაარსდება ლეგენდა ერთი ახალგაზრდის
სიცოცხლის ტრაგიკული ბედის შესახებ. მე ვიცი, ვინმე მოხუცი სვანი აიღებს
ჭიანურს და დაამღერებს ჩემი ეგრედ უდროოდ დაღუპულ ბედ-იღბალს. მო-
ხუცი ქალები ატირდებიან და ცრემლით დასველებული გასწყდება ჭიანურის
სიმი და ამით შემფოთებული ვაჟკაცი ავარდება მაღლა კოშკზე და ჩამორეკს
სამგლოვიარო ზარს, რომ ამცნოს ქვეყანას და იმ პატარა კუთხეს, რომელსაც
მე გულწრფელად ვემსახურებოდი, რომ კიდევ შესრულდა ერთი ტრაგედია.

დიახ, მოსამართლენო. მე მზათ ვარ, ჩემი მოქმედებისათვის პასუხი ვაგო.
აი, ჩემი გული, ის სამ ტყვიას გააცივებს მაინც. აი, ჩემი სხეული, გინდათ ჩამაგ-
დეთ ბნელ სარდაფში, მანამეთ, ამკუნეთ, დამგლიჯეთ, თქვენ წინაშე ვარ გულ-
წრფელი სურვილით, რომ ჩემი ერისათვის რაიმე მომეტანა. დღესაც მარტო ეს
დამრჩენია ვთქვა, რომ მე ვემსახურებოდი ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას.

ეხლა მე სრულიად შეგნებულად გამოვცხადდი თქვენს წინაშე. მე გულწრფე-
ლად გენდვით თქვენ და თუ მოგტყუვდი, რა ვუყოთ, ალბათ ისტორია თუმცა
ისტორია არ შეჩერდება ჩემზე, ნაწილი საზოგადოებისა მაინც იტყვის.

მოსამართლენო, მე ვათავებ ჩემ სიტყვას. მე ბევრს არ მოგანყენთ ჩემი ლა-
პარაკით. მე გეუბნებით მხოლოდ, მე მიყვარდა ჩემი ერი, ჩემი ქვეყანა, ის მუ-
დამ მეყვარება.

მოსამართლენო, როდესაც თქვენ შეუდგებით ჩემი ბედის გადაწყვეტას, მაშინ გახსოვდეთ მე მიყვარს ჩემი ერი, მუდამ ვიქნები მასთან და თქვენთანაც, თუ ჩემს ერს ანგარიშს გაუწევთ.

მე ვათავებ ჩემ სიტყვას და დეე თქვენ სინდისზე იყოს გადაწყვეტა, მოსამართლენო“.²

1924 წლის აჯანყების გამო ბიძინა პირველს გადასახლება მიესაჯა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ 1937 წლის 14 ნოემბერს ქართველ მამულიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. ბიძინა პირველი განაჩენის გამოტანიდან მეორე დღესვე, 15 ნოემბერს დახვრიტეს.

„მე ვიცი იქ დაარსდება ლეგენდა ერთი ახალგაზრდის სიცოცხლის ტრაგიკული ბედის შესახებ“, – ეს სიტყვები ბიძინა პირველს ეკუთვნის და წლების შემდეგ მის კუთხეში მართლაც „დაარსდა“ ლეგენდა საქართველოს თავისუფლებისთვის უანგაროდ მებრძოლ მამულიშვილზე.

ნესტორ გარდაფხაძე

როდესაც 1924 წლის აჯანყებასა და სვანეთში არსებულ ანტისაბჭოთა გამოსვლებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ შევეხოთ ქართველ გენერალს, ნესტორ გარდაფხაძეს, რომელიც ერთ-ერთი თვალსაჩინო მამულიშვილი გახლდათ, რომელმაც სიცოცხლე საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეაღწია.

ნესტორ გარდაფხაძე 1867 წელს ქუთაისის მაზრაში დაიბადა, ცხოვრობდა ლეჩხუმის მაზრის სოფელ ჩალაურში, მიეკუთვნებოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. 1921 წლის თებერვალში იუნკერთა ასეულს მეთაურობდა; სვანეთში იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული გამოსვლების ლიდერი. მონაწილეობას იღებდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორგანიზებაში. იგი იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი სვანეთის ამბოხებისა.

1924 წლის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშებიდან კარგად ჩანს ის განწყობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ზემო სვანეთში არსებობდა. თავად ნესტორ გარდაფხაძეც მოხსენიებულია, როგორც პოლიტიკური ბანდის ხელმძღვანელი, რომელსაც ისეთი ძალაუფლება და გავლენა ჰქონდა, რომ ნებისმიერ მომენტში შეეძლო სვანეთიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ასეულობით შეიარაღებული ადამიანის გამოყვანა. ადგილობრივ ხელისუფლებას კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ფორმალური სახე ჰქონდა, რეალურად სიტუაციას ზემო სვანეთში ნესტორ გარდაფხაძე მართავდა. ანტისაბჭოთა ბანდას, ნესტორ გარდაფხაძესთან ერთად, ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი ხელმძღვანელობდნენ. ნესტორ გარდაფხაძეს კავშირი ჰქონდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაჯგუფებასთან და სერიოზულ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ნესტორ გარდაფხაძე 1924 წლის 21 ივლისს დააპატიმრა. იგი მალევე გაათავისუფლეს, თუმცა აგვისტოში კვლავ დააკავეს და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს. ქართველი გენერალი 1924 წლის პირველ სექტემბერს დახვრიტეს.

2. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 377, ტ. 5, ფურც. 315-325.

Ч. К. Г. 7

АНКЕТА № 179

Для арестованных и задержанных с за...

Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты...

ВОПРОСЫ: Д Т

1-я часть заполняется арестованным

- 1) Фамилия.
- 2) Имя и отчество.
- 3) Гражданство какого государства.
- 4) Национальность.
- 5) Место рождения.
- 6) Возраст (на момент ареста).
- 7) Образование: а) грамотный-ли; б) высшее; в) среднее; г) начальное; д) неграмотный.
- 8) Состав семьи, место жительства, место работы каждого члена (жена, дети, братья и сестры).
- 9) Политическая принадлежность: а) в какой партии состоит; б) с какой принадлежал.
- 10) Профессия.
- 11) Место работы службы: а) с начала войны до марта 1917 г.; б) с начала войны до марта 1917 г.; в) с начала войны до марта 1917 г.

Наименование предприятия или учреждения

Место для печати



С. С. Р. Г.
ЧРЕЗВЫЧАЙНАЯ КОМИССИЯ Г...

Секретно-Оперативная часть

ОРДЕР № 67

От 24/11/1937

Выдан тов. Субарина

На производство ареста и следствия

Место для печати

Примечание: Все должностные лица и граждане обязаны оказывать полное содействие в выполнении данного ордера.

Председатель Ч. К. Г. Ковалев

Нач. Сек. ...

ნესტორ გარდაფხაძე

ეგნატე გაბლიანი

„სვანეთის სალოცავებო თქვენ იცით მე რა გამოიკეთებია“ საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი კიდევ ერთი გმირი ეგნატე გაბლიანი საბჭოთა ხელისუფლებამ 1937 წელს სასტიკად დასაჯა.

ეგნატე გაბლიანის დამსახურება დიდია ქართველი ერის წინაშე, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული კულტურის განვითარებაში. მის სახელს უკავშირდება სვანეთის სიძველეთა მოძიებისა და დაცვის ისტორია; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაფუძნება; სვანეთთან დამაკავშირებელი გზებისა და ხიდების მშენებლობა. ეგნატე გაბლიანი იყო საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პუბლიცისტი, პირველი სვანი არქეოლოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, სვანეთის განმანათლებელი და თავკაცი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1924 წლის აჯანყების დროს კი ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ მშობლიურ კუთხეში.

ეგნატე გაბლიანი 1883 წელს სვანეთში, მულახის საზოგადოების ისტორიულ სოფელ ზაარდლაშში დაიბადა. განათლება ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო, შემდეგ კი სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე განაგრძო. უმაღლესი სასწავლებლის დასრულებისთანავე სამშობლოში დაბრუნდა და მუშაობდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, ყველა თანამდებობას სვანეთის განვითარებისთვის იყენებდა. აქტიურად

თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან და საზოგადოებას აცნობდა სვანეთის პრობლემებსაც და წინსვლასაც.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ეგნატე გაბლიანი ანტისაბჭოთა მოძრაობაში ჩაება. 1921 წელს სვანეთი მისი მეთაურობით კარგა ხანს უმკლავდებოდა საოკუპაციო ჯარებს. 1924 წელს კი ჩართული გახლდათ საყოველთაო აჯანყების მომზადებაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია პარიტეტული კომიტეტის საქმე, სადაც ინახება 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ პირთა დაკითხვის სტენოგრაფიული ჩანაწერები.

ეგნატე გაბლიანი სვანეთში არსებულ მდგომარეობაზე შემდეგი სახის ინფორმაციას იძლევა (სტილი დაცულია): „მე უთხარი ხალხს უცვლელად მოგახსენებთ, მართალია საქართველოში აჯანყება ეწყობა, მაგრამ დაუკვირდით თქვენ საქმეს. მოსალოდნელია აჯანყება დამარცხდეს. შედეგები აუცილებლად ცუდი მოყვება... გავაფრთხილე, მაგრამ ახლა უნდა ითქვას სიმართლე, ისეთი მდგომარეობა დავინახე, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ არ ჩავდგომოდი სათავეში და ხელმძღვანელობა არ გაგვენია. ბეროს ლიკვიდაციის შემდეგ მოიყარა თავი რამდენიმე ასეულმა ხალხმა. როცა ლიტვარის საზღვარზე მივედით, იქ გვაჩერე ხალხი და უთხარი – აჯანყება არის მართალია, მაგრამ შეიძლება აჯანყება დამარცხდეს. არ ვიყავი ისე უგუნური, რომ ეს არ გამეთვალისწინებია, შესაძლებელი არის მძიმე რეპრესიები და დაუფიქრდით ამ საქმეს... ვუთხარი – ჩვენ შეიძლება შეგნებულად მივდივართ ამ საქმეზე, თქვენ ეგებ შეუგნებლად მოგვეყვებით და თუ გული არ გერჩით დაუკვირდით ამ საქმეს კარგად და თუ არ მოგწონთ უკან დაბრუნდით. ხალხმა თავისი არ დაიშალა და წამოვიდა. ქვემო სვანეთში საქმე უკვე გათავებული იყო. იქ ერთი თუ ორი სვანი იყვნენ, რომლის მეოხებით დაეტუსალებინად ადგილობრივი ხელისუფლება და იარაღი ხელში ჩაეგდოთ. ძალაუფლება ხელში ჩავიგდეთ, დაგვხვდა ამბავი, ბათომი, ქუთაისი, ყიათურა, თბილისი ჩვენს ხელშიაო, წამოვედით და გზა-და-გზა შეტაკება მოგვიხდა კომუნარებთან. ჩავვივარდა ხელში 23 კაცი და უნდა ითქვას, რომ მე და ბიძინამ გადავარჩინეთ ისინი, თორემ იყო მდგომარეობა, რომ ცოცხალი არ იქნებოდნენ. მე პირადად კმაყოფილი ვარ, რომ გავერიე ამ აჯანყებაში. ხუთი დღის განმავლობაში ცაგერი ჩვენს ხელში იყო, მთელი სიმაგრეები ჩვენ დავიკავეთ, მაგრამ ამ დროს მოგვივიდა ცნობა, რომ არაფერი იმის მსგავსი რაც გვესმოდა არ არის. ეს ყველაფერი ტყუილია. ამის შემდეგ ვიბრუნეთ პირი და წავედით სვანეთისკენ.“³

ბოლშევიკები გაბლიანის დაპატიმრებას ცდილობდნენ, ის კი ტყეს აფარებდა თავს. საბჭოთა ხელისუფლებამ გაბლიანი მოლაპარაკებების შედეგად შემოირიგა. თუმცა მას თავისუფალ საქართველოზე ფიქრი არასოდეს შეუწყვეტია და საბჭოთა ხელისუფლებისთვის მაინც დაუძინებელ მტრად რჩებოდა, რის გამოც 1937 წელს დააპატიმრეს და იმავე წლის 15 ოქტომბერს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში შემდეგი სახის ინფორმაციაა დაცული: ეგნატე გიორგის ძე გაბლიანი – დაბადებული 1883 წელს, მესტიიდან,

3. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. №14, აღნ. 2, ს. №377, ტ. III, ფურც. 12-14.



ევგენატე გაბლიანი

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 34

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР
от 10 Октября 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР _____
Члены _____ Прокурор по спецделам _____
Секретарь _____

С л у ш а л и:	П о с т а в и л и:
<p>оа дело № 4750 4-го Отдела УТ. НКВД ГССР:</p> <p>ГАБРИАНИ Игнат Георгиевич 1888 г. р.р. Местия - крестьянин по профес- сии, из зажиточных крестьян, жених по неволе на педагог-литератор. Последнее место службы - директор Сванетского Искусственного театра. 6-парт., бывш. член партии социал- демократов, судившийся дважды, был из под стражи.</p> <p>Обвиняется в принадлежности к к-р нелет. организации. Получил наказание в течение време- ни в Ленинградском Комиссарой в годы революции (1907 г.) с вырешо расширялся с революционером, предавая в руки царско охранни делавшая линия, за сивая из зашки и тупия - к-р</p>	<p>ГАБРИАНИ Игнат Георгиевич</p> <p><i>Рассуждение</i></p> <p><i>Миним. наказание</i></p> <p><i>лиш. своб.</i></p> <p><i>Арестов.</i></p> <p><i>лиш.</i></p> <p><i>лиш. свободы</i></p>

СОВ. СЕКРЕТНО.

А К Т

им. нижеподписавшиеся: Нач. Внутр. Тарьин НКВД ГССР
Лейтенант Государственной тов. ЗАХАРВЕШВИЛИ З.И. Дев. Лич. Нач.
Тарьин НКВД ГССР и тов. ТЕСТОВ, ЗАРГНАВА на основании Судеб-
ного постановления при НКВД ГССР 20 Октября 1937 г. и на 21 Ок-
тября приведен в исполнение приговор-ВЫДАТЬ ВНЕ НАКАЗАНИЯ
Г А С О Т Р Е Б Л над нижеподписавшими осужденными:

1. ГАБРИАНИ Игнат Георгиевич / - 1888 г.
2. ДЖИОЗЕ Исабала Захарьевич / - 1904 г.

НАЧ. ВНУТР. ТАРЬИН НКВД ГССР *Захарьевич* / УРИЯ /
Лейтенант Государственной: - *Тестов* / ТЕСТОВ /
ДЕВ. ЛОМ: НАЧ. ТАРЬИН НКВД ГССР: - *Зарина* / ЗАРГНАВА /
ЗАМ. НАЧ. 6-го ОТДЕЛА НКВД ГССР: - / КАРАМЦЕ /

სვანი, გლეხი, დაოჯახებული, პროფესიით პედაგოგ-ლიტერატორი. ბოლო სა-
მუშაო ადგილი – სვანეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორი. ორჯერ იყო
ნასამართლევი, ერთხელ გაიქცა – ბრალდებული იყო არალეგალური ორგანი-
ზაციის წევრობის გამო.

გაბლიანმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ორჯერ მოახდინა
სვანების პროვოცირება და შეიარაღებულ გამოსვლაში ჩართვა, ითამაშა რა
მათ რელიგიურ გრძნობებზე. რის გამოც 1921 წელს სვანების მიერ მოკლული
იქნა 113 ნითელარმიელი, 1922 წელს კი – 6 მეტყვიადმრქვევე. აჯანყების ჩახ-
შობის შემდეგ იგი ტყეში იმალებოდა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ
ანყობდა პროვოკაციებს.

1924 წელს ხალხის მტრებთან – ბიძინა პირველთან, ალექსანდრე წერე-
თელთან, მოსესტრო დადემქელიანთან და სხვებთან ერთად, მისთვის საძულ-
ველი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შეიარაღებული აჯანყება მოაწყო.
ავვისტოს ავანტიურის ჩახშობის შემდეგ გაბლიანი ისევ ტყეში გაიქცა. მოგვი-
ანებით მოხდა მისი შემორიგება, რის შემდეგაც საპასუხისმგებლო თანამდებო-
ბებზე მუშაობდა. თუმცა ისევ შემოიკრიბა ხალხის მტრები: შალიკო ჩანტლაძე,
ზედგი შერვაშიძე, მიხეილ გეთია და სხვები. გაჰყავდა რა სვანეთის გზა, მათ-
თან ერთად ეწეოდა მავნებლობას, აფერხებდა მშენებლობას და ფლანგავდა

სახელმწიფო ქონებას... – ესაა ამონარიდი შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული №34 „პროტოკოლიდან“. ყოველივე აქედან გამომდინარე, განაჩენმაც არ დააყოვნა და გაბლიანს საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრეტა მიუსაჯა.

1937 წელს, როდესაც 20 ოქტომბრის ღამე სრულდებოდა და 21 ოქტომბერი თენდებოდა, ქართველი მამულიშვილი ეგნატე გაბლიანი დახვრიტეს.

უმძიმესი და ამავე დროს საამაყო თოთოეული გმირის ისტორია, რომლებმაც არაფერი დაიშურეს ქვეყნის კეთილდღეობისთვის და ყველაზე ძვირფასი, სიცოცხლე მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე.

1924 წლის აჯანყება და სამებრელო

ერთი საუკუნის წინ, 1924 წელს საქართველოს მოსახლეობამ ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად საბჭოთა რეჟიმს ბრძოლა გამოუცხადა. ქვეყანაში შეიქმნა იატაკქვეშა ორგანიზაციები და პარტიზანული რაზმები, რომლებიც ტყვეს აფარებდნენ თავს. საქართველოს ყველა რეგიონი ემზადებოდა საყოველთაო აჯანყებისთვის. საბჭოთა რეჟიმი კი ყველანაირ ზომებს მიმართავდა ეროვნული ღირსებისა და ბრძოლის ჩასახშობად. განსაკუთრებული სიმკაცრით ეკიდებოდნენ საზოგადოების მხრიდან გამოვლენილ ნებისმიერ წინააღმდეგობას. მიუხედავად ამისა, დაუმორჩილებლობა და ეროვნული მოძრაობა ნელ-ნელა ძლიერდებოდა.

1924 წლის აგვისტოში ქვეყანა აჯანყების ტალღამ მოიცვა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამოსვლები დაიწყო, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები.

აჯანყების ჩახშობას სასტიკი რეპრესიები მოჰყვა. ეროვნული ძალების მიმართ ხელისუფლება განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდა. დაიწყო ამბოხებულების დიდი ნაწილის დაპატიმრება. მათ ყოველგვარი ძიებისა და გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ და ასახლებდნენ.

მოსახლეობის უკმაყოფილებამ და პროტესტმა პიკს მიაღწია და 1924 წელს ქვეყანაში საყოველთაო ამბოხი დაიწყო.

საყოველთაო აჯანყების ერთ-ერთი მონაწილეა ზუგდიდის მკვიდრი, აჯანყებულთა შტაბის უფროსი, აზნაური, ყოფილი ოფიცერი, 29 წლის ივანე (ბიდი) წულეისკირი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული აგვისტოს აჯანყებაში და ხელმძღვანელობდა კიდეც.

ბრალდების საქმეში ინახება ბიდი წულეისკირის შესახებ დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1925 წლის 24 სექტემბრით.

„ქ. ზუგდიდი 1925 წლ. ოქტომბრის 19 დღესა მე ზუგდიდის მაზრის რწმუნებულის თანაშემწე ამხ. კუკუტარიამ განვიხილე რა საბრალდებო საქმე №20 პატიმარი ბიდი იგივე ივანე კობტას ძე წულეისკირის – 29 წლის, ინტილიგენტი ყოფ. ოფიცერი, სწავლა-განათლებით-დაბალი, ნაც. დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან, უცოლო და მცხ. ქ. ზუგდიდის, ბრალდებული 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის აქტიურ მონაწილეობის მიღებაში და ხელისუფლებისგან მიმალვაში, რაც გათვალისწინებულია სსსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 59.

...1924 წლის აგვისტოს ავანტიურის დღეებში წულეისკირი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას და იყო აჯანყებულთა შტაბის უფროსი ზუგდიდის მაზრაში“¹.

ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების საფუძველზე და თავად წულეისკირის დაკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას, ზუგდიდის საოლქო კომიტეტის ნაცდემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის

1. საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი 6, საქმე 26185, გვ. 30.



ივანე ნულეისკირი



რეკომენდაციით, 1924 წელს თავისი სურვილით შეუერთდა. პარტიაში შესვლისთანავე ნულეისკირისთვის ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით მთელი ქვეყნის მასშტაბით საერთო სახალხო აჯანყება იგეგმებოდა და მას, როგორც ყოფილ ოფიცერს, აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო აჯანყებაში, რაზეც დათანხმდა.

პარტიაში განწევრიანების შემდეგ ივანე ნულეისკირი აქტიურად ჩაერთო ამბოხის მომზადებაში. მან რაიონის მასშტაბით შექმნა საბრძოლო დანაყოფები და პრაქტიკული დავალებებიც მისცა. ამ ქმედებით ნულეისკირმა პარტიის ხელმძღვანელობის მხრიდან სრული ნდობა მოიპოვა და შტაბის უფროსადაც დაინიშნა.

1924 წლის 29 აგვისტოს ნულეისკირი შტაბში გამოცხადდა და მოვალეობების შესრულებას შეუდგა. იგი ცდილობდა ყველაფრით, მათ შორის სამედიცინო დახმარებითაც უზრუნველყო აჯანყებულები².

ამბოხების ჩახშობისა და აჯანყებულთა დაპატიმრებების მიუხედავად, ივანე ნულეისკირი ბოლომდე მედგრად იდგა, თუმცა გაქცევა მაინც მოუწია და სენაკიდან ბათუმის გავლით გაგრაში, დის ოჯახს შეაფარა თავი, სადაც 1925 წლის 13 ივლისამდე – დაპატიმრებამდე იმალებოდა.

1925 წლის 17 დეკემბრის ოქმიდან ვიგებთ, რომ ივანე ნულეისკირი, როგორც მავნე ელემენტი, ხელისუფლებამ დამნაშავედ ცნო და მიესაჯა სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში სამი წლით გადასახლება³.

2. საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი 6, საქმე 26185, გვ. 87-88.
3. საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი 6, საქმე 26185, გვ. 90.

ალექსანდრე ჩიქავა

საყოველთაო აჯანყების ერთ-ერთ მონაწილედ ითვლება ალექსანდრე ხიტუს ძე ჩიქავა, დაბადებული ზუგდიდის მაზრის სოფელ შამგონაში. პედაგოგიური განათლება ქუთაისში მიიღო, დაამთავრა სამოქალაქო სასწავლებელი და სამეურნეო სკოლა. მუშაობდა მასწავლებლად.

პოლიტიკურ საქმიანობაში თავიდანვე ჩაერთო. იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების ფრაქციის“ წევრი, პარტიის სამეგრელოს კომიტეტის წევრი და აქტიური ორგანიზატორი. მეფის რეჟიმის დროს არაერთხელ იქნა დაპატიმრებული. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა ზუგდიდში. პოლიტიკური აქტიურობისა და ციხიდან გაქცევის გამო, პოლიციის მხრიდან მასზე მუდმივად ხორციელდებოდა კონტროლი.

ალექსანდრე ჩიქავა 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გახდა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სამშობლოში დარჩა და არალეგალური საქმიანობა განაგრძო.

ჩიქავას ბრალდების სისხლის სამართლის №24413 საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 1924 წლის აპრილში ჩიქავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი იყო, როდესაც დააპატიმრეს. მას, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტს, სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

პატიმრობაში მყოფმა ალექსანდრე ჩიქავამ თხოვნით მიმართა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, კვანტალიანს:

„... საქართველოს საგანგებო კომისიის განკარგულებით დამაპატიმრეს და დღეს დატუსაღებული ვარ. ბრალდება ჯერ არ წაუყენებიათ და ვერც კი წარმომიდგენია რას მატარებენ. მართალია საქართველოს გასაბჭოებამდე მონაწილეობას ვღებულობდი რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრიც ვიყავი, მაგრამ გასაბჭოების დღიდანვე დავინყე რა მეცადინეობა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ყველანაირ პოლიტიკურ მუშაობას თავი დავანებე. ამჟამად ვირიცხები უნივერსიტეტის მეოთხე კურსზე და ვაპირებდი კურსის გათავებას მაისში... გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება ჩემი საქმის გამოძიების დასაჩქარებლად. მანამდის კი, სანამ ჩემი საქმე გამოირკვეოდეს, გთხოვთ ნება დამართოთ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ჩამოვატანინო ჩემს ნათესავებს... პირველ რიგში მესაჭიროება ფრანგული ენის სახელმძღვანელო. ალექსანდრე ხიტუს ძე ჩიქავა.

24 აპრილი 1924 წელი“⁴.

1924 წლის 19 მაისს ჩიქავა დაკითხა საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომელმა მელიქაძემ და დაადგინა, რომ „მოქალაქე ჩიქავა, მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. დიქტატურის პერიოდში იყო დამფუძნებელი კრების წევრი, სადაც მუშაობდა აგრარულ სექციაში. წარსულშიც და შემდგომაც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და გავლენით, როგორც

4. საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი 6, საქმე 24413, ტ.1, გვ. 10-11.



ალექსანდრე ჩიქავა

ПОСТАНОВЛЕНИЕ

1924г. Мая 15-го дня Я, пом. уполн. I-й гр. С. Ч. из ЧИКАВА Александра Хатуевича, 41г. грузин, из крестьян Кутаисской губ. Зугдидского уезда, бывшего члена историко-биологического факультета, холост, член партии меньшевиков с 1907 года, член собрания демократической республики за подпольную работу - в ЧИКАВА один из активных меньшевистской партии, состоял членом учредительного собрания аграрной и земским делам, пользовался влиянием среди крестьян в Зугдидском уезде. После советизации Грузии для работы, занимался в госуниверситете. Имел дипломы работниками меньшевистской партии Зугдидского уезда - старшая Евстафия на квартире курястки Яиди Воджуга, среди подпольных меньшевиков и членов В. В. в своих показаниях гр. ЧИКАВА заявляет, что 21г., т.е. со дня советизации Грузии и т.д. марксизма на развитие общества - На вопрос из партии, умалчивает. Принимая во внимание вышеизложенное, ПОЛАГАЮ, старого члена меньшевистской партии, член последней, вольно, как политический - приговорить к тюремному заключению сроком предварительного заключения. Дело олев. ЧИКАВА: обвиняемый содержится в Исправительном доме.

Пом. уполномочен. I-й гр. С. Ч. *Ч. И. К.*

Уполномоченный:
Согласен И.ч. С. Ч. *И. Ч. С.*
Утверждаю И.ч. С. Ч. *И. Ч. С.*
Президека: *И. Ч. С.*

ОРДЕР № 6766
От 15 Мая 1924 г.
Выдан Комиссару С. Ч. *И. Ч. С.*
На производство *арест*
г. *Чикава*
по адресу *улицы*

Президатель Ч. И. К. *Ч. И. К.*
И.ч. Сек. *И. Ч. С.*
Опер. Част. *И. Ч. С.*

ПРИМЕЧАНИЕ: Все должностные лица и граждане обязаны оказать уважительное содействие

გლებობაში, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის. პირდაპირი კავშირი ჰქონდა მენშევიკური პარტიის იატაკქვეშა ორგანიზაციის თანამშრომლებთან. თვალთვალის შედეგად დაკავებულ იქნა თანაკურსელის – ბოჯგუას ბინაზე, რომელიც ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას მენშევიკური პარტიისა და ორგანიზაციის წევრებს და შორის.

დაკითხვისას ჩიქავამ განაცხადა, რომ იგი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან დამოუკიდებელი მარქსისტია. კითხვაზე, თუ რატომ არ დატოვა მან პარტიის რიგები, ალექსანდრე ჩიქავამ დუმილი არჩია.

ძიების შედეგად მხედველობაში მიღებულ იქნა ის გარემოება, რომ ჩიქავა, როგორც აქტიური და მენშევიკური პარტიის ძველი წევრი, ოფიციალურად კვლავ ირიცხებოდა პარტიაში, და ის ფაქტიც, რომ იგი პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტი იყო, სასჯელის ზომად განესაზღვრა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა⁵.

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს ალექსანდრე ჩიქავა უკვე პატიმარი იყო და ვერ მიიღებდა აჯანყებაში მონაწილეობას, სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად მაინც დახვრიტეს. დახვრეტის ზუსტი თარიღი უცნობია.

საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყება ჩაახშო. მუშათა და გლებთა ხელისუფლებისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო სოციალური პრობლემების გამო ხალხის ამბოხი, მაგრამ გაცილებით დიდ პრობლემას წარმოადგენდა დამოუკიდებლობის აღსადგენად ბრძოლა. ზუგდიდის მაზრაში გამოსვლებთან დაკავშირებით, 1924 წლის სექტემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადაეგზავნა მოხსენება, გრიფით სრულიად საიდუმლო.

5. საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი 6, საქმე 24413, ტ. 1, გვ. 15.

„ს.კ.პ. ცენტრალურ კომიტეტს.

ზუგდიდის მაზრაში ბანდიტურ გამოსვლებს ადგილი ქონდა თითქმის მთელ რეგიონში. გამონაკლისს შეადგენენ ორულ-ერგეტის, ანაკლიის და ნიკოსიის თემები, სადაც არავითარ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია.

ბანდიტურ გამოსვლებში მონაწილეთა რიცხვი მაზრის მასშტაბით აღწევს 769-მდე. ბანდა შესდგებოდა უმთავრესად თავადებისა, აზნაურების, ვაჭარ-სპეკულიანტების, სამღვდელთა და ყოფილი ოფიცრებისგან. მონაწილეობას ლეზულობდა აგრეთვე მასწავლებლობაც. გვარი და სახელი მეთაურებისა რაიონებში: დარჩელის რაიონი: 1/ ანჩაბაძე ვარლამი, 2/ ჩხოლარია ვალოდია, ყოფილი თავადები. ზუგდიდის რაიონი: 1/ ჩიქოვანი ჭუჭუ, 2/ გეგეჭკორი ვლადიმირი, 3/ ხუბუტია ნიკოლოზ, ყოფილი თავადები, ოფიცრები.

ღ...ის რაიონი: 1/ დადიანი ნესტორი ყოფილი თავადი და ყაჩაღი, 2/ ანდრო ნულუკიძე თავადი, რეციდივისტი, 3/ კონია და ჯვებე დადიანი – თავადები, ილარიონ ხუბუტია აზნაური, ყოფილი ოფიცერი.

ხიბულის რაიონი: 1/ დადიანი ჯუგუ – თავადი, 2/ ლომია ფუხული, ლომია ალექსანდრე აზნაური-რეციდივისტები, 3/ ყურაშვილი რაჟდენი – ყაჩაღი, 4/ ქაჯაია აკაკი ცნობილი დიდ სტაჟიანი ყაჩაღი.

ნალენჯიხის რაიონი: 1/ თვალთვაძე შალვა, აზნაური, ნაციონალ-დემოკრატი, 2/ კვარაცხელია იოსები დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი.

ჩხორონწყუს რაიონი: 1/ გობეჩია ერმინე – აზნაური, 2/ ქუთელია ცაქალა – აზნაური, 3/ დადიანი ნიკოლოზი – თავადი, ყოფილი მარშალი.

ხობის რაიონი: 1/ კობახიძე ვარლამი – აზნაური, 2/ დუნდუა ლევანი – აზნაური – ექიმი, 3/ აფაქიძე აქესენტი – თავადი, ყოფილი ბოქაული, ვექილი.

გლეხობის იმ ნაწილმა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მაგალითად: ბობოლა გლეხების მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში, მხოლოდ მეთაურების როლში, არც ერთი არ გამოსულა.

გლეხობის სხვა ფენებს აქტიური მონაწილეობები არ მიუღია და იმათი თანაგრძნობა სრულიად ჩვენს მხარეზე იყო.

დარჩელის რაიონში, ორულ-ერგეტის და ანაკლიის თემის და ზუგდიდის რაიონში ნიკოსიის თემის გლეხები აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდნენ ბრძოლაში ბანდიტების წინააღმდეგ. შემდეგ კი როდესაც მიეცათ საშუალება თითქმის ყველა რაიონებში გლეხობის ღარიბ თემებიდან თითქმის ყველანი იარაღით ხელში იბრძოდნენ ბანდიტების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ დამნაშავეთა სასტიკ დასჯას, ადგილებზე გასამართლებას.

ბანდიტების ლოზუნგები: „საქართველოს დამოუკიდებლობა“, „სარწმუნოების, ეკლესიის და კერძო საკუთრების აღდგენა“. დაპყრობილ ადგილებში ავანტიურისტები ბანდიტები ნიშნავდნენ კომისრებს თავადებისა და ყოფილი ოფიცრებისაგან და აცხადებდნენ სამი წლის მობილიზაციას, მაგალითად: ხობის რაიონში, სადაც დაჰყვეს ორი დღე. საერთოდ მაზრაში ერთი ან ორი დღის მეტს არც ერთი თემი არ ყოფილა.

ქ. ზუგდიდი მუდამ ჩვენს ხელში იყო. უმთავრეს მიზეზად გამოსვლების შესაძლებელია ჩათვლილ იქნას ამ უკანასკნელ დროს ეკონომიურ ფრონტზე გამარჯვება, ფართლეულობაზე და პირველ საჭიროების საგნებზე ფასების

დაკლება, კოოპერატივებისა და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების მიერ, რამაც სასონარკვეთაში ჩააგდო ვაჭრები, თავად-აზნაურობა, ყოფილი ოფიცრები და ყველა ჯურის კონტრ-რევოლუციონერები, დაარწმუნა რა უკანასკნელნი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურად განმტკიცებაში და ეკონომიურ აღორძინებაში; უკანასკნელად სცადეს დაკარგული უფლებების მოპოვება.

ადგილობრივი მილიცია კომპარტიისა და კომკავშირის წევრები ეგზემპლიარულ გამონაკლისით იბრძოდნენ თავგამოდებით ბანდიტების წინააღმდეგ, რასაც ადასტურებს თითქმის ყველა თემში წარმოებული ხელჩართული ბრძოლა და თემების ხელიდან ხელში გადასვლა.

კომუნარები და მილიცია სუსტად იყვნენ შეიარაღებულნი მხოლოდ ბანდიტების მდგომარეობა სრულიად უმწეო იყო: ზოგიერთებს სამ-ხუთ ვაზნაზე მეტი არ ქონია და ზოგიერთებს კი იარაღი სრულებით არ ქონდათ.

გამოსვლების დღის შესახებ წინასწარ შემონგებული ცნობა არ იყო მიღებული. ზარალი ჩვენ მხრივ 13 მოკლული და 15 დაჭრილი, მათ შორის, მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. როგავა, პარტკომის საინფორმაციო ქ/განყოფილების გამგე ამხ. ჩხეცია და წალენჯიხის რაიკომის მდივანი ამხ. გოგია.

მტრის ბანაკში ზარალი 4-ჯერ მეტია, დაახლოებით ას კაცამდე მოკლულ დაჭრილით.

გადამალული არიან შემდეგი მეთაურები: 1/ ლატარია ესტატე, ყოფილი მენშევიკი, მაზრის კომისარი, 2/ ანჯაფარიძე მამია, ყოფილი მაზრის ერობის წევრი, ახლა კი მაზრის პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, 3/ ხუბულავა კანდია, პარ. კომიტეტის წევრი, 4/ გვათუა ნიკოლოზი, პარ. კომიტეტის წევრი, 5/ ხუბუტია ილარიონი – ბანდიტების რაზმის უფროსი, 6/ ჯღამაია იასონი – ბანდ. რაზმის უფროსი, 7/ გეგეჭკორი ვლადიმერი, ბანდ. რაზმის უფროსი, 8/ ლომია ფუსული – რეციდივისტების და „უგალოვნიკების“ მეთაური, 9/ გვათუა არისტრახო, ბანდ. რაზმის მეთაური, 10/ დუნდუა ლევანი, ხობის რაიონის პარ. კომიტეტის თავმჯდომარე – ექიმი. 11/ აფაქიძე აქვსენტი, პარ. კომიტეტის სამობილიზაციო ნაწილის გამგე ხობში – ყოფილი ბოქაული. თათარიშვილი ვლადიმერი პარ. კომიტეტის წევრი ხობის რაიონში და სხვა.

საერთო გადამალულთა რიცხვი აღწევს 75-მდე.

გამოსვლებს მაზრის მშრომელი გლეხობა და საერთო მოსახლეობა აფასებს როგორც ავანტიურას და მოითხოვენ სასტიკ რეპრესიულ ზომების მიღებას ავანტიურისტების მიმართ განსაკუთრებით თავად-აზნაურების წინააღმდეგ.

ს.კ.პ. ზუგდიდის სამაზროკომის პასუხისმგებელი მდივანი:
საორგანიზაციო განყოფილების გამგე: ...⁴⁶

აჯანყების შემდგომი პერიოდი, ცხადია, განსაკუთრებულად მკაცრი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც რეპრესიები დიდხანს გაგრძელდა.

6. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 28, აღწ. 1, საქმე 160.

აჭარაში ერთ დღეს დახვრებილი 23 პირი

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას არ შერიგებია თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი და დაპყრობის დღიდან დამოუკიდებლობისათვის დაიწყო ბრძოლა. ჯერ იყო სვანეთის ამბოხება, შემდგომ – ხევსურეთის, 1924 წლის აგვისტოში კი აჯანყებამ მთელი საქართველო მოიცვა.

1924 წლის სახალხო აჯანყების მომზადებაში საქართველოს ყველა კუთხე იყო ჩართული, გამონაკლისი არც აჭარა გახლდათ. 1923 წლის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ქუთაისში დასავლეთ საქართველოს კომიტეტი შექმნა. აღნიშნულ კომიტეტს ბათუმში მუშაობაც ევალებოდა. ბათუმსა და მთელ აჭარაში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის რწმუნებული სოციალ-დემოკრატი გიორგი ანჯაფარიძე იყო. ბათუმში აჯანყებისთვის სამხედრო ორგანიზაციას უნდა ეხელმძღვანელა, რომელიც უშუალოდ თბილისს ემორჩილებოდა. სამხედრო ორგანიზაციას სათავეში ვასილ ჩიტაიშვილი ედგა. აჯანყების დროს ბათუმს 300 შეიარაღებული მეზობლის გამოყვანა ევალებოდა.

აჭარის საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აჭარის ორგანიზაციის აქტიური წევრების დევნა-დაპატიმრება დაიწყო. აპატიმრებდნენ როგორც რიგით წევრებს, ასევე ლიდერებს. დააკავეს ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვასო ჩიტაიშვილი, დასავლეთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთაური, გენერალი ყარალაშვილი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ (მიხა) საბაშვილი.

აჭარაში დაპატიმრებული პირების მიმართ საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინა. 1924 წლის 31 აგვისტოს გაიცა განკარგულება და 23 პირს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯა. განაჩენი პირველი სექტემბრის ღამის 3 საათზე იქნა სისრულეში მოყვანილი. ოცდასამივე ქართველი ერთდროულად დახვრიტეს¹.

მათ შორის ორი – ასაკით 19 წლის გახლდათ: ალექსანდრე ზოიძე და კირასი მკურნალიძე. ერთი-ერთი კი ახალგაზრდა ქალი იყო – ალათი გორდელაძე.

1924 წლის 30 აგვისტოს აჭარის საგანგებო კომისის კოლეგიის სხდომა გაიმართა. აჭარაში შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ბრალდებით დაპატიმრებული პირების მიმართ მიღებული იქნა გადაწყვეტილება. 23 პირს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯა. ესენი იყვნენ:

1) მიხეილ სიმონის ძე საბაშვილი – 35 წლის, ბათუმის პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა აჭარის სამხედრო ორგანიზაციას, ეწეოდა ჯაშუშობას, ცხოვრობდა არალეგალურად და მთელი მისი საქმიანობა მიმართული იყო შეიარაღებული გზით საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

2) ვასილ ალექსანდრეს ძე ჩიტაიშვილი – 27 წლის, მენშევიკი და ბათუმის კომიტეტის წევრი. სოციალ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის

1. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 1, ფურც. 66.

რწმუნებული, ხელმძღვანელობდა სამხედრო ორგანიზაციას, ცხოვრობდა არალეგალურად. მისი საქმიანობა მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

3) გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე – 56 წლის, აზნაური, გენერალ-მაიორი, მენშევიკების დროს ბათუმის შტაბის ხელმძღვანელი, სამხედრო ატაშე ბათუმში, სოციალ-ფედერალისტური პარტიის სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. თავის სამხედრო გამოცდილებას იყენებდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

4) ვლადიმერ ივანეს ძე ახვლედიანი – 33 წლის, სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი 1912 წლიდან. აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეიარაღებულ აჯანყებაში.

5) გიგა პლატონის ძე ჩიქოვანი – 30 წლის, ყოფილი აზნაური, სოციალ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე. პარიტეტული კომიტეტის წევრი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმში შეიარაღებულ აჯანყების მოწყობაში.

6) ანტონ ოსეკოს ძე იმნაძე – 60 წლის, ხე-ტყის სანყოფის მფლობელი. მალაგდა მენშევიკებს, დამკომში მუშაობდა მეკავშირედ.

7) აკაკი ონისიმეს ძე რამიშვილი – 34 წლის, ვაჭარი, მენშევიკური გვარდიის ასეულის ყოფილი ხელმძღვანელი. მენშევიკური პარტიის სამხედრო ორგანიზაციის სამეულის წევრი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში.

8) დიომიდე ალექსანდრეს ძე გეგიაძე – 45 წლის, ვაჭარი, მენშევიკი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში.

9) დავით ნიკოლოზის ძე დადიანი – 36 წლის, სამხედრო-საზღვაო მილიციის ბადრაგთა რაზმის ყოფილი უფროსი, მენშევიკური პარტიის სამხედრო ცენტრის აქტიური წევრი.

10) ნიკოლოზ აპოლონის ძე ფანცულაია – 38 წლის, პროვოკაციულ საქმიანობას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

11) ალათი მაქსიმეს ასული გორდელაძე – 26 წლის, კავშირი ჰქონდა ბათუმის ორგანიზაციასა და მენშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. მალაგდა არალეგალურად მცხოვრებ მენშევიკებს. კავშირი ჰქონდა სამხედრო ცენტრთან და მონაწილეობას იღებდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში.

12) ანტონ პლატონის ძე ჩიქოვანი – 23 წლის, მენშევიკური პარტიის ბათუმის კომიტეტის წევრი. მონაწილეობდა სამხედრო ორგანიზაციის მუშაობაში.

13) ალექსანდრე ქიშვარდის ძე ზოიძე – 19 წლის;

14) კალენიკე ვასილის ძე მალაზონია – 28 წლის;

15) ალფესი ერმოლოზის ძე ხომერიკი – 30 წლის;

16) ისიდორე ივანეს ძე ზოიძე – 20 წლის;

17) კირასი თედოს ძე მკურნალიძე – 19 წლის;

18) ვლადიმერ ვასილის ძე ზაპერტოვი – 25 წლის;

19) ნიკოლოზ ლევარსას ძე მუჯირი – 36 წლის;

20) ლავრენტი იოსების ძე ქადეიშვილი – 25 წლის;

21) მიხეილ ერმოლოზის ძე თაყაიშვილი – 35 წლის;

22) ვიქტორ ვლადიმერის ძე ხომერიკი – 20 წლის;

23) სოფრომ ლავრენცის ძე კიკნაძე – 30 წლის.

ტელეგრაფის შენობის დანგრევის, სარკინიგზო ხაზის დაზიანებისა და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა დახოცვის გამო, ეს პირები იარაღით ხელში იყვნენ დაპატიმრებული. მათი დანაშაული სავსებით დამტკიცებულია და ასევე ვითვალისწინებთ რა შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, ოცდასამივე პირს მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით.²

ამ ოცდასამ პირს შორის იყო ბათუმის პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ საბაშვილი, რომლის ძებნისა და დაპატიმრების შესახებ განკარგულება თავად ლავრენტი ბერიაშვილს გასცა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული საქმიდან ირკვევა, 1924 წლის 19 თებერვალს ბერიაშვილს სრულიად საიდუმლოდ აგზავნის დეპუტატს აჭარის „ჩეკაში“ და მოითხოვს, რომ აუცილებლობიდან გამომდინარე, სასწრაფოდ იქნას მიხილ საბაშვილი დაპატიმრებული. აჭარის წარმომადგენლობას მოუწოდებს, რომ სპეცოპერაცია გურიის მხარესთან თანამშრომლობით განხორციელდეს.³

ვინ იყო მიხეილ საბაშვილი?

მიხეილ საბაშვილი – 34 წლის, გლეხი, დაბადებული ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში. მამა მეფსალმუნე ჰყავდა, თავადაც თბილისის სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული, იყო დაოჯახებული, ჰყავდა ორი შვილი. 1904 წლიდან გახლდათ მენშევიკური პარტიის წევრი.

მიხეილ საბაშვილი 1913 წელს ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს ქალაქ ასტრახანში, 1914 წელს კვლავ დააპატიმრეს და ორ თვეში გაათავისუფლეს.

იყო ბათუმის პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა სამხედრო ორგანიზაციას აჭარაში, ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა მთავრობის დასამხობად.⁴

გარეგნული მახასიათებლები: 40 წლამდე, მაღალი, ჰქონდა მოგრძო სახე, ღია ფერის მოკლე თმა, გრძელი ცხვირი, წვერსა და უღვაშს არ ატარებდა, ხშირად ეცვა სამხედრო ფორმა.

თუ როგორ ჩაერთო საბაშვილი ანტისაბჭოთა საქმიანობაში და როგორ გახდა ბათუმის ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, კარგად ჩანს მისი დაკითხვის ოქმიდან. გთავაზობთ ამონარიდს:

კითხვა: გვიამბეთ, რა საქმიანობას ეწეოდით საქართველოს გასაბჭოების შემდეგ?

პასუხი: საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ოზურგეთში დამაპატიმრეს, 15 დღეში გამათავისუფლეს, რის შემდეგაც არალეგალურ საქმიანობაზე გადავედი. ჩემზე ძებნა იყო გამოცხადებული. 1922 წლამდე გურიაში ვმუშაობდი, კომიტეტის წევრი გახლდით. 1922 წლიდან ბათუმში გადავედი საკუთარი სურვილით და იქ ვმუშაობდი დაპატიმრებამდე...

2. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 1, ფურც. 62-63.

3. იქვე, ფურც. 53.

4. იქვე, ფურც. 38.

კითხვა: რა სახის საქმიანობას ეწეოდით კომიტეტში?

პასუხი: კონკრეტული მოვალეობები არ მქონდა.

კითხვა: როგორ აფასებთ შეიარაღებულ აჯანყებას?

პასუხი: უარყოფითად ვაფასებ როგორც პრინციპულად, ასევე ტაქტიკურად.

კითხვა: დაასახელეთ ბათუმის პარიტეტული კომიტეტის შემადგენლობა.

პასუხი: პარიტეტული კომიტეტის რწმუნებული იყო გიზო ანჯაფარიძე, რომელსაც ჰყავდა მდივნები სოციალ-დემოკრატებიდან და ნაციონალ-დემოკრატებიდან, კონკრეტულად ვინ, არ ვიცი. პარიტეტული კომიტეტის წევრები ვიყავით: მე, ვიქტორ ცენტერაძე, ვასო ჩიტაიშვილი და რკინიგზელი ნითლიძე, ფილიპე ქიქავა, რომელიც აპრილში დააპატიმრეს, სევერიან ვადაჭკორია ქობულეთიდან, ხომერიკი – 35-40 წლის.

კითხვა: ვინ იყვნენ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები?

პასუხი: მე, ვიქტორ ცენტერაძე და ვასო ჩიტაიშვილი.

კითხვა: ვინ ხელმძღვანელობდა სამხედრო საქმიანობას?

პასუხი: სამხედრო საქმიანობას ვასო ჩიტაიშვილი ხელმძღვანელობდა. მთავარი ნაწილი იყო ბათუმში და უჯრედები ჰქონდა რაიონებში. ბათუმი ცენტრიდან იმართებოდა. საბრძოლო განყოფილება პირდაპირ ცენტრს უკავშირდებოდა. აჭარაში სულ 40 უჯრედი არსებობდა, რომლებშიც დაახლოებით 400 ადამიანი შედიოდა.⁵

საარქივო საქმეში სრულიად საიდუმლო გრიფით დაცულია აგენტურული ცნობები. როგორც ჩანს, მიხეილ საბაშვილზე და ზოგადად, აჭარაში არსებულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაზე თვალთვალი კარგა ხანს მიმდინარეობდა. სხვადასხვა აგენტურული ცნობის მიხედვით ირკვევა შემდეგი:

ბათუმის კომიტეტში თავდაპირველად შედიოდნენ: თავმჯდომარე შუტუ საბაშვილი (სავარაუდოდ, მიხეილ საბაშვილის ძმა), მდივანი მიხეილ საბაშვილი, წევრები – რაფაელ ჩხაიძე, ბარნაბა სურგულაძე, ონიფანტე რამიშვილი.⁶

ორგანიზაცია საქართველოს გასაბჭოების ორი წლისთავთან დაკავშირებით ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელებას გეგმავდა ბათუმში, სადაც მენშევიკების მიერ იატაკქვეშა საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურებული იყო.

მოგვიანებით კომიტეტის შემადგენლობა იცვლება და ბათუმის კომიტეტში შედიან: მიხეილ საბაშვილი, მიხაკო შარაშიძე, გიგა ჩიქოვანი – სოციალისტ-ფედერალისტი, დიომიდე გეგია.⁷

ორგანიზაციის ანტისაბჭოთა შეკრებები სხვადასხვა ადგილებში ეწყობოდა. აგენტურული ცნობები იუწყება, რომ ერთ-ერთი შეკრება ივანე ქართველიშვილის ბინაში გაიმართა: „პლატონ კვირკველია ერთი დღე-ღამით ჩამოვიდა ბათუმში. ანტისაბჭოთა შეკრება ივანე ქართველიშვილის ბინაში გაიმართა, რომელსაც მიხეილ საბაშვილი თავმჯდომარეობდა. შეკრებას ესწრებოდნენ – ოზურგეთიდან ჩამოსული მარიამ სიხარულიძე, სერგო ყუფარაძე, ალექსანდრე ჩარგეიშვილი და კიდევ სამი უცნობი პიროვნება. კვირკველია 5 ივნისს, დღის 5 საათზე ლანჩხუთში გაემგზავრა, ლანჩხუთიდან კი ოზურგეთში ჩავა.

5. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 93-94.

6. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 14.

7. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 21.

კვირკველიას ოზურგეთში გამგზავრება ბანდიტების საქმიანობის რეორგანიზაციას უკავშირდებოდა, რეორგანიზაცია მიმდინარეობდა მთელ საქართველოში. კვირკველიას ოზურგეთში კარგად იცნობდნენ როგორც გიმნაზიის ყოფილ მასწავლებელს. ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ხელმძღვანელებად მუშაობდნენ შემდეგი პირები: ბათუმი – მიხეილ საბაშვილი, სერგო ყუფარაძე და ალექსანდრე ჩარგეიშვილი, ლანჩხუთი – აპოლონ კვირკველია, ოზურგეთი – ვლადიმერ გორგაძე, ელისო ანთელაძე, კირილე მჭედლიძე“.⁸

დეენის გამო საბაშვილი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ მისამართს და მისი ადგილსამყოფელი ოჯახის წევრებისთვისაც კი უცნობი იყო:

„მიხა საბაშვილსა და მის მეგობარ გიორგი კოპლატაძეს მუდმივი საცხოვრებელი მისამართი არ აქვთ. მათ მალავენ და ეხმარებიან შემდეგი პირები: აკაკი რამიშვილი, სერგო ყუფარაძე, დავით სარჯველაძე, ალექსანდრე ჩარგეიშვილი, აკაკი ხუჭუა და ასე შემდეგ. მიხა საბაშვილის ადგილსამყოფლის დასადგენად ჩვენი ინფორმატორი გაგზავნილ იქნა ოზურგეთში, საბაშვილის დედასთან. მისგან ვერაფერი გაიგო, მაგრამ საბაშვილის დედამ ინფორმატორს რძლისთვის გასაგზავნი წერილი გადასცა, სადაც ეწერა, რომ შეიტყო ანტონ იმნაძის დაპატიმრების შესახებ და იმედი ჰქონდა, მალე გაათავისუფლებდნენ. წერილი ინფორმატორმა საბაშვილის მეუღლეს ჩაუტანა, რომელმაც ასევე არ იცოდა საბაშვილის მისამართი და საუბარში მხოლოდ ის გაარკვია, რომ მიხო გიჟივით მოვარდება ხოლმე სახლში, გაჩერდება რამდენიმე წუთი და ისევ ქალაქში გარბის“.⁹

როგორც ჩანს, ბათუმში მიხეილ საბაშვილი საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა. პარტიაშიც და ანტისაბჭოთა ორგანიზაციაშიც მისი იმედი განსაკუთრებით ჰქონდათ, ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ჩანაწერი, რომელიც ასევე აგენტურულ ცნობებშია დაცული.

„ალექსანდროვის ბალთან გავლისას ჩვენმა ინფორმატორმა სამი საეჭვო პიროვნება შენიშნა, 2 მამაკაცი და ერთი ქალი. ისინი ერთმანეთში ჩუმად საუბრობდნენ. ინფორმატორი იქვე კუთხეში მიიმალა და მოსაუბრეებს ყური დაუგდო. ერთ-ერთმა მათგანმა დასძინა: არჩევნები ჩავარდა, რადგან ღამით დაპატიმრებები იყო. ძალიან ბევრი ადამიანი დააპატიმრეს, მათ შორის ჩვენებიდან ორი, კოპლატაძე – ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მეორე კომიტეტის წევრი – დოლიძე. თუმცა ჩვენს საქმიანობას ხელი არ შეეშლება, რადგან საბაშვილი თავისუფალია და ის უხელმძღვანელებს ყოველივეს“.¹⁰

ბერიას განკარგულების შემდეგ კიდევ უფრო აქტიურდება ძებნა მიხეილ საბაშვილზე. საბაშვილი ხშირად აფარებდა თავს ბათუმში მცხოვრებ ნათესავ ანტონ იმნაძესთან, რომელიც ხე-ტყის სანყობის მფლობელი იყო. იმნაძის სახლში ცხოვრობდა საბაშვილის მეუღლეც. სახლს საიდუმლო გასასვლელი ჰქონდა, ამიტომაც მისი დაჭერა შეუძლებელი იყო. იმნაძის სახლს „ჩეკისტებმა“ რამდენჯერმე მიაკითხეს, მაგრამ ამაოდ. კვალის ასარევად საბაშვილის მეუღლესთან წერილები კახეთიდან მოდიოდა, თითქოსდა მიხეილ საბაშვილი

8. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 28.

9. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 32.

10. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 56.

კახეთში იმყოფებოდა, თუმცა პარტიაში შეგზავნილი აგენტის მიერ ეს საიდუმლო მოგვიანებით გამოირკვა.¹¹

1924 წელი 6 მაისს გამოიცა განკარგულება: „დანესდეს ხუთ დღიანი თვალთვალი ანტონ იმნაძისა და სიმონ თოთიბაძის სახლებზე. მისამართები ოლგას ქუჩა №78 და პუშკინისა და საბჭოთა ქუჩების კუთხე. თვალთვალი განხორციელდეს შემდეგი ნიშნების მქონე პიროვნებაზე – საშუალოზე მაღალი, მოგრძო სახის, გრძელი და სწორი ცხვირი, წვერსა და უღვაშს იპარსავს, აცვია ნაცრისფერი პალტო და ახურავს ნაცრისფერი კეპი, ხანდახან ატარებს სამხედრო ფორმას.

საქმის შესრულება დაევალოს ყველაზე საიმედო, გამოცდილ და მოხერხებულ საიდუმლო თანამშრომლებს, რათა გამოირიცხოს ჩავარდნა. სახლების თვალთვალი უნდა განხორციელდეს შებინდებიდან შუალამემდე. სათვალთვალო ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში დააკავონ, საიმედო ადგილზე გადაამალონ და დაუყოვნებლივ აცნობონ საიდუმლო განყოფილებას“.¹²

ხუთი დღისა და ღამის განმავლობაში მიმდინარებდა ორივე სახლზე თვალთვალი, აკვირდებოდნენ ყველას, ვინც აღნიშნულ სახლებში შედიოდა და გამოდიოდა. განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტი იყო საბაშვილის მეუღლე – 28 წლის პედაგოგი პელაგია საბაშვილი. თუმცა ამ ხუთი დღის განმავლობაში საბაშვილი აღნიშნულ მისამართზე არ გამოჩენილა და არც თვალთვალზე აყვანილი პირები შეხვედრიან მას, რის გამოც 20 მაისს თვალთვალი აღნიშნულ მისამართებზე შეწყდა.¹³

თუმცა 1924 წლის 27 აგვისტოს მიხეილ საბაშვილს დეომიდე გეგიაძესთან ერთად მაინც აპატიმრებენ. როგორ და რა ვითარებაში მოხდა საბაშვილის დაპატიმრება, საქმიდან უკვე აღარ იკვეთება.

„1924 წლის 30 აგვისტოს გადახედილ იქნა რა საქმე მიხეილ სამსონის ძე საბაშვილისა, რომელიც გახლავთ 34 წლის, ქართველი, საშუალო განათლებით, დაბადებული ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში, დაოჯახებული. 1904 წლიდან მენშევიკური პარტიის წევრი და ასევე დეომიდე ალექსანდრეს ძე გეგიაძისა: 45 წლის, ვაჭარი, ქართველი, დაბადებული ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში, 1905 წლიდან მენშევიკი. დადგინდა, რომ ბრალდებულები ენეოდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობას და მონაწილეობდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. საბაშვილი იყო ბათუმის პარიტეტული კომიტეტისა და ბათუმის მენშევიკური პარტიის თავმჯდომარე, ასევე ხელმძღვანელობდა ბათუმის სამხედრო ფრონტს. გეგიაძე აქტიურ მენშევიკურ საქმიანობას ეწეოდა, მას ევალებოდა საზღვარგარეთიდან შემოსული პირების დახვედრა. სწორედ გეგიაძემ გააცვილა მატარებლით თბილისამდე ვალიკო ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილი, რომლებიც საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად ჩამოვიდნენ.

აქედან გამომდინარე და არსებული სიტუაციის გამო, მიხეილ სამსონის ძე საბაშვილსა და დეომიდე ალექსანდრეს ძე გეგიაძეს მიესაჯოთ სასჯელის

11. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 32.

12. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 59.

13. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 2, ფურც. 86.

უმაღლესი ზომა – დახვრეტა. ორივე პიროვნება დანარჩენებთან ერთად პირველ სექტემბერს, ღამის 3 საათზე დახვრიტეს“.¹⁴

დახვრეტილებს შორის იყო ანტონ იმნაძეც, რომლის ბინასაც საბაშვილი ოჯახთან ერთად აფარებდა თავს. განაჩენის შესაბამისად, ყველა დახვრეტილის ქონების კონფისკაცია მოხდა. საქმეში დაცულია ანტონ იმნაძის მეუღლის წერილი. ნინო ასლანის ასული იმნაძე აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს წერდა (სტილი დაცულია): „ა/ნ/ 31 აგვისტოს დახვრიტეს ჩემი ქმარი ანტონ იმნაძე. დავრჩით გარეთ დაყრილი მე და სამი მცირეწლოვანი ბოვშვები: ვლადიმერ, ქეთევან და ზინაიდა; რაც ქონება და ავეჯეულობა გვქონდა მე და ჩემს ქმარს ოჯახში, საგანგებო კომისიის განკარგულებით აწერეს: რამოდენიმე წაიღეს და რამოდენიმე დაბეჭდეს. დაბეჭდილია ჩემი საკუთარი ნაშთითვის ავეჯეულობა და ნივთები. საცხოვრებელი ბინაც არ დამიტოვეს თავის სახლში, რომელიც არის აშენებული უმთავრესი ნაწილად გარდა ჩემი შრომისა ჩემივე ნაშთითვი ფულით. ოთახები დაბეჭდეს და ბავშვებით ვყრივართ გარეთ. ჩემი ქმარი აწარმოებდა ხე-ტყის მასალის ვაჭრობას. ქონდა მოქ. ზაქარია გურგენიძესთან საერთო ხე-ტყის საწყობი, სადაც აწერეს მთელი მასალა და დაბეჭდეს... ამრიგათ, არც მე და არც მცირეწლოვან ბოვშვებს აღარ დაგვრჩა არც ბინა და არც არავითარი სახსარი, რომ ვიცხოვროთ, ვისაზრდოვოთ...“¹⁵ ეს არის ამონარიდი წერილიდან. იმნაძეების ოჯახი გამონაკლისი არ გახლდათ, მათ მსგავსად, ასობით ადამიანი იყო დარჩენილი უჭეროდ და უსახსროდ. საბჭოთა რეჟიმის პირობებში ცოცხლად დარჩენილებსაც ურთულეს პირობებში უხდებოდათ თავის გატანა...

ვასილ ჩიტაიშვილი

„ხან წავიფორხილებთ, ხან წელში გავიმართებით, მაგრამ ის მძიმე ჯვარი, რომლის გულისთვის თქვენ დღეს იტანჯებით მაინც მედგრად წინ უნდა ვწიოთ, ალთქმის კარებში უნდა შევიტანოთ!“ – ეს სიტყვები 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთ მონაწილესა და აჭარის ანტისაბჭოთა ორგანიზაციის კიდევ ერთ ლიდერს, 27 წლის ვასილ ჩიტაიშვილს ეკუთვნის, რომელიც იმ ოცდასამ ქართველს შორის იყო ერთ ღამეს რომ დახვრტეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ვასილ ჩიტაიშვილზე შემდეგი სახის ინფორმაციაა დაცული: ვასილ ჩიტაიშვილი 1898 წელს ოზურგეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სამინათმოქმედო სასწავლებელი, პროფესიით მხოლოდ რამდენიმე თვე იმუშავა, მოგვიანებით იყო მასწავლებელი. ჩიტაიშვილი პირველად საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წელს დააპატიმრეს 25 დღით. გათავისუფლების დღიდან კვლავ აქტიურად ჩაერთო ანტისაბჭოთა საქმიანობაში. 1922 წლიდან იყო მენშევიკური ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი. მას არაერთი პარტიული მეტსახელი ჰქონდა: „გლახუნა“, „აბრაგი“, „თარხანი“, ბათუმში მოღვაწეობის დროს მას იცნობდნენ როგორც „მოუსვენარს“, ხოლო თბილისის ცენტრს „კატოს“ მეტსახელით უკავშირდებოდა.

14. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24245, ტ. 1, ფურც. 61.

15. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 25311, ტ. 1, ფურც. 62.



ვასილ ჩიტაიშვილი

ვასილ ჩიტაიშვილი 1924 წლის 16 ივლისს დააპატიმრეს. ბრალად კონტრრევოლუციური საქმიანობა წაუყენეს. როგორც სისხლის სამართლის №22272 საქმიდან ირკვევა, პატიმრობაში მყოფი ვასილ ჩიტაიშვილი ერთადერთს ითხოვდა, მისთვის წიგნები მიეტანათ.

„პირველ აგვისტოს საუბარში თქვენ შემპირდით ჩემი საქმის დაჩქარებულ წარმოებას, აღმითქვით მეორე დღესვე დაკითხვაზე გამოძახება. გადის უკვე ერთი კვირა და საქმეს წინ წაწევა არ ემჩნევა კიდევ. არავის გაუძახებია. მე გაცნობებთ რა ამ გარემოებას, გთხოვთ გამიძახოთ დაკითხვაზე, ამით დააჩქაროთ ჩემი საქმე. რაც დამაპატიმრეთ მას აქეთ ვზივარ საკანში მარტო, ვერ ვსარგებლობ სისტემატიურად გაზეთებით. არ გამაჩნია საკითხავი წიგნები, ამიტომ გთხოვთ მომცეთ საშუალება ვისარგებლო საკითხავი წიგნებით მათხოვე სამკითხველოდან ან თქვენი“¹⁶ (სტილი დაცულია).

ვასილ ჩიტაიშვილის სისხლის სამართლის საქმეში ასევე იხსენიება მისი ჩანაწერების დღიური, რომელიც სწორედ 1924 წლით თარიღდება და აგვისტოს აჯანყების წინა პერიოდს ეხება. ერთ-ერთ ჩანაწერში იგი დაპატიმრებულ მეგობრებს მიმართავს: „საბრალო ვანო და გოგია! მესმის ეხლა ისე როგორც არასდროს თქვენი გულისტკივილი და განცდანი, წარმოდგენილი მაქვს თქვენი მდგომარეობა, მძიმეა და აუტანელი, მაგრამ რას იზამთ! ამას ხომ ყოველ წამს მოელოდით თქვენ და ჩვენც! ვარდი უეკლოდ ვის მოუგლეჯია?! ასეა ძმებო... ხან ვინ დაეცემა, ხან ვინ ჩავარდება, ხან წავიფორხილებთ, ხან წელში გავიმართებით, მაგრამ ის მძიმე ჯვარი, რომლის გულისთვის თქვენ დღეს იტანჯებით მაინც მედგრად წინ უნდა ვწიოთ, აღთქმის კარებში უნდა შევიტანოთ! იცოდეთ რომ ერთს ადვილზე ათი გაჩნდება, საქმე არ შეფერხდება... თქვენ მოგელით წამება, დამცირება, შეურაცხყოფა, მაგრამ ის დიდი საქმე, რომელიც ჩვენ გვასულდგმულებდა, დე, მაქაც, საძაგელ ჯურღმულებში, გახდეს გზის მანათობელი თავის ბრწყინვალე შუქებით, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება... დიდება ჩვენს მომავალს, დღეგრძელობა და ჯანმრთელობა, ვინც მისთვის თავს დებს!“¹⁷ ასეთი გახლდათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი კიდევ ერთი ახალგაზრდის ისტორია, რომელიც 1924 წლის პირველ სექტემბერს დახვრიტეს.

გიორგი ანჯაფარიძე აჭარის ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. მართალია, 1924 წელს იგი დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ აჯანყებაში მონაწილეობა მოგვიანებით, 1937 წელს გაუხსენეს და დახვრიტეს. გიორგი (გიზო) ნესტორის ძე ანჯაფარიძე 1887 წელს ქუთაისის გუბერნიის

16. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 22272, ფურც. 56.

17. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 22272, ფურც. 79-80.

სენაკის მაზრის სოფელ კინიაში დაიბადა. საშუალო განათლება ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში მიიღო. სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. 1913 წლიდან კი სამშობლოში დაბრუნდა.

მისი ხელმოწერა დაცულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. 1919 წლიდან იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1920 წელს აირჩიეს ბათუმის ქალაქის თავად. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ გამგზავრებულა და სამშობლოში დარჩა. 1921 წელს, სხვა პოლიტიკურ ფიგურებთან ერთად, დააპატიმრეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში არქივში დაცულია მისი წერილი, რომელშიც ავადმყოფი მამის გამო გათავისუფლებას ითხოვს. ამონარიდი გიორგი ანჯაფარიძის წერილიდან (სტილი დაცულია): „გუშინ მე გამომიცხადეს დადგენილება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში ჩემი საზღვარგარეთ გადასახლების შესახებ.

არ ვეხები საკითხს თუ რამდენად სამართლიანია ეს დადგენილება მოგმართავთ მხოლოდ ერთის თხოვნით...

მე საქართველოში მრჩება მოხუცი დედა, ცოლი, ორი მცირეწლოვანი ვაჟი და დაბლადაცემული მამა, რომელსაც არა თუ ადგომა და სიარული თავისი ხელით ჭამა-სმაც არ შეუძლია. მატერიალური სამშობლოში მე არაფერი არ მრჩება. ასე რომ უჩემოდ ჩემი ოჯახი განწირულია შიმშილისგან სიკვდილისთვის“¹⁸ – და ითხოვდა გათავისუფლებას.

ანჯაფარიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. თუმცა ამით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა არ დაუსრულებია. 1924 წლიდან გიორგი ანჯაფარიძე იყო დამოუკიდებელი კომიტეტის რწმუნებული ბათუმში და მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზებაში.

აჭარაში არსებულ მდგომარეობასა და შესრულებულ სამუშაოს ანჯაფარიძე მოგვიანებით შემდეგნაირად ახსნის (სტილი დასულია): „მე ვფიქრობ რომ ბათუმის ოლქში რწმუნებულის ფუნქცია განსაკუთრებული იყო. ეს არ გავდა იმ ფუნქციებს, რომელიც უნდა შეესრულებინა რწმუნებულს საქართველოს სხვა კუთხეებში. ბათუმის ოლქი განსაკუთრებული იმიტომ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი აქ აჭარლები არიან და ამიტომ განსაკუთრებული მიდგომა არის საჭირო. მე არ მილაპარაკნია ამის შესახებ და უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ვინც იქ ვმუშაობდით, გადავწყვიტეთ აჭარისტანში არ გვენარმოებინა არავითარი მუშაობა იმ სახით და იმ ხასიათით, რომელსაც დამოუკიდებლობის კომიტეტი აწარმოებდა. ჩვენ განსაზღვრული პოლიტიკური მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით არა ქალაქის, არამედ ოლქის. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ფაქტიურად არავითარი მუშაობა არ გვინარმოებია, მაგრამ თუ კი მოხდება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაემხოდა და იმ შემთხვევაში დაინყებოდა იქ ნამდვილი მუშაობა. იმიტომ რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იქ დიდ გამწვავებებს ჰქონოდა ადგილი“.¹⁹

1924 წელს ჩეკამ მისი მოხუცი მშობლები დააპატიმრა, რის შემდეგაც ანჯაფარიძე თავად ჩაბარდა. 1925 წელს გიორგი ანჯაფარიძე ე.წ. „პარიტეტული კომიტეტის“ პროცესზე გაასამართლეს.

18. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 21329, ტ. III, ფურც 16.

19. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 377, ტ. III, ფურც. 208.



გიორგი ანჯაფარიძე

პროცესზე დაკითხვის დროს აღიარა, რომ წინააღმდეგი იყო საბჭოთა ხელისუფლების, მაგრამ თავად აჯანყებას ამ ფორმით არ ეთანხმებოდა (დოკუმენტის სტილი დაცულია):

„როგორც არ უნდა ვუყურებდე აჯანყებას, უნდა ვაღიარო რომ მე მაინც მიდევს წილი და პასუხისმგებლობას ვღებულობ თავზე. მე ნათქვამი მაქვს ერთხელ და აქაც უნდა აღვნიშნო, რომ მე არ ვუყურებდი დადებითად ამ გადანყევტილებას, მე ვფიქრობდი, ეს მიზანშეწონილი არ იყო. რასაკვირველია მე იმის თქმა არ შემიძლია, რომ მიუხედავად ამისა ვიდექი საბჭოთა პლატფორმაზე, მე არ მიმაჩნია მისაღებად საბჭოთა ხელისუფლება, ამიტომ პრინციპი მე სრულად მისაღებათ მიმაჩნდა, მაგრამ მიზანშეწონილობა არ იყო ჩემი აზრით იმ პირობებში და იმ მდგომარეობაში, როგორც ეს მოხდა საქართველოში. ამიტომ მე ვი-

ყავი წინააღმდეგი, მაგრამ მიუხედავად ამისა მივიღებ პასუხისმგებლობას... მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ მსხვერპლი, რომელიც იყო გაღებული საქართველოს მიერ ვერ გამართლდება ვერცერთი მიზნით“.²⁰

სასამართლომ მას 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა სასტიკი იზოლაციით. სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ გადაასახლეს ომსკის მხარეში, 1935 წელს კი გადასახლებული იყო ციმბირში, სადაც ეგრეთ წოდებულ „ციმბირის ცენტრის“ საქმესთან დაკავშირებით კვლავ დააპატიმრეს და აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს, 1937 წელს კი დახვრეტა მიუსაჯეს.

1924 წლის 30 აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე მთელ საქართველოში საშინელი რეპრესიული ტალღა დატრიალდა. ქართველ ხალხს სისხლიანი დღეები დაუდგა, აგვისტოს აჯანყებას ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. განადგურდა ეროვნულ-პოლიტიკური ოპოზიციის დიდი ნაწილი. დაიხვრეტა პოლიტიკური ოპოზიციის, ოფიცრობის, თავადაზნაურობის, ინტელიგენციის, სამღვდელოების, გლეხობის, საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები, მაგრამ მიუხედავად ამისა და მიუხედავად მარცხისა – 1924 წლის აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული სულისკვეთების განსამტკიცებლად. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა არა თუ განელდა, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა, რისი ნათელი მაგალითიც იყო უკვე შემდგომი წლები, რომელსაც ასევე დიდი რეპრესიები მოჰყვა და საქართველოს ისტორიაში 1937-1938 წლები წითელი ტერორის სახელით შევიდა.

20. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 377, ტ. III, ფურც. 201.

ჭიათურის აჯანყება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საზოგადოების არცთუ ისე მცირე ნაწილი აგრძელებდა ანტისაბჭოთა საქმიანობას. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მომრავლდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციები, დაჯგუფებები და პარტიზანთა რაზმები, რომლებიც არსებული წყობილების დასამხობად ემზადებოდნენ.

ზუსტად 100 წლის წინ, 1924 წელს საქართველოს ყველა რეგიონი საყოველთაო სახალხო აჯანყებამ მოიცვა. ტყეს შეფარებული რაზმები ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ და მოსახლეობას აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სისხლის სამართლის №25153 საქმე. მასში თავმოყრილია აჯანყების მონაწილეთა ჩვენებები და იმ პირთა ჩამონათვალი, ვინც შორაპნის მაზრაში, კერძოდ კი ჭიათურის აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას (სტილი დაცულია):

„სია

იმ პირთა, რომლებიც დაპატიმრებულები არიან შორაპნის მაზრაში 28 აგვისტოს მენშევიკურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო და იგზავნებიან ქალთბილისში საქ. საგ. კომისიაში.

1. **გამყრელიძე ზურაბ არჩილის ძე** 24 წლის, მცხ. ზოდის ჭიათურის რაიონის, ყ/აზნაური, სტუდენტი, მემარჯვენე სოც. ფედერალისტი, ყოფილი მემამულე. ღებულობდა მონაწილეობას ჭიათურის გამოსვლებში აქტიურად იარაღით ხელში – აცილებდა ტუსად კომუნისტებს.
2. **მემარნიშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე** 24 წლის, გლეხი, მცხ. სოფ. რუფოთის, საშუალო განათლების, გამგე რგანის სასწავლებლის, სოც. ფედერალისტი მემარჯვენე 1917 წლიდან. მიიღო მონაწილეობა სოფ. რგანში იარაღით ხელში.
3. **კიდურაძე დავით ნესტორის ძე** 24 წლის, მცხ. ოზურგეთის, ჭიათურის გლეხკომის მდივანი, საშუალო განათლებით, ყოფილი შორაპნის მაზრის მილიციის მდივანი საბჭოთა ხელისუფლების დროს. უპარტიო მისივე განცხადებით, მონაწილეობა მიიღო ჭიათურაში და საჩხერეში გამოსვლებში იარაღით, შემდეგ 25 ბანდიტთან ერთად დანებდა ხელისუფლებას.
4. **მაჭავარიანი ალექსანდრე ფარნაოზის ძე** 22 წლის, მცხ. საჩხერის, ყ/აზნაური, მასწავლებელი, საშ. მესაკუთრე, 1918 წლიდან მემარჯვენე სოც. ფედერალისტი, პირველად ყოვლისა, ვინემ ჭიათურაში სროლა შეიქნებოდა 28 აგვისტოს დილის 4 საათზე ორგანიზაციის დავალებით მან შოთა გამყრელიძესთან ერთად განაიარაღა რკინისგზის ჩეკისტი და შემდეგშიდაც მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში შეგნებულად.
5. **ალფაიძე ნიკო სიმონის ძე** 50 წლის, ქუთაისის მცხ. მუშაობდა ქ. ჭიათურაში, გლეხი, წვრილი მესაკუთრე, წერაკითხვის მცოდნე, მენშევიკი 1905 წლიდან. გამოსვლებში მიიღო აქტიური მონაწილეობა იარაღით.

ს ი ა 30
იმ პირობით დაეხმარებოდნენ მოსკოვის მანქანაში. ეს შეიქცა მინდა დროს ვახსოვდნენ მინაწერიდნენ სახელს და იტყვიან რისი. მიიღეს საქანა, კონსტიტუცია...
1/ვაგანობით შერაცხირის ძე 24 წლისა. შიშის ზიარების ჩაბრის...
2/შერაცხირის ძე 24 წლისა. შიშის ზიარების ჩაბრის...
3/ვაგანობით შერაცხირის ძე 24 წლისა. შიშის ზიარების ჩაბრის...
4/ვაგანობით შერაცხირის ძე 24 წლისა. შიშის ზიარების ჩაბრის...
5/ვაგანობით შერაცხირის ძე 24 წლისა. შიშის ზიარების ჩაბრის...
6/ვაგანობით შერაცხირის ძე 24 წლისა. შიშის ზიარების ჩაბრის...
7/ვაგანობით შერაცხირის ძე 24 წლისა. შიშის ზიარების ჩაბრის...

92
ქრე იაილი ბედი...
1/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
2/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
3/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
4/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
5/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
6/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
7/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
8/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
9/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...
10/ჩანობით ვინა გილოის ძე 44 წლისა...

- 6. აბდუშელიშვილი პლატონ დიმიტრის ძე 46 წლის, მცხ. სოფ. მერევის, ყოფ. აზნაური, საშ. მესაკუთრე, შინაური განათლებით, უპარტო. მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში იარაღით.
- 7. ლეყავა დავით კონსტანტინეს ძე 31 წლის, მცხ. დიდი ჯიხაისში, ზეინკალი... „კარუტოს“ გლეხი, წვრ. მესაკუთრე, შინაური განათლების, მენსევიკი 1912 წლიდან. მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იყო დაპატიმრებული ქუთაისის პოლიტბიუროში 24 მაისის გამოსვლებში მონაწილეობის მიღების გამო 1922 წელში.
- 8. მოდებაძე სიმონ საჩინოს ძე 35 წლის, მცხ. ქ. ქიათურის, გლეხი, მინის მუშა, წვრ. მესაკუთრე, მდაბალი განათლებით, მენსევიკი 1913 წლიდან, ოფიციალურად გამოსული პარტიიდან, მიიღო გამოსვლებში აქტიური მონაწილეობა იარაღით.
- 9. კოპალეიშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე 26 წლის, მცხ. სამტრედიის, ქიათურის პროფკავშირის საქმის მწარმოებელი, მდაბალი განათლებით, გლეხი, ლებულობდა მონაწილეობას ქიათურის გამოსვლებში. იყო დანიშნული ფოსტა-ტელეგრაფში სამუშაოდ აჯანყებულების მიერ.
- 10. ზაქარიაძე სანდრო იოსების ძე 36 წლის, მცხ. სამტრედიის, სოფ. ჭაგანის, ვაჭარი ღვინით, შინაური განათლების, უპარტო, ლებულობდა მონაწილეობას იარაღით.
- 11. ჩუბინიძე ბარნაბა ტარიელის ძე 31 წლის, მცხ. ქიათურის, გლეხი, სპეციალობა ტელეგრაფისტი, მუშაობს კომუნალური განყოფილების

სანყობში, უპარტიო, დაბალი განათლების, მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში, დანიშნული იქმნა აჯანყებულების მიერ ფოსტა-ტელეგრაფის კომისრად.

12. **გალანდი კოსტა პანაიოს ძე** 40 წლის, მცხ. წარქვალის, გლეხი, ბერძენი, შინაური განათლების, შავი მუშა „ფორუდის“ ფირმაში, უპარტიო, ყოფ. მენშევიკი, მიიღო აქტიური მონაწილეობა გამოსვლებში იარაღით ხელში.
13. **წერეთელი ივანე დიმიტრის ძე** 33 წლის, მცხ. ხრეთის, ყ/აზნაური, მიწის მუშა, შინაური განათლების, წვრ. მესაკუთრე, მენშევიკი 1918 წლიდან, მიიღო აქტიური მონაწილეობა იარაღით ხელში.
14. **კახიძე გრიშა სოლომონის ძე** 24 წლის, ჭიათურის მცხ. ყ/აზნაური, შავი მუშა მაღარო „კარუტოს“, დაბალი განათლების, უპარტიო. ღებულობდა მონაწილეობას გამოსვლებში იარაღით. ყოფილი ბანდიტი.
15. **წერეთელი ვანო სერგოს ძე** 34 წლის, მცხ. მერევის, ყ/აზნაური, მემამულე, შავი მუშა, მდაბალი განათლების. 1905 წელში იყო მარქსისტთა ორგანიზაციაში. გამოსვლებში მიიღო აქტიური მონაწილეობა იარაღით ხელში.
16. **მაჭავარიანი ანდრო ზურაბის ძე** 24 წლის, მცხ. ყ/აზნაური, დაბალი განათლების, ... დამცველი რაზმის მოსამსახურე, ...ღებულობდა მონაწილეობას დ. საჩხერეში გამოსვლებში აქტიურად იარაღით ხელში, გ. აბდუშელიშვილის რაზმში.
17. **ჩაჩანიძე კონია გრიგოლის ძე** 44 წლის, ყოფ. მაიორი, ღებულობდა მონაწილეობას აქტიურს – ხელმძღვანელობდა ჭიათურის რაზმს აჯანყებულებისას, ამოცანა იყო მისი ქალ. ჭიათურის აღება, რომელიც შეასრულა. იყო დანიშნული ჭიათურის კომენდანტად.
18. **ჩაჩანიძე გრიგოლ ლევანტის ძე** 31 წლის, ხუთ-კლასიანი, მენშევიკი, ყოფილი ოფიცერი გვარდიის, ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ რაზმს.
19. **ქავთარაძე ლავრენტი გიორგის ძე** 55 წლის, ყ. აზნაური, საშ. მესაკუთრე, მიკიტანი, დ. საჩხერეში გამოსვლებში ღებულობდა იარაღით ხელში მონაწილეობას.
20. **ჩაჩანიძე ილარიონ ოქროპირის ძე** 34 წლის, ყ/მწერალი მეფის ჯარში, საშ. მესაკუთრე, კულაკი, გლეხი, 6 კლასის განათლებით. გამოსვლებში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას იარაღით.
21. **ჩაჩანიძე ტიტე აბესალომის ძე** 29 წლის, სოფ. შუქრუთის მცხ. ჭიათურის რაიონის, ყ/ოფიცერი, მსახურობდა „ჩონში“ ოფიცრად. მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში აქტიურად იარაღით.
22. **გაფრინდაშვილი თა(ო)დუოზ ივანეს ძე** 34 წლის, მცხ. სოფ. შუქრუთის, გლეხი, დაბალი განათლების, ყოფ. ოფიცერი, მწონელი სააქციო საზოგადოების, ყ/მასწავლებელი, ესერი, მიიღო აქტიური მონაწილეობა იარაღით ხელში, ხელმძღვანელობდა ნაწილს აჯანყებისას, იცოდა წინასწარ გამოსვლები.
23. **ჭუმბურიძე შალვა ამბაკოს ძე** 29 წლის, მცხ. სოფ. (ჭვარი) ენერის, სტუდენტი მესამე კურსის, ყოფ. მენშევიკი, ოფიციალურად გამოსული

პარტიიდან, განაგრძობს არალეგალურ მუშაობას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ – ქიათურის რაიონში ხელმძღვანელობდა რამდენიმე ორგანიზაციას. გამოსვლებში ლებულობდა მონაწილეობას იარაღით.

- 24. ნეფარიძე მინა ვლადიმერის ძე** 33 წლის, მცხ. შუქრუთის, კულაკი, წერა-კითხვის მცოდნე, მეურნე. გამოსვლებში მიიღო მონაწილეობა იარაღით ხელში, შევიდა საბჭოს თავმჯდომარე დარბაიძესთან გასაიარაღებლად, სადაც გაისროლა რამდენიმე ტყვია თოფიდან.
- 25. გამყრელიძე შოთა გაბრიელის ძე** 22 წლის, მცხ. საჩხერის, დაბალი განათლებით, ყ/აზნაური. მიიღო ქ. ქიათურის გამოსვლებში აქტიური მონაწილეობა იარაღით. პირველმა მან განაიარაღა ჩეკისტი...
- 26. ჩუბინიძე ივანე ფარსადანის ძე** 25 წლის, მცხ. სოფ. ხრეთის, ყოფილი გვარდიელი, ბანდიტი, წერაკითხვის მცოდნე, შავი მუშა. გამოსვლებში მიიღო აქტიური მონაწილეობა იარაღით ხელში. დაჭერილ იქმნა ბრძოლოს დროს.
- 27. კახიძე სეფე დავითის ძე** 38 წლის, მცხ. სოფ. ჩხარის, ყ/აზნაური, საშ. მესაკუთრე, ყ/ბანდიტი, ეროვნულ-დემოკრატი. ლებულობდა მონაწილეობას ჩხარის გამოსვლებში, აქტიურად იარაღით ხელში, გამოცხადდა თავისი ნებით

შორაპნის მაზრის საგანგებო სამეულის თავმჯდომარე: ვალ. გოგიბერიძე¹.

დასავლეთ საქართველოში აჯანყება შორაპნის მაზრაში, ქიათურასთან ახლოს 28 აგვისტოს დაიწყო. ამბოხებულებმა ხელისუფლებას იარაღი აჰყარეს და დააპატიმრეს. მალევე დაიკავეს ქალაქი ქიათურაც. აჯანყებაში აქტიურად იყო ჩართული სოფელ შუქრუთის მკვიდრი, 43 წლის კონსტანტინე გრიგოლის ძე ჩაჩანიძე. ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში დაცულ დადგენილებაში ვკითხულობთ: გასული წლის 27 აგვისტოს ჩაჩანიძე შეხვდა ვინმე გიორგი წერეთელს, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია, რომ საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმის დასამხობად იგეგმებოდა საყოველთაო სახალხო ამბოხი და მოუწოდა ჩაჩანიძეს, როგორც გამოცდილ ოფიცერს, აქტიური მონაწილეობა მიეღო ქიათურის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილის ალებში, რაზეც ჩაჩანიძემ თანხმობა განუცხადა.

მეორე დღეს, 28 აგვისტოს, დილას ჩაჩანიძე გამოცხადდა დათქმულ ადგილას. მის განკარგულებაში იყო შეიარაღებული 20 კაცი. მან ამ დაჯგუფებით მოახერხა და დაიკავა ქიათურის პარტკომის შენობა და საავადმყოფო. მას შემდეგ, რაც ამბოხებულებმა ქიათურა აიღეს, მათი რიცხვი 200-მდე გაიზარდა. ამბოხის მთავარი ხელმძღვანელის, სიმონ წერეთლის მოსვლის შემდეგ კონსტანტინე ჩაჩანიძე ქიათურის კომენდანტად დაინიშნა.²

არეულობა მთელ რეგიონს მოედო. აჯანყებულთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. ქალაქის ალების შემდეგ ამბოხებულებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური.

მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბი დიდი იყო, აჯანყებულები მაინც დამარცხდნენ.

1. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 25153, გვ. 90-93.

2. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 25153, გვ. 393.

1924 წელს ენციკლისთვის 20 ლოცხა მე შორაპნის მავრის ინჟორპუნქვის უფროსმა მ. ლომიძემ ვანეზილი რა საქმე III კვ ბრალდებით ა/წ 28-29 ავი სხვის შორაპნის მავრამი მენშევიური გამოსვლებში მონაწილეობის მიუბღამს

1/	ვანეზილი მე რუბა არჩილის მე 24 წლის მეც	სოფ. ზოლის
2/	მონაწილეილი ნიკოლოზ კონსტანტინეს მე	28
3/	აბოლოვებული ვანეზილის მე	28
4/	ვახუშტის მავრის მე	28
5/	ვალაშიძე ნიკო სიმონის მე	50
6/	აბოლოვებული ვანეზილის მე	40
7/	ვალაშიძე ვანეზილის მე	34
8/	ვალაშიძე სიმონის მე	34
9/	ვალაშიძეილი ვალაშიძე სიმონის მე	28
10/	ვახუშტის მავრის მე	28
11/	ვალაშიძე მარტო ვარციხის მე	27
12/	ვალაშიძე ვანეზილის მე	40
13/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	35
14/	ვალაშიძე ვანეზილის მე	28
15/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	34
16/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	24
17/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	44
18/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	21
19/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	35
20/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	34
21/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	28
22/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	34
23/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	28
24/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	33
25/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	28
26/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	25
27/	ვალაშიძეილი ვანეზილის მე	38

და მივიღე მხედველობაში რომ აღნიშნული შემო ბრალდებულების წინააღმდეგ - ანა საქმეში არის სავნაო საბრალდებლო მასალები რითაც აღნიშნული ბრალ დებულებს წინააღმდეგი ბრალდება შეიარაღებული გამოსვლებში საბჭოთა ხელ ის უფლებს წინააღმდეგი მონაწილეობის მიუბღამს სავსებით დაუმჯავდებლად /იხი/ ვერდი III-2 / ა ბ ვ ა ლ გ ი ნ ე : საქმე ესე აღნიშნული შემო 27 შავი მარტორ ვალაშიძის საქართველოს სავანებო კომისიაში სათანადო მასა ლის მისაგებათ თანახმად მათვე ქონებულ საბრალდებულ მასალებსა -

ს ნ მ ბ ა : აღნიშნული რეზილი 27 შავი მარტი იმჟამინდითან ანახანდევ ერთად ე. თბილისში -

შორაპნის ინჟორ-უნჯვის უ ფ რ ა ს ი :
* "ვალაშიძე" სავანებო სამეულის თაგ-რე: უკო. უკოცხა
I. დ. *[Signature]*
წებრები: 2.
Составил: *[Signature]*
[Signature]

29 აგვისტოს შორაპნის მავრა უკვე ხელისუფლების ხელში იყო, სადამოს-თვის კი - ქალაქი ამბოხებულებისაგან განმედილი. აჯანყების მარცხის შემ-დეგ ჩაჩანძემ, სხვა პირებთან ერთად, ქალაქი დატოვა.

ჭიათურაში აჯანყების ჩახშობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრე-სიების განხორციელება დაიწყო, რასაც მასობრივი დაპატიმრებები მოჰყვა. აჯანყებაში მონაწილეებსა და მათ ხელშემწყობებს ხელისუფლების მიერ შექმ-ნილი გამსამართლებელი ორგანო, ე.წ. „ტროიკა“ ძიებისა და გასამართლების გარეშე აპატიმრებდა, ქვეყნიდან ასახლებდა და ხვრეტდა კიდევ.

„1924 წლის 10 სექტემბერს ხელისუფლების წარმომადგენლებმა კ. ჩაჩანიძე კოკისწყალთან (მდ. კორისწყალი ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტი, - ავტ.) ტყეში დაიჭირეს“³.

ჩაჩანიძესთან ერთად დაკავებულები იყვნენ:

3. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 25153, გვ. 393.

„წერეთელი ივანე დიმიტრის ძე 33 წლის, სოფელ ხრეთის მკვიდრი, ყოფილი აზნაური, შინაური განათლებით, ყოფილი მენშევიკი;

ჭუმბურიძე ივანე ფარსადანის ძე, 25 წლის სახალხო გვარდიელი, განათლებული, შავი მუშა;

ჩუბინიძე შალვა აბრაამის ძე, 29 წლის, მესამე კურსის სტუდენტი, ყოფილი მენშევიკი;

კახიძე სეფე დავითის ძე, 38 წლის, ყოფილი აზნაური, უპარტიო, ღარიბი;

ბრალეულობის საქმის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ ეს პირები შეიარაღებულ აჯანყებაში მხოლოდ ტექნიკურ მონაწილეობას იღებდნენ. ამიტომაც, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ЦИК) მესამე სესიის (1925 წლის 7/III) ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდნენ პატიმრობიდან.

თავად კონსტანტინე ჩაჩანიძე დამნაშავედ ცნეს კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, მასზედ, რომ იგი გააზრებულად მოქმედებდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. შეიარაღებული, პირველი შეიჭრა და აჯანყებულ რაზმთან ერთად აიღო ქალაქი, საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ 1925 წლის 25 მარტის დადგენილებით, მიუსაჯა 5-წლიანი პატიმრობა მკაცრი იზოლაციით“.⁴

თუმცა ესეც არ აკმარეს... 1926 წლის 23 ივნისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, „ჩაჩანიძე სპეცდანიშნულების იზოლატორში მასთან ერთად საკანში მყოფი პატიმრების მიმართ სისტემატურად ავლენდა დანაშაულებრივ ქმედებებს. ცენტრალური გამანაწილებელი კომისიის დასკვნით, იგი მიჩნეულ იქნა, როგორც სოციალურად საშიში ელემენტი და რსფსრ-ის სასჯელალსრულების ადგილების მთავარი სამმართველოს მოთხოვნით, გადაწყდა მისი გადაზავნა ნოვოჩერკასკის იზოლატორში“.⁵

სამეულის სხდომის 1937 წლის 17 ნოემბრის ოქმის მიხედვით ირკვევა, რომ კონსტანტინე ჩაჩანიძე გადასახლებაში 1924 წლიდან 1935 წლამდე იმყოფებოდა. თითქმის 11 წელი გადასახლებაში მყოფი ჩაჩანიძე საბჭოთა ხელისუფლებამ უყურადღებოდ არ დატოვა და მას, როგორც განსაკუთრებულად საშიშ სოციალურ ელემენტს, რომელმაც თავი დამნაშავედ არ ცნო, 1937 წელს კვლავ 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

4. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 25153, გვ. 393.

5. იქვე, გვ. 399-400.

„ზინს რვენთან არ არის, რენი მტერია“

1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ საქართველოს რეპრესიების მასშტაბურმა ტალღამ გადაუარა. ეს იყო ურთულესი პერიოდი ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონისთვის, გამონაკლისი არც კახეთი გახლდათ. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა სამინელი სისასტიკე გამოავლინეს და მათთვის მიუღებელი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელს აჯანყებულის იარლიყი მიაკერეს. ძირითად სამიზნეს განათლებული საზოგადოება, ინტელიგენცია წარმოადგენდა. არ ინდობდნენ არავის, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, ხვრეტდნენ, შემდეგ კი დახვრეტილთა სიებს საჩვენებლად კედლებზე აკრავდნენ, უფრო დიდი შიში და ტერორი რომ დაეთესათ.

ამჯერად მკითხველს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ერთი დოკუმენტი გვინდა წარვუდგინოთ, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი, რა ხდებოდა მეოცე საუკუნის ოციან წლებში თელავის მაზრაში.

„თუ ვინმე მათ ინტერესს არ იზიარებდა, კონტრრევოლუციონერად მონათლეს. მღვდლები სახალხოდ გაპარსეს, ეკლესიებში ღვთისმსახურება შეწყვიტეს. ხატებს იარაღს უმიზნებდნენ, ვინ უკეთ მოახვედრებდა თვალში, შემდეგ ხსნიდნენ კედლებიდან და წვავდნენ“, – ვკითხულობთ შსს არქივში დაცულ №2426 სისხლის სამართლის საქმეში. აღნიშნულ საქმეში ინახება ირაკლი რაზმაძის ძალიან მნიშვნელოვანი წერილი მამის შესახებ და მისი რეაბილიტაციის მოთხოვნა. წერილი ნათელ სურათს ქმნის გასული საუკუნის თელავის შესახებ და ამიტომაც მკითხველს აღნიშნულ დოკუმენტს მცირედი შემოკლებით ვთავაზობთ:

1921-1924 წლები საქართველოში

ეს წლები საქართველოს რეპრესიებს უკავშირდება. გამოსცეს ლოზუნგი: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“. თუ ვინმე მათ ინტერესს არ იზიარებდა, კონტრრევოლუციონერად მონათლეს. მღვდლები სახალხოდ გაპარსეს, ეკლესიებში ღვთისმსახურება შეწყვიტეს. ხატებს იარაღს უმიზნებდნენ – „ვინ უკეთ მოახვედრებდა თვალში“, შემდეგ ხატებს ხსნიდნენ კედლებიდან და წვავდნენ. ერთხელ, როდესაც გავბედე და ვუთხარი, რას აკეთებთ, ეს ხომ ხალხის საკუთრებაა, კულტურული ღირებულებაა-მეთქი, ცემა დამიპირეს, მაგრამ გაქცევა მოვასწარი.

იმას აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ, ქვეყნის ბატონ-პატრონები ეგონათ თავი. ხოლო თუ შეეწინააღმდეგებოდით, კონტრრევოლუციონერად გამოგაცხადებდნენ და გაგისწორებდნენ.

რეპრესიები და საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის განადგურება აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში არანაირი ამბოხება, წინააღმდეგობის მოძრაობა, საპროტესო მიტინგი არ ყოფილა. ცხოვრება თავისი დინებით მიედინებოდა და უცებ, რაღაც ავანტიურა გამოიგონეს. დღისით და ღამით დაიწყეს მასობრივი დაპატიმრებები. არ იყო შებრალება, ბავშვებს მშობლების გარეშე ტოვებდნენ, მოხუცებს – პატრონის.

ღამით, როდესაც მე შინ არ ვიყავი, ძიძა ნათესავებთან გურიაში იმყოფებოდა და სახლში მხოლოდ ჩემი 10 წლის და და მამა იყვნენ, „პოლიტბიუროდან“ მივიდნენ და მამა დააპატიმრეს. მთელი სახლი გადაატრიალეს, რას ეძებდნენ, არ ვიცი.

შინ რომ დავბრუნდი, ყველაფერი თავდაყირა იყო, ჩემი და სანოლში თავჩარგული იწვა და ტიროდა.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ პოლიტბიუროდან კაცი გამოიყვანეს საკაცით და საავადმყოფოში წაიყვანეს. მამა მხოლოდ ლაბადით ვიცანი, ისე იყო ნაცემი და ნანამები. ექიმთან კაბინეტში შევიჭერი. საკაცე ძირს იდო და მამა უგონოდ იწვა. ექიმმა გიორგი ავალიშვილმა მთხოვა, კაბინეტიდან გავსულიყავი და დამპირდა, ყველაფერს გავაკეთებ, რისი გაკეთებაც შეიძლებაო. დერეფანში ჩეკისტები იდგნენ და მამას დარაჯობდნენ, მე მათ ჯალათები და ხალხის მკვლელები ვუნოდე, ყველა იმ ეპითეტით შევამკე, რასაც თავიანთ მბრძანებლებთან ერთად იმსახურებდნენ. ოთხმა პირმა ალყაში მომაქცია, გამაკავეს და პოლიტბიუროში მიმიყვანეს, იქიდან კი საკანში ჩამსვევს. იმავე საკანში ჩემი თანაკლასელი საშა ჯორჯაძეც იჯდა. მან სინანული გამოთქვა, ლაბადა რომ არ მეცვა (ავვისტო იდგა), მითხრა, რომ ცემის დროს ლაბადა დარტყმებისგან მიყენებულ ტკივილს შემიმსუბუქებდა. ღამით პოლიტბიუროს უფროსთან, ჯაფარიძესთან შემიყვანეს. მან ნოტაციები წამიკითხა და იმ პირობით გამიშვა, რომ თვალში აღარ გავჩხეროდი.

საშა ჯორჯაძე ჩემზე ცოტათი უფროსი იყო, ტექნიკუმი იმ წელს დაამთავრა და კომკავშირში მხოლოდ იმიტომ შევიდა, რომ „ბრაუნინგი“ მიეღო. იარაღს ყველას დაჰპირდნენ, ვინც იმ წელს კომკავშირელი გახდებოდა. როდის გაათავისუფლეს, არ ვიცი.

სამი-ოთხი დღის შემდეგ მასობრივი დახვრეტები დაიწყო. იმ ღამით 17 წლის ლამაზი ბიჭი, საშა ჯორჯაძე, როგორც კომკავშირელი, პატრულში გაგზავნეს. ციხე და პოლიტბიურო მოედანთან ახლოს იყო. საშა ჯორჯაძემ პოლიტბიუროსთან მისვლისას გაიგო, რომ იქ მამამისი და ბიძა ჰყავდათ მიყვანილი.

ერთი სართულით ქვევით, აივნის ქვეშ ასევე ჰყავდათ ხელშეკრული პატიმრები, მათ შორის ჩვენი თანატოლი სულხან სულხანიშვილიც.

საშა ჯორჯაძე ჯაფარიძესთან შევიდა კაბინეტში და სთხოვა, „მე ხომ კომკავშირელი ვარ, თქვენიანი, მაჩუქეთ მამისა და ბიძის სიცოცხლე“. ჯაფარიძემ უარი უთხრა და ოთახიდან გააგდო, თუმცა საშა არ ეშვებოდა, ისევე შევიდა ჯაფარიძესთან და ასევე სხვა ჯალათებთან თხოვნით, ჯაფარიძემ კი დაუყვირა – დაიკარგე, ძაღლის გაგდებულს, თორემ შენვე დაგახვრეტიანებთ მასაც და ბიძასაცო. გამნარებულმა საშა ჯორჯაძემ ამოიღო მათივე მიცემული

„ბრაუნინგი“ და ორი ტყვია ესროლა ჯაფარიძეს, ხელში დაჭრა ქორიძე, ხოლო როცა მათიკაშვილისკენ შებრუნდა, ტყვია გაიჭედა და გასროლა ველარ შეძლო. ალექსანდრე ჯორჯაძე იქვე, მამისა და ბიძის თვალწინ დაცხრილეს და ხმლებით აკუნეს.

ჯაფარიძის კაბინეტში განუკითხავი სროლა ატყდა, ასევე აივანზე, ქვედა სართულებზე, ქუჩაში, მოედანზე, ციხის კართან. ხალხს ხვრეტდნენ მასობრივად, ხმლებით კუნავდნენ, სისხლის მდინარე ზედა სართულიდან ქვევით, აივანზე მოედინებოდა, სადაც ხელშეკრული პატიმრები დახვრეტას ელოდნენ. ამ ქაოსში მამაჩემი საკაცით გამოიყვანეს და იქვე გამოასალმეს სიცოცხლეს. ერთი დღის შემდეგ, როდესაც დახვრეტილების სია გამოაკრეს კედელზე, მამაზე ეწერა, რომ დახვრიტეს, როგორც ინტელიგენტი.

ინათა. ეს ყველაფერი პატარა ქალაქ თელავის ცენტრში ხდებოდა. საჭირო იყო გვამების გატანა, სისხლის ჩამორეცხვა. ქვედა სართულზე მყოფების დახვრეტა ველარ მოასწრეს, რადგან მეორე დღეს მოვიდა განკარგულება დახვრეტების შეჩერების შესახებ.

ამგვარად, 17 წლის კომკავშირელმა ჯორჯაძემ თავი გასწირა. მართალია, მამისა და ბიძის გადარჩენა ვერ შეძლო, თუმცა თავის სიკვდილით გადაარჩინა ქვედა სართულზე დასახვრეტად გამზადებული ათობით ადამიანი.

მოგვიანებით საბჭოთა პრესაში დაინერა, რომ ჯაფარიძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოკლეს მენშევიკებმა, სიმართლე კი დაიმალა...

ამ მოვლენებიდან ბევრი საკუთარი თვალით ვიხილე, ზოგიც ქორიძემ და შემთხვევით გადარჩენილმა სულხან სულხანიშვილმა მიაგმო.

იმავე დღეს ჩემმა ამხანაგმა ელიზბარ ბურდილაძემ თელავიდან მე და ჩემი და სოფელ ვაჩნაძიანში წაგვიყვანა. მეორე დღეს მეზობელმა გამაფრთხილა, რომ თელავში პოლიტიურადან მისულან ჩემ წასაყვანად და დასახლისს უთქვამს, სადაც ვიმყოფებოდით. სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას, ბალებისა და ვენახების გავლით ორი სოფელი გადავიარე. ღამის გასათევად სოფლის მასწავლებლის ოჯახში გავჩერდი. დილით კი მუკუზანის სადგურზე მივედი, რათა თბილისში გავმგზავრებულიყავი. რალაც განსაკუთრებული შემთხვევის გამო ბილეთები არ იყიდებოდა. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ჯაფარიძის გვამს მიასვენებდნენ, რომელიც მიყენებული ქრილობებისგან გარდაცვლილიყო.

მატარებელზე მალულად ავძვერი, ხოლო გურჯაანში ნახევრად ცარიელი ვაგონი რომ მიაბეს, თავისუფალი ადგილი ვიპოვე და სხვებისთვის შეუმჩნეველად კუთხეში მივიყუყე. როგორც კი დავიძარი, ჩემ წინ იმ საბედისწერო ღამით დაჭრილი ქორიძე დაჯდა და ყველაფერი მიაგმო, რაც მოხდა. როგორც ჩანს, ქორიძე ჯაფარიძის გვამს მიაცილებდა.

სამი პირი მომიახლოვდა, ჩეკისტები იყვნენ და შემამჩნიეს. მათთან ქორიძე მივიდა, რალაც უთხრა. სიტყვების გარკვევა მოვახერხე და მიუხედავად იმისა, რომ ჩეკისტები გაგვეცალნენ, დაპატიმრების საფრთხეც ვიგრძენი. თუმცა არ შევიმჩნიე და ქორიძეს ვუთხარი, რომ თელავში ერთ კვირაში დავბრუნდებოდი და სამსახურის დაწყებაში დამხმარებოდა. დახმარებას დამპირდა, ასევე დასძინა, რომ თბილისში კომენდანტის საათი იყო, ქალაქში არ შემიშვებდნენ და შემომთავაზა, მანქანა უნდა დამხვდეს და დანიშნულების ადგილამდე მიგიყვანო. მაღლობა გადავუხადე და შევთანხმდით, რომ გასასვლელთან დაველოდებოდი.

ჩამოხსნულა. ვაგონში განათება არ იყო. ქორიძე რომ გავიდა, თბილისს ვუახლოვდებოდით. მე კი ჩუმად გავიპარე და სხვებისთვის შეუმჩნევლად მატარებლიდან გადავხტი. სტუდენტურ საცხოვრებელთან რომ მივედი, სადაც ოთახი მქონდა, შევამჩნიე, რომ შესასვლელ კართან ტყავის ქურთუკებში გამონყობილი შეიარაღებული ჩეკისტები იდგნენ. ისევ დამალვა მომიწია. საარსებო საშუალება არ მქონდა, ვშიმშილობდი. არსაიდან იყო საშველი. მამაჩემის ყოფილ მოსწავლესთან, ანდრო ახმეტელთან მივედი, რომელიც უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის მოადგილე იყო და ყველაფერი ვუამბე. მან დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. ვთხოვე, სამსახურის დაწყებაში დამხმარებოდა. რამდენჯერმე მომიწია ახმეტელთან მისვლა. მორიგი ვიზიტის დროს უცნობ პირთან უნდა მივეყვანე. კიბეზე მათიკაშვილი შემხვდა. რომ დამინახა, „მაუზერი“ მოიმარჯვა და ყვიროდა, რომ მის მოსაკლავად ვიყავი მისული. დამაპატიმრეს და სადღაც მიმიყვანეს დასაკითხად.

მათიკაშვილმა დაკითხვის დროს მკითხა, თუ რატომ დავტოვე პოლიტბიუროს შენობა და თელავი უნებართვოდ. ვუპასუხე, რომ მსგავსი აკრძალვა არ მქონია. ჩემი დაკითხვის ოქმის შედგენა დაიწყო და დასრულების შემდეგ, ფურცელი გადმომცა რომელშიც ეწერა, რომ მამა კონტრრევოლუციონერი იყო და სწორად მოიქცნენ, რომ დააპატიმრეს და დახვრიტეს, მე კი ამაზე ხელი უნდა მომეწერა. ვუთხარი, რომ წერა-კითხვა ვიცოდი და თავად დაწერდი ჩვენებას, რაზეც პასუხად მივიღე, ზედმეტი ლაპარაკის გარეშე მომეწერა ხელი. ჩვენება გადავხიე. ამას არ ელოდა და ცოტა დაიბნა, შემდეგ კი მოულოდნელად მკითხა, რატომ არ გინდა ჩვენთან მუშაობა? ვუპასუხე, რომ ახმეტელთან სწორედ სამსახურის საკითხზე ვიყავი მოსული. მან კი ცინიკურად მითხრა – ხომ კარგად ხვდები, რა სამსახურზეც გეუბნები და ბავშვად ნუ მოგაქვს თავიო. აფეთქდი და პირდაპირ მივახალე, ასეთი სამსახური თქვენთვის და თქვენისთანა სისხლისმსმელებისთვის შემოინახეთ-მეთქი და დასარტყმელად მოვემზადე, მაგრამ ხელი რომ მოვიქნიე, ვიღაცამ დამიჭირა. ახმეტელი აღმოჩნდა, რომელიც მთავარ მოსამართლე ალექსანდრე კაჭარავასა და რესპუბლიკის პროკურორ ვარდიელთან ერთად შემოსულიყო ოთახში.

ვარდიელმა მათიკაშვილს მიმართა: „შენყვიტე ეს არაკანონიერი და დამამცირებელი ქმედებები ამ ბიჭის მისამართით“, შემდეგ კი მე მომიბრუნდა და მითხრა, თქვენ თავისუფალი ხართო. ასე გადამარჩინეს მათიკაშვილის რისხვისგან...

მათიკაშვილი, ისევე, როგორც ჯალათების უმრავლესობა, იმავე მეთოდებით დაისაჯა, რასაც თავად იყენებდა...¹

როგორც ზემოაღნიშნული საქმიდან ირკვევა, ოფიციალურად ნიკოლოზ რაზმაძე და მასთან ერთად დახვრეტილები შეიარაღებული აჯანყების მონაწილის ბრალდებით გაასამართლეს და დახვრიტეს. თელავის მაზრის პოლიტბიუროს 1924 წლის 30 სექტემბრის დადგენილების თანახმად, კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში ბრალდებულები იყვნენ:

1. ხიზანიშვილი გიორგი ივანეს ძე, დაბადებული 1877 წელს, ქართველი,

1. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 2426, ფურც. 5-12.

გლენი, დაოჯახებული, პროფესიით ბულალტერი, 4 კლასის განათლებით – მიესაჯა დახვრეტა.

2. ყარალაშვილი ლუკა ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1864 წელს, ყოფილი თავადი, ქართველი, დაოჯახებული – დახვრეტა.

3. მიხაილოვი სიმონ თავდოზის ძე, დაბადებული 1903 წელს, რუსი, გლენი, დაოჯახებული, 6 კლასის განათლებით – დახვრეტა.

4. სიდამონ-ერისთავი შალვა იოსების ძე, დაბადებული 1897 წელს, ქართველი, ყოფილი თავადი – დახვრეტა.

5. ბაბუნძე იოსებ ლუარსაბის ძე, დაბადებული 1898 წელს, ქართველი, გლენი, 3 კლასის განათლებით – დახვრეტა.

6. რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე, დაბადებული 1869 წელს, ქართველი, იურისტი, დაოჯახებული – დახვრეტა.

7. კოლელიშვილი იოსებ სიმონის ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, დაოჯახებული, პროფესიით კოოპერატორი – დახვრეტა.

8. პეტრიაშვილი ილია ივანეს ძე, დაბადებული 1865 წელს, ქართველი, დაოჯახებული, აზნაური – დახვრეტა.

9. აგურაშვილი ქრისტეფორე სიმონის ძე, დაბადებული 1889 წელს, ქართველი, დაოჯახებული, მუშა – დახვრეტა.

10. ქობულაშვილი ლევან დავითის ძე, დაბადებული 1892 წელს, ქართველი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული – დახვრეტა.

11. ხატიაშვილი შალვა ივანეს ძე, დაბადებული 1893 წელს, ქართველი, გლენი, დაოჯახებული – დახვრეტა.

12. სპარსიაშვილი ივანე გიორგის ძე, დაბადებული 1893 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლენი – დახვრეტა.

13. ლაზარიშვილი გიორგი ივანეს ძე, დაბადებული 1874 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლენი – დახვრეტა.

14. ყარალაშვილი რევაზ მიხეილის ძე, დაბადებული 1859 წელს, ქართველი, დაოჯახებული – დახვრეტა.

15. ბაკურაძე ვახტანგ კონსტანტინეს ძე, დაბადებული 1899 წელს, დაოჯახებული – დახვრეტა.

16. არველაძე იუსტინე ივანეს ძე, დაბადებული 1888 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლენი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

17. რამიშვილი კონსტანტინე ტიტეს ძე, დაბადებული 1885 წელს, გლენი, დაოჯახებული – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

18. ბურჭულაძე გიორგი იოსების ძე, დაბადებული 1860 წელს, ქართველი, დაოჯახებული – დახვრეტა.

19. მამულაშვილი ანდრია დიმიტრის ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, გლენი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

20. ღვინაძეული მიხეილ გიგოს ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლენი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

21. მწყერაძე ივანე იოსების ძე, დაბადებული 1898 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლენი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

22. ზაუტაშვილი ივანე გიორგის ძე, დაბადებული 1887 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლენი – დახვრეტა.

23. მეფევიძე გიორგი გიორგის ძე, დაბადებული 1889 წელს, ქართველი, დაუოჯახებელი, გლეხი – დახვრეტა.

24. მწყერაძე ზაქრო იოსების ძე, დაბადებული 1896 წელს, დაუოჯახებელი, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

25. კველიშვილი ვასილ ივანეს ძე, დაბადებული 1883 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

26. ნიკოლაიშვილი ივლიანე სილიბისტროს ძე, დაბადებული 1885 წელს, ქართველი, დაუოჯახებელი, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

27. მიქაძე გიორგი ლაზარეს ძე, დაბადებული 1904 წელს, ქართველი, დაუოჯახებელი, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

28. ელიოზაშვილი იაკობ დიმიტრის ძე, დაბადებული 1868 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

29. მაჭავარიანი დავით ივანეს ძე, დაბადებული 1890 წელს, ქართველი, უცოლშვილო, გლეხი – დახვრეტა.

30. მწყერაძე ბესარიონ იოსების ძე, დაბადებული 1905 წელს, ქართველი, დაუოჯახებელი, გლეხი – დახვრეტა.

31. ავალიშვილი გიორგი გიორგის ძე, დაბადებული 1895 წელს, დაოჯახებული, ყოფილი თავადი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

32. ჯანდიერი გიორგი დავითის ძე, დაბადებული 1885 წელს, ქართველი, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

33. ლეჟავა გიორგი ალექსის ძე, დაბადებული 1880 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხი – დახვრეტა.

34. ციციშვილი გიორგი მიხეილის ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, დაოჯახებული – დახვრეტა.

35. გურგენიძე იოსებ სიმონის ძე, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, დაუოჯახებელი, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

36. კახაბერი შალვა დავითის ძე, დაბადებული 1892 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

37. ხომასურიძე ივანე ალექსის ძე, დაბადებული 1896 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

38. ბოსიკაშვილი გაბრიელ იოსების ძე, დაბადებული 1890 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.


39. ლეჟავა პავლე დიმიტრის ძე, დაბადებული 1892 წელს, ქართველი, დაოჯახებული, გლეხი – დახვრეტა.²

წლების შემდეგ კი ირაკლი რაზმაძემ არა მარტო მამის, არამედ მასთან ერთად ბრალდებულების რეაბილიტაციაც მოითხოვა. სისხლის სამართლის საქმეში ვკითხულობთ: თელავის მაზრის პოლიტბიუროს 1924 წლის 30 სექტემბრისა და 1924 წლის 30 დეკემბრის დადგენილებები უნდა გაუქმდეს ყველა ბრალდებულის მიმართ, ვინც დასახელებულია ამ საქმეში. საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: არსებული სისხლის სამართლის საქმე შეიქმნა აგენტურის მონაცემებზე დაყრდნობით, რომ თელავის რაიონში არსებობდა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც

2. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 2426, ფურც. 44-47.

მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობას. ამ საქმეზე არ არის დაკითხული არც ერთი მოწმე, ხოლო არსებული ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა და არ არის სანდო. ამრიგად, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ არავითარი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია თელავში არ არსებობდა. გამომდინარე ზემოთქმულიდან, სასამართლო კოლეგიამ გადაწყვიტა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოთქმული პროტესტი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თელავის მაზრის პოლიტიუროს 1924 წლის 30 სექტემბრისა და 1924 წლის 30 დეკემბრის დადგენილებები ზემოთ ჩამოთვლილ პირთა მიმართ და მოხდეს მათი რეაბილიტაცია.³

ათწლეულების შემდეგ დამტკიცდა, რომ ეს ადამიანები სრულიად უდანაუშაულოები იყვნენ და უმიზეზოდ დახვრიტეს...



3. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2426, ფურც. 48.

კონსტრუქციული უციასთან და ბანდიციზმთან მიმართულ თემატიკის სამაზრო საგანგებო საქულისიგან.

თელავის სამაზრო საგანგებო საქულისი მასრის მმრთელ გლეხკაცობის და ეგვლა ზეტიოსან მოქალაქეთა საეურნადღებოთ აცხადებს დაბატებოთ ცნობას, რომელიც მიღებულ იქმნა მის მიერ თვად-ახნაურების, მემსულებების, ოფიცრების და სსფა კადმეერების მიმართ რომელიც აქტიურ მონა,ილეობას დებულობდნენ ბანდიტურ შეთქმულებას მოქმედობაში შეიარაღებულ აჯანყების მოსახდენოთ. და სელს უძლიდნენ მუსების და გლეხების მშვიდობის აღმშენებლობას და ცხოვრების მგრები და ეგვლა დამნაშვეთ მოუსჯად უმდღესი სასჯელი დახვრება. ამნიოდ, ძირსი საქულ იქნა ბანდიტური განხრახანი და მომავლშიც მუშურ-გლეხური ხელისუფლიც განხრებული მანთით აღმოფხვრის შემსულებების მომხრების, ეგვლა ბანდიტების მოქმედებოთ

დახვრებილი იქნენ:

- 1) რახამად ნიკოლოზ პირილის ძე ინტილიგენტი
- 2) ციციშვილი გიორგი მიხეილის ძე ინტილიგენტი
- 3) კებრიშვილი ილია ივანეს-ძე ანაური
- 4) აბურაშვილი ქრისტეშვილი სემიონის ძე დიკვანი
- 5) ჭარალაშვილი რეზინო მიხეილის ძე თავადი
- 6) შარალაშვილი ილიკო კონსტანტინეს-ძე თავადი
- 7) შარალაშვილი დიმიტრი გიორგის ძე თავადი
- 8) შარალაშვილი ივანე არჩილის-ძე თავადი
- 9) ჯაბახიშვილი ალექსანდრე დიმიტრის-ძე ვეპარი
- 10) სოსროშვილი ივანე გიორგის-ძე კულაი
- 11) ჯორჯაძე ვლადიმერ ალექსის ძე თავადი
- 12) ჯანდიერი ივანე დიმიტრის-ძე თავადი
- 13) სულხანიშვილი დავით პაბუას-ძე ანაური ყოფ. ოფიცერი
- 14) სულხანიშვილი დავით რეზინის-ძე ანაური
- 15) სულხანიშვილი მხეილ რეზინის-ძე ანაური
- 16) მამაშვილი ლუარსაბი გიორგის-ძე თავადი
- 17) მამაშვილი არჩილ ზაპარის ძე თავადი
- 18) მამაშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე თავადი
- 19) მამაშვილი ავანასი კონსტანტინეს ძე თავადი
- 20) მამაშვილი სოლომონ ზაბას-ძე ანაური ყოფ. ოფიცერი
- 21) გ მშაღლიძე ირაპლი არჩილის ძე ანაური ყოფ. ოფიცერი
- 22) გემუღლიძე ვლადიმერ ვიქტორის ძე ანაური
- 23) ჩიქვა ვლადიმერ გიორგის ძე ანაური ყოფ. მოქალაქე
- 24) ანდრონიკაშვილი გიორგი თომას-ძე თავადი
- 25) ჯაშარიძე ივანე სარჩის-ძე ანაური ყოფ. მოქალაქე
- 26) მაღალაშვილი იოსებ დავითის-ძე თავადი ყოფ. ოფიცერი

ბროკესიონალური ბანდიტები

- 27) გიშინაშვილი მიხეილ ალექსის ძე
- 28) ჩარბაძე არჩილ გიორგის-ძე
- 29) მაკოშვილი ლუკა ზაპარის-ძე
- 30) ბებოშვილი გიორგი ილარიონის ძე

5 სექტემბერი 1924 წ.

სამაზრო საგანგებო საქულისი

მიხეილ ლაშქარაშვილი – შეფისულთაგან ერთ-ერთი და სამშობლოსათვის თავგადასხვეული

XX ს.-ის მიწურულს ტაბუ აიხსნა და ქაქუცას სახელმა იფეთქა, საზოგადოების ფართო მასებმა გაიგეს XX ს.-ის დასაწყისის ეროვნული გმირის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ, მაგრამ ცოტა რამ არის ცნობილი იმ ვაჟკაცებზე, რომლებიც მის მხარდამხარ იბრძოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო მიხეილ ლაშქარაშვილი. საარქივო მასალების შესწავლისას გადავანყდით 1921 წელს აღძრულ მისი ბრალდების საქმეს.

მიხეილ ლაშქარაშვილი დაიბადა 1884 წელს კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკში. 1902-1903 წწ. მუშაობდა იარაღოვის ქარხანაში, შემდეგ რკინიგზის მთავარი სახელოსნოს სადურგლო სამსახურში, მონაწილეობდა პირველი მარქსისტული ჯგუფების ჩამოყალიბებაში, 1903-1905 წწ. მოვლენების დროს იყო გვარდიის საველე სასამართლოს თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი, მაგრამ, როგორც ჩანს, მალე ჩანვდა მარქსისტების იდეოლოგიის უარყოფით მხარეებს და განუდგა. აი, რას წერს თავის მოგონებებში:

„ამნაირათ, ყველა ის პირი, ვინც კი მარქსისტებისთვის თვალში მოსანონი არ იყო, ხდებოდა ტერორისტების მსხვერპლი, მათ მიერ ჩადენილი მუხანათური საქმეების მოწმე მე თვითონ ვიყავი ქარხანაში მუშაობის დროს. მთელი მარქსისტული მოძრაობა ამაზედ იყო დაყრდნობილი და მამულიშვილების უმანკო და უდანაშაულო სისხლის დაღვრით მოიკაფავდნენ გზას ხელისუფლებისაკენ. განა შემძლია ყველა იმ საშინელების აღწერა ქალაქდზედ, რასაც მაშინ ისინი შთადიოდნენ?! ეს ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ რაცა ვსთქვი, ეს იმიტომ, რომ ფარდა აეხადოს მათ საქმიანობას და ნათელ ვყოთ ყველაფერი, ამით უტყუარი სურათი გადავცეთ ქართველი ერის მომავალ თაობებს და ისტორიას, როგორც მასალა, რომ ყველამ იცოდეს ზემოთ აღნიშნული შეცდომები და სასტიკი მუხანათობა ქართველი ერის წინაშე ჩადენილი – გადაგვარებული, გარუსებული მარქსისტების მიერ“.¹

ლაშქარაშვილი ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ წყნარად ცხოვრობდა მამისეულ სახლ-კარში და სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული, მაგრამ თანასოფელელ ვინმე ადამაშვილს რამდენჯერმე შეუხსენებია საბჭოთა ხელისუფლებისთვის მისი მენშევიკური წარსული და „დანაშაულებრივი ქმედებები“ (ადამაშვილი სოფელში ცნობილი ყოფილა, როგორც განთქმული დამბეზღებელი). ერთ-ერთ ასეთ შეხსენებას მოჰყვა სწორედ ის ამბავი, რამაც აიძულა მიხეილი მთებისთვის შეეფარებინა თავი და კვლავ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართულიყო. სწორედ მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი შემონახული შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ №21317 საქმეში.

1921 წლის 29 აპრილს გორის მაზრის პოლიტიბიუროში შევიდა თანამშრომლების – არუცვეის, არაქელოვის, ხემიზურის განცხადება, რომელიც იუნყებოდა,

1. მიხეილ ლაშქარაშვილი, „მოგონებები“, გაზ. „რესპუბლიკა“, 1991 წ.



მიხეილ ლაშქარაშვილი

რომ სოფელ ახალქალაქში იმყოფება მენშევიკური მთავრობის ჯალათი, 1919 წელს სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარე, კომუნისტების – შახნაზაროვის, ზარაპოვის, მეცხვარიშვილის – დამხვრეტი მიხეილ ლაშქარაშვილი. რა თქმა უნდა, სადამსჯელო ღონისძიებამაც არ დააყოვნა და მილიციელი არაქელოვი თანამშრომელ ინაურსა და სხვებთან ერთად გაემართა ქვემო ხანდაკში, მიხეილის შესაპყრობად. მისი მეუღლის, ელენე ჩივაძე-ლაშქარაშვილის დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ:

„29 აპრილს, დილით დაახლოებით ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც კარებს დაუწყეს ბრახუნი, გავიგე, ავდექი ჩაუცმელი და გავაღე კარები, დავინახე შეიარაღებული კაცები, მე მივმართე, ვინ ხართ მეთქი, მათ შემეჩვირეს, ჩვენა ვართო, რო შევკითხე, რა

გინდათ მეთქი, მათ მითხრეს, თქვენს სახლს ობისკი უნდა დავარტყათო, მე, რასაკვირველია მანდატი მოვითხოვე, რა უფლებით უნდა გაეჩხრიკათ სახლი, მათ მითხრეს, მანდატი ჩვენ აფიცერს აქვსო, მე უთხარი, წადით, მანდატი მოიტანეთ, სანამ მეც ჩავიცვამ და მობრძანდითო, ბევრი აღარ მალაპარაკეს, აი, ეს არის ჩვენი მანდატიო და მოანვინენ სახლს და შემოვიდნენ ძალით, ერთი კარებში გაჩერდა, ორნი აკოპკასთან გაჩერდნენ, ერთიც მწოლარეს მივარდა, მიხეილ ლაშქარაშვილს და ყელში წაუჭირა, მე ვთხოვდი დაშოშმინებას და ვეუბნებოდი, დააცადეთ, ადგეს და სახლი ისე გაჩხრიკეთ, მაგრამ მაინც ყელში წაუჭირა ერთი ხელი და მეორე ხელით იღებდა ლევარველს, მე ხელი დაუჭირე, რომ ლევარველი არ ამოეღო და არ დაერტყა, იმან ხელი მკრა და გადამაგდო იქით, უცბად გავარდა გარედან თოფი და მოხვდა ჩემს დედამთილს და წააქცია, რამოდენიმე წუთის ბრძოლის შემდეგ მე ვაშველებდი ჩემს ქმარს და შემოსულ კაცს, მომიბრუნდა, მკრა ნიხლი შიგ გულ-მუცელში და გადავარდი იქით, ამ ბრძოლაში მეორე ტყვიაც გავარდა საიდან და როგორ, ვერ გავიგე, მე გავარდი გარეთ და დავინყე ყვირილი, ხალხო, მიშველეთ მეთქი, ქმარიც მომიკლეს და დედაც, ეგეც მოკალითო, მომესმა ხმა მათგან, მაშინ ისინი გაცვივდნენ და გაიქცნენ, ზოგნი კი აქ სოფელმა დაატყვევა, ვინაიდან მათ არანაირი მანდატი არ აღმოაჩნდათ. ვარ 32 წლისა, (ქართველი), ეს არის ჩემი ჩვენება, ჩვენება ნამდვილია და ხელს აწერს ელენე ლაშქარაშვილისა“...²

დატყვევებული მილიციელები ხალხმა მათი სახლის წინ მდგარ ჩიქოვანების კოშკში გამოამწყვდია. ქვემო ხანდაკის მკვიდრი, მურად მამულაშვილი იხსენებს: მეორე დღეს დაბრუნებულა წინა დღეს ფანჯრიდან გადამხტარი მიშა, მილიციელებისთვის ერთი კი შეუხედავს, როგორ დაგხოცოთ, მაგის ღირსიც

2. საქართველოს შსს-ს არქივი, (I), ფ. 6, ს. 21317, გვ. 25.

არ ხართ, თქვენი გულისთვის ხალხს აანიოკებენო, დაუტირია მის ამბავს შენირული დედა და გადახვენილა. ხალხში ხმა დადიოდა, თურმე მიშა დედის დაკრძალვას სასაფლაოს მოპირდაპირე მთებიდან, „მირიანის ბოსლებიდან“ დურბინდით უყურებდაო... კომუნისტებმა კი მას დააბრალეს დედის სიკვდილი, თუმცა საქმეში დაცულია გორის მაზრის მილიციის უფროსის მიმართვა პოლიტიბიუროსადმი, რომელშიც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ლაშქარაშვილის დედის და თარხნიშვილის მკვლელობა „გამონვეული იყო ახალქალაქის და კავთისხევის რეკომების და მათი მილიციის შემადგენლობის ფრიად უტაქტიკო მოქმედების მეოხებით“.³ (თარხნიშვილი გახლდათ მიხეილის მეგობარი, რომელიც მისი გამოქომაგების გამო და ფრაზისთვის – „თქვენ რა გვარდიელები ხართ, რომ მიშა ლაშქარაშვილს დაესხნენ ყაჩაღურათ, ბოლშევიკურად კი ნუ მოდიხართ, ვაჟკაცურად მოდითო“, – მეორე-მესამე დღეს დაცხრილეს).

მიშა კი გადახვენილა... ველად გაჭრილმა ლაშქარაშვილმა შემოიკრიბა თანამებრძოლები და უკვე 1922 წლის ზაფხულის ხევსურეთის აჯანყებისთვის ხელმძღვანელობდა საკმაოდ დიდ პარტიზანულ რაზმს. ერთხანს იმალებოდა ახალშენ მირიანში, მაგრამ 14 ენკენისთვის (სექტემბერს) ვინმე კაციაშვილისგან გაიგო დამარცხების ამბავი, რაზმი ნაწილობრივ დაშალა, თავად უიმედობაში შეიპყრო, ციხის შიგნიდან გატეხვამ იმედგაცრუებული დატოვა და შეიარაღებულ აჯანყებაზე ფიქრსაც შეეშვა, მხოლოდ სასწაულის იმედილა ჰქონდა. გადანყვიტა, 1924 წლის გაზაფხულზე მეუღლესთან ერთად ოსმალეთში და იქიდან ევროპაში გადასვლა, მაგრამ ქაქუცასგან შეტყობინება მიიღო და მისი გეგმებიც ჩაიშალა...

აჯანყების მოლოდინში მიხეილმა თავის ერთგულ მოძმეებთან ერთად ოთხი თვე გაატარა მანგლისიდან სამი კილომეტრის მოშორებით, სოფელ ბოტისის ტყეში. შემდეგ ქაქუცაც შეუერთდა დანარჩენი შეფიცულებით. ადგილობრივი მოსახლეობა სიყვარულით ამარაგებდა სურსათ-სანოვაგით, ეხმარებოდა მორალურად. საგულისხმოა, რომ არც ერთ გლეხკაცს არ უცნობებია მთავრობის ხალხისთვის სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგადადებული დევნილი ვაჟკაცების თავშესაფრის ადგილმდებარეობა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მიხეილის მეუღლე, ელენე (ჩივაძის ქალი) ერთგულად ედგა მხარში შეთქმულებს, მიჰქონდა საჭირო ინფორმაციები და ტყვია-წამალი. თავად მიხეილი წერს: „ჩემი მეუღლე... არამც თუ იყო ყველა ჩემი ბრძოლების თანაზიარი, იგი ხშირად აქტიურათაც მონაწილეობდა და ძალიან ხშირათ დიდ ხიფათშიაც იყო ჩავარდნილი...“⁴

აჯანყება 1924 წლის 20 აგვისტოსთვის იყო დაგეგმილი, შემდეგ გადაიდო 28 აგვისტოსთვის. რა თქმა უნდა, კვლავაც ლალატს ჰქონდა ადგილი. ჯერ გასცეს ვალიკო ჯუღელი, რომელიც გარე კახელების დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა. მისმა დაჭერამ და დასჯამ მნიშვნელოვნად შეცვალა აჯანყების ბედი – ან უკვე ბოლშევიკების მიერ გამაგრებულ თბილისში შეჭრის ნაცვლად გადანყვიტეს რეგიონებიდან დაეცხოთ. პარიტეტულმა კომიტეტმა ლაშქარაშვილს ქართლი ჩააბარა. ყველაფერი სპონტანურად ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ დიდად

3. საქართველოს შს-ს არქივი, (I), ფ. 6, ს. 21317, გვ. 20.

4. მიხეილ ლაშქარაშვილი, „მოგონებები“, გაზ. „რესპუბლიკა“, 1991 წ.

მისიყვარულე და მოამაგე თავისი ქვეყნისა, ქვემოქალელი პოლკოვნიკი მესხი, ვისი დახმარების იმედიც ჰქონდათ, საქმის კურსში არ იყო (იგი მზადყოფნაში ყოფილა 1922 წ. დაგეგმილი აჯანყებისთვის?!), მაგრამ უკან არ დაუხევია, ბოლომდე უერთგულა შეფიცულებს და, რალა თქმა უნდა, ამ ამბავს შეენირა კიდევც. 1924 წლის 31 აგვისტოს ბოლშევიკებმა პოლკოვნიკი მესხი დახვრიტეს 22 უდანაშაულო ქვემოქალელსა და ამილახვართან ერთად.

ამას მოჰყვა შეფიცულ ელიზბარ ვაჩნაძის მარცხი მანგლისში. გამცემის წყალობით ოკუპანტებმა აქაც წინასწარ იცოდნენ თავდასხმის შესახებ და მზადყოფნაში იყვნენ...

მართალია, ქაქუცამ ბრძოლით აილო დუშეთი, შევიდა ზემო კახეთში, გადავიდა ყარაიაზსა და ბორჩალოში და დაიწყო თბილისის დახვეწვა, მაგრამ... აჯანყება მაინც მარცხით დამთავრდა...

„ჯალათურ მოსკოვს, ორჯონიკიძეს, მახარაძეს და სტალინს მახვილი გალესილი ჰქონდათ და მზად იყვნენ ქართველების სისხლის დასაღვრელად... ჩეკამ კარგად იცოდა პარიტეტული კომიტეტის შემადგენლობა, მაგრამ განგებ ხელს არ ჰკიდებდა, რომ აჯანყება არ ჩაშლილიყო, ამ მიზეზით შემდეგში დაერბია და სისხლში ჩაეხრჩო მთელი საქართველო და შური ეძია ყველა პატრიოტ მამულიშვილზედ. მისთვის ეს საოცნებო დღეც დადგა და მოლაღატეებისგან გაცემული აჯანყებაც ჩაიხშო ნამდვილ ბრძოლების დაწყებამდე...“ მარქსისტები „მოუწოდებდნენ გლეხობას, ამოეწყვიტათ თავადაზნაურობა... რადგან ყველა ჯიშის მარქსისტებისთვის თავადაზნაურობა იყო მარქსიზმის წინააღმდეგ ის ციხესიმაგრე, რომ მის დაუნგრევლად მარქსიზმს არასოდეს გამარჯვება არ ენერა... მარქსისტები მოითხოვდნენ ამ ხალხის ამოწყვეტას, რომლებიც იმ ხანებში წარმოადგენდნენ ეროვნული ბრძოლებისათვის მთავარ ძალას!“⁵

ოქტომბრის დასაწყისში ქაქუცამ, გადარჩენილ შეფიცულებთან ერთად დატოვა სამშობლო და საფრანგეთში გადავიდა. მოგვიანებით მისი ბედი გაიზიარა მიხეილ ლაშქარაშვილმაც...

საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე გადახვეწილთა ოთხასამდე სამარეა, ამათგან ორზე ვკითხულობთ:

მიხეილ ლაშქარაშვილი, 1884 – 1952.

ელენე ლაშქარაშვილი, 1884 – 1950.

5. მიხეილ ლაშქარაშვილი, „მოგონებები“, გაზ. „რესპუბლიკა“, 1991 წ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და შეფიცულები

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოჰქროლავს, როგორც ქარია, თან ახლავს ქართველთ შვილები, – თითო ლომისა დარია“...
მიხა ხელაშვილი

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში ასეთი გახლდათ: პატრიოტულად განწყობილი ძალები აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდნენ. 1921 წლის სვანეთის ამბოხება მარცხით დამთავრდა. 1921 წლის შემოდგომაზე პარტიები გაერთიანდნენ. ამ გაერთიანებამ ორგანიზაციული სახე მიიღო და 1922 წელს დაარსდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (დამკომი), იგივე პარიტეტული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-ფედერალისტური პარტია, სოციალ-რევოლუციონერთა პარტია, სხიველები. კომიტეტს ჯერ ნიკოლოზ ქარცივაძე ხელმძღვანელობდა, შემდეგ კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. პარალელურად, საზღვარგარეთ დაარსდა საერთო კომიტეტი იგივე პარტიების შემადგენლობით, რომელსაც ევალეზოდა დიპლომატიური მუშაობა უცხოეთში. 1922 წლის მარტში დამკომის ბაზაზე შეიქმნა „სამხედრო ცენტრი“, რომელსაც ქართველი ხალხის მხედრული დარაზმვა და აჯანყების მომზადება დაეკისრა. მისი თავმჯდომარე გახლდათ გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ცენტრის შტაბის უფროსის თანამდებობა კი კოტე აფხაზმა დაიკავა. პარტიზანული რაზმის უფროსად კახეთში დაინიშნა პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ქართლში – მიხეილ ლაშქარაშვილი¹.

1922 წლის ივლის-აგვისტოში ამბოხება დაიწყო კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. ცენტრი დუშეთი იყო. გეგმის მიხედვით, წითელი არმიისა და ქაქუცას რაზმის შებრძოლებისას მტერს ზურგიდან ლაშქარაშვილის დაჯგუფება დაარტყამდა. გამარჯვების შემთხვევაში ჩოლოყაშვილი გეზს პირდაპირ თბილისისკენ აიღებდა. პარალელურად, აჯანყებები მოხდებოდა გურიაში, სამეგრელოში, ქართლსა და კახეთში, მაგრამ სოციალ-დემოკრატების გაურკვეველი ქმედებების გამო ამბოხებულები დამარცხდნენ. დაიწყო სასტიკი ანგარიშსწორება. 1923 წლის თებერვალ-მარტში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის, მისაბიშვილის ჩვენების საფუძველზე, „სამხედრო ცენტრის“ თხუთმეტივე წევრი დააპატიმრეს და დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს.

გლოვისა და მარცხის მიუხედავად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურებს უკან არ დაუხევიათ. „სამხედრო ცენტრის“ მაგივრად

1. სოლომონ ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, თბილისი, მერანი, 1989. გვ. 12.



შეფიცულთა რაზმი –
ფოტოზე მარცხნიდან
სხედან ქაიხოსრო (ქაქუცა)
ჩოლოყაშვილი;
სპირიდონ ჭავჭავაძე;
მარცხნიდან დგანან
ლელი ჩიქოვანი;
ელიზბარ ვაჩნაძე;
რაფო ერისთავი;
ალექსანდრე
(საშა) სულხანიშვილი;

დამკომთან დაარსდა „სამხედრო კომისია“², რომელმაც დაიწყო უფრო დიდი და მასშტაბური აჯანყებისთვის მზადება, მთავარი მამოძრავებელი ძალის როლი კი ქაქუცას და მის შეფიცულთა რაზმს დააკისრა.


1923 წლის შემოდგომისთვის სამხედრო კომისიას თავისი მუშაობა დამთავრებული ჰქონდა. ხალხი დარაზმული ჰყავდა და ელოდა ხელსაყრელ მომენტს. აჯანყება მთელ საქართველოში უნდა დაწყებულიყო ერთ დღეს, ერთსა და იმავე დროს, რათა ხელისუფლებას რეაგირების დრო ნაკლებად ჰქონოდა.

როგორც ვხედავთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მოქმედი პირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულთა რაზმი გახლდათ. ვინ იყო და როგორი ბიოგრაფია ჰქონდა ქაქუცას?


ჩოლოყაშვილების გვარს დიდი დამსახურება აქვს სამშობლოს წინაშე. საკმარისია დავასახელოთ ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ბიძინა ჩოლოყაშვილი, ცნობილი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, იგივე ნიკიფორე ირბახი (მე-17 საუკუნე), კახეთის სამეფოს სახლთუხუცესები გარსევან და რევაზ ჩოლოყაშვილები (მე-17 საუკუნე), ანა დედოფალი (მეფე ერეკლეს პირველი თანამეცხედრე), ჯიმშერ ჩოლოყაშვილი და სხვ. ქაიხოსრო, მეტსახელად ქაქუცა 1888 წლის 14 ივლისს დაიბადა სოფელ მატანში, დარია და იოსებ ჩოლოყაშვილების ოჯახში (მამა პირდაპირი ჩამომავალი გახლდათ ბიძინა ჩოლოყაშვილისა). 1907 წელს დაამთავრა ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზია; 21 წლის ასაკში ჯარში გაიწვიეს. მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში. ოფიცრის წოდებაც აქ მიიღო. 1912 წელს სამშობლოში დაბრუნდა, 1913 წელს კი ცოლად ნინო მეღვინეთუხუცესი შეირთო, საკუთარ მამულში დასახლდა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. შეეძინა ორი ქალიშვილი – თამარი (ციცნა) და ქეთევანი.

პირველი მსოფლიო ომის დროს ქაქუცა ავსტრია-უნგრეთის ფრონტზე იბრძოდა, თავი გამოიჩინა და წმ. გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს. დაჭრის

2. სოლომონ ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, თბილისი, მერანი, 1989. გვ. 18.



მიხა ხელაშვილი



ქაქუცა ჩოლოყაშვილი და
ალექსანდრე სულხანიშვილი

შემდეგ კავკასიის ფრონტზე გადმოიყვანეს. სარიყამიშის ბრძოლაში, კერძოდ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის, „არნივის ბუდის“ ალების, დაცვისა და თავდადებული ბრძოლისთვის ქაქუცა ოქროს სახელობითი ხმლით დააჯილდოვეს. 1915 წელს საქართველოს ახალდაარსებულ ცხენოსანთა რაზმში ჩაენერა, იბრძოდა სპარსეთში, მესოპოტამიის უდაბნოს გავლით შეუერთდა ბრიტანეთის არმიას. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალიბებაში, მეთაურობდა სახალხო გვარდიის ცხენოსანი დივიზიონის პირველ ესკადრონს. იბრძოდა სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომში, დენიკინის ნაწილების წინააღმდეგ...

1920 წლის ზაფხულიდან მსახურობდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორ ბენიამინ ჩხიკვიშვილთან. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს ქაქუცა სამეგრელოში იყო მივლინებული ცხენოსანთა არმიის ჩამოსაყალიბებლად. 1922 წლის მარტიდან თავის მეგობრებთან – მიხა ბალიაშვილთან, ვასო თამაზაშვილთან, სოსო ლოსაბერიძესთან, მიშა ნაცვლიშვილთან, ს. ჩითინაშვილთან და ქიზიყელ ბიჭ ქარუმასთან ერთად ქიზიყის ტყეში გაიჭრა და რუსეთის წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. თანამებრძოლთა რიგებს თანდათან შეუერთდნენ ქაქუცას ძმა – სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი (მაღევე დაიღუპა მორიგი შეტაკების დროს), ალექსანდრე სულხანიშვილი, რაფიელ ერისთავი, ელიზბარ ვაჩნაძე, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, მიხეილ



ლელი ჩიქოვანი, ელიზბარ
ვაჩნაძე, სპირიდონ ჭავჭავაძე და
ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ლაშქარაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, შალვა და ლევან ჯავრიშვილები და სხვ.

1922 წლის მარტში, ალვანის ტყეში შეხიზნულ ქაქუცას და მის მეგობრებს ნადიმზე ხალხში ერთობ დაფასებული დიმიტრი ჭინჭარაული (მეტსახელად ბაბო) ესტუმრა. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა ქაქუცას: დღეს ჩვენ ვუქმობთ ბრწყინვალე საქრისტიანო დღეს, აღდგომას, და მასთან ერთად ბრძოლის დასაწყისს წმინდა საქმისათვის. აი, ამ მთებში ბალახმა აიტანა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ დაქნილი ბილიკები. რუსეთის უსამართლობას ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები. ვითომდა მოყვრულად მოსულნი, მტრად გადაგვექცნენ, რომლებიც ოჯახებს გვინიოკებდნენ და ქალებს გვიუპატიურებდნენ. იგივე მეორდება დღესაც. შენ, ქაქუცაო, შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაბრძოლი საქმის გაგრძელება შენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. შენ უნდა აღადგინო ალექსანდრე ბატონიშვილის ნათელი ბილიკები. თქვენ, რაზმე-

ლებო, ალბათ გახსოვთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს შეფიცულები ჰყავდა შემოკრებილი თავის ირგვლივ. თქვენც უნდა შეიფიცნოთ და გერქვათ შეფიცულთა რაზმი, რომელიც სამუდამოდ დარჩება. თქვენ შემოგყურებთ მთელი საქართველო. ეს პატარა რაზმი უნდა გადააქციოთ ქართულ ჯარად. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი ლამაზი ქვეყნის სიდიადე. ჩვენ მედგრად უნდა ვებრძოლოთ რუსეთს. ეს არის ჩვენი მთავარი მტერი. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ვერ შეძლო ჩვენმა მამა-პაპამ. ჩვენი წინაპრების თავგანწირული ღვაწლის მეოხებით კიდევ ღვივის საქართველოს ნაპერწკალი. ჩვენ არ უნდა ჩავაქროთ ეს ნაპერწკალი. დღეს თქვენზეა დამოკიდებული ამ ნაპერწკლის გაღვივება. მას გაუმარჯოს დიდი თამარის და ერეკლეს საქართველოს! – ამ სიტყვის შემდეგ ჭინჭარაულმა ხევსურული წესით დააფიცა რაზმელები, დაახლოებით ოცამდე ვაჟკაცი და სწორედ აქედან იწყება შეფიცულთა ისტორიაც, თუმცა სოლომონ ზალდასტანიშვილის ვერსია განსხვავებულია: „1923 წლის აპრილში მე და მეორე ეროვ-დემოკრატია მოვანყეთ სამხედრო საიდუმლო ყრილობა... ამ კრებაზე წაკითხულ და მიღებულ იქნა ფიცის ტექსტი. ეს ფიცი მიღებული ჰქონდა აგრეთვე მთელ ეროვ-დემ. სტუდენტთა რაზმს და იგივე ფიცი ჩემ მიერ იქმნა გაგზავნილი ქაქუცასთან როტმ. ყარანგოზაშვილის საშუალებით 1923 წლის მაისში, და ამ დღიდან ქაქუცას რაზმი ხდება „შეფიცულთა რაზმი“³ და ბოლო წუთამდე იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის.

3. სოლომონ ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, თბილისი, მერანი, 1989. გვ. 19.

შეფიცულები თავდაპირველად კახეთის ტყეებში მოქმედებდნენ პარტიზანულად, შემდეგ ქიზიყისკენ გადაინაცვლეს. მოსახლეობა ყველგან სიხარულით ხვდებოდა და ყველანაირად უწყობდა ხელს. დაბანაკდნენ დედოფლისწყაროსთან ახლოს, ყარაღაჩის ტყეებში. ხელისუფლება დევნიდა და ავინროებდა ქაქუცას. ერთ-ერთი ასეთი შეტაკება მოხდა უზუნდარას ხევში. დაიჭრა ვაჩნაძე, ხელისუფლების რაზმში კი მსხვერპლი დიდი იყო. ტყვედ აყვანილებს ქაქუცამ შემდეგი სიტყვებით მიმართა: საქართველო დამოუკიდებელი უნდა იქნეს, ნუ შეხვალთ მილიციასა და პარტიაში, აი, ხომ ხედავთ, დღეს ჩვენ ქართველები ერთმანეთს ვხოცავთ. რისთვის? ნუთუ იმისთვის, რომ რუსეთის ინტერესები დავიცვათ? საბოლოოდ ტყვეები გაათავისუფლეს. ამ და სხვა ბევრი შეხლა-შემოხლის შემდეგ ქაქუცა თავისი ერთგული თანამებრძოლებით ხევსურეთში გადავიდა მორიგი აჯანყების მოსაწყობად. ამ დროისთვის შეფიცულთა რიცხვი უკვე სამოცდახუთს აღწევდა.

ხევსურეთის აჯანყება ნ აგვისტოს უნდა დაწყებულყო. შეფიცულებს ყოველ სოფელში ჰყავდათ ათისთავები და ასისთავები. მაგრამ ლალატის, დიდი მსხვერპლისა და მრავალი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ ხევსურეთის აჯანყებაც დამარცხდა. ტყეში გახიზნულ ქაქუცას მთავრობამ ბიძა – შაქრო ჩოლოყაშვილი და ბიძინა მაცაშვილი მიუგზავნა და საზღვარგარეთ წასვლა და დიდძალი ფული შესთავაზა, ქაქუცამ კი შეუთვალა, ქართველ ხალხს თუ მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება, ჩვენ მასაც ვემსახურებით, მაგრამ რუსის ჯარი უნდა წავიდეს აქედან, დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოლებთ მანამ, სანამ პირში სული გვიდგასო...

1922 წლის აჯანყების მერე შეფიცულები ხან ახმეტის ტყეებში იმალებოდნენ, ხან გომბორის მთის ჩრდილოეთით – შროშანის ტყეებში, ხანაც მატანის ზემოთ, ტყეში. მატანში ცხოვრობდა ქაქუცას ბიძაშვილი ანეტა ჩოლოყაშვილი, რომელიც წამლებით და ჭრილობის მოშუშებისთვის საჭირო მასალით ეხმარებოდა შეფიცულებს. ერთ დღეს ეს ქალბატონი ჩეკამ დააპატიმრა, აწამა და რომ ვერაფერი წამოაცდევინა, დახვრიტა (ეს იყო ქალბატონის დახვრეტის პირველი ფაქტი საქართველოში). 1923 წლის ერთ სუსხიან დღეს შეფიცული მიხა ხელაშვილი დედისა და ნათესავების სანახავად თავის სოფელში ჩასულა. დუშეთის მილიციის უფროსს მოუკლავს.

ქაქუცას იმიერკავკასიელებთან ურთიერთობის დამყარება და მათი აჯანყებაში მოკავშირედ ჩაბმა სურდა. ამ მიზნით 1923 წლის აპრილში ჩეჩნეთში, ათაბეი უმაევთან ჯერ ალექსანდრე სულხანიშვილი გაგზავნა, შემდეგ კი თავად ქაქუცაც გადავიდა ოთხ შეფიცულთან ერთად და შეხვდა ალი მიტაევს. გადაწყდა, რომ ამბოხების გეგმის შემუშავების შემდეგ მას ჩრდილოკავკასიელ მეთაურებსაც გააცნობდნენ და აჯანყებას ერთდროულად დაიწყებდნენ. კერძოდ, მთიელები არ გამოუშვებდნენ რუსებს, აყრიდნენ რკინიგზის ლიანდაგებს და თავს დაესხმოდნენ იქ განლაგებულ რუსის ჯარებს.

ამის შემდეგ შეფიცულები გომბორის მთის ჩრდილოეთით, შროშანის ტყეებში დაბინავდნენ და გაჭირვებით გამოიზამთრეს, 1924 წლის გაზაფხულზე კი უკვე დუშეთის ტყეებში იყვნენ და 17 აგვისტოს დაგეგმილი აჯანყებისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ პარტიათა ქიშპობისა და მოვლენების გართულების გამო

გამოსვლა აგვისტოს ბოლოსთვის გადაიდო. ქაქუცა ამის წინააღმდეგი იყო, რადგან მიუვალ ადგილებში გაჭირდებოდა რაზმის ორი კვირით შენახვა და სურდა, ამბოხება ოქტომბრამდე გადადებულიყო, მაგრამ დამკომის გადანყვეტილებით გამოსვლა 29 აგვისტოს დაინიშნა. ამ დროისთვის კი ხალხი უკვე შემოფანტული გახლდათ, ამას დაერთო თავზარდამცემი ფაქტიც – მავანთა მოღალატური საქციელის გამო ჭიათურაში გამოსვლა 28 აგვისტოს დაინიშნა, რითიც კარგად ისარგებლა მთავრობამ და აჯანყება სისხლში ჩაახშო. 29 აგვისტოს ქაქუცამ თავისი მცირერიცხოვანი რაზმით აიღო მანგლისი, დალაშქრა დუშეთი, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო და მალე დატოვა იქაურობა. 3 სექტემბერს სვიმონიანთ ხევთან დაამარცხა ნითლები. 4 სექტემბერს შიომღვიმის ტყეში დააპატიმრეს დამკომის წევრები – კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ოფიციალურად აუწყეს ქართველ ხალხს აჯანყების დამარცხება, ქაქუცამ 6 სექტემბერს კახეთში, ხევგრძელასთან კიდევ დაამარცხა ნითელთა რაზმი; ერთხანს თბილისის შემოგარენში დაყო, აპირებდა თბილისზე თავდასხმას, მაგრამ მიხვდა, რომ ზედმეტი სისხლი დაიღვრებოდა უშედეგოდ და გაერიდა. დამარცხების შემთხვევაში შეფიცულებს ქვეყნის დატოვება ჰქონდათ გადანყვეტილი. თიანეთიდან თელავის მაზრაში გადავიდნენ, იქ ადგილობრივმა ოსმა გასცა მათი სამყოფელი, კომუნისტებთან შეტაკების შემდეგ ყარაიაზის ტყეში გადაინაცვლეს, შემდეგ ბორჩალოს მინდვრებში, ალბულახის ტყეებიდან თეთრინყაროსკენ, თრიალეთის გავლით თურქეთისკენ დაიძრნენ... ქაქუცა ოცდაათამდე თანამებრძოლთან ერთად ჯერ ტრაპიზონში ჩავიდა, იქიდან კი საფრანგეთში გადავიდა. საქართველოში დარჩენილი ქაქუცას სიმამრი, ილია მეღვინეთუხუცესი დახვრიტეს. დახვრეტა მიუსაჯეს მის ცოლსაც, ნინოს, მაგრამ შემდეგ შვილებთან, შვიდი წლის თამართან და სამი წლის ქეთევანთან ერთად გადაასახლეს.

არც ემიგრაციაში დანებებია ქაქუცა ბედს. სპირიდონ ჭავჭავაძესთან ერთად პოლონეთში გაემგზავრა და იქიდან ცდილობდა სამშობლოს ხსნას.

ავსტრიაში და სარეპუბლიკაში მიღებულია ჭრილობებმა უცხოეთის მიწაზე შეახსენეს თავი ქაქუცას და მეგობრებმა ოსტსაუას სანატორიუმში დაანვიანეს. 1930 წლის 27 ივნისს ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მისი სურვილი იყო, ნეშტი დაენავათ და ფერფლი საქართველოში მიმოებნიათ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. დაკრძალეს პარიზთან ახლოს, სენტ-უანის სასაფლაოზე, მოგვიანებით გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, 2005 წლის 21 ნოემბერს კი ქაქუცას ნეშტი თბილისში, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დაასვენეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. 23 ნოემბერს კი მთაწმინდის მიწამ მიიზარა წამებული რაინდი.

1924 წლის დახვეწილი დამფუძნებელი კრების წევრები

1924 წლის აჯანყების ჩახშობას დიდი რეპრესიები მოჰყვა. ვინც 1924 წელს გადაურჩა, მოგვიანებით გაუხსენეს წარსული და 1937-1938 წლებში დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის იყო დამფუძნებელი კრების 11 წევრი. ესენი გახლდნენ:

1. სარდიონ თევზაძე – დაბადებული 1882 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ წიაღუბანში. 1924 წელს იგი ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად დახვრიტეს.
2. ვასო ცაბაძე – დაბადებული 1872 წელს გორის მაზრის სოფელ საციხურში. 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყების მიმდინარეობისას „ჩეკამ“ დააპატიმრა და 30 აგვისტოს სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად დახვრიტა.
3. გაბრიელ ცისკარიშვილი – დაბადებული 1892 წელს თელავის მაზრის სოფელ ალვანში. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ, 32 წლის ასაკში დახვრიტეს.
4. ვასილ გურჯუა – დამფუძნებელი კრების აფხაზი დეპუტატი, დაბადებული 1885 წელს კოდორის მაზრის სოფელ კინდლში. დახვრიტეს 1924 წლის 19 სექტემბერს.
5. ალექსანდრე ჩიქავა – დაბადებული 1882 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ შამგონაში. 1924 წელს დააპატიმრეს და აგვისტოს ბოლოს დახვრიტეს.
6. ილია კობალეიშვილი – დაბადებული 1865 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ ეწერში, დახვრიტეს 1924 წელს.
7. ვალიკო ჯუღელი – დაბადებული 1887 წელს შორაპნის მაზრის სოფელ სვირში. 1924 წელს ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი 30 აგვისტოს დახვრიტეს.
8. ვასილ ნოდია – დაბადებული 1891 წელს ქუთაისის გუბერნიის ქალაქ ფოთში. 1924 წელს დააპატიმრეს და იმავე წელს სუზდალის პოლიტიზოლატორიდან გადაყვანისას დახვრიტეს, მასთან ერთად ასევე დახვრიტეს დამფუძნებელი კრების 3 წევრი: 9) ბენიამინ ჩხიკვიშვილი, 10) ნოე ხომერიკი და 11) გოგიტა ფალავა, რომელთა შესახებ უფრო ვრცელ ინფორმაციას ვთავაზობთ მკითხველს.

1924 წლის 28 აგვისტოს, ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების დაწყებიდან ორ დღეში გაიცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, გადასახლებაში მყოფი საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები – ბენიამინ ჩხიკვიშვილი, ნოე ხომერიკი, გოგიტა ფალავა, ვასილ ნოდია და გიორგი წინამძღვრიშვილი უნდა დაეხვრიტათ. სანქცია ამიერკავკასიის სფსრ მთავრობის მოთხოვნით, სსრკ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის, ძერჟინსკის მიერ მომზადდა. გადაწყვეტილება მალევე იქნა სისრულეში მოყვანილი, ტუსაღები სუზდალის პოლიტიზოლატორიდან ეტაპით გადაყვანისას დახვრიტეს. დასაფლავების ადგილი უცნობია.

ბენიამინ ჩხიკვიშვილი

ბენიამინ ჩხიკვიშვილი 1879 წელს, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ციხეში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. სწავლობდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. ბოლო კლასიდან გარიცხეს, რადგან არალეგალური ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობდა. 1918 წლამდე ჩხიკვიშვილმა პოლიტიკურად საკმაოდ აქტიური გზა განვლო. გამოიჩინა ორატორული და ორგანიზატორული ნიჭით. რევოლუციურ მოძრაობაში ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ. 1905 წელს გურიაში რევოლუციური მოძრაობის ლიდერი იყო. მას მოიხსენიებდნენ როგორც „გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტს“. რევოლუციური მოძრაობის დამარცხების შემდეგ მალევე დააპატიმრეს და ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. ბენიამინ ჩხიკვიშვილი სამშობლოში 1917 წელს დაბრუნდა. იყო სოხუმის ქალაქის თავი და სოხუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე.

1918 წელს არჩეულ იქნა გურიის სამაზრო ერობის ხმოსნად, ხოლო 1919 წლის 12 მარტიდან – საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. 1919 წელს აირჩიეს თბილისის მოურავად.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს იყო აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორი. ბენიამინ ჩხიკვიშვილი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დანარჩენ წევრებთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. იგი ჯერ კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, შემდეგ – საფრანგეთში.

აქტიურად იყო ჩართული ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1924 წელს ბენიამინ ჩხიკვიშვილი სამშობლოში არალეგალურად დაბრუნდა. ხელმძღვანელობდა აჯანყების მოწყობის ორგანიზებას, თუმცა 25 ივნისს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ დააპატიმრა. დაპატიმრების დროს მას ნოე ჟორდანიას მიერ გამოგზავნილი შემდეგი შინაარსის წერილი აღმოაჩნდა (სტილი დაცულია):


„წერილი ს.- დ. პარტიის ცეკას

თქვენ მიერ წამოყენებულ გაუნყებთ შემდეგ ჩემ აზრს.

ჩვენი პარტიის პოლიტიკური მუშაობის მთავარი მიზანია დღევანდელ პირობებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. აი ეს მისწრაფება აცხოველებს პარტიის მუშაობას და აძლევს მას სამოქმედო შინაარსს. ამით ჩვენს სოც.-დემოკრ. პარტიის პროგრამაში შეტანილია ახალი პუნქტი საქართველოს დამოუკიდებლობა – არა როგორც დეკლარატიული მოთხოვნა არამედ როგორც უახლოვესი პრაქტიკული პოლიტიკა. ის დეკლარატიულ პუნქტად გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა მისი განმახორციელებელი პირობები გაქრება და ისტორიას შორეული პერსპექტივა დაგვრჩება. ახლა კი ასეთი მდგომარეობიდან შორს ვართ.

ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა შეიძლება ორი გზით: ჩვენი საქმის რუსეთის შინაურ მდგომარეობასთან გადაბმით და ჩვენი საკუთარი გამოსვლით, – გზა პირველი. – სადაო არავისთვის არ არის, რომ რუსეთის დღევანდელი დღის რეჟიმი ახლო მომავალში დაინგრევა, ხიშტზე აგებული ურთიერთობა მოიშლება და სოციალურ ძალთა ახალი გადაჯგუფება მოხდება – აი ამ რღვევის

დროს ჩვენი ხალხი გამოვა და ფაქტიურად აღადგენს წართმეულ თავისუფლებას. როდის მოხდება ასეთი გარდატეხა ამის თქმა ძნელია. უეჭველია ის მოხდება ან შინაგანი მიზეზებით, ან და გარეთ საქმის გართულებით – რუსეთის საგარეო ავანტიურაში ჩათრევა ჩვენ მოგვცემს საშუალებას განთავისუფლებისას. რუსეთის რევოლუცია, რუსეთის ომი, აქედან დაიბადება საქართველოს განთავისუფლება. მაგრამ ვინაიდან არავინ იცის როდის ეს მოხდება, ხოლო პარტია კი ყოველ დღიურ მუშაობას აწარმოებს, ამიტომ საჭიროა მისი მუშაობა არ იყოს მარტო პერსპექტივები და იმედებით შემოფარგლული და მით უშინაარსოთ ქცეული. პარტიის მუშაობის შინაარსია ამ შემთხვევაში ბრძოლა არსებულ რეჟიმთან



ბენიამინ ჩხიკვიშვილი

სოციალიზმის და დემოკრატიზმის ნიადაგზე. აქ ჩვენი მუშაობა არსებითად იგივეა, რაც ძველი რეჟიმის დროს იყო. რევოლუცია დემოკრატიული და ნაციონალური რჩება მუშაობის უახლოვეს მიზნათ. ხალხის და ერის სუვერენიტეტი არა მარტო საქართველოსთვის, რასაკვირველია, არამედ ყველა იმ ხალხების და ერებისთვის, რომელნიც მოსკოვის საბჭოთა ტირანიას განიცდიან. ბრძოლა დემოკრატიისათვის ჩვენ გვაერთებს ამ დაჩაგრულ ხალხებთან, თვით ველიკორუსებთანაც, ხოლო ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის ჩვენ გვაერთებს ყველა დაჩაგრულ ხალხებთან, თვით ველიკორუსებთანაც, ხოლო ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის ჩვენ გვაერთებს ყველა დაჩაგრულ ერებთან ველიკორუსების გამოკლებით, პირველ ყოვლისა ჩვენ მოსაზღვრე ერებთან. სამწუხაროდ, რუსეთის სოციალ-დემოკრატია არ აწარმოებს ამ რევოლუციურ ბრძოლას. მას სურს დარჩეს ლოიალურ ოპოზიციათ. ჩვენ ამ ოპორტიუნიზმთან არ გვაქვს რა საერთო. დევდარიანი და ძმანი მისი ქართული ნაშხეფია ამ რუსული ოპორტიუნიზმის. ჩვენ ვართ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ტერმინი „მენშევიკი“ ჩვენი ტერმინი არ არის. ის მივიღეთ მაშინ, როცა რუსეთის სოც. – დემ. პარტიის ფარგლებში ვიყავით, მაგრამ უკვე მაშინ ნათელი იყო ორგვარი მენშევიზმი – რუსული ოპორტიონისტული, ლიკვიდატორული, ქართული რევოლუციურ პარტიული. ახლა როცა ჩვენი პარტია მოეწყო საქართველოს ფარგლებში, როცა მენშევიკობა რუსის სოციალ-დემოკრატებმა ოპორტიუნიზმის და პოლიტიკური უხასიათობის აშკარა სინონიმით გადააქცია, ჩვენ მენშევიკები არა ვართ, ვიყავით და ვართ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ამ ნაირათ, საქართველოს სოციალ-დემოკრატია თავისი ბრძოლით სოციალიზმის, დემოკრატიზმის და ერთი თვით გამორკვევის დროშის ქვეშ არის ნაციონალური და იმავე დროს უაღრესად ინტერნაციონალური პარტია. ჩვენ ვეუბნებით ყველა ხალხს და პარტიას – ებრძოლეთ საბჭოთა ტირანიას ისე და იმ გზით, როგორც ებრძვის საქართველოს სოციალ-დემოკრატია, მთელი ქართველი ერი. ძნელია, ეს ბრძოლა, ეკლიანი ეს გზა, მაგრამ ვარდი უეკლოთ ჯერ არავის მოუკრეფია.

პარტიამ უნდა აღზარდოს ამ ბრძოლაში ახალი თაობა, განვრთნას მთელი ხალხი, უზინამძღვროს და უმეთაუროს მას და მით მომზადებული, მომნიჭებული შეხვდეს იმ დიდ კრიზისს, საითკენაც რუსეთი ბეცი ბოლშევიკების წყალობით დღეს სწრაფი ნაბიჯით მიექანება...

გზა მეორე: ეს გზა მდგომარეობს საქართველოს განთავისუფლებაში, დამოუკიდებლათ რუსეთის კრიზისისა. ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება განხორციელდეს მარტო საქართველოს შეიარაღებული ბრძოლით. ეს იქნება დაშნაკური ავანტიურა და გათავდება ჩვენი განადგურებით. სამაგიეროთ გამოსვლა ამიერკავკასიის (დალესტანიურთ) მასშტაბით უეჭველათ მიგვიყვანს გამარჯვებამდე, თუ კი ეს გამოსვლა იქნება საერთო ძალ-ღონით წარმოებული. რუსის მიფენი მარტო დალესტანს ებრძოდნენ ოც და ათ წელზე მეტს. ხოლო ბოლშევიკები რამდენ ხანს მოუნდებიან ამ ბრძოლას არა მარტო დალესტანთან, მთელ ამიერ-კავკასიასთანაც ადვილად წარმოსადგენია. საომარი ბაზის კავკასიის ქედზე გადატანა და იქ მთელი ჩვენი შეერთებული ძალებით გამაგრება თავდება გამარჯვების. მხოლოდ ამ შემთხვევაში ევროპა მოგვაქცევს სერიოზულ ყურადღებას და დახმარებას აღმოგვიჩენს. რომ არ მოვცყუვდეთ საჭიროა ნათელი წარმოდგენა გვექონდეს ჩვენს მოკავშირეებზე. აზერბაიჯანი პოლიტიკურად ვერ აღმოჩნდება სანდო, მან პირველად მოიწვია ოსმალთ, ხოლო შემდეგ რუსი. ამიერ-კავკასიის ფრონტზე მან დაარღვია ორჯერ. სამხედრო თვალსაზრისით აზერბაიჯანელები ვერ წარმოადგენენ სასურველ ძალას რეგულიარულ ბრძოლისთვის (ვინაიდან სამხედრო სამსახური არ განუცდიათ) სამაგიეროდ აჯანყების საქმეში ისინი დიდათ გამოსადეგი არიან თავისი სიმამაცით და უშიშრობით. მაშასადამე აზერბაიჯანში თავიდანვე უნდა შეიქმნას ისეთი სამხედრო ცენტრი, რომელიც ამ პასიურ მასალას აქცევს აქტიურ ელემენტათ საერთო ბრძოლისთვის. ასეთი ცენტრის შექმნაში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ქართველობა. საუკეთესო მებრძოლი ელემენტია მთიელნი და ამათ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. სომხეთი ხომ ჩვენთან არ წამოვა, ყოველ შემთხვევაში თავში. ხოლო შემდეგ იძულებული იქნება ბრძოლაში ჩაებას. მაშასადამე პირველი დამწყები კომბინაცია შესდგება საქართველო – აზერბაიჯან-მთისაგან.

პირველი გამოსვლა უნდა მოხდეს მთაში და აზერბაიჯანში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ჩაიგდებენ ხელში რუსეთის გზებს, მოსჭრიან ამიერ-კავკასიას დალესტანის გზით, ესეიგი მათი გამოსვლა სერიოზულია და დაუხვეველი იქნება, მას შემდეგ გამოვა საქართველო და თავის ჯარებს მიაშველებს პირველ ორს. ჯერ საქართველო გამოვიდეს, მერე ისინი, არ არის მისაღები არავითარ შემთხვევაში, მაგათი ნდობა ძნელია. როცა ჩვენ მოსკოვი შემოგვესია, აზერბაიჯანში და მთაში უცებ შეწყდა მოძრაობა და მით დავრწმუნდი მთავარი არაა საქართველოს განმენდა ბოლშევიკებისაგან, არამედ სტრატეგიული ხაზის მოპოვებაც აუცილებელია.

ამ ნაირათ მე თანახმა ვარ მეორე გზით ბრძოლის წარმოების, თუ მასში ჩაებმიან მთა და აზერბაიჯანი და ბრძოლის ხაზი თავიდანვე კავკასიის ქედი გახდება. სხვა ყოველ გვარი კომბინაცია ჩვენთვის მიუღებელია. და ისევ პირველი გზა უნდა ვარჩიოთ და მასზე უნდა შევჩერდეთ. აზერბაიჯანის და მთის გამოსვლა პირველათ საჭიროა იმისთვისაც, რომ ამით გავაჩერებთ ოსმალეთს, ის

მაშინ აღარ მოინდომებს საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრებით დაამარცხოს აზერბაიჯანი და მთა. აი ასეთია ჩემი საერთო შეხედულება და იმედია მიიღებთ მხედველობაში მას როცა საჭიროდ დაინახავთ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრას. დანარჩენს გადმოგცემენ ის ამხანაგები, რომლებიც მანდ მოდიან ამ საღამოთი

ნ. ჟორდანიას.

წერილის დედანი ჩემთან ინახება არქივი მოსკეთ.“¹

სასამართლო პროცესზე, ცხადია, წერილი ჩხიკვიშვილის წინააღმდეგ მტკიცებულებად იქნა გამოყენებული. დაკითხვაზე ბენიამინ ჩხიკვიშვილი კატეგორიულად უარყოფდა ჟორდანიას წერილთან რაიმე კავშირსა და აჯანყების ორგანიზებაში მონაწილეობას. ეს კარგად ჩანს მის სისხლის სამართლის საქმეში.

პირველად ბ. ჩხიკვიშვილი 1924 წლის 11 ივლისს დაკითხეს, რა დროსაც განაცხადა, რომ სამშობლოში მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, ჩეხოსლოვაკიაში აპირებდა გადასვლას სასოფლო-სამეურნეო ფირმაში სამუშაოდ, ასევე სურდა ოჯახის გადაყვანაც. საქართველოშიც მხოლოდ ამ საქმეების მოსაგვარებლად იყო ჩამოსული და არავითარი პოლიტიკური მიზნები არ ჰქონია.

თუმცა აგენტურული ცნობები სხვას მეტყველებდა. ასევე სისხლის სამართლის საქმიდან ირკვევა, რომ „1924 წლის მაისის შუა რიცხვებში მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს მითითებით ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნდა დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი, ყოფილი გენერალ-გუბერნატორი ბენიამინ ჩხიკვიშვილი, რომელსაც საგანგებო დავალება ჰქონდა, ეწარმოებინა იატაკქვეშა საქმიანობა და საქართველოში შეიარაღებული აჯანყება მოეწყო. ამ მიზნით საქართველოს პროვინციული ქალაქები შემოიარა და ადგილობრივი ორგანიზაციების მდგომარეობას გაეცნო. დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე კი თბილისში გამოემგზავრა, რათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაკავშირებოდა.

ჩხიკვიშვილს ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი ნოე ჟორდანიას წერილი აღმოაჩნდა, რომელშიც ჟორდანია გამოთქვამს მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა მოხდეს თავისუფალი დემოკრატიული საქართველოს აღდგენა. ამ მიზნით უნდა გაგრძელდეს იატაკქვეშა საქმიანობა და უნდა დაიწყოს შეიარაღებული გამოსვლები სომხეთსა და აზერბაიჯანში. როცა რუსეთის ძირითადი ყურადღება და ძალები გადასროლილი იქნება აღნიშნულ ტერიტორიებზე, აჯანყება დაიწყება საქართველოში, რათა ნაკლები მსხვერპლით დასრულდეს და მოპოვებული იქნას ძალაუფლება. ჟორდანია აღნიშნულ წერილში კატეგორიულად გამორიცხავს გამოსვლების საქართველოში დაწყებას, რადგან, მისი თქმით, ეს დიდ რეპრესიებს გამოიწვევს.

ბრალდებასთან დაკავშირებით ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ საფრანგეთში მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო გადაწყვიტა ჩეხოსლოვაკიაში გადასვლა სოფლის მეურნეობის შესასწავლად, საქართველოში კი მხოლოდ გასაფრთხილებლად ჩამოვიდა. საფრანგეთში მყოფი ემიგრაციული მთავრობისგან

1. საქართველოს შსს არქივი, ფ. 6, ს. 24343. ფურც. 13-15.

არანაირი დავალება არ მიუღია და არც იმ წერილის შესახებ იცოდა რამე, რომელიც ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა. ასევე დასძინა, რომ არც პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ჰქონია კავშირი, რადგან თბილისში მცირე დროით იმყოფებოდა.²

1924 წლის 30 ივლისს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილების რწმუნებულმა ჯალალანიამ განიხილა ბენია ჩხიკვიშვილის საბრალდებო საქმე:

ავენტურული ცნობებიდან და იქედან გამომდინარე, რომ ბენიამინ ჩხიკვიშვილი იყო მენშევიკური ბიუროს მიერ საქართველოში საგანგებოდ წარმოგზავნილი და მას ჰქონდა დავალება: 1) ეწარმოებინა იატაკქვეშა საქმიანობა, 2) მოეხდინა იატაკქვეშა საქმიანობის გაშლა და მეტი ადამიანი ჩაერთო, 3) საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა ემიგრაციული მთავრობისთვის, 4) მოემზადებინა შეიარაღებული გამოსვლები, როგორც მეზობელ რესპუბლიკებში, ასევე საქართველოში. ბენიამინ გიორგის ძე ჩხიკვიშვილს – 45 წლისას, მიესაჯოს გადასახლება საქართველოს ფარგლებს გარეთ, საკონცენტრაციო ბანაკში 5 წლით.³ განაჩენი მალევე მოიყვანეს სისრულეში და ჩხიკვიშვილი მართლაც გადასახლეს, მაგრამ როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, ეს არ იყო საბოლოო გადაწყვეტილება და 1924 წლის აგვისტოში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მოღვაწე ბენიამინ ჩხიკვიშვილი თანამებრძოლებთან ერთად დახვრიტეს.

ნოე ხომერიკი

ბენიამინ ჩხიკვიშვილთან ერთად დახვრიტეს დამფუძნებელი კრების კიდევ ერთი წევრი, ნოე ხომერიკი. აღსანიშნავია, რომ პატიმრობის განმავლობაში ძიებამ ვერ მოახერხა მისგან აღიარებითი ჩვენების მიღება. ერთ-ერთ დაკითხვაზე ნოე ხომერიკმა დასძინა, რომ „ვერასოდეს შეეგუება საქართველოს ოკუპაციას და იმას, რომ ქართველი ხალხი დამონებულია, ამიტომ თავს ვალდებულად თვლიდა საქართველოში დაბრუნებულიყო და მოძალადეების წინააღმდეგ ებრძოლა. საკუთარი სურვილით დავბრუნდი სამშობლოში და არა ვინმეს დავალებით. ამ მომენტისთვის თავს რეჟიმის ტყვედ ვთვლი“.

ნოე გიორგის ძე ხომერიკი 1883 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ მიქელ-გაბრიელში დაიბადა. დაწყებითი განათლება სოფლის 2-კლასიან სკოლაში მიიღო. შემდგომ კი სწავლა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში განაგრძო. სწორედ ქუთაისიდან იწყება მისი პოლიტიკური მოღვაწეობა, როდესაც სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში ერთვება.

პოლიტიკური საქმიანობის გამო არაერთხელ დააპატიმრეს.

მის სახელს უკავშირდება არალეგალური სტამბის მოწყობაც. ბეჭდავდა და ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, პროკლამაციებს. იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმერეთის კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, რისთვისაც დააპატიმრეს, თუმცა მოახერხა გაქცევა. გაქცევის შემდეგ თბილისში დასახლდა და რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი

2. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24343. ფურც. 31-32.

3. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24343. ფურც. 33-35.

ლიდერიც გახდა. მოგვიანებით ხომერიკი კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ „მნათობს“ რედაქტორობდა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი ორგანიზაციის წევრი.

1915 წელს ხომერიკი ისევ დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. რევოლუციის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა.

1918 წლის თებერვლიდან ამიერკავკასიის სენის წევრი იყო.

ამიერკავკასიის მთავრობის კაბინეტში ჩაიბარა მინათმოქმედების მინისტრის თანამდებობა და აგრარული რეფორმა წამოიწყო.

1917 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.


1918 წლის 26 მაისს კი ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. 1918 წლიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; პარალელურად მუშაობდა შრომის, გზათა და მინათმოქმედების მინისტრად და აგრძელებდა აგრარულ რეფორმას.

1919 წლის 12 მარტიდან აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ, დატოვა სამშობლო და ცხოვრობდა სტამბოლში. თუმცა არც იქ შეუწყვეტია პოლიტიკური საქმიანობა.

1922 წლის ოქტომბრის ბოლოს ნოე ხომერიკი არალეგალური გზით დაბრუნდა საქართველოში, როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის და ინტერპარტიული კომიტეტის რწმუნებული. ჩამოსვლისთანავე ჩაერთო არალეგალურ იატაკქვეშა საქმიანობაში. აქტიურობდა არალეგალური ანტისაბჭოთა გამოცემების ბეჭდვისა და გავრცელების კუთხით. ნოე ხომერიკი წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი და ორგანიზატორი იყო. იგი საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ („ჩეკა“) 1923 წლის 9 ნოემბერს, თბილისში, გვანცელაძის ბინაში დააპატიმრა.

დაკავებისას ბინიდან ამოიღეს დიდი რაოდენობით მიმონერა, დაშიფრული დოკუმენტები და პროკლამაციები; ჩამოართვეს ფული – 150 თურქული ლირა და 15 ოქროს რუბლი. ნოე ხომერიკის დაპატიმრებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ძალებისგან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გამოჩნდა პროკლამაციები, გავრცელდა მიმართვები, ნოე ხომერიკის დაპატიმრება სერიოზული დარტყმა იყო საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის.



ნოე ხომერიკი

„მიმართვა მენშევიკური პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას ძვირფასო მეგობრებო, 9 ნოემბერს საქართველოს საგანგებო კომისიამ დააპატიმრა ჩვენი პარტიის ცნობილი წევრი და ერთ-ერთი ლიდერი ნოე ხომერიკი. ის გააკოჭეს და ისე წაიყვანეს. ეს ფაქტი კომუნისტური ხელისუფლების სახეზე მეტყველებს. ამას დავამატებთ იმ ამაზრზენ განცხადებას, რომელიც საოკუპაციო ორგანოებმა 10 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნეს – „გუშინ დაპატიმრებულ იქნა მენშევიკური პარტიის ლიდერი და ჩოლოყაშვილის ბანდის ორგანიზატორი ნოე ხომერიკი“... „ამხანაგებო, ნოე ხომერიკის დაპატიმრება ჩვენთვის დიდი დარტყმაა, მისი დაპატიმრებით რიგებიდან საუკეთესო მებრძოლი და გამოცდილი რევოლუციონერი გამოგვეთიშა, ამიტომაც ზეიმობენ კომუნისტები. თუმცა, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ შემდგომი ძალადობრივი ფაქტი ქართველ ხალხზე ვეღარ განხორციელდება და საქართველოს დამპყრობლებს მალე დაუდგებათ დასასრული. საქართველო კვლავ იხილავს თავის საუკეთესო შვილებს.

სოციალ დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი
1923 წ. 10 ნოემბერი“⁴

ნოე ხომერიკის დაპატიმრებით ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებმა რომ წარმატებას მიაღწიეს და თავს მართლაც გამარჯვებულად მიიჩნევდნენ, კარგად ჩანს ლავრენტი ბერიას წერილიდანაც.

გთავაზობთ ამონარიდს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ლავრენტი ბერიას საუბრიდან:

„მენშევიკებმა, დაკარგეს რა გავლენა მუშათა და გლეხთა კლასებზე, ახლა ამ გავლენის მოპოვებას იარაღით ცდილობენ. საქართველოს ჩეკას ბევრი დოკუმენტი და აგენტურული ინფორმაცია აქვს იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობენ მენშევიკები შეიარაღებული აჯანყების მოწყობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს საგანგებო კომისიამ ბოლო ხანებში მენშევიკური პარტიის ორი მნიშვნელოვანი ფიგურა – ნოე ხომერიკი და დევედარიანი დააკავა. ხომერიკს დაპატიმრების დროს ბევრი საყურადღებო დოკუმენტი აღმოუჩინეს, მათ შორის საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებული მენშევიკების ბიუროებს შორის გაგზავნილ-გამოგზავნილი დაშიფრული დეპეშები. ზოგიერთი მათგანის გაშიფვრა მოხერხდა, გაშიფრულია ნოე ხომერიკის წერილი „ფრანსუას“ ფსევდონიმით, რომელსაც საზღვარგარეთის ბიუროს წერს. წერილში საუბარია იმის შესახებ, რომ მენშევიკებს განზრახული აქვთ ბანდების შექმნა და ამ გზით შეიარაღებული აჯანყების მოწყობა: „როგორც წინა წერილში გწერდით, აჯანყების მოწყობის საკითხი აქტიურად დგას დღის წესრიგში, რაც შესაძლოა უახლოეს მომავალში განხორციელდეს. ხოლო თუ ჩაიშალა ვინსნი პასუხისმგებლობას. ამაში თქვენ იქნებით დამნაშავენი. დროულად რომ ამოგელოთ ხმა, იქნებ, საქმე სხვაგვარად ყოფილიყო. ამ საქმის წარსამართად იარაღი დაგვეჭირდება და იქნებ ამ მიმართულებით დაგვეხმაროთ. ძალაუფლებას თუ ხელში ავიღებთ და რუსის ჯარი უკან დაიხევს, როგორ იქნება, რომ პოლონეთმა საპროტესტო

4. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 23587, ფურც. 39.

აქციები მაინც არ მოაწყოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“. ხომერიკის აღნიშნული წერილი მთლიანად სიცრუეზე იყო აგებული. წერილში ასევე საუბარია იმაზე, რომ საგანგებო კომისია მასობრივ რეპრესიებს ეწევა. ხომერიკის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „დაპატიმრებულ ს. დობორჯგინიძესა და ილია გიორგაძეს საშინლად ტანჯავენ და აწამებენ, რისთვისაც მათ შიმშილობა გამოაცხადეს. „ჩეკაში“ უკიდურეს ხერხებს მიმართავენ აღიარებითი ჩვენებების მოსაპოვებლად. ამის შესახებ უკვე მოგწერეთ, აღნიშნული ინფორმაცია პრესაში გაავრცელეთ, თუ საჭირო გახდა, ჩვენი სახელითაც იმოქმედეთ“.

ყველასთვის ცნობილია, რომ მენშევიკები ყველა გზას მიმართავდნენ დასავლეთ ევროპის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რათა თავიანთი ავანტიურა გაემართლებინათ. ამ მომენტისთვის დოკუმენტის გაშიფრვა მიმდინარეობს და როგორც კი დასრულდება, ყველა საკადრისად დაისჯება.

ჩვენ ვდგავართ რევოლუციური მიღწევების სადარაჯოზე და არავის მივცემთ უფლებას მშვიდობიან მშრომელ მასებს ხელი შეეშალოთ. ყველა მცდელობა ამ მიმართულებით სათავეშივე იქნება აღმოფხვრილი.“⁵

მუქარამ არ დააყოვნა...

ხომერიკის სისხლის სამართლის საქმეში ვკითხულობთ:

გადახედილ იქნა ნოე გიორგის ძე ხომერიკის საქმე. ნოე ხომერიკი – 40 წლის, ქართველი, გლეხი, ოზურგეთის მაზრიდან, ინტელიგენტი, ქვრივი, თვითგანათლებლით, მენშევიკური პარტიის წევრი. გასამართლებული კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის.

აღნიშნული საქმე აღიძრა აგენტურული გამოძიების საფუძველზე. ნოე ხომერიკი დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა წევრებთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. 1922 წელს სამშობლოში დაბრუნდა და პარტიის საორგანიზაციო საქმეებს სათავეში ჩაუდგა. ხელმძღვანელობდა არალეგალურ გამოცემებს. ფაქტობრივად, პარტიის მმართველიც ნოე ხომერიკი იყო, რასაც დევდარიანიც ადასტურებს. მისი თქმით, საზღვარგარეთის ბიუროსთან მიმონერას ხომერიკი აწარმოებდა. იმ დოკუმენტებზე, რომელიც ხომერიკს დაპატიმრებისას აღმოაჩნდა, დევდარიანი აღნიშნავდა, რომ ამ მიმონერის საქმის კურსში თავად არ იყო. ჩვენებებში დევდარიანი ასევე დასძენდა, რომ იგი ხომერიკს აჯანყების მოწყობაში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, რის გამოც უთანხმოებაც კი მოსვლიათ. დევდარიანი ხომერიკის ამგვარ საქმიანობას ავანტიურას უწოდებს, რისთვისაც პასუხი პარტიის წინაშე სწორედ ხომერიკმა უნდა აგოს.

გაზეთ „საქართველოს ხმის“ პარალელურად, რომელსაც დევდარიანი რედაქტორობდა, ხომერიკმა გაზეთ „ჩვენი ერთობის“ გამოცემა დაიწყო. მისი მარჯვენა ხელი გოგიტა ფალავა იყო, რომელიც ხომერიკის ყველა დავალებას საგულდაგულოდ ასრულებდა. ფალავას ხშირად ჰქონდა საუბრები დევდარიანთან, მაგრამ ერთხელ, როცა აჯანყებაზე ჩამოუგდო სიტყვა და დევდარიანის უარყოფითი განწყობა შეამჩნია, ამ თემაზე აღარ დალაპარაკებია.

სისხლის სამართლის საქმიდან ირკვევა, რომ ხომერიკის წინააღმდეგ ძირითად მონმედ დევდარიანი გამოიყენეს.

დევდარიანი ჩვენებაში დასძენს: „დაშიფრული მიმონერა საზღვარგარეთთან,

5. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 23587, ფურც. 37-38.

რომელსაც ხომერიკი აწარმოებდა, უკვე მონაშობს იმას, რომ ხომერიკი პარტიის სახელით აჯანყების მოწყობის ორგანიზებას ეწეოდა. როდესაც კავშირი ჰქონდა ჩოლოყაშვილის და მსგავსი ტიპის ბანდებთან. სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ თავის პლატფორმიდან გადაუხვია და ავანტიურიზმის გზას დაადგა.

ამხანაგი ხომერიკი რატომღაც ერთს ამბობდა და მეორეს აკეთებდა, ცენტრალური კომიტეტი და მთელი პარტია ხელში ჩაიგდო.

ხმალადის (ყოფილი მენშევიკი, ხომერიკთან ერთად დააპატიმრეს) ჩვენებიდან ირკვევა, რომ პირადად მან ხომერიკისგან არაერთი დავალება მიიღო კომუნისტების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოსაწყობად. ხმალადეს ჰქონდა დავალებული ბორჯომის რაიონში, კასრადისა და ფორია ცაგურიშვილის ბანდებთან ერთად, შეიარაღებული ამბოხის მოწყობა, რისთვისაც ცენტრი 80-100 ოფიცრის გამოყოფას ჰპირდებოდა, მაგრამ ოფიცრების დანიშნულების ადგილზე გაგზავნა ვერ მოხერხდა და ეს გამოსვლა ჩაიშალა.

1922 წელს ბორჯომ-ახალციხის გზაზე კასრადის დაჯგუფებამ ფაქტონები გაძარცვა. წაღებული 4 000.000 მანეთი მენშევიკური ორგანიზაციის ხელში გადავიდა.

1923 წლის 25 აგვისტოს ხომერიკის ინიციატივით ძალების მობილიზაცია მოხდა, რათა მენშევიკების კონფერენცია ან ჩაეშალათ ან კიდევ მიეღოთ დეკლარაცია, თუმცა ამის გაკეთება არ გამოუვიდა.

1923 წელს, ზაფხულში, კახეთიდან სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი, ყოფილი სახალხო გვარდიელი გაგნიძე ჩამოვიდა წინადადებით, ჩოლოყაშვილის ბანდის ლიკვიდაციის უფლება მიეღო, ცენტრალურმა კომიტეტმა კატეგორიულად აუკრძალა“.

ამ ჩვენებებიდან გამომდინარე, იატაკქვეშა საქმიანობისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ შეურიგებლობის გამო, ნოე ხომერიკს საკონცენტრაციო ბანაკში 5 წლით გადასახლება მიესაჯა.⁶

როგორც უკვე მოგახსენეთ, მასაც იგივე ბედი ეწია, რაც ბენიამინ ჩხიკვიძელს.

გოგიტა ფალავა

დამფუძნებელი კრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი გიორგი (გოგიტა) აქვსენტის ძე ფალავა 1895 წელს ქალაქ ქუთაისში, თავადის ოჯახში დაიბადა. მან კარგი განათლება მიიღო ჯერ საქართველოში, შემდეგ რუსეთში. სწავლობდა რუსეთის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. თუმცა პოლიტიკური საბაბით არაერთხელ დააპატიმრეს. რევოლუციური მოძრაობის დაწყების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

აქტიურად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოში სახალხო გვარდიის სისტემის ფორმირებაში; შემდგომ წლებში სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრად აირჩიეს.

1919 წლის 12 მარტს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად; იყო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში

6. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 23587. ფურც. 91-93.

მონაწილეობდა; ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და წინააღმდეგობის მოძრაობაში აქტიურად ჩაება, რისთვისაც 1921 წლის 29 აპრილს დააპატიმრეს.

მის სისხლის სამართლის საქმეში შემდეგი სახის ცნობებია დაცული (სტილი დაცულია):

„გიორგი აქესენტის ძე ფალავა 26 წლის, ცოლშვილიანი, ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული. მცხოვრები ქ. ქუთაისში.

1921 წლის მაისის დღესა ქუთ. საგ. საგანგებო კომისიის უფროსმა გამომძიებელმა ნ. ჟღენტმა დაკვითხე მოქალაქე გიორგი აქესენტის ძე ფალავა, რომელმაც მაჩვენა შემდეგი: 1913 წლიდან ვეკუთვნი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მართალია, მე ვამბობ, რომ სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრი ვარ, მაგრამ არასდროს არ მქონებია ისეთი შემთხვევა, რომ მას შემდეგ რაც საქართველოში საბჭოთა ძალა უფლება გამოცხადდა არალეგალურად მემუშავნოს და ან საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ მემოქმედოს. არც არავითარი ექსესების მომსწრე არ ვყოფილვარ და არც ვიქნები. ყოველივე ამის შემდეგ ვაცხადებ, რომ გარდა იმისა რომ მე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ვარ, არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის.


შეკითხვა: როგორი შეხედულების ხარტ მომავალში ბოლშევიკებსა და მენშევიკების ურთიერთობაზე? როგორ უნდა ვიმუშავოთ რომ მუშათა კლასი არ დაზარალდეს.

პასუხი: თქვენ შეკითხვაზე გიპასუხებთ შემდეგს: მე მნამს, რომ დღევანდელ პირობებში თუ ჩვენ მოვნახავთ ისეთ საშუალებას, რომ ამ საშუალებით ვიმუშავებთ რომლითაც შეგვიძლია შევებრძოლოთ შექმნილ პირობებს რომელიც არის მაგ. სიძვირე და სხვა ასეთი ეს იქნება ჩემი აზრით უფრო მიზანშეწონილი. თუ რომ ჩვენ შორის იქნება უთანხმოება, მმართველი პარტია არ მოგვცემს საშუალებას რომ ჩვენ იდეურად (ლეგალურად) ვიმუშაოთ. მე არ ვიტყვი იმას რომ ამით ასე და ისე იქნებათქო. უბრალოდ ბევრად სასარგებლო იქნება საერთო საქართველოსთვის ჩვენი ლეგალური მუშაობა. უკანასკნელად ვაცხადებ რომ ჩვენ თუ მივიღებთ ლეგალური მუშაობის ნებართვას. მე მზათ ვარ ყოველივე ძალღონით ვიმუშავო ხალხის საკეთილდღეოთ. სხვა საჩვენებელი არაფერი არ მაქვს. ხელს ვანერ გიორგი ფალავა.“⁷

გოგიტა ფალავას პატიმრობა მიესაჯა:

დადგენილება

„1921 წელს მაისის 1 დღესა ქუთაისის საგ. საგანგებო კომისიის გამომძიებელმა ჟღენტმა განვიხილე საქმე მოქალაქე გიორგი აქესენტის ძე ფალავასი და



გოგიტა ფალავა

7. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24343. ფურც. 13-14.

მივიღე რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ხსენებული ფალავა არის ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი და არის გავლენიანი პიროვნება და აწარმოებს არალეგალურ მუშაობას საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ. ამასთანავე ამ ოქმში თან ჩაკერებულია წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ გიორგი ფალავა მუშაობდა არალეგალურად. ამისათვის დავადგინე: გიორგი აქვსენტიის ძე ფალავა დაპატიმრებულ იქნას და მოთავსებული ქუთ. საგ. ციხეში. ქუთ. საგ. საგანგებო კომისიაზე ჩარიცხვით. ასლი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ციხის უფროსს სახელმძღვანელოთ და შესასრულებლად.“⁸

თუმცა გოგიტა ფალავა პატიმრობიდან იმავე წელს ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს.

გათავისუფლების შემდეგ ფალავა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იატაკქვეშა არალეგალურ საქმიანობას ეწეოდა.

გოგიტა ფალავა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი.

ნოე ხომერიკის დაბრუნებისთანავე გოგიტა ფალავა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად იქცა. ცნობილი იყო „ავთანდილის“ ფსევდონიმით.

ხომერიკის დაპატიმრების შემდეგ სწორედ გოგიტა ფალავა გახდა წინააღმდეგობის მოძრაობის მთავარი ორგანიზატორი.

1924 წლის 15 თებერვალს გოგიტა ფალავაც დააპატიმრეს.

როგორც ირკვევა, აღიარებითი ჩვენებების მისაღებად გოგიტა ფალავა საგანგებო კომისიის სატუსალოში ურთულეს პირობებში ჰყავდათ, რაც მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისახებოდა, ამაზე ნათლად მეტყველებს თავად გოგიტა ფალავას წერილი:

„საგანგებო კომისიას პატ: გ. ფალავას განცხადება

მეექვსე თვეა ჩეკაში ვიმყოფები, მაგრამ ის სამი კვირა რაც „ზაკჩეკაში“ ვარ მთელ დანარჩენ დროს უდრის: ჩემი საკანი სავსებით დახურული და დღის სინათლეს მოკლებულია. ასე ხანგრძლივად ყოფნა ფიზიკურ განადგურებას მოასწავებს, და რადგანაც მე კიდევ არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს თქვენს გეგმაში შედის, გაუწყებთ ამას იმ იმედით, რომ ოდნავათ ადამიანურ პირობებში ჩამაყენებთ. მით უფრო რომ როგორც ეტყობა ციხეს ვერ ველირსები“⁹... წერილი 1924 წლის 18 ივლისით თარიღდება.

გოგიტა ფალავას წინასწარმეტყველება ნამდვილად ახდა – ისიც, თანამებრძოლებთან ერთად, 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყების დანაშაულის შემდეგ დახვრიტეს.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამფუძნებელი კრების ის წევრები, რომლებიც 1924 წელს რეპრესიებს გადაურჩნენ, 1937-1938 წლებში სასტიკად დაისაჯნენ.

8. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24343. ფურც. 15.

9. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 23587. ფურც. 15.

იასონ ჯავახიშვილი: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ბედის სიმღერა“ თუ ბრძოლის დასაწყისი

1918 წლის 26 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გამართულ საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ წაიკითხა. ასე დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებით დასრულდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი დანებებას არ აპირებდა. ამის დასტურია 1921 წლის აჯანყება სვანეთში, 1922 წლის აჯანყება ხევსურეთში, ამავე წლის 26 მაისის მასობრივი მანიფესტაცია თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. ეროვნული სულისკვეთება თანდათან ძლიერდებოდა და 1924 წელს ფართომასშტაბიან შეიარაღებულ გამოსვლაში გადაიზარდა, რომლის მიზანსაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა.



იასონ ჯავახიშვილი

აჯანყების მომზადებისთვის 1922 წელს შექმნილ ინტერპარტიულ ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“, იგივე „პარიტეტულ კომიტეტს“ უნდა ეხელმძღვანელა. მისი პირველი თავმჯდომარე გოგიტა ფალავა იყო, ხოლო პირველი წევრები: იასონ ჯავახიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ გობერია და მუხრან ხოჭოლავა იყვნენ.¹ მასში შემავალ ანტისაბჭოთა პარტიებს კავშირი ჰქონდათ როგორც დამოუკიდებლობის კომიტეტთან, ისე ერთმანეთთან. პარიტეტული და პარტიული კომიტეტების მეკავშირე გახლდათ იასონ ჯავახიშვილი.² სწორედ მასზე შევაჩერებთ მოგვიანებით თქვენს ყურადღებას.

1923 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა პარიტეტულ კომიტეტთან შექმნილი „სამხედრო ცენტრის“ 15 წევრი დააპატიმრა და დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტა; 1924 წელს კი აგვისტოს აჯანყების ჩახშობა და მისი მონაწილეთა დაპატიმრებაც მოახერხა. 1925 წლის ივლისში პარიტეტული კომიტეტის 47 წევრის სასამართლო პროცესი გაიმართა. ბრალდებულთა უმეტესობას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ბრალდებულთა სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებების სტენოგრაფიული ჩანაწერები.

იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1887 წელს გორის რაიონის სოფელ ძევერაში. პროფესიით იყო იურისტი. 1920-იანი წლების დასაწყისში

1. საქართველოს შსს არქივი, „მშვიდობით, ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ!“, წინასიტყვაობა, 2016, გვ. 8.

2. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 23496, ტ. 1, კოტე აფხაზის ჩვენება, 1923, გვ. 42-43: „ეროვნულ-დემოკრატებიდან პარიტეტულ კომიტეტში შედიოდა იასონ ჯავახიშვილი, რომელიც ამავედროულად პარიტეტული და პარტიული კომიტეტების მეკავშირე იყო“.

გახლდათ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. პარიტეტული კომიტეტის დაარსებისთანავე გახდა ჯერ მისი წევრი, მოგვიანებით კი – კომიტეტის თავმჯდომარის, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, მოადგილე. 1924 წლის 3 სექტემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ იასონ ჯავახიშვილი კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად შიომღვიმეში დააპატიმრა და გაასამართლა. მას ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16, 58-ე (ნაწილი I), 59-ე, მე-60, 64-ე და 66-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.³ აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე სოლომონ ზალდასტანიშვილი თავის მემუარებში აღწერს: „სექტემბერში მცხეთის მიდამოებში დაიჭირეს კოტე ანდრონიკაშვილი და იასონ ჯავახიშვილი; უკანასკნელი ფეხში დასჭრეს ჩეკისტებმა. 5 სექტემბერს ორივე აიძულეს, ხალხისთვის მიემართათ, რომ აჯანყება დამარცხებულია და გასულ რაზმებს სთხოვეს, იარაღი აეყარათ და ხელისუფლებას დამორჩილებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უპირებდნენ კიდევ ათასობით ხალხის დახვრეტას“.⁴

იასონ ჯავახიშვილის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ მცირე ინფორმაციას მისივე სააღრიცხვო ბარათიდან ვიგებთ: „საშუალოზე დაბალი, შავგვრემანი პირისახის, დიდი თავით, შავი თვალებითა და შავი უღვაშებით“.⁵ სამხედრო ცენტრის ერთ-ერთი წევრის, დიმიტრი ჩრდილელის, ჩვენებაში კი ვკითხულობთ: „ჯავახიშვილი 1920 ან 1921 წელს ქუჩაში გავიცანი. მისი გარეგნული ნიშნებია: დაბალი, დაახლოებით 30 წლის, გაპარსული წვერით, ატარებს უღვაშს“.⁶

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ აგვისტოს აჯანყებისთვის გასამართლებულთა ჩვენებების სტენოგრაფიულ ჩანაწერებს შორის იასონ ჯავახიშვილის ჩვენებაც გვხვდება. მის დასაკითხად ერთმანეთს ენაცვლებიან თავმჯდომარე ვაშაძე, სახალხო მსაჯული სტურუა, სახელმწიფო ბრალმძებელი ოკუჯავა და ვეკილები: მაჭავარიანი და ღვამიჩავა.

მიუხედავად ყველაფრისა, იასონ ჯავახიშვილს არავინ დაუსმენია. არც სამხედრო ცენტრის გამცემ მისაბიშვილის მკვლელობაში თავისი ირიბი თანამონაწილეობის აღიარებაზე დაუხვეია უკან; მოსამართლის გულის მოსაგებად არც ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ წარმოდგენილი ბრალდებები დაუდასტურებია და არც პარიტეტული კომიტეტის და, შესაბამისად, თავისი წამყვანი როლი უარუყვია აჯანყების მომზადებაში. სახალხო მსაჯულის შეკითხვაზე: „პარიტეტული კომიტეტი საზღვარგარეთ დასტურს სთხოვდა თუ არა?“, მან უპასუხა: „პარიტეტული კომიტეტი არავის არ ექვემდებარებოდა. პირიქით, მას ექვემდებარებოდნენ“.

მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს სასამართლო პროცესზე იასონ ჯავახიშვილის მიერ მიცემული ჩვენებიდან, რომელშიც ის დეტალურად აღწერს საქართველოში ყველაზე ორგანიზებული და ფართომასშტაბიანი აჯანყების მომზადების პროცესსა და მის წინაპირობას (დოკუმენტის სტილი დაცულია):

3. საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 2, ს. 375, ტ. 1, გვ. 1.

4. ზალდასტანიშვილი ს., „საქართველოს 1924 წლის ამბოხება: მოგონებები“, თბილისი, „მერანი“, 1989. გვ. 40.

5. საქართველოს შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, სააღრიცხვო ბარათი.

6. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 23484, ტ. 2, გვ. 57.

„16 ივლისი საღამოს სხდომა
ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

შეკითხვა: თქვენ რომელ მუხლს აღიარებთ სწორად?

პასუხი: ბრალდების არც ერთ მუხლში მე ჩემ თავს დამნაშავეთ არ ვცნობ.

შეკითხვა: დამნაშავეთ თუ არა სწორად. მე გეკითხებით თქვენ, სწორად სცნობთ ბრალდების 4 მუხლს თუ არა?

პასუხი: არ არის სწორი.

შეკითხვა: როდის გსურთ დაკითხვა?

პასუხი: როდესაც გნებავთ, ჩემთვის სულერთია⁷...

22 ივლისი საღამოს სხდომა

მე-XIV-ე.

თავმჯდომარე: უზენაეს სასამართლოს სხდომას გახსნილათ ვაცხადებ. გრძელდება ბრალდებულების დაკითხვა. ბრალდებულო ჯავახიშვილო, / დგება ჯავახიშვილი / რამდენი წლისა ხართ?

ჯავახიშვილი: 37 წლის.

თავმჯდომარე: ყოფილი წოდება?

ჯავახიშვილი: აზნაური.

თავმჯდომარე: ოჯახური მდგომარეობა?

ჯავახიშვილი: უცოლო.

თავმჯდომარე: თქვენი სპეციალობა?

ჯავახიშვილი: ინტელეგენტი.

თავმჯდომარე: ქონებრივი მდგომარეობა?

ჯავახიშვილი: არაფერი არ მაქვს.

თავმჯდომარე: რა განათლების?

ჯავახიშვილი: უმაღლესი.

თავმჯდომარე: რა პარტიის ხართ?

ჯავახიშვილი: საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული პარტიის.

თავმჯდომარე: პასუხისგებაში არ ყოფილხართ მიცემული?

ჯავახიშვილი: არასდროს.

თავმჯდომარე: რომელი წლიდან ირიცხებოდით პარტიის წევრად?

ჯავახიშვილი: 1917 წლიდან.

თავმჯდომარე: რომელი წლიდან ითვლებოდით თქვენი პარტიის ცეკას წევრად?

ჯავახიშვილი: დაახლოებით, 19 წლიდან.

თავმჯდომარე: როდის მიიღეთ დადგენილება თქვენი პარიტეტულ კომიტეტში გაგზავნის შესახებ?

ჯავახიშვილი: თავიდანვე, როცა დაარსდა პარიტეტული კომიტეტი. მე ვანარმოებდი მოლაპარაკებას და გამაგზავნეს კიდევ წევრად.

თავმჯდომარე: რა მიზანი ქონდათ პარიტეტულ კომიტეტს?

ჯავახიშვილი: 1921 წლის თებერვლის და მარტის დღეების შემდეგ ჩვენ პარტიულ წრეებში დაისვა საკითხი შესახებ ჩვენი დამოკიდებულებისა ხელისუფლებასთან.

7. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 375, ტ. 1, გვ. 69.

თავმჯდომარე: მე გეკითხებით პარიტეტულ კომიტეტის მიზნებზე. რა მიზანი ქონდა მის დაარსებას?

ჯავახიშვილი: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

თავმჯდომარე: რომელ წელში შესდგა დამოუკიდებლობის კომიტეტი?

ჯავახიშვილი: ის შესდგა 22 წლის აგვისტოში.

თავმჯდომარე: რა პირობებზე იყო პარიტეტული კომიტეტი შექმნილი?

ჯავახიშვილი: მე მოგახსენეთ, რომ ჩვენს პარტიულ წრეებში თებერვლის და მარტის დღეების შემდეგ დაისვა საკითხი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ ხელისუფლებასთან. თითქოს ყველა იმ აზრის გახდა, რომ ფაქტს დაპყრობისას უარყოფთ, მაგრამ თუ ხელისუფლება გაატარებს ეროვნულ გეზს, ჩვენ მას მხარში ამოუდგებით და შევეცდებით საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და განმტკიცებას, ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა ან უკეთ ვსთქვათ ნაკლები მნიშვნელობა ქონდა სხვა საკითხს, გარდა ეროვნულისა. რა შემდეგ დავერწმუნდით, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენის აზრით ატარებდა გეზს, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეჩყო მუშაობა მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ. ამ მიზნის მისაღწევად ბუნებრივია ჩვენი შეთანხმება სხვა პარტიებთან, რომელთაც იგივე მიზანი ქონდათ. დავინწყეთ მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების დროს ფსიქოლოგიური უფსკრული იყო პარტიათა შორის, მაგრამ ჩვენ შევსძელით ყოველი კერძო დაგვევიწყებია და მიუხედავად იმ დაბრკოლებისა შევთანხმდით... ჩვენთვის ნაკლები ან უკეთ ვსთქვათ არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა სოციალურ პოლიტიკურ საკითხს. მე ვიტყვი, რომ ჩვენ არ გვაინტერესებდა, ან ნაკლებ გვაინტერესებდა ბრძოლა ხელისუფლებასთან. მე ვამტკიცებ და ვგონებ ყველა დამეთანხმება, რომ კომუნისტური საქართველო რომ გამოეცხადებიათ და დაეცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ყოველივე მიზანი, რომელიც კი ჰქონდა დასახული დამოუკიდებლობის კომიტეტს, მიღწეული იქნებოდა და ყოველივე ძალა ჩვენ შორის მოსპობილი იქნებოდა. ერთად ერთი მიზანი, ლოზუნგი, რომლის გარშემო ტრიალებდა მთელი დამოუკიდებლობის კომიტეტის მოქმედება დღიდან მისი დაარსებამდე დღევანდლამდე, იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. მან შეგვავერთა და მიგვიყვანა ამ შედეგამდე... შეთანხმების თანახმად ჩვენ გათვალისწინებული გვექონდა ეროვნული საკითხი მთელი მისი მასშტაბით. დასმული ეროვნული პოლიტიკის წარმოება. ეს იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის მიზანი და საქმე.

მე ვაცხადებ, რომ არავითარი აზრი აჯანყების შესახებ პირველად ჩვენ არ გვექონდა.⁸ ჩვენ ვფიქრობდით, რა საბუთით, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობდით იმას, რომ შეიძლება შექმნილიყო ისეთი პირობები, როდესაც რუსეთი იძულებული იქნებოდა წასულიყო აქედან. არა იმიტომ, რომ

8. ამავსე ადასტურებს გენერალი კონსტანტინე (კოტე) აფხაზი (საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 23496, ტ. 1, კოტე აფხაზის ჩვენება, 1923, გვ. 42-43): „დაახლოებით დეკემბრის თვეში კომიტეტში განხილული იყო საკითხი გამოსვლებისადმი მასების მზაობისა და აქტიურ მოქმედებათა დაწყების აუცილებლობის შესახებ. ამასთან მიმართებაში კრების მონაწილეთა აზრი ორად გაიყო – მონინააღმდეგეებად და მომხრეებად. პირველ, ანუ მონინააღმდეგეთა ჯგუფში იყვნენ იასონ და მიხეილ ჯავახოვები და წინამძღვაროვი, სხვები არ მახსოვს. მე მეორე, ანუ გამოსვლების დაწყების მომხრეთა ჯგუფში ვიყავი. ამ აზრს კიდევ ვინ იზიარებდა, არ მახსოვს. ხმათა უმრავლესობით გამოსვლები უარყოფილი იქნა. ჩვენი გადაწყვეტილება პარიტეტული კომიტეტისთვის იასონ ჯავახოვს უნდა გადაეცა“.

ჩვენ უცხო ჯარებს მოვიყვანთ, არამედ მიტომ რომ თვით რუსეთში მოხდებოდა რაიმე გართულება. ეს მომენტი გვექონდა გათვალისწინებული... მუშაობა იყო პროპაგანდისტული, კულტურული. პირველი პოლიტიკური საკითხი, რომელსაც ჩვენ შევეჯახეთ მუშაობის დროს, ეს იყო ხევსურების გამოსვლა. ამის გამო პრეზიდენტმა მოინვია ზოგიერთი სამხედრო პირები და მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ როგორ მოგვეწყობა ამ აჯანყების ჩაქრობა. სამხედრო პირებმა გაიზიარეს ჩვენი აზრი და კიდევ ჩააქრეს გამოსვლა.

ამის შემდეგ დააპატიმრეს თავმჯდომარე. ეს არის პირველი პერიოდი ჩვენი მუშაობის. მეორე პერიოდი – დამოუკიდებლობის კომიტეტში სოციალ-დემოკრატიების მხრივ შემოვიდა კოტე ანდრონიკაშვილი. აქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტის შეთანხმების ძალით უთუოდ თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო სოციალ-დემოკრატი. მე ვამტკიცებ, რომ ეს არ არის მართალი. ჩვენ პირველათ სრულიათ შემთხვევით ავირჩიეთ თავმჯდომარეთ სოციალ-დემოკრატი. შემდეგში ჩვენ ვირჩევდით მხოლოდ მას, ვისაც ღირსეულათ დავინახავდით. და თუ ჩვენ ავირჩიეთ ქარცივაძე ან ანდრონიკაშვილი, ამას ვუნებდით ანგარიშს და არა მათ პარტიულობას.

პარალელურად დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები და ქონდა ადგილი სამწუხარო მოვლენებს, დაიწყო პოლიტიკურების ხვრეტა, გურიის, ხევსურეთის, და ცენტრის ამბები. იყო დიდი საშიშარი სტიქიური გამოსვლები. ჩვენ ნელ-ნელა არა მაშინვე, როცა ანდრონიკაშვილი შემოვიდა, არამედ ნელ-ნელა დავიწყეთ მზადება. მე მიხდა ვიყო უფრო სწორი, აჯანყებას კი არ ვამზადებდით, აჯანყებისთვის ვემზადებოდით. აქედან დამოკიდებულება დამოუკიდებლობის კომიტეტსა და პარტიებს შორის შეიცვალა, როცა გადამჭრელი მნიშვნელობა წინეთ პარტიას ქონდა, ესლა ინიციატივა გადავიდა დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელში.

1923 წლის ზაფხულზე ჩვენ პრაქტიკულად შევეუდექით აჯანყების საკითხს. ამოვირჩიეთ სამხედრო კომისია, სადაც შედიოდენ განსვენებული ხომერიკი და წინამძღვრიშვილი. დავუკავშირეთ ეს კომისია პარტიებს, ვინაიდან წინეთ ჩვენს პარტიას ქონდა ჩოლოყაშვილთან კავშირი. დაკავშირების მიზანი კი იყო შეგვეჩერებია სეპარატიული გამოსვლები ჩოლოყაშვილის და შეგვენახა ეს გამოსვლები საბოლოოდ გამოსვლებამდე. რადგან პრაქტიკულად დაისვა ეს საკითხი, გავგზავნეთ ჩრდილო კავკასიაში წინამძღვრიშვილი, აქ აქედან იწყება ჩვენი პრაქტიკული მუშაობა აჯანყების მოსაწყობად.

რაც შეეხება საზღვარგარეთს, ჩვენ იმედი გვექონდა, რომ თუ გავიმარჯვებთ, დადგებოდა ჩვენ შორის ნორმალური ურთიერთობა. აჯანყების დროს ჩვენ იმედი გვექონდა მხოლოდ დიპლომატიურ ჩარევის, აქ ლაპარაკი იყო სოციალისტურ ინტერვენციაზე. ყოველ შემთხვევაში დამოუკიდებლობის კომიტეტი არავითარ იმედებს სოციალისტურ ინტერვენციაზე არ ამყარებდა. რაც შეეხება ჩვენ მეზობლებს, რასაკვირველია ჩვენ დაინტერესებული ვიყავით, რომ გამოსვლა მომხდარიყო მთლიანად ამიერ კავკასიაში, და თუ გნებავთ მთელ კავკასიაში. ეს ბუნებრივია და რომ ჩვენ ზომები არ მიგველო – ეს ჩვენი შეცდომა იქნებოდა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და თუ ისინი არ გამოგვეყენ – ეს ჩვენი ბრალი არ არის. სომხებმა უარი გვითხრეს, აზერბაიჯანთან კავშირი განწყდა, ჩრდილო კავკასია ვერ გამოვიდა. მიუხედავად ამისა იმდენად შეგნებული გვექონდა აჯანყების აუცილებლობა, რომ ჩვენ მარტო მოვახდინეთ ის. აქ აცხადებდნენ, რომ მოელოდენ

რაღაც ჩარევას, ასახელებდენ ევროპას, ინგლისს, მე გულახდილად გეუბნებით, რომ ჩვენ გვექონდა მხოლოდ ქართველი ხალხის იმედი და მეზობლებისა.

აჯანყება მოხდა მთლიან საქართველოს მასშტაბით. დასავლეთი საქართველო გამოვიდა, გამოვიდა სვანეთი, იმერეთი. საინტერესოა, რომ გამოვიდა სამეგრელო, სადაც უფრო მეტი ძალოვანი იყო ხელისუფლების წარმომადგენლები. გამოვიდა გურია. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქაც იყო გამოსვლები, მაგრამ უფრო სუსტად. ყველა ამის მიზეზი იყო უფულობა. რასაკვირველია, ჭიათურამაც შეუშალა ხელი. იყო გამცემლებიც. შემდეგ ამისა, ვინაიდან ნათლად არ გვექონდა გადაწყვეტილი ტფილისში გამოსვლები, ამიტომ ნავედით შიო-მღვიმის ტყეში. სექტემბრის ორს დაგვესხა რუსის ჯარი. ჩვენ შვიდი, თუ რვა კაცი ვიყავით. აგვიტყვეს სროლა. ჩვენ გავიფანტეთ, მე პირადად დაჭრილი ვიყავი რამოდენიმე ადგილს. ბოლოს და ბოლოს დაგვაპატიმრეს სხვა და სხვა ადგილს და ჩამოგვიყვანეს ტფილისში საგანგებო კომისიაში. უკვე ნათელი იყო რომ აჯანყება წაგებულა და შემდეგი გამოსვლები იქნება მხოლოდ უქმი სისხლის დაღვრა. მეორე მხრივ, ვხედავდით რომ საუკეთესო ქართველებს სწყევტავდენ. ყველა ამან გვაიძულა და დავინწყეთ მთავრობასთან მოლაპარაკება. ერთი მხრივ იმიტომ, რომ ბოლო მოღებოდა ამ რეპრესიებს, ჩვენ გამოვუშვიტ ეს რეზოლუცია. ჩვენ ვამბობდით, ჩვენ ვიცით, რომ ისე დაგვხვრეტენ, როგორც დახვრიტეს ვალიკო ჯუღელი, მაგრამ ჩვენ აღვასრულეთ ჩვენი მოვალეობა. ეს ვთქვით ჩვენ 5 სექტემბერს, 1924 წელს და ეს განცხადება არის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გედის სიმღერა...

თავმჯდომარე: ბრალდებულო, ჯავახიშვილო, თქვენ როცა შეგეკითხენ, გრძნობთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავეთ ამ მუხლებით, რომელიც აღნიშნულია საბრალდებულო დასკვნაში, თქვენ უპასუხეთ – თავს დამნაშავეთ არ ვცნობო. ხომ ადასტურებთ, რომ თქვენ ლებულობდით მონაწილეობას პარიტეტის მოქმედებაში? მან მოაწყო შეიარაღებული აჯანყება, კავშირი ქონდა ბანდიტებთან, კავშირი დაიკავა ჩრდილო-კავკასიასთან და სხვა ქვეყნებთან. თუ ეს ასეა, და რომ ეს ასეა თქვენ თითონ ადასტურებთ, მაშინ რატომ არ აღიარებთ თქვენ თავს დამნაშავეთ იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც წამოყენებული გაქვთ, როგორც წინასწარ გამოძიების დროს, ისე საბრალმდებლო დასკვნით? აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავეთ? უპასუხეთ მოკლეთ ან ჰო, ან არა.

ჯავახიშვილი: არ ვაღიარებ.

თავმჯდომარე: მიუხედავად იმისა, რომ ჩაიდინეთ?

ჯავახიშვილი: დიახ, ნება მიბოძეთ განმარტებისათვის.

თავმჯდომარე: პირველი მუხლის შესახებ გეკითხებით – აქ ლაპარაკია შეიარაღებულ აჯანყების შესახებ, თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ ამ აჯანყების მოწყობაში თქვენ მონაწილეობას ლებულობდით არა?

ჯავახიშვილი: მე ვაცხადებ კატეგორიულათ, რომ არას დროს არც ნავიდოდი ამ ხელისუფლების წინააღმდეგ, ხელისუფლებასთან ბრძოლას არ დავინწყებდი, და თუ ვმოქმედობდი, ვმოქმედობდი რუსეთის ძალების წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: თქვენ გეკითხებათ სასამართლო, რომ თქვენ აჯანყება მოაწყვეთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოში, როგორც ეს თქვენ განაცხადეთ.

ჯავახიშვილი: მე თუ განვაცხადე ბოდიშს ვიხდი.

თავმჯდომარე: თქვენ განაცხადეთ, რომ აჯანყება უნდა მოწყობილიყო

ამიერ-კავკასიისა და კავკასიის მამულებით.

ჯავახიშვილი: ნება მიბოძეთ, მართალია ამ მასშტაბით უნდა გვემოუშავა, მაგრამ აჯანყება მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ და არა საქართველოს წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: თქვენ უჩვენეთ სასამართლოს, რომ ევროპიდან არავითარი რეალური დახმარება არ გქონდათ. გახსოვთ თქვენი ჩვენება, მიეცით სასამართლოს გამოძიებელს, ამ გამოძიებელს ძალდატანება ხომ არ უხმარია? მე წაგიკითხავთ და გთხოვთ ის ან დაადასტუროთ ან უარჰყოთ: ჩვენ ვცდილობდით საზღვარგარეთის ბიუროს საშუალებით უცხო სახელმწიფოებიდან მიგველო ფული და იარაღი. ეს თქვენი ჩვენებაა არა?

ჯავახიშვილი: დიახ.

თავმჯდომარე: მაშასადამე თქვენ იმედი გქონდათ და ცდაც იყო, რომ საზღვარგარეთიდან მიგელოთ არა მარტო სიტყვიერი დახმარება, არამედ ფული და იარაღიც კი.

ჯავახიშვილი: ეს ცდა იყო. ეს იყო მე ვადასტურებ, მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენ უნდა მიგველო არა ეხლა, არამედ მაშინ, როდესაც საქართველო აღადგენდა თავის დამოუკიდებლობას. მაშასადამე მე ვამტკიცებ, რომ არავითარი იმედი აჯანყების პროცესში ვინმესგან რაიმე დახმარების ჩვენ არ გვქონდა.

თავმჯდომარე: პარიტეტული კომიტეტი საიდან ლებულობდა ფულებს?

ჯავახიშვილი: პარიტეტული კომიტეტი ლებულობდა ფულებს ერთი მხრივ აქ, და მეორე მხრივ თავის საზღვარგარეთელ ბიუროდან.

თავმჯდომარე: სისტემატიურად ლებულობდა თუ არა?

ჯავახიშვილი: არა.

თავმჯდომარე: დაახლოებით თქვენი იქ ყოფნის დროს რამდენი მიიღეთ?

ჯავახიშვილი: მე არ ვანარმოებდი ანგარიშებს, მაგრამ ფიქრობ, რომ დაახლოებით 20.000 ლირამდე. ეს ფული იყო არა სხვისი, არა უცხოელების, არამედ აქედანვე გატანილი.

თავმჯდომარე: ემორჩილებოდა თუ არა ჩოლოყაშვილის ბანდა პარიტეტულ კომიტეტს?

ჯავახიშვილი: სრულებით არა, ემორჩილებოდა მხოლოდ იმ მხრივ, რომ თუ ჩვენ მას დაავალებდით ეროვნული მიზნის მისაღწევად მოქმედებას, ის ვალდებული იყო გამოსულიყო⁹.

მოგვიანებით იასონ ჯავახიშვილს ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ სახელმწიფო ბრალმდებელი ოკუფავაც უსვამს შეკითხვას:

„ოკუფავა: თუ იცით თქვენ, რომ წინანდალში 1922 წელს 5 კომსომოლისტი მოკლა ჩოლოყაშვილის რაზმმა? გამოიყვანეს გლეხის შვილები, 4 ქართველი, 1 სომეხი და დახვრიტეს. როგორ ფიქრობთ თქვენ, ეს ნაციონალური საქმე იყო? ჯავახიშვილი: ეს ფაქტი მე გავიგე მხოლოდ საბრალმდებლო დასკვნიდან. რაც შეეხება შეფასებას, მე არ ვიცი მართალი არის თუ არა ეს ფაქტი. იქნებ სხვებმა ისარგებლეს მისი სახელით. მაგრამ მე მოგახსენებთ, არავითარი დასტური მას ამის შესახებ არ ჰქონდა და ეს რა თქმა უნდა არ არის ნაციონალური საქმე.

ოკუფავა: თქვენ პარიტეტულ კომიტეტს მოახსენეთ, რომ ჩოლოყაშვილს ყავს 600 კაცი, ფაქტიურად კი ამბობთ, რომ გამოვიდა 60 კაციო. რა იყო მიზეზი,

9. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 376, ტ. 2, გვ. 581-599.

რომ პარიტეტულ კომიტეტში კეთდება მოხსენება 600 კაცზე და ფაქტიურად გამოდის 60 კაცი?

ჯავახიშვილი: საერთოდ ჩემთვის ძნელია ახლა თქმა იმისა, ამა თუ იმ ადგილას რატომ ვერ მოხდა ამა თუ იმ ოპერაციის შესრულება.

ოკუჯავა: ჩოლოყაშვილი რომელი წლიდან იყო თქვენი პარტიის წევრი?

ჯავახიშვილი: მისი პარტიული წევრობის შესახებ წინად არაფერი ვიცოდი. მხოლოდ შემდეგში კი იმას კავშირი ქონდა ჩვენთან.

ოკუჯავა: რომელი წლიდან?

ჯავახიშვილი: დაახლოებით, 21 წლის გასულიდან. როდესაც ის ტყეში გავიდა, რასაკვირველია ეს მოხდა ჩვენ ნებადაურთველად.

ოკუჯავა: არის საქმეში ჩვენება, რომ ჩოლოყაშვილი წავიდა ტყეში 22 წლის მარტში, ჯავახიშვილის თანხმობით. მართალია ეს თუ არა?

ჯავახიშვილი: ვისი ჩვენებაა ასეთი?

ოკუჯავა: სვიმონ ყიფიანის.

ჯავახიშვილი: მაგ მე ხომ არ მიჩვენებია, მერე?!

ოკუჯავა: თქვენ არ გიჩვენებიათ, მაგრამ მე გეკითხებით, მართალია თუ არა?

ჯავახიშვილი: მე წავიკითხე სვიმონ ყიფიანის ჩვენება და იქ აუარებელი შეცდომებია, რომელიც სიმართლეს არ შეიცავს.

ოკუჯავა: ხომ არ ყოფილა ისეთი ხანა, რომ ჩოლოყაშვილი გთხოვდათ გაგემვათ ის საზღვარგარეთ?

ჯავახიშვილი: იყო ასეთი ხანა; როცა ჩვენ სრულიად იმედი დავკარგეთ აჯანყებაზე და მას ტყუილა-უბრალოდ ტყე-ტყე უნდა ევლო. მან არჩია საზღვარგარეთ წასვლა, ვიდრე ჩეკაში ჩავარდნა¹⁰.

სასამართლოს თავმჯდომარე ვაშაძე ინტერესდება იასონ ჯავახიშვილის აზრით სამხედრო ცენტრის გამცემ მისაბიშვილის მკვლელობის შესახებ:

„თავმჯდომარე: მისაბიშვილი თქვენი პარტიის წევრი იყო.

ჯავახიშვილი: დიახ.

თავმჯდომარე: რატომ მოკალით?

ჯავახიშვილი: მისაბიშვილი იყო პროვოკატორი. ეს ჩვენთვის დამტკიცებული იყო. დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ მისაბიშვილი როგორმე თავიდან მოგვეცილებია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ რევოლუციურ თვალსაზრისით მოვალენი ვიყავით მოგვეკლა ჩვენი პროვოკატორი. ის ვერ გავიმეტეთ და ბოლოს, პირადად მე, სწორედ იმ დღეს, როცა ის უნდა მოეკლათ, გავიგე სრულიად შემთხვევით. ეს იყო საღამოს 7 საათი. მე შემეძლო გამეგზავნა კაცი და ამრიგად, ამეცილებინა ეს. მაგრამ ეს კაცი ჯერ ვერ მონახავდა მას და მერე მე თითონ არ ვქენი. როცა მე წარმომიდგინეს ეს ბრალდება და დავინახე, რომ ეს ბრალდება ყველას ბრალდება მე ვსთქვი, თუ ვინმეა ამაში პასუხისმგებელი, მე ვფიქრობ, რომ მეც ვარ“¹¹.

იასონ ჯავახიშვილი ჩვენებაში საუბრობს ასევე საზღვარგარეთის როლზე, აჯანყების დაფინანსებასა და მისი თავდაპირველი თარიღის გადადების მიზეზებზე:

„ოკუჯავა: 23 წლის დამლევს პარიტეტული კომიტეტისთვის პრაქტიკულად ცხადი იყო თუ არა, რომ აჯანყება უნდა მოხდეს?

10. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 376, ტ. 2, გვ. 606-630.

11. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 376, ტ. 2, გვ. 600-601.

ჯავახიშვილი: დიას.

ოკუჯავა: რა დროს გინდოდათ გამოსვლა?

ჯავახიშვილი: ჩვენ ასეთი დღე არ დაგვინიშნავს, მაგრამ ვფიქრობდით 15 თებერვლამდე. შემდეგში გადავდევით.

ოკუჯავა: პარიტეტული კომიტეტიდან ხომ არ წასულა საზღვარგარეთ კაცი?

ჯავახიშვილი: დიას.

ოკუჯავა: როგორი მისია მიეცით?

ჯავახიშვილი: ჩვენ, რადგანაც დაყრდნობილი ვიყავით ჩვენს თავზე, ამიტომ ერთ-ერთ შველას ველოდით ჩვენი გასული ამხანაგებიდან. ჩვენ მოვალეთ ჩავსთვალეთ ჩვენი თავი შეგვეტყობინებია მათთვის, რომ ჩვენ გამოვდივართ და შეგვეტყო იმათი აზრი.

ოკუჯავა: პარიტეტული კომიტეტი საზღვარგარეთ დასტურს სთხოვდა თუ არა?

ჯავახიშვილი: უნდა მოგახსენოთ, რომ პარიტეტული კომიტეტი არავის არ ექვემდებარებოდა. პირიქით, მას ექვემდებარებოდნენ. ჩვენ ვერავის დასტურს ვერ ვთხოვდით, ჩვენ ვთხოვდით აზრს, თუ რამდენათ მართლაც სცნობდნენ ისინი მართებულათ ჩვენს გამოსვლებს. გამოვიდოდით თუ არა დასტური საჭირო არ იყო.

ოკუჯავა: როდესაც გადანყდა, რომ აჯანყება მოხდეს საქართველოში, ვინ შეთვალა ფული საზღვარგარეთ. თქვენ ჩვენებაში გაქვთ, რომ როდესაც გადანყდა აჯანყების საკითხი კოტემ სწრაფად გააგზავნა წერილი ფულზეო.

ჯავახიშვილი: მე არ ვუარყოფ და ვამბობ, რომ ჩვენ ფული არ გვექონდა და ვთხოვდით ჩვენს ამხანაგებს, ცოტაოდენი მოეწოდებიათ, მაგრამ სამწუხაროთ უშედეგოდ დარჩა ჩვენი თხოვნა.

ოკუჯავა: რა იყო მიზეზი, რომ 1924 წ. თებერვალში არ მოხდა საქართველოში აჯანყება?

ჯავახიშვილი: არ მოხდა ბევრი მიზეზების გამო. ჩვენ სრულებით არ გვექონდა ფული და ნაწილობრივ ამან შეგვიშალა ხელი.

ოკუჯავა: საგანგებო კომისიაში თქვენ გაქვთ ნათქვამი „არესტ გოგიტა ფაღავა ი წინამძღვრიშვილი...“

ჯავახიშვილი: ეს არ არის ერთად ერთი მიზეზი, ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზთაგანი¹².

სასამართლოზე ვექილი მაჭავარიანი იასონ ჯავახიშვილს ეკითხება აჯანყებაში აფხაზეთის ჩართულობის შესახებ:

„მაჭავარიანი: თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ ემზადებოდით შეიარაღებული აჯანყებისთვის. მოიგონეთ, ემზადებოდით თქვენ თუ არა აფხაზეთში და კერძოთ სოხუმში?“

ჯავახიშვილი: იქ არავითარ ზომებს არ ვიღებდი, ვინაიდან ვიყავი დარწმუნებული, რომ აფხაზეთი ვერ გამოვიდოდა. წინეთ იყო ერთგვარი ცდა, მაგრამ შემდეგ დავანებე თავი.

მაჭავარიანი: გთხოვთ აღნიშნოთ ეს ოქმში.

თავმჯდომარე: თქვენ აჩვენეთ, რომ ამიერკავკასიის მასშტაბით ანყობდით აჯანყებას, მაგრამ როცა შეგეკითხნენ აფხაზეთში ანყობდით აჯანყებას თუ არა, უპასუხეთ რომ არ ვანყობდითო.

12. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 376, ტ. 2, გვ. 612-625.

ჯავახიშვილი: მართალია, ჩვენ გვინდოდა აჯანყება ამიერ-კავკასიის და მეტი მაშტაბით, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ აზერბაიჯანი არ გამოვიდოდა, ჩვენ ეს ველარ მოვახერხეთ.

თავმჯდომარე: როდის შესდგა უკანასკნელი პარიტეტული კომიტეტის სხდომა?

ჯავახიშვილი: 18 თუ 19 აგვისტოს.

თავმჯდომარე: 18 აგვისტოს შემდეგ სხდომა აღარ ყოფილა?

ჯავახიშვილი: ოფიციალური სხდომა 18 თუ 19 იყო, მეტი არ ყოფილა¹³.

სასამართლო პროცესზე ბრალდებულებს უფლება ჰქონდათ, საბოლოო სიტყვით გამოსულიყვნენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ხუთტომიანი საქმის მეხუთე ტომი ბრალდებულთა საბოლოო გამოსვლებს ინახავს. მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ იასონ ჯავახიშვილის საბოლოო სიტყვას:

„თავმჯდომარე: ბრალდებული ჯავახიშვილი. უკანასკნელი სიტყვა თქვენი.

ჯავახიშვილი: მე შეუძლოთ გახლავართ და ამიტომ ვიქნები ლაკონიური. გუშინ მე შევეცადე დამეხასიათებია წარსული მომენტები. ახლა მოგახსენებთ ჩემს აზრს დღევანდელ მომენტზე. მე ვიზიარებ ჩემი უფროსი ამხანაგის კოტე ანდრონიკაშვილის სიტყვის დასკვნით ნაწილს, რომელიც მან წარმოგიდგინათ წერილობით. მე არ შევდივარ მის დასაბუთებაში და მიმაჩნია, რომ ქართული ეროვნული იდეა დღეს მოითხოვს: 1) აჯანყების გადაჭრით უარყოფას, 2) რუსეთთან შერიგებას. მართალია ჩვენ გულდაკოდილი ვართ კომუნისტურ რუსეთისაგან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ კომუნისტური რუსეთი ჩვენ გვირჩევნია ყოველგვარ სხვა რუსეთს, ვინაიდან ჩვენი ეროვნული უფლება იმისგან არის დაცული ასე თუ ისე. შერიგება და თანხმობა საბჭოთა ხელისუფლებასთან და ყველაფერი ეს არა იმისთვის, რომ ჩვენ უარს ვამბობთ დამოუკიდებლობის იდეაზე, არამედ დამოუკიდებლობა კვლავ იქნება ჩვენი ფეტიში. მხოლოდ ჩვენ წავალთ მისკენ, არა აჯანყების, არამედ თანამშრომლობის გზით“¹⁴.

„სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად,“ – ამ სიტყვებით ასრულებს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე 1925 წლის 15 ივლისს დაწყებულ ბრალდებულთა დაკითხვის პროცესს, რომელმაც ერთ თვესაც არ გასტანა და ამავე წლის 10 აგვისტოს დასრულდა. იასონ ჯავახიშვილს დახვრეტა მიუსაჯეს. მოგვიანებით ბრალდებულს განაჩენი 10-წლიანი პატიმრობითა და „სასტიკი იზოლაციით“ შეუცვალეს. იგი ომსკის ოლქში გადაასახლეს, სადაც 1937 წლამდე ქალაქ ტარაში ცხოვრობდა. 1937 წლის მასობრივი რეპრესიების დროს დააპატიმრეს და ამავე წლის პირველ ნოემბერს დახვრიტეს...

13. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 376, ტ. 2, გვ. 635-639.

14. საქართველოს შსს არქივი, (II), ფ. 14, აღწ. 2, ს. 379, ტ. 5, გვ. 241.

1924 წელს დახვრებილი სასულიერო პირები

ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ყველა აჯანყება მარცხით დამთავრდა. ყველა მარცხს ანგარიშსწორება მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან. ასე იყო 1924 წლის „აგვისტოს ავანტიურად“ მონათლული აჯანყების ჩახშობის შემდეგაც. სასტიკად გაუსწორდნენ მონაწილეებს და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული აგრესიით მოექცნენ სასულიერო პირებს.

სულ არ ყოფილა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი 1924 წლის აჯანყების მონაწილე, მაგრამ საბაბი მიეცათ, არ დაინდეს ეკლესიის საკურთხებლად სოფელ როდინაულში მისული და რამდენიმე სასულიერო პირთან ერთად დააპატიმრეს და დახვრიტეს. ორიოდ სიტყვით შევხვით ამ თემას: ბოლშევიკებმა სოფელ როდინაულის ეკლესია გააუქმეს და გადააკეთეს თეატრად, მაგრამ მორწმუნეების დაჟინებული მოთხოვნით ეკლესიას პირვანდელი ფუნქცია დაუბრუნდა. საჭირო გახდა მისი ხელმეორედ კურთხევა, რისთვისაც 1924 წლის 30 ივლისს სოფლის საეკლესიო საბჭოს წევრმა მალლაკელიძემ მოთხოვნით მიმართა ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას. იერარქი სხვა საეკლესიო პირებთან ერთად 2 აგვისტოს ეწვია როდინაულს. მწუხრის და ცისკრის ლოცვის შემდეგ, დაახლოებით საღამოს 8-9 საათზე, სოფლის მღვდელ მამა დომენტი გიორგაძესთან ერთად მოსასვენებლად ესტუმრა ახლომოსახლე გლეხ მათე ჩუბინიძეს, სადაც დაგვიანების გამო ვახშმადქცეული სადილი გაიმართა.

რასაკვირველია, ეს ამბავი უყურადღებოდ არ დარჩებოდათ მავანთ. სოფელ სვირის რაიალმასკომში სასწრაფოდ მივიდა ცნობა „როდინოულის თემში“ ჩატარებული ანტისახელმწიფოებრივი, ანტიკომუნისტური „სერობის“ შესახებ. რეაქციამაც არ დააყოვნა. რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ჯუღელმა და რაიპარტკომის ინსტრუქტორმა გიგინეიშვილმა ოპერატიულად გაგზავნეს სვირის რაიმილიციის უფროსის მოადგილე მალლაკელიძე დავალებით: – „წასულიყო, მოენახა მღვდლები, დაეპატიმრებინა და წარმოედგინა სვირის რაიალმასკომში.¹

იმ საღამოს მათე ჩუბინიძის სახლს მიადგნენ ხელისუფლების წარმომადგენლები: როდინაულის თემის საბჭოს თავმჯდომარე ხაჭაპურიძე, სვირის რაიმილიციის უფროსის მოადგილე მალლაკელიძე, მილიციელები: უგრეხელიძე და ბურჯანაძე. დავალება წარმატებით შესრულდა – „მონახულ და დაპატიმრებულ იქნა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე, დეკანოზი იერეთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, მღვდელი პოლიევტო ვარდოსანიძე, მღვდელი დომენტი გიორგაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე, მთავარდიაკონი ისიდორე სვანიძე, მონაფე ნიკოლოზ ლეჟავა, მონაფე არჩილ ლეჟავა (მიტროპოლიტის ძმისშვილები).²

1. საქართველოს შსს-ს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24424, გვ. 112.

2. საქართველოს შსს-ს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24424, გვ. 112.



მღვდელი სიმონ მჭედლიძე

აი, რას წერს დაკითხვის ოქმში 56 წლის მიტროპოლიტი: – „...ჩემი საწოლიდან კვლავ ამაგდეს და გამაგდეს ზალაშიდ, საიდანაც კვლავ ცემა ტყეპით და შემდეგ მიჩვენა რალაცა ნითელი მეღნით წარწერა რომლითაც მათ ევალებოდათ დაეპატიმრებიათ მღვდლები და არა მიტროპოლიტი და მღვდელ მთავარი, ამ საშინელი წამების შემდეგ მე დაღლილ დაქანცულს შეუძლებლათ მიმარინდა მათ გავყოლოდი, და ვფიქრობდი რომ ისინი მე დამატყვევებდნენ სახლშიდ, მაგრამ მათ მე სულ მთლად გაშიშვლებული პერანგის ამხანაგის ამარა ღამის პირველი საათი იქნებოდა დაახლოებით ძალით დამანვინეს ურემზედ, შემიკრეს ხელ ფეხი ვით ბოროტ ავაზაკს, და საშინელი ურმის რაძგუნით და ტკივილების გრძნობით ღამითვე მიმიყვანეს ერთ სახლშიდ, რომელიც ბოლოს აღმოჩნდა აღმასკომი და იქ შემაგდეს როგორც პატი-

მარი ერთ პატარა ოთახშიდ: ჩვენება ესე ჩემს მიერ სისწორით ნაჩვენები და რომელიც წამიკითხა და შემდეგ ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი“.³

დაპატიმრებულები, სულ თერთმეტი კაცი, თანდართული ოქმებით 1924 წლის 4 აგვისტოს გაუგზავნეს ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს.

მათ, რომლებიც განსაკუთრებით საშიში იყვნენ, რომლებმაც არ უარყვეს მღვდელმსახურება, კონტრრევოლუციური მიზნებისთვის არალეგალური შეკრებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის განწევის ბრალდებით, ქუთაისის პოლიტბიუროს საგანგებო სამეულის სხდომის 1924 წლის 1 სექტემბრის დადგენილებით, მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა! დახვრეტილ იქნენ: მიტროპოლიტი ნაზარი ლეყავა – 56 წლის, დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე – 56 წლის, დეკანოზი ერთაოზ ნიკოლაძე – 59 წლის, მღვდელი სიმონ მჭედლიძე – 60 წლის, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე – 53 წლის.

დანარჩენები „განთავისუფლებულ იქნენ დარაჯ ქვეშ ყოფნიდან.“⁴ საქმე №590 დაიხურა და გადაეგზავნა საქართველოს საგანგებო კომისიას არქივში ჩასაბარებლად....

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მიტროპოლიტ ნაზარსა და მასთან ერთად დაპატიმრებულ სასულიერო პირებს არათუ სიკვდილით დასჯა, არამედ ხანგრძლივი პატიმრობაც არ შეიძლებოდა შეფარდებოდათ, უბრალოდ, 1924 წლის აგვისტოში დაწყებულ და მარცხით დამთავრებულ აჯანყებას მოჰყვა საშინელი ანგარიშსწორება. სწორედ ამ

3. საქართველოს შსს-ს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24424, გვ. 7.

4. საქართველოს შსს-ს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24424, გვ. 113.

დროს გადაწყდა მიტროპოლიტ ნაზარისა და მასთან ერთად დაპატიმრებული ბის სიკვდილით დასჯა. მათი საქმე განაჩენის გამოსატანად გადაეცა სწორედ იმ სამეულს, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებულებს ასამართლებდა!

1995 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე ახალმონამეთა წოდებით წმინდანებად შერაცხეს: მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, დეკანოზი იეროთეოზ ნიკოლაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და მღვდელი სიმონ მჭედლიძე. მათი ხსენების დღეა ახალი სტილით 27 აგვისტო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ბევრი სისხლის სამართლის საქმეა დაცული, რომელიც სასულიერო პირების დახვრეტის შესახებ ინფორმაციას შეიცავს. მაგალითად, საარქივო საქმე №2423 გვამცნობს, რომ ამხანაგების – ბაუმფელდისა და მასლენიკოვისგან შემდგარმა კომისიამ, ამხანაგ მხეიძის თავმჯდომარეობით, 1924 წლის 3 სექტემბერს სისრულეში მოიყვანა სასიკვდილო განაჩენი და თორმეტ თანასოფელთან ერთად დახვრიტა სოფელ პატარძეულის ეკლესიის მღვდელი დიმიტრი უსტიაშვილი, ყოფილი აზნაური, 58 წლის. მას ბრალად წაუყენეს აგიტაცია-პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ბოლო დროს გამოვლენილი მაქსიმალური აქტიურობა შეიარაღებული აჯანყების მიმართ, ასევე უარყოფითი დამოკიდებულება ადგილობრივი პარტიული მუშაკების მიმართ. როგორც მისი დაკითხვის ოქმიდან ვიგებთ, დაპატიმრების რეალური მიზეზი გახლდათ ის, რომ წესი აუგო აჯანყების დაღუპულ მონაწილეს.⁵ დაკითხვისას მას ასევე დაუპირისპირეს მოწმე (გვარი არ იკითხება, ავტ.), რომელმაც განაცხადა, რომ უსტიაშვილი აგროვებდა სოფელ პატარძეულის დახურული ეკლესიის გახსნის მსურველთა სიას და ზრდიდა, ანუ აყალბებდა მათ რაოდენობას.

№2424 საარქივო საქმის მიხედვით, 1924 წლის აჯანყებას შეენირა სამი მღვდელი: გიორგი მაცუკაძე, ივანე თუშმალიშვილი და გიორგი ინაშვილი.

სოფელ ნორიოს მღვდელს, 53 წლის გიორგი მაცუკაძეს ბრალად დასდეს შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და ანტისაბჭოთა აგიტაციაში მონაწილეობის მიღება. ადგილობრივი საბჭოთა პარტმუშაკების დამონმებით, მღვდელი მაცუკაძე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სისტემატურად აგრძელებდა გლეხების წაქეზებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ბოლო დროს კი განსაკუთრებით გააძლიერა იატაკქვეშა საქმიანობა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსთვის აშკარა ზიანის მიყენების მიზნით და მონაწილეობდა 28 აგვისტოს აჯანყების მომზადებაში, მჭიდრო კავშირი ჰქონდა აჯანყების მეთაურებთან, ყველანაირად ეხმარებოდა და თანაუგრძნობდა მათ, რის გამოც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის (მონაწილეობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ქმედებაში, რომელიც გამოიწვევს არსებულ მუშათა და გლეხთა მთავრობის დამხობას) თანახმად, როგორც საბჭოთა ხელისუფლების საშიშ და შეურთველ მტერს, შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია.⁶

63 წლის მღვდელი, ყოფილი აზნაური ივანე თუშმალიშვილი არაერთხელ

5. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2423, გვ. 47.

6. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2424, გვ. 5.

ყოფილა მხილებული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მავნებლურ აგიტაციაში, რაც განსაკუთრებით გამოავლინა აჯანყების წინ. თავადაც აქტიურად მონაწილეობდა ამ აჯანყებაში, თავისთან მალავდა რა მეთაურებს ოფიცერთა რიგებიდან, რის გამოც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისთვის საშიშ და შეურიგებელ მტერს, შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია.⁷

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაკითხვის დროს არც ერთ სასულიერო პირს არ გაუცია აჯანყებული თანასოფლელი.

ნაწყვეტი მაცუკაძის დახვრეტის ოქმიდან:

კითხვა: – გვითხარით, თქვენი სოფლიდან (ნორიო) როდის და რამდენი ადამიანი შევიდა ბანდაში, დაასახელეთ გვარები.

პასუხი: – როგორც ვიცი, არავინ.

კითხვა: – არ იცით, ბანდის რომელი წევრი მივიდა ხელისუფლებასთან აღიარებით?

პასუხი: – არ ვიცი.

კითხვა: – რა არის თქვენთვის ცნობილი თანამედროვე საქართველოში შექმნილი პოლიტიკის შესახებ?

პასუხი: – იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ გლეხები უკმაყოფილონი არიან ეკლესიების დაკეტვით, ხდებიან არსებული ხელისუფლების მოწინააღმდეგენი.

კითხვა: – ვის იცნობთ ტყეში ბანდიტებთან გასულ თანასოფლელს?

პასუხი: – არ ვიცნობ არავის....

ყოფილ აზნაურსა და მღვდელს, თბილისის მაზრის გარე-კახეთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ეკლესიის წინამძღვარს, 48 წლის გიორგი ინაშვილს, სისტემატურად ეწეოდა რა იატაკქვეშა ანტისაბჭოთა აგიტაციას და ხელს უწყობდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას მარტყოფის რაიონში, აქეზებდა გლეხებს, იარაღით ხელში გამოსულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც ცილისმწამებელ აგიტატორსა და ანტისაბჭოთა იდეების მქადაგებელს, შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია.⁸

აღსანიშნავია, რომ გიორგი ინაშვილმა აშკარად და ღიად დააფიქსირა თავისი პოზიცია საგანგებო სამეულის წევრის, საქართველოს საგანგებო კომისიის სამწყობრო ნაწილის ინსპექტორის თანაშემწის, ბაუმფელდისთვის მიცემულ ჩვენებაში: მაშინ, როდესაც დავდექი ფაქტის წინაშე, რომ საქართველოში შემოვიდა რუსული ჯარი, ჩემში ითამაშა ეროვნულმა გრძნობამ... მე აგიტაციას ვენეოდი მრევლის წინაშე, როგორც ნაციონალისტი და კიდევ იმიტომ, რომ ეკლესიის შესახებ არსებული კანონები ჩემთვის მიუღებელია და ამასთან ერთად, ჩვენ, სასულიერო პირებს გვდევნიან, განსაკუთრებით კომკავშირლები...

სამეუღლმა არ გაითვალისწინა დეკანოზ გიორგი ინაშვილის დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე. ის, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ბოლომდე მსახურობდა თურქეთის ფრონტზე დონის კაზაკთა I ბატალიონის თურქესტანის

7. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2424, გვ. 6.

8. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2424, გვ. 6.

Секретно
зв. №

" УТВЕРЖАЮ "

ЗАМ. ПРОКУРОРА ГРУЗИНСКОЙ ССР
Государственный советский институт
3 класса

А. ГИГАური

44

" 21 " февраля 1959г.
г. Тбилиси.

ПОСТАВЛЕНИЕ

" 21 " февраля 1959г. г. Тбилиси.

Помощник прокурора Грузинской ССР по надзору за следствием в органах государственности, ГИДЖАНИШВИЛИ по жалобе гр. Ивашвили Е. Г. произвел проверку архивно-следственного дела № 35151 по обвинению ИНАШВИЛИ Георгия Иосифовича, произведенной проверкой -

нашел :

Постановлением чрезвычайной тройки по борьбе с бандитизмом в Тери-Хветцетском районе Грузинской ССР от 1 сентября 1924 года осужден без квалификации преступления в расстрел с конфискации лично принадлежащего ему имущества -

ИНАШВИЛИ Георгий Иосифович, 42-х лет от роду, грузин, грамотный, семейный, ранее не судимый, священник.

ИНАШВИЛИ признан виновным в том, что вел антисоветскую агитацию, возбуждал крестьян к вооруженному выступлению против Советской власти, чем содействовал подготовке в Маркпопском районе вооруженному восстанию.

Это обвинение, предъявленное Ивашвили Георгию Иосифовичу, подтверждается материалами дела.

Допросами проходивших по делу лиц установлено, что в августе 1924 года в Маркпопском районе Грузинской ССР имел место вооруженное выступление крестьян с целью свержения Советской власти и восстановления мелкоземного хозяйства в Грузии.

Допрошенный Ивашвили Е. Г. показал, что, будучи настроен антисоветски, он с момента установления Советской власти в Грузии, вел антисоветскую агитацию среди прихожан своего прихода в Маркпопском районе Грузинской ССР.

2.

Следует отметить, что мера наказания, определенная Ивашвили Е. Г. и по своей суровости не соответствовала тяжести совершенного им преступления, но ставить вопрос о смягчении меры наказания в настоящее время нецелесообразно.

На основании изложенного,-

75

определил :

Постановление чрезвычайной тройки по борьбе с бандитизмом в Тери-Хветцетском районе от 1 сентября 1924 года в отношении ИНАШВИЛИ Георгия Иосифовича признано правильным.

Жалобу гр. Ивашвили Е. Г. оставить без последствий, как необоснованную, о чем сообщить изложившему.

Архивно-следственный отдел
Учред.-Архивный отдел

ПОМ. ПРОКУРОРА П

Отп. 3 зв.
зв. 1-2 - в дело
зв. 3-4/1
ист. ГИДЖАНИШВИЛИ
р/т 188, печ. ок
№ 873.



დეკანოზი გიორგი
ინაშვილი

35-ე პოლკის მოძღვრად და სრულად მოხსადა სამშობლოს წინაშე თავისი ვალი, დაჯილდოებული იყო საპატიო მედლებითა და ორდენებით. არც ის გაუთვალისწინებიათ, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან, იოსებ ჯულაშვილთან, ერთად სწავლობდა, 1924 წლის პირველ სექტემბერს, ორ მღვდელთან და თორმეტ თანასოფელელთან ერთად სოფელ სართიჭალაში დახვრიტეს. აღნიშნული დადასტურებულია საგანგებო კომისიის წევრების - მხეიძის, ბაუმფელდისა და მასლენიკოვის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი აქტით.⁹

შეიარაღებული აჯანყების მიზნით განეული ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის, ადგილობრივი პარტმუშაკების მიმართ ცუდი დამოკიდებულებისთვის, ასევე მისი წარსული საქმიანობისა და წარმომავლობის გამო, ყოფილ თავადსა და სოფელ დიდი ლილოს ეკლესიის მღვდელს, 61 წლის დავით კახაბერს, დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს¹⁰. მისი ბედი გაიზიარა სოფელ პატარძეულის ეკლესიის მღვდელმა ვასილ კოზმოვმაც. გარე კახეთის ბანდიტიზმთან ბრძოლის საგანგებო სამეულის ოქმში ვკითხულობთ: მხედველობაში ვიღებთ რა მის დამოკიდებულებას ადგილობრივი პარტმუშაკების მიმართ, როგორც ზნეობრივად გახრწნილ ადამიანს, საზოგადოებისთვის არანაირი სარგებლის მომტანს, ყოფილ მოძღვარსა და მენშევიკს, ასევე დაკითხვის დროს არაგულწრფელი პასუხების გამცემსა და აჯანყებაში მონაწილეობის უარყოფელს, მიესაჯოს დახვრეტა და პირადი ქონების კონფისკაცია.¹¹

9. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2424, გვ. 72.
10. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2425, გვ. 5.
11. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2425, გვ. 4.

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1924 წლის 2 სექტემბერს. შემსრულებელი იგივე სამეული გახლდათ – მხეიძე, ბაუმფელდი და მასლენიკოვი¹².

1924 წლის აჯანყებას შეეწირნენ სოფელ ბაშის მღვდლები – 52 წლის გიორგი კუჭუხიძე და 46 წლის ისიდორე ნაცვლიშვილი.¹³

შსს არქივის მეთორმეტე ფონდში დაცული დოკუმენტის მიხედვით დახვრეტა მიესაჯათ შემდეგ სასულიერო პირებს:¹⁴

1. ანტონ კასრაძე, მღვდელი, 46 წლის, მენშევიკი;
2. გიორგი დედაბრიშვილი, მღვდელი, 45 წლის, მენშევიკი;
3. ალექსანდრე ბიბილური, 45 წლის, მენშევიკი;
4. ნიკოლოზ ჯავახიშვილი, მღვდელი, 61 წლის, ყოფილი მემამულე,
5. ეროვნულ-დემოკრატი;
6. ივანე კასრაძე, მღვდელი, 55 წლის, საშუალო გლეხი, მენშევიკი;
7. სტეფანე არშაკუნი, მღვდელი, 52 წლის, მენშევიკი;
8. ივანე ონოფრიშვილი, მღვდელი, მენშევიკი;
9. პანტელეიმონ გედევანიშვილი, მღვდელი, 60 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
10. ნიკოლოზ კობერიძე, მღვდელი, 50 წლის, მენშევიკი;
11. მიხეილ გიორგაძე, მღვდელი, 67 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
12. დანიელ ცქიტიშვილი, მღვდელი, 56 წლის, მენშევიკი;
13. ნერსეს ტერ-პეტროსიანი, მღვდელი, 60 წლის, მენშევიკი;
14. იოსებ ბებიაშვილი, მღვდელი, 49 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
15. შაქრო საძაგლიშვილი, მღვდელი, 53 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
16. დავით ოქროპირიძე, მღვდელი, 43 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
17. ალექსანდრე ფხალაძე, მღვდელი, 51 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
18. სერგო გელაშვილი, მღვდელი, 30 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
19. თევდორე ლაფერაშვილი, მღვდელი, 50 წლის მენშევიკი;
20. პეტრე კარბელაშვილი, მღვდელი, 45 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
21. ანდრია კარბელაშვილი, 48 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
22. გაბრიელ პარკაძე, მღვდელი, 51 წლის, მენშევიკი;
23. სამსონ ფერაძე, 42 წლის, მღვდელი, მენშევიკი;
24. გიორგი ილურიძე, მღვდელი, 51 წლის, მენშევიკი;
25. ვასილ კალანდია, მღვდელი, 59 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
26. კირილე მიშველაძე, მღვდელი, 45 წლის, ეროვნულ-დემოკრატი;
27. ირაკლი საგანელიძე, მღვდელი, 38 წლის, სოც-დემოკრატი.

ჩვენ ხელთ არსებული და გამოკვლეული მასალების მიხედვით, 1924 წლის აჯანყებასთან კავშირის მიზეზით დახვრეტილ, დაპატიმრებულ და გადასახლებულ სასულიერო პირთა სია მიახლოებით ასეთია. თუმცა, შსს არქივში დაცული მასალების ზედმიწევნით კვლევის შემდეგ, დიდი ალბათობით, ეს სია გაიზრდება.

12. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 2425, გვ. 43.

13. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, ს. 24351, გვ. 7.

14. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 12, ს. 54.

ანტისაბჭოთა ამბოხებაში ბრალდებული ქალები

„გაუმარჯოს სამფეროვან დროშას!!! ძირს საბჭოთა ხელისუფლება!!!
ვაშა ქართველ ერს...“


საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლის ეროვნული, საყოველთაო აჯანყება საზოგადოების ზედა ფენების ამბოხებად გამოაცხადა. ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია მოსახლეობის უმრავლესობას და ეს იყო მხოლოდ სამღვდელოების, თავადაზნაურობისა და ოფიცრების ავანტიურული გამოსვლები, რომელსაც მენშევიკები თავიანთი ინტერესების გასატარებლად იყენებდნენ.

საპირისპირო იყო რეალობა. 1924 წლის აჯანყებამ მთელი საქართველო მოიცვა, განურჩევლად სოციალური ფენისა და ასაკისა. ამის დასტურია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული არაერთი სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც საგანგებო კომისიაში ამბოხებულთა წინააღმდეგ აღიძრა. უფრო მეტიც, მათ შორის მრავლად იყვნენ ქალები, ჩართული საორგანიზაციო საქმიანობაში. ზოგიერთი მათგანი იარაღით ხელშიც გამოვიდა ამბოხებულების დასახმარებლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საყოველთაო გამოსვლების მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული ბათუმში მცხოვრები 26 წლის ალათი გორდელაძე. იგი წარმოშობით ოზურგეთის მაზრიდან, სოფელ სუფსიდან იყო. დაბალი განათლების მქონე, პროფესიით მკერავი, ბათუმში, მის კუთვნილ ერთ ოთახში ცხოვრობდა და მუშაობდა. არც ერთ პარტიას არ მიეკუთვნებოდა. არ ჰყავდა საკუთარი ოჯახი. აჭარის ასსრ-ის საგანგებო კომისიას შეუმჩნეველი არ დარჩენია ალათის „საიდუმლო“ საქმიანობა. იგი თანამოაზრეებთან ერთად აჯანყების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 21 აგვისტოს დააპატიმრეს.

1924 წლის 30 აგვისტოს აჭარის ასსრ-ის საგანგებო კომისიამ განიხილა აჭარის ტერიტორიაზე შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეთა ბრალდების საქმე. ოცდასამ მსჯავრდებულს შორის იყო ალათი გორდელაძეც. მას ბრალად დასდეს ბათუმის ორგანიზაციასა და მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან კავშირი, მენშევიკებისა და არალეგალურად მცხოვრები პირების მფარველობა, კავშირი სამხედრო კომიტეტთან და საქმიანობა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ საიდუმლო მინიშნებით „სალამი თქვენი ძმისგან – ბესარიონისგან“, აჯანყებაში მონაწილეობის მსურველები უკავშირდებოდნენ ალათის, ის კი მათ მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან კავშირს უზრუნველყოფდა. სწორედ ალათიმ დააკავშირა გენერალი სოლომონ ყარალაშვილი „გურჯევანს“, ანუ ვიქტორ ცენტერაძეს (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული აჭარაში). ქობულეთის მენშევიკთა არალეგალური კომიტეტის თავმჯდომარეს, ვლას მამალაძეს კავშირი მიხეილ საბაშვილთან (ბათუმში პარტიტული კომიტეტის თავმჯდომარე,



ალათი გორდელაძე

აჭარაში სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი) სწორედ ალათის მეშვეობით ჰქონდა.

აჭარის ასსრ-ის საგანგებო კომისიამ ბრალდება იმავე დღეს სრულად დამტკიცებულად გამოაცხადა და საქართველოს სსრ-ში შექმნილი საომარი მდგომარეობის გათვალისწინებით, ოცდასამივე ბრალდებულს სასჯელის უამლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა, ქონების კონფისკაციით.

მეორე დღესვე, 31 აგვისტოს აჭარის ცენტრალურმა საგანგებო ხუთეულმა სხდომაზე სანქციონებულად ცნო სასჯელის უამლესი ზომა. „პოლიტიკური პატიმრები, მენშევიკი ბანდიტები, ყოფილი გენერლები, პოლკოვნიკები, თავადები, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ აჯანყების მომზადებისას და ნანოილი – იარაღით ხელში საომარი მოქმედებების დროს“, მათ შორის, ალათი გორდელაძეც, დახვრეტეს პირველ სექტემბერს, ღამის 3 საათზე.

1924 წლის პირველი სექტემბრის მოხსენებაში აჭარის ასსრ საგანგებო კომისიის მდივანი იტყობინებოდა, რომ გვამები საფუძვლიანი დათვალიერების შემდეგ ჩამარხეს დახვრეტის ადგილას.¹ საქართველოს საგანგებო კომისიის 1925 წლის 21 იანვრის №541 მიმართვის საფუძველზე მენშევიკური ავადიური დღეებში დახვრეტილთა სისხლის სამართლის საქმეები უნდა გადაგზავნილიყო საქართველოს საგანგებო კომისიაში.²

22 წლის ქეთევან კვაჭანტირაძე ოზურგეთის მაზრის პოლიტიბიურომ 1926 წლის 9 დეკემბერს დააპატიმრა. პატიმრის ანკეტაში ვკითხულობთ: ქეთო ლუკას ასული კვაჭანტირაძე, ქართველი, დაბადებული 1904 წელს, მარიამობის

1. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 25311, ტ.1, გვ. 61.
2. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 25311, ტ.1, გვ. 71.

თვეში, ქუთაისის გებერნიაში, ოზურგეთის მაზრა, ნავომრის თემი, სოფ. ბუკნარი. განათლება საშუალო, უპარტიო, დიასახლისი, არ ყოფილა ნასამართლევნი. ანკეტას მოსდევს შევსებული ოქმები, დადგენილებები, სადაც 22 წლის ქეთოს საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდექსის 58-ე მუხ. I ნაწილით ბრალს სდებენ კონტრრევოლუციურ საქმიანობაში. დასკვნითი დადგენილების თანახმად, ქეთევან კვაჭანტირაძე საქართველოს გასაბჭოებამდე იყო მენშევიკთა ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტიური წევრი, როდესაც ორგანიზაცია გადავიდა არალეგალურ საქმიანობაზე, კვლავ განაგრძობდა თანამშრომლობას. მონაწილეობას იღებდა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში იარაღით ხელში. რომელიც მას ბანდიტმა სერგო მათითაშვილმა გადასცა. ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ ემალებოდა ხელისუფლებას. ხელმძღვანელობდა სოფ. ბუკნარის ახალგაზრდულ მენშევიკურ ორგანიზაციას. ცენტრიდან იღებდა დირექტივებს და ასევე არალეგალურ ლიტერატურას. აგროვებდა შესანიშნავ, რომელსაც ორგანიზაციის წევრებისთვის და სხვა საქველმოქმედო მიზნებისთვის იყენებდა. კავშირი ჰქონდა რეგიონების მენშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. უზრუნველყოფდა არალეგალური ლიტერატურის და წერილების გადაგზავნას ადრესატებთან და ასევე საიდუმლო შეხვედრების ორგანიზებას. დაკითხვისას ქეთევან კვაჭანტირაძემ უარყო არალეგალურ ორგანიზაციასთან კავშირი, აღიარა მხოლოდ აგვისტოს აჯანყებაში პასიური მონაწილეობა.

1927 წლის 4 მაისს გაერთიანებული სახელმწიფოს პოლიტ. სამმართველოს განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით ქეთევან კვაჭანტირაძეს მიესაჯა 3 წლით თვისუფლების აღკვეთა ციმბირში გადასახლებით. სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ, მას 6 წლის განმავლობაში აეკრძალა ჩრდილო კავკასიის მხარეში და ამიერკავკასიაში ცხოვრება. ქეთევან კვაჭანტირაძე მხოლოდ 1935 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან. ორ წელიწადში კი კვლავ დააპატიმრეს, როგორც კონტრრევოლუციონერი. ამჯერად საქართველოს სსრ შინსახკომთან არსებულმა სამეულმა 1937 წლის 4 ოქტომბერს 10 წლით მიუსაჯა გადასახლება შრომა-გასწორების ბანაკში³. ქეთევან კვაჭანტირაძე მესამედ 1949 წლის 19 თებერვალს დააპატიმრეს. ამავე წლის 27 აპრილს კი საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტროს გასაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით, კრასნოიარსკის მხარეში გადაასახლეს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 27 აგვისტოს №789 განჩინებით, საქმე წარმოებით შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო.

პროფესიით პედაგოგი, 22 წლის ეკატერინე ჭანტურია პოლიტბიურომ კონტრრევოლუციური ბრალდებით 1926 წლის მინურულს დააპატიმრა.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საგამოძიებო განყოფილება ფლობდა ინფორმაციას, რომ ქ. ახალ-სენაკის მკვიდრ ეკატერინე ჭანტურიას კავშირი ჰქონდა სენაკის მაზრის არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციასთან, მუშაობდა მეტსახელით - „სესილია“, ასრულებდა ხელმძღვანელების დავალებებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, მიჰქონდა

3. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 26308.

ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА

Особого Совещания при Коллегии ОГПУ от „4“ Ноября 1929

СЛУШАЛИ:

ПОСТАНОВИЛИ:

41. Пересмотр дела № 45406 гр. ЧАНТУРИЯ Екатерины Архиповны, приг. пост. Ос. Сов. от 30/5-27г. к высылке на Урал, сроком на ТРИ года.

По отбытии срока наказ ЧАНТУРИЯ Екатерину Архиповну, права проживания в скве, Ленинграде, ознаи. Киева, Харькове, Одессе, округах, СКК и Закавказья прирешением к определению местожительству, срок на ТРИ года.-



Секретарь Коллегии ОГПУ

из протокола

ОГПУ от „20“ мая 1931 г.

ПОСТАНОВИЛИ: доп. 3

Во изменение прежнего постановления ЧАНТУРИЯ Екатерина Архиповну выслать через Иркутск в Иркутский край сроком на ТРИ года, считая с 2/VI-30г.

ეკატერინე ჭანტურია

Handwritten notes and signatures on the right side of the document, including 'Пересмотр с 29/11/30' and '33'.

არაღვგალური წერილები ადრესატებთან, საკუთარ ბინაში აწყობდა საიდუმლო შეკრებებს, ადგენდა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა სიებს. დაკითხვისას ეკატერინემ აღიარა მენშევიკურ ორგანიზაციასთან აქტიური თანამშრომლობა აჯანყების მომზადების მიზნით, თუმცა აჯანყების დამარცხების შემდეგ განყვიტა ყოველგვარი კავშირი მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რაც სიმართლეს არ შეეფერება. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი კვლავ ცდილობდა მენშევიკთა დახმარებას, რასაც ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება ადასტურებს. აჯანყების შემდეგ მას გადასცეს წერილი, რომელიც ვინმე „დუტუ“-სთვის უნდა გადაეცა. წერილი, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პოლიტსამმართველოში მოხვდა.

ამონარიდი წერილიდან:

„მივიღე თქვენი უკანასკნელი წერილი და ლიტერატურა, უკანასკნელი წაუკითხავად დაწვნი, ამის მიზეზს კი სხვა დროს მოგახსენებ. ჩემი თხოვნა იგივე და ახალი ლიტერატურაც გამომიგზავნო. გიგზავნი 29 აგვისტოს გამოსვლების დროს გარდაცვლილთა სიას. საფრთხიდან გამომდინარე არ გიგზავნი მათ ფოტოგრაფიულ ბარათებს...

ეხლახანს გავიგე დაპატიმრებულთა გათავისუფლების შესახებ, რადგან ვერ მოიძიეს მაკომპრომეტირებელი მასალები. ოჯახის წევრები კატეგორიულად ითხოვენ ხელისუფლებისგან 29 აგვისტოს გარდაცვლილთა ცხედრების გადაცემას, რათა შეძლონ მათი დაკრძალვა. ახლობლებმა ცხედრების მოპარვაც სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ამის ნიადაგზე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა

ოჯახის წევრებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის /ნოქალაქევი ძველი სენაკი/. მშობლები შეიარაღებულნი იყვნენ ფინლებით და ნიჩბებით, მილიცია კი იარაღით. სროლა გრძელდებოდა ერთ საათს. ყველა დააპატიმრეს და ხუთ დღეში გაათავისუფლეს ხელნერილით. მიუხედავად ამისა, ახლობლებმა თვითნებურად ხელახლა სცადეს ცხედრების გადასვენება, რასაც კვლავ მათი დაპატიმრება მოჰყვა. თუმცა, მალევე გაათავისუფლეს...

სია:

ალექსანდრე ჯანჯღავა,
გიორგი გვასალია,
ევსეი გარუჩავა,
ელიზბარ გარუჩავა,
- ხოფერია,
ალექსანდრე ყორშია,
ბარნაბ ოდიშარია,
ხარლამპი ოდიშარია,
ამბაკო ოდიშარია,
შალვა გამსახურდია,
არსენ პაპავა /სტუდენტი/,
გოგო ჩიჩუა,
შალვა ჩიჩუა,
სპირიდონ ქლიცირაშვილი,
ვანო აბშილავა,
ონიფანტე ჭანტურია,
ივლო კორჩილავა,
ჭიჭიკო ანჯაფარიძე,
ერმოლ ანჯაფარიძე,
თომა გაბუნია,
კვაჭი შენგელია,
გრიშა ფალავა,
ვიქტორ კეკელავა,
მიხეილ კეკელავა /ძმები/,
სამსონ ფარულავა,
იროდიონ გოგინავა,
ბარბანა წითლიძე,
ბარდლა ჭუბაბრია,

ბესო ქანთარია,
პეტრე ჭაჭეიშვილი,
ნიკო მხეიძე,
არტემ ბუალავა,
კაპიტონ გეგენავა,
- გეგენავა,
ბეგო ნარაკიძე,
უტუ ბეჭვია,
მიტუმა ქაჯაია,
თადა რატიანი,
პარმენ კოკაია,
მიხა ფიჩხაია,
ფარნა ფიჩხაია,
უტუ ბერულავა,
ტერენტი გაბუნია,
ალექსანდრე ფარცვანია,
იპოლიტე ბარამი,
ესტატე კვაშილავა,
არ იკითხება
ნოე გვაზავა,
არჩილ ჯაგამია,
დომენტი კილასონია,
ნოე ოდიშარია,
დარისპან ოდიშარია,
ბაბილო ადამია,
აკაკი წულეისკირი,
სპირიდონ მილორავა.

დახვრეტილთაგან დანარჩენი ეკუთვნის სხვა პოლიტიკურ მრწამსს, მთლიანობაში 302 ადამიანი.⁴⁴

განაჩენის წარდგენამდე ბრალდებული მოსკოვში, ბუტირსკის ციხეში ჰყავდათ გადაყვანილი.⁵ 1927 წლის 30 მაისს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს განსაკუთრებულმა სათათბირომ ეკატერინე ჭანტურიას

4. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 26288, გვ. 33-34.

5. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 26288, გვ. 54.

ПОСТАНОВЛЕНИЕ.-

1924 года Декабря "29" дня. Я, Уполномоченный I-го Отд. ОБКО ЗГГ - ДЕКАЛАНИИ, рассмотрев следственное дело за №349 по обвинению гр-н:

1/-ЦИКВАДЗЕ Георгия Тарасовича - 20 лет, грузин, холост, об-разования среднее, беспартийный, не судим

2/-ВЕШАИДЗЕ Елена Андреевна - 25 лет, грамотная, из дворян шоршанского уезда

ЮЛЦИИ, а а ш е л: настоящее дело возникло вследствие вмешательства у гр-ки ИКЕБАШИДЗЕ

ной за имя ЦИКВАДЗЕ от Елены ВЕШАИДЗЕ.

В том, в каком виде произошло возмещение

она принимала лично и в суде по отношению

предусматривается ст. 33 Ул. Кодекса, ССР

амнистия ГРУЗИИ" а за п. 115 от 6/II-24

ЦИКВАДЗЕ Георгия и ВЕШАИДЗЕ Елену - о

следствием прекратить и сдать в архив.-

СИГЛЫ: обвиняемые освобождены ком-амнистии:-

УПОЛНОМОЧЕННЫЙ

"Согласен" НАИ ОБКО:

"Утверждаю" САМЕРДЖИ:

Handwritten notes in Georgian script, including the number 92 and various signatures and initials.

მიუხაჯა სამი წლით ურალში გადასახლება. სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ, როგორც არასაბედო პირს, 3 წლით კიდევ გაუხანგრძლივეს გადასახლების ვადა ნიუეგოროდის მხარეში. გათავისუფლდა 1933 წლის 22 დეკემბერს.

1924 წლის 4 სექტემბერს საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის პოლიტიკანყოფილებას ხელთ ჩაუვარდა 25 წლის ელენე ვეშაპიძის პირადი წერილი. ამონარიდი წერილიდან (სტილი დაცულია):

„როცა ამ წერილს ვნერ საშინლად აღელვებული ვარ... აღელვება პოლიტიკურ ნიადაგზეა. ბევრის მოწერა საშიშია – მოკლეთ გეტყვი 28/VIII დაიწყო ღამის პირველ საათზე ჭიათურაში აჯანყება მენშევიკების. 28/VIII ჭიათურა თავისუფალი იყო „წითლებისგან“ და ფრიალებს სამფეროვანი დროშები – იმ დღესვე საღამოს 5 საათზე საჩხერეშიც გაისმის დიდება. სამფეროვანი დროშები ავაფრიალეთ. მე რევოლუციით ხელში და მეორე ხელში დროშა – სროლა კარგა ხანს... მაგრამ [ტექსტი არ იკითხება] კურსანტები შემოდიან. ჩვენ დავმარცხდით. მსხვერპლი არის ცუდია. დახვრიტეს ბევრი ღამე. დაჭერილია ყველა, სატუსალოებში ყრიან [ტექსტი არ იკითხება]. მე მიშველეს ორმა კომუნარმა და ჯერ თავისუფლად ვარ ...⁶

გაუმარჯოს სამფეროვან დროშას!!!

ძირს საბჭოთა ხელისუფლება!!!

ვაშა ქართველ ერს.⁷“

საგანგებო კომისიამ მყისიერად მოახდინა რეაგირება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ კონტრრევოლუციური ხასიათის წერილზე. რა თქმა უნდა, დღის წესრიგში დადგა ელენე ვეშაპიძის პიროვნების დადგენა და დაპატიმრება, როგორც აჯანყების აქტიური მონაწილის და ხელისუფლების აშკარა მონინააღმდეგის.

6. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24192, გვ. 65.
7. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24192, გვ. 92.

ელენე ვეშაპიძე იმავე დღეს, 1924 წლის 4 სექტემბერს დააპატიმრეს საკუთარ სახლში, საჩხერეში. პატიმრის ანკეტაში კი წერია: უპარტო, დაოჯახებული, დიასახლისი, განათლებული, შორაპნის მაზრის აზნაურთა ფენიდან, ნა-სამართლეობის არმქონე. კონტრრევოლუციური საქმიანობიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდექსის 58-ე მუხლით.

ოთხთვიანი პატიმრობის შემდეგ ელენე ვეშაპიძე 1924 წლის 29 დეკემბერს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 6 ნოემბრის №115 დადგენილების საფუძველზე, ამნისტიით გათავისუფლეს⁸.

სისხლის სამართლის საქმე №986 საქართველოს საგანგებო კომისიაში ახალგაზრდა ქალბატონების წინააღმდეგ აღიძრა. ობოლი დები, 21 წლის გაბრიელა და 25 წლის ნადეჟდა ივანეს ასული ნატალიშვილები 1924 წლის სექტემბერში, თბილისში, საკუთარ სახლში ღამის ორ საათზე დააპატიმრეს. დააკავეს ასევე 24 წლის ანა ვასილის ასული ლოზუანიძე, მცხოვრები ქალაქ თბილისში. საგანგებო კომისია ქალბატონებს მენშევიკი ბანდიტების – ვალერიან ბილანიშვილისა⁹ და ოფიცერ ირაკლი ცაგურიას¹⁰ შეფარებაში სდებდა ბრალს. ახალგაზრდები პატიმრობაში დიდხანს არ ყოფილან. საქართველოს საგანგებო კომისიის კ/რსთან ბრძოლის განყოფილების რწმუნებულის დადგენილებით, ბრალდებულები გათავისუფლდნენ ცაკის (1924 წლის 7 ნოემბრის) ამნისტიის შესახებ №115 დადგენილების საფუძველზე, რომელიც პოლიტპატიმრებზე გავრცელდა.¹¹

სისხლის სამართლის საქმეში ნომრით 901, სოფ. სვირის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მიერ სახელდახელოდ შედგენილ წერილში, რომელიც ქუთაისის პოლიტბიუროში გაიგზავნა, ჩამოთვლილია იმ დაპატიმრებულ პირთა სია, ვინც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებაში იღებდა მონაწილეობას. ოცკაციან სიაში ერთი ქალბატონია – ვერა ალექსანდრეს ასული ბურჯანაძე. დანიშნულების გრაფაში – ამბოხებაში იარაღით მონაწილეობა წერია, შენიშვნის ველში კი – „ყოველივეს ხელის შემწყობი“.¹² წერილთან ერთად

8. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1924 წ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, 6 ნომბერი. გვ. 11.

9. დამოუკიდებელი კომიტეტის წევრი, აჯანყების მონაწილე.

10. ირაკლი ცაგურია, ეროვნულ დემოკრატი, არტილერისტი პოლკოვნიკი. აჯანყების გეგმის მიხედვით, ვაზიანში დისლოცირებული ნითელი არმიის არტილერია, რომელიც 120 ზარბაზანს ითვლიდა, ირაკლი ცაგურიას რაზმს უნდა ჩაეგდო ხელში. ამ იარაღის ხელში ჩაგდება ნახევრად მაინც წყვეტდა თბილისის ბედს. ცაგურიას რაზმს რუსებისათვის უნდა წაერთმია ზარბაზნები და თბილისის ნავთლულის მხრიდან მისდგომოდა. აჯანყების მეორე დღეს თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაზმები ი. ცაგურიას განკარგულებაში უნდა გადასულიყვნენ. ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 2012.

11. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24209, გვ. 48.

12. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24311, გვ. 8.

დაპატიმრებული „ბანდიტებიც“ გადაიყვანეს ქუთაისის პოლიტბიუროში. პატიმრის საანკეტო მონაცემების თანახმად, 22 წლის ვერა ბურჯანაძე დაპატიმრებულია 1924 წლის 28 აგვისტოს სოფ. ობჩაში. დაკითხვისას მან უარყო აჯანყებაში იარაღით მონაწილეობა. აღიარა მხოლოდ ის ფაქტი, რომ სოფ. ობჩაში შესულ ამბოხებულთა რაზმს ამარაგებდა საკვებით და მათთვის კერავდა სამფე-როვან დროშებს. რადენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 10 ნოემბრის ამნისტიის შესახებ დადგენილების საფუძველზე, ვერა ბურჯანაძე პატიმრობიდან გათავისუფლდა.

საბჭოთა რეჟიმი დაუნდობელი რომ იყო ქალბატონების მიმართ, ამას შემდეგი ფაქტებიც მოწმობს: 1924 წლის საყოველთაო აჯანყების ჩახშობის შემდეგ დახვრიტეს 53 წლის ოლღა ესტატეს ასული მერკუროვა.¹³ სისხლის სამართლის საქმეში დაცული „ცნობიდან“ ირკვევა, რომ ოლღას აქტიური კავშირი ჰქონდა მიხეილ ლაშქარაშვილთან, მას ამარაგებდა საკვები პროდუქტებით, ასევე ტყვია-წამლით. ლაშქარაშვილი ხშირად სტუმრობდა და ოლღაც დიდ მზრუნველობას იჩენდა მის მიმართ. როდესაც ერთაწმინდის გამოსვლებისთვის ემზადებოდა, ოლღა ყოველდღე თავის გამომცხვარი პურით ამარაგებდა.¹⁴

აჯანყების დამარცხებიდან რამდენიმე დღეში დახვრიტეს დეკანოზ გრიგოლ დავითაშვილისა და ვალენტინა იშხნელის უმცროსი ქალიშვილი, 29 წლის მენ-შევიკი მელანია დავითაშვილი.¹⁵

სასჯელის უმაღლესი ზომით – დახვრეტით დაისაჯა ცაგერის მაზრის სოფ. ლარჩვალის მკვიდრი, ეროვნულ-დემოკრატი, პედაგოგი, 43 წლის ბაბუხია ჩიქოვანი.

პირველ სექტემბერს დახვრიტეს 40 წლის ელენე თარხან-მოურავი, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრი გორის მაზრიდან.¹⁶

1924 წლის აჯანყებას მასობრივი რეპრესიები მოყვა ხელისუფლების მხრიდან. არსებობს დახვრეტილთა ოფიციალური მონაცემები, თუმცა დადასტურებული ფაქტია, რომ თვითნებურ დახვრეტებსაც ჰქონდა ადგილი, რისი აღრიცხვაც არ ხდებოდა. რეპრესიების მასშტაბზე კარგად მეტყველებს ორჯონიკიძის მიერ 1924 წლის ოქტომბერში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთებული განცხადება: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. შეიძლება ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლარაღა ეშველება“.

13. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 12, 1924 წელს დახვრეტილთა სიები.

14. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24214, გვ. 81-82.

15. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 12, 1924 წელს დახვრეტილთა სიები.

16. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 12, 1924 წელს დახვრეტილთა სიები.

ახალგაზრდები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში რეპრესიები გრძელდებოდა, მუდმივ შევიწროვებასა და ტერორში იმყოფებოდა საზოგადოება, ანტისაბჭოთა მუშაობა არ შეწყვეტილა.

სრულიად საქართველოს მოსახლეობასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ახალგაზრდებიც. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ სისხლის სამართლის საქმეებში ამის არაერთი დამადასტურებელი დოკუმენტი ინახება.

ერთ-ერთი ასეთი გახლავთ სისხლის სამართლის საქმე №24383. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაში.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა ერთ-ერთ ჯგუფში შედიოდნენ: კვირიკაძე ამბროსი საბას ძე, კოსტავა გიორგი (გრიგოლი) ქრისტეფორეს ძე – დაბადებული 1907 წელს, ლორთქიფანიძე შალვა დომენტის ძე – დაბადებული 1906 წელს, ლორთქიფანიძე კონსტანტინე (ციცერონი) დარისპანის ძე – დაბადებული 1891 წელს და სხვები. ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში (№24383) დაცულ სრულიად საიდუმლო დოკუმენტში ვკითხულობთ:

„23 ოქტომბერს დავაკავეთ ახალგაზრდა სოც. ფედერალისტების საოლქო კომიტეტის წევრები – კოსტავა გიორგი და დოლაქიძე შალვა. კოსტავას ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილი იქნა საოლქო კომიტეტის ბეჭედი, ორგანიზაციის სია, დანაყოფების (უჯრედების) შეხვედრების ჩანაწერები და ოქმები, ერთმანეთთან მიმონერები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია და არალეგალური ჟურნალები. მიმდინარეობს გამოძიება მთლიანი ორგანიზაციის გამოსავლენად.

მათი სამუშაოს სრულად გამოაშკარავებისთვის აუცილებელია ადგილზე იმყოფებოდეს სამაზრო კომიტეტის ორგანიზაციის მდივანი შოთა აბესაძე.

ამ დროისთვის თბილისში იმყოფებიან: საოლქო კომიტეტის ორგანიზაციის წევრი – შალიკო ქელბაქიანი, ტექნიკუმის მოსწავლეთა კომიტეტის წევრი – ჩოგოვაძე გიორგი და ქუთაისის კომიტეტის ახალგაზრდა მემარცხენე სოც-ფედერალისტების ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი კონსტანტინე გედეონის ძე დანელია. ბინიდან ამოღებულ მასალებში აღმოჩენილია მისი განცხადება მემარჯვენე ფედერალისტების პარტიაში განწევრიანებასთან დაკავშირებით...

მოგმართავთ თხოვნით, დააკავოთ ზემოხსენებული პირები და თუ შესაძლებელი იქნება, იქნებ გადმოგზავნოთ, უკანასკნელ შემთხვევაში შოთა აბესაძე მაინც იყოს ჩვენს განკარგულებაში.

28 ოქტომბერი, 1924 წელი“.¹



გრიგოლ კოსტავა

1. საქართველოს შსს არქივი, (I), ფონდი 6, საქმე 24383, გვ. 64.

დეპუტას ხელს აწერენ ქუთაისის პოლიტბიუროს ხელმძღვანელი კუჭუხიძე და მისი მოადგილე ძაგანია.

გიორგი (გრიგოლ) ქრისტეფორეს ძე კოსტავა, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი მსახიობი, ადრეული ასაკიდან იყო ჩაბმული ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. 17 წლის კოსტავა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტური ფრთის აქტიური წევრი იყო.

კოსტავა 1924 წლის ოქტომბერში, ჯერ კიდევ მე-9 კლასის მოსწავლე, არალეგალური პოლიტიკური საქმიანობისთვის დააპატიმრეს. საქმეში დაცულია გრიგოლ კოსტავას ჩვენება, რომელშიც იგი დეტალურად აღწერს საკუთარ საქმიანობას და მეგობრების ჩართულობას არალეგალურ საქმიანობაში.

გ. კოსტავას ჩვენება (სტილი დაცულია):

„1918 წლიდან თანაფუგრძნობდი სოც. ფედერალისტების პარტიას 1921 წლამდე. 1921 წელს ჩავენერე წევრად მემარცხენე სოც. ფედერალისტების პარტიაში. მემარცხენე სოც. ფედერალისტების პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ გადავედი მემარჯვენე სოც. ფედერალისტების არალეგალურ ორგანიზაციაში წევრად შოთა აბესაძის საშუალებით. პირველად აბესაძემ დამავალა, რომ მე თვითონ შემედგინა უჯრედი. შევადგინე უჯრედი, რომელშიც შედიოდნენ წევრებად: 1. დალაქიშვილი ნარიმან, ჩვენი ტექნიკუმის მემვიდე კლასის მონაფე, 2. ლოლა ბერიძე, შურა (ალექსანდრე, სწავლობს ესეც ჩვენთან), 3. ცაგარელი საშა, იყო მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში, შემდეგ კი დაანება თავი, ვინაიდან ძმა ჰყავდა კომუნისტი. მუშაობა გამოიხატებოდა არალეგალური ლიტერატურის კითხვაში, რომელსაც გვანვდიდა შოთა აბესაძე და აგრეთვე კრებების გამართვაში, რომელზედაც მოხსენებას აკეთებდნენ: პირველ ხანებში შოთა აბესაძე, შემდეგ კი მეც ვაკეთებდი. სამაზრო კომიტეტში იმ დროს რამდენადაც მე ვიცოდი, შედიოდა შოთა აბესაძე, დანარჩენები არ ვიცი, მხოლოდ ამა წლის ზაფხულში თვით შოთასგან გავიგე, რომ თავმჯდომარედ მომავალ წელიწადში უნდა დარჩეს ძველი თავმჯდომარე ამბროსი კვირიკაძე. ქუთაისში არსებობდა ტექნიკუმის მონაფეთა კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ წევრებად თითო ტექნიკუმის წარმომადგენლები. მეორე ტექნიკუმიდან ამ კომიტეტში შედიოდა გოგია ჩოგოვაძე, პირველი ტექნიკუმიდანაც, როგორც გავიგე გამოსვლების ჩახშობის შემდეგ შოთასგან და თვით ქელბაქიანისგან, ტექნიკუმის მონაფეთა კომიტეტში შედიოდა შალიკო ქელბაქიანი. ტექნიკუმებში არსებული უჯრედების თავებს ჰქონდა უშუალო კავშირი ტექნიკუმის მონაფეთა კომიტეტის ერთ-ერთ წევრთან. მე პირადად კი მქონდა უშუალო კავშირი შოთა აბესაძესთან. მეორე ტექნიკუმში დაახლოებით იქნებოდა 7-8 უჯრედი. თითო უჯრედში შედიოდა 2-დან 5-მდე წევრები. მეორე ტექნიკუმში სულ იყო 56 წევრი, რომელ რიცხვშიაც შედიოდნენ დაწყებული 10 წლისან ბავშვებიდან. მეორე ტექნიკუმის და საერთოდ ქალების უჯრედების შესახებ მე არაფერი არ ვიცი, ეცოდინება შოთა აბესაძეს. პირველ ხანებში აბესაძეს უნდოდა მონაფეთა კომიტეტის წევრად დატოვება და ამ მიზნით დავდიოდი მის სახლში და ვმეცადინებოდი. მიკეთებდა მოხსენებებს პოლიტიკიდან. საერთოდ, როდესაც აბესაძეს არ სცალოდა უჯრედებში მოხსენების გაკეთებისთვის, ის მე წამიკითხავდა და მოხსენებას, შემდეგ მე გავიმეორებდი და ამის შემდეგ მე ვაკეთებდი მოხსენებას უჯრედებში, უფრო დაბალ ჯგუფებში.

მოხსენებას ვაკეთებდი ექვს უჯრედში. უჯრედების თავები იყვნენ შემდეგნი: 1. ნუქიბიშვილი, მე-2 ტექნიკუმის მეშვიდე კლასის მონაფე ოკრობელია, 2. გოგელია პოლიევკტი, მე-2 ტექნიკუმის მე-7 კლასის მონაფე გურგულია, 3. კიკვაძე მე-2 ტექნიკუმის მეექვსე კლასის მონაფე, 4. ჩემი პატარა ძმა კოსტავა ვანო, მე-2 ტექნიკუმის მეოთხე კლასის მონაფე, 5. იყო ქალების უჯრედი, რომელშიც შედიოდნენ 13-14 წლის ქალები, სამი სული, ერთი მათგანი იყო ცქიტვილი, დანარჩენი არ მახსოვს. იყვნენ დაახლოებით უჯრედში კვირა ნახევარი, მაგრამ შემდეგ აბესაძემ მითხრა, რომ თავი დამენებებია მათთვის, რაც მე შევასრულე და ისინი შემდეგ ჩვენი ორგანიზაციის წევრებად არ ითვლებოდნენ.

მოხსენებებს ვაკეთებდით ხან რიონის პირას ნაციხართან, (როდესაც მე ვიქნებოდი მომხსენებელი), ხან გოგელიას ნაქირავებ ოთახში ორპირის ქუჩაზე (როცა მომხსენებლად იყო აბესაძე), აგრეთვე ფერმასთან რიონის პირზე სილაზე და ერთხელაც აბესაძემ ჩემ სახლში გააკეთა მოხსენება.

ნუქიბიშვილის უჯრედში შედიოდნენ წევრებად: 1. ყიფიანი, ოკრიბელია, შარშან იყო მეექვსე კლასში და ჩარჩა, 2. ჩხიკვაძე, ოკრიბელია პირველი ტექნიკუმის მონაფე, მეტი არ ვიცი.

გურგულიას უჯრედიდან მახსოვს: 1. გუბელაძე, მე-2 ტექნიკუმის მონაფე, შარშან მეექვსე კლასში იყო. კიკვიძის უჯრედში: 1. კაპანაძე, მეექვსე კლასის მონაფე მე-2 ტექნიკუმი, 2. ჩხიკვაძე მე-2 ტექნიკუმის მეექვსე კლასის მონაფე, მეტი არ მახსოვს. კოსტავა ვანოს უჯრედში: 1. სვანიძე მესამე კლასის მონაფე მე-2 ტექნიკუმის, 2. ფხაკაძე, მე-2 ტექნიკუმის მონაფე. უფროსების ორგანიზაციასთან ვის ქონდა კავშირი არ ვიცი. არ ვიცი აგრეთვე ვინ იყო ინტერპარტიული კომიტეტის წევრი ჩვენი კომიტეტიდან. რაიონების ორგანიზაციასთან კავშირი ჰქონდა შოთა აბესაძეს. როგორც უკანასკნელისგან გავიგე ორგანიზაციები იყო კარგად მოწყობილი ხონში და ტობანიერში, დანარჩენი არ ვიცი. სულ მთელი მაზრის ორგანიზაციაში იქნებოდა დაახლოებით ასზე ცოტათი მეტი წევრი.

რაც შეეხება სამხედრო ორგანიზაციას, ვიცი შემდეგი – როდესაც საზაფხულოდ ვიყავით დათხოვილები, მე წავედი ჭიათურაში სამსახურის საშოვნელად. დაახლოებით აგვისტოში, რომ ჩამოვედი ჭიათურიდან ქუთაისში, თანახმად აბესაძის მიერ მოწერილი წერილისა, აბესაძემ მითხრა, რომ ორგანიზაციას გამოცხადებული აქვს სამხედრო წესები. უნდა დაგვეყო გამოსვლებისთვის მზადება. მაგალითად, შეგვეძინა იარაღი, ვაზნები და სხვა. ორგანიზაციას უნდოდა გამოერჩია სამხედრო პირი, რომელიც იქნებოდა სამხედრო სექციის ხელმძღვანელი. შოთას უნდოდა ჯერ მიხაილოვი მიშას დანიშვნა, მაგრამ შემდეგ სთქვა არ გამოგვადგებო. ვინაიდან მონაფეები უმეტესი ნაწილი იყვნენ ქუთაისში, იმდენი მზადებაც არ გვქონია. გამოსვლების წინ სამი დღით (ადრე-ავტ.) შოთა აბესაძემ მომიყვა, რომ ჩვენი შტაბის ხელმძღვანელი პირია ციცერონ ლორთქიფანიძეო, ეს უკანასკნელი მოგვიტანს ჩვენ იარაღს და ჩვენც უნდა მივიღოთ გამოსვლებში მონაწილეობაო.

აბესაძე ჩვენ არ გვეუბნებოდა რა დღეს იქნებოდა გამოსვლა, ვინაიდან შესაძლებელია გადაიტანონ სხვა დღისთვისაო. 28/VIII შუადღეზე აბესაძემ სათითაოდ დაგვიბარა მივსულიყავით სალამოს შებინდებისას... ჩხაიძე ილიკოს სახლში. მე ჩხაიძის სახლში მივედი დაგვიანებით. იქ დამხვდნენ: ჩხაიძე ილო, დოლაქიძე შალვა, შოთა აბესაძე, მიხაილოვი მიშა, ქელბაქიანი შალიკო. დანარჩენი არ

შემიმჩნევია, ვინაიდან ოთახში სინათლე არ გვენთო და ბნელოდა. ჩვენი შეკრების მიზანი იყო ის, რომ როგორც შოთა აბესაძემ გადმოგვცა, ციციერონ ლორთქიფანიძეს უნდა მოეთანა ჩვენთვის იარაღი, როდესაც ქალაქში გავარდებოდა ბომბი, აიღებდნენ ციხეს, შემდეგ ჩეკას და საერთოდ დაბლა ქალაქი (ქალაქი დაბლა-ავტ.) დაეცემოდა, ჩვენ ამის შემდეგ უნდა დავცემოდით სადგურს. მაგრამ ეს ყველაფერი არ მოხდა და ჩვენ გათენებისას წავედით სახლებში.

სამაზრო კომიტეტის მდივნად მე ვიყავი დანიშნული შოთა აბესაძის მიერ ზაფხულში, მაგრამ მუშაობა უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, როცა უნივერსიტეტში მეცადინეობა დაიწყებოდა.

მე გამომიძახებდა აბესაძე თბილისში, მომცემდა მუშაობის გეგმას და აგრეთვე სათანადო წერილებს რაიონებში დასაკავშირებლად..., რის შემდეგაც შეუდგებოდით მუშაობას 15 ნოემბრიდან.

ჯერ გამოსვლების მოწყობამდე აბესაძემ გამაცნო ერთი უცნობი, სახელად ერქვა ილიკო, გვარი არ ვიცი და მითხრა, რომ ეს მოგიტანს შენ არხივს კომიტეტის და გექნება შენო. ილიკომ დამიძახა ერთ დღეს, ბალთან მივედი და ილიკომ მომიტანა არხივი. გარდა ამისა ნაწილი არხივისა და კომიტეტის ბეჭედი შოთა აბესაძეს გადაუცია შალვა ქელბაქიანისთვის. ვინაიდან უკანასკნელს უნდოდა კომიტეტის მდივნობა და თანაც ეს საკითხი არ იყო კარგად გამორკვეული. შემდეგ აბესაძემ მითხრა, რომ მე გამომერთმია ქელბაქიანისთვის ბეჭედი და ქალაქდებიც. დოლაქიძეს კარგად ხანს არ უნდოდა გადმოცემა და შემდეგ კი მომიტანა ბეჭედი და ნაწილი ქალაქდების და ნაწილი კი, როგორც თვითონ გადმომცა, დასველებულიყო და გაფუჭებულიყო.

პარტიული ფსევდონიმები იყო შემდეგი: აბესაძის - „ქუთაისელი“, ჩემი - „გრიშა“ „მთისპირელი“, გოგელია პოლიევკტის - „მთისშვილი“, ნუქიბიშვილის - „ოკრიბელი“, დოლაქიძე შალვას - „ვაჟნი“.

ჩვენება ნაკითხულია, მართალია, ხელს ვაწერ. გრიშა კოსტავა.

26/IX – 24 წ. დამატებითი ჩვენება გრიშა კოსტავასი

30 იანვარს 1924 წელს გოგელია პოლიევკტის სახლში შესდგა კრება უჯრედების თავების დაესწრენ: 1. მე, 2. შოთა აბესაძე, 3. ჩოგოვაძე გიორგი, დანარჩენი არ მახსოვს ვინ იყვნენ და არც ვიცნობდი. აბესაძემ ილაპარაკა საზღვარგარეთის ამბები, შემდეგ სიფრთხილის შესახებ თვით ორგანიზაციაში. თავმჯდომარე მაშინ მგონი არ უნდა ყოფილიყო მონაფეთა კომიტეტის თავმჯდომარედ, ვინ იყო არ ვიცი, მაგრამ იქნებოდა უფრო ჩოგოვაძე გიორგი. ამა წლის გაზაფხულში მე შევადგინე დაახლოებით 7 უჯრედამდე. გაზაფხულის დაღეულს ...აბესაძის დავალებით შევადგინე სია წევრების, რომელიც გადავეცი შოთას. ჩემ სიაში იყო დაახლოებით 35-36 წევრი.

გიორგი კოსტავა.²

გ. კოსტავას ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული დაჯგუფება დაკომპლექტებული იყო არა მხოლოდ ახალგაზრდებისგან, არამედ მასში შედიოდნენ სკოლის მოსწავლეები - არასრულწლოვნები. ფაქტია, ახალგაზრდების მხრიდან დიდი მზაობა იყო აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულები არალეგალურ

2. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24383, ტ.1, გვ. 11-15.

საქმიანობაში, თუმცა მათი უშუალო მონაწილეობა აგვისტოს აჯანყებაში არ იკვეთება. ამას მოწმობს შ. დოლაქიძის ჩვენება, რომელიც გრიგოლ კოსტავას ჩვენების თანმიმდევრულია.

(სტილი დაცულია)

„დოლაქიძე შალვა დომენტის ძე, 17 წლის. ... მონაფე... შრომის სკოლასთან არსებული ტექნიკუმის სალიკვიდაციო ჯგუფის წევრი...“

1923 წელს 7 თვის განმავლობაში ვირიცხებოდი კომკავშირის წევრად. უკანასკნელიდან გამომრიცხეს, ვინაიდან ავადმყოფობის გამო ვერ ვესწრებოდი კრებებს. ამავე წლის დეკემბერში ჩემ მეზობელმა ჩხაიძე ილომ, რომელიც სწავლობს პირველ ტექნიკუმთან არსებულ საღამოს სამწლიან კურსზე, მომცა წინადადება, რომ მიმეღო მონაწილეობა სოც-ფედერალისტების ორგანიზაციის არალეგალურ მუშაობაში, რაზედაც მე დავთანხმდი. ჩხაიძემ ერთხელ სადგურზე გამაცნო კოსტავა გრიშა. უკანასკნელმა კი გამაცნო აბესაძე შოთა ბაზარში. შოთა აბესაძემ დამავალა მე გამეწია ხელმძღვანელობა უჯრედისთვის, რომელშიც შედიოდნენ: 1. ქელბაქიანი შალიკო, 2. დანელია კონია – ყოფილი მემარცხენე სოც-ფედერალისტების პასუხისმგებელი მდივანი, 3. ვანიჩკა გაბულია, 4. კაპანაძე ჟორა. ამ წევრებიდან თავიდან მყავდა უჯრედში ყველა, გარდა დანელიასი. უკანასკნელი ჩემ უჯრედში წევრად ჩაირიცხა უფრო გვიან რამოდენიმე თვით, მის მიერ განცხადების შემოტანის შემდეგ. ესენი ეხლა სულყველა უნდა იმყოფებოდნენ თბილისში უნივერსიტეტში.

არსებობდა ტექნიკუმის მონაფეთა კომიტეტი, რომელშიც შედიოდა თითო ტექნიკუმიდან, თითო წარმომადგენელი. პირველ ტექნიკუმიდან კომიტეტის წევრად შედიოდა ქელბაქიანი შალიკო, მეორე ტექნიკუმიდან ჩოგოვაძე გიორგი. მესამე ტექნიკუმიდან შედიოდა თუ არა ვინმე ამ კომიტეტში მე პირადად არ ვიცი, ეცოდინება გრიშა კოსტავას. ქალების უჯრედებთან თუ ექნებოდა დამოკიდებულება, ექნებოდა აუცილებლად შოთა აბესაძეს. ტექნიკუმთან არსებულ უჯრედებს ჰქონდათ დამოკიდებულება ტექნიკუმის მონაფეთა კომიტეტის წევრთან უჯრედის თავის საშუალებით.

მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ვლებულობდით არალეგალურ ლიტერატურას ნასაკითხად პირველ ხანებში შოთა აბესაძისგან. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გრიშა კოსტავასთან. გარდა ამისა უჯრედებში კეთდებოდა მოხსენებები. აკეთებდნენ შოთა აბესაძე, გრიშა კოსტავა, შალიკო ქელბაქიანი და ხანდახან მე.

ერთხელ გააკეთა მოხსენება ჩემი უჯრედის წევრმა – ხარაბაძე ჟორჟიკამ (რომელიც გამოგვრჩა ზემოთ უჯრედის წევრების ჩამოთვლის დროს). ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა სამაზრო კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ წევრებად: 1. კვირიკაძე ამბროსი – თავმჯდომარე, 2. შოთა აბესაძე – მდივანი, 3. ჩოგოვაძე გიორგი და 4. ქელბაქიანი სალიკო. სამაზრო კომიტეტი ამ შემადგენლობით ხელმძღვანელობდა 1923 წლის, დაახლოებით მაისის თუ ივნისის დამლევამდე. 1923 წლის შემოდგომიდან, როდესაც დაიწყო სწავლა, სამაზრო კომიტეტში შედიოდნენ: 1. ამბროსი კვირიკაძე – თავმჯდომარე, 2. აბესაძე შოთა – მდივანი, 3. ქელბაქიანი შალიკო, 4. გრიშა კოსტავა და 5. შემდეგ, როდესაც მე დავიწყე მუშაობა, ვიქენი ამორჩეული წევრად სამაზრო კომიტეტში. ამ შემადგენლობით სამაზრო კომიტეტი არსებობდა გამოსვლების ჩახშობამდე.

მაგრამ იგივე დროს, ვინაიდან ზოგიერთი ნევრები ენკენისთვეში უნდა წასულიყვნენ თბილისში უმაღლეს სასწავლებელში, ზაფხულშივე იყვნენ დასახელებული ნევრებად მომავალი შემოდგომიდან მუშაობის გასაგრძელებლად შემდეგი პირები: 1. კვირიკაძე ამბროსი – თავმჯდომარედ, 2. გრიშა კოსტავა – მდივანად, 3. ჩხაიძე ილიკო, 4. მე.

გრიშა კოსტავას მდივნობას შოთა აბესაძე ჩააბარებდა მას შემდეგ, როდესაც ის წავიდოდა თბილისში, მანამდის კი შოთა აბესაძე ეცნობოდა გრიშა კოსტავას მდივნობის მუშაობას.

თბილისიდან მე ვიცი, რომ ჩამოვიდნენ არალეგალური მომუშავენი მოხსენების გასაკეთებლად. მოხსენება გააკეთეს შოთა აბესაძის სახლში. ეს იყო ამა წლის ზაფხულში. ამ ორ პიროვნებას უნდა გაეკეთებინა მოხსენება ჯერ კომიტეტის მდივნისთვის და თავმჯდომარისთვის, რის შესახებაც არ ვიცი, ამ მოხსენებაზე ჩვენ არ გვექონდა უფლება დასწრების და უნდა მივსულიყავით ერთი საათით გვიან. ისინი შეიკრიბნენ 9 საათზე, ჩვენ კი, ე.ი. მე და შალიკო ქელბაქიანი უნდა მივსულიყავით 10 საათზე (გრიშა კოსტავა იმ დროს ჭიათურაში იყო და მის მაგივრად დაესწრო შალიკო ქელბაქიანი). როდესაც ჩვენ მივედით აბესაძესთან, იქ დაგვხვდნენ: 1. შოთა აბესაძე, 2. ამბროსი კვირიკაძე და ორი თბილისიდან ჩამოსულები. ერთის ფსევდონიმი იყო „აკოზენ“ მეორესი კი არ ვიცი. ჩვენ რომ მოვედით მაშინ გააკეთა ერთმა მათგანმა მოხსენება თანამედროვე მდგომარეობაზე. ერთი იქნებოდა დაახლოებით 25 წლის, თხელი სახის, ტანად გამხდარი, საშუალოზე მაღალი, თვალებზე სათვალეებით (ПЕНСНЕ), ეცვა გრძელი პალტო, გადაშვებული შარვლით, ფეხზე – ფეხსაცმელები და კალოშები, ტანზე თეთრი ბლუზა გადატეხილი საყელოთი, თმა გვერდზე გადაყოფილი. შტატსკი კოსტიუმი ფეხზე ყვითელი ლაკის ტუფლები.

რამდენი უჯრედი იყო სულ არ ვიცი, დაახლოებით ნევრები იქნებოდნენ 80-მდე. რაიონების ორგანიზაციების შესახებ ვიცი მხოლოდ აბესაძის სიტყვებიდან, რომ ორგანიზაცია არსებობდა ვანის რაიონში და მგონი ტობანიერში (სოფელი იმერეთის მხარეში).

გამოსვლებამდის ორი კვირით ადრე შოთა აბესაძემ მე და გრიშა კოსტავას გაგვაცნო ახალი ინსტრუქცია მუშაობის შესახებ. თანახმად ამ ინსტრუქციისა უნდა მომხდარიყო გადაჯგუფება ნევრებისა უჯრედებში რაიონის და მიხედვით, მაგრამ ამის განხორციელება ვეღარ მოვასწარით. ეს გადაჯგუფება, როგორც მაშინ გადმოგვცა შოთა აბესაძემ, საჭირო იყო ვინაიდან მომავალში გამოსვლები უნდა მოხდესო. გამოსვლების შესახებ მე მითხრა შოთა აბესაძემ, მხოლოდ 27/VIII ნაშუადღევს ილია ჩხაიძის სახლში. მან გადმომცა მე, რომ გამოსვლები მოხდება ხვალ, ე.ი. 28 მარტიამობისთვისო. და უნდა შევიკრიბოთ ამავე სახლში, ე.ი. ჩხაიძესთანო. 28/VIII საღამოს შევიკრიბეთ ჩხაიძის სახლში: 1. შოთა აბესაძე, 2. კოსტავა გრიშა, 3. ქელბაქიანი შალიკო, 4. გაბუნია ვანიჩკა, 5. ჩხაიძე ილია, 6. მიხაილოვი მიშა, 7. ხარაბაძე ჟორჟიკა და 8. მე.

შოთა აბესაძემ გვითხრა, რომ მე წავალ და იარაღის მოწოდებას მოვანყოფო, მაგრამ ვეღარ წავიდა, რადგანაც პატრულები დადიოდნენ. შოთამ გვითხრა ჩვენ, რომ 25 ოფიცერი ამოვა საღამოსო და დაეცემიან ვაგზალსო, ჩვენ კი იარაღს რომ მოგვანოდებენ დავდგებით ყარაულად ქუჩებში, რომ გავამაგროთ,

არავინ არ შემოუშვავთ და წესიერება დავიცვათო. მაგრამ იმ ღამეს არაფერი არ მოსულა და გათენებამდის დავიშალენით სულყველანი.

უფროსების კომიტეტთან კავშირი ჰქონდა აბესაძე შოთას. ინტერპარტიულ კომიტეტში, რომლის არსებობის შესახებ მეუბნებოდა შოთა, ჩვენი კომიტეტიდან იქნებოდა წარმომადგენლად, ან შოთა აბესაძე, ან კვირიკაძე ამბროსი.

ჩვენება ნაკითხულია, მართალია, ხელს ვანერ.

შალვა დომენტის ძე დოლაქიძე.

26/X-24 წ. დამატებითი ჩვენება დოლაქიძე შალვასი.

ჩემი პარტიული ფსევდონიმი იყო „კანი“, ჩხაიძე ილოსი – „ურაგანი“, აბესაძე შოთასი – „ქუთაისელი“. მოხსენება მე გამიკეთებია ჩხაიძე ილოს უჯრედში, გრიშა კოსტავასი და ჩემ უჯრედში. ჩხაიძე ილოს ყავდა 4 კაცი მისიანად., გვარები მათი არ ვიცი.

მოხსენება გავაკეთე ერთხელ უჯრედის, სასაფლაოზე, ზაფხულში, ერთხელ საფიჩხიაზე მხოლოდ ... სასაფლაოს აქეთ და ერთხელაც მისი, ე.ი. ჩხაიძის სახლში. მისი უჯრედის ნიშანი იყო „a+b“.

ერთხელ გავაკეთე გრიშა კოსტავას უჯრედში მოხსენება, ზამთარი რომ ილეოდა იმ ხანებში. ვიყავით კოსტავას სახლში. კრებას დაესწრნენ – გრიშა კოსტავას გარდა 4 კაცი, რომლებთაგანც არც ერთს არ ვიცნობ. ერთხელ ამა წლის მაისში გავაკეთე მოხსენება პირველი ტექნიკუმის ეზოში ჩხაიძე ილოს უჯრედში შემდეგ თემაზე: „ჩვენი პარტიის პროგრამის ფილოსოფიური საფუძვლები“. კრებას დაესწრო ჩხაიძის გარდა 4 კაცი, მხოლოდ ამათ შორის სხვა წევრები იყვნენ, აქედან სჩანს, რომ ჩხაიძეს ჰყავდა ორი უჯრედი. ჩემი უჯრედის ნიშანი იყო: „=+“. ჩემ უჯრედში მოხსენებას ვაკეთებდი მე თვითონ, კრებას ვმართავდი საფიჩხიის სასაფლაოზე და ერთხელ წყალნითელაზე.

გამოსვლებამდე ორი კვირით ადრე მოგვივიდა ცნობა ცენტრიდან (მიუვიდა თვით შოთას), რომ გამოსვლები იქნებო, მხოლოდ რიცხვი არ იყო ნათქვამი და ორგანიზაცია აცხადებს სამხედრო წესებს. ამის გამო უნდა მომხდარიყო გადაჯგუფება უჯრედის წევრების რაიონების მიხედვით, თითო უჯრედში უნდა შესულიყო 5-დან 7 კაცამდე, მაგრამ შოთამ უარყო, 7 კაცი ბევრი იქნება და შეამჩნევნო, ამიტომ უჯრედში უნდა შესულიყო 5 კაცი. უნდა ამოგვეჩია საქალაქო კომიტეტი. ამ კომიტეტში შევედით წევრებად: 1. აბესაძე შოთა – თავმჯდომარე, 2. კოსტავა გრიშა და 3. მე თვითონ... მოხდა წევრთა გადაჯგუფება, მაგრამ, ვინაიდან უმეტესი ნაწილი მონაფეებისა იყვნენ სოფლებში, ეს გადაჯგუფება არ მოხერხდა.

კითხვა:

რა იყო გრიშა კოსტავას ფსევდონიმი?

პასუხი:

გრიშა კოსტავას ფსევდონიმი უნდა იყოს „შორაპნელი“. ეს იქიდან ვიცი, რომ მან ზაფხულში თავის სახლში დახატა სამფეროვანი დროშა და ქვეშ მიაწერა „შორაპნელი“.

კითხვა:

ვინ იყო მონაფეთა კომიტეტში წარმომადგენლად მე-2 ტექნიკუმიდან?

პასუხი:

მე-2 ტექნიკუმიდან იყო ჩოგოვადე გიორგი.

ჩვენება ნაკითხულია, ხელს ვანერ შალვა დომენტის ძე დოლაქიძე“.³

ცხადია, ახალგაზრდული დაჯგუფების წევრები დააკავეს. საიდუმლო ოპერატიული ნაწილის უფროსი, საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – ლ. ბერია კატეგორიულად ითხოვდა დაკავებულების – ამბროსი კვირიკაძის, გრიშა კოსტავასა და შალვა დოლაქიძის გადაცემას.⁴

„1924 წლის 2 ნოემბრის დადგენილების მიხედვით, კვირიკაძე ამბროსი საბას ძე 30 წლის, კოსტავა გრიგოლი ქრისტეფორეს ძე 17 წლის დოლაქიძე შალვა დომენტის ძე 17 წლის და ლორთქიფანიძე კონსტანტინე – იგივე „ციცერონი“ დარისპანის ძე 33 წლის. მათ ქმედებებში იკვეთება დანაშაულებრივი კვალი – აქტიური, ორგანიზებული კონტრრევოლუციური პარტიული საქმიანობა, ასევე შეიარაღებული აჯანყების მომზადება. კვირიკაძე, კოსტავა, დოლაქიძე და ლორთქიფანიძე მიჩნეულ იქნენ დამნაშავეებად და ბრალდებად წარედგინოდ კონტრრევოლუციური საქმიანობა, შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში ხელშეწყობა და გამოძიებისთვის თავის არიდება. აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდოთ ქუთაისის გუბერნიის გამასწორებელ სახლში პატიმრობა“.⁵

ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში დაცული 1925 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით, გ. კოსტავა და შ. დოლაქიძე ამნისტიის საფუძველზე სრულად გათავისუფლდნენ პატიმრობიდან, ხოლო ა. კვირიკაძის და კ. ლორთქიფანიძის (იგივე ციცერონი) საქმეები, საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილებით, 1925 წლის 16/IV გადაეცა უმაღლეს სასამართლოს.⁶

გრიგოლ კოსტავას საბჭოთა ხელისუფლებამ კვლავ შეახსენა თავი. იგი 1945 წელს კვლავ პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს. ამჟამად ბრალდება გაცილებით მძიმე იყო. მას საქართველოს სსრ შინსახკომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 1945 წლის 1-4 აგვისტოს განაჩენით სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა პირადი ქონების კონფისკაციით. მაგრამ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1945 წლის 13 სექტემბრის განჩინებით, დახვრეტა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით და 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევით შეეცვალა. გ. კოსტავა მაგადანში გადაასახლეს, საიდანაც 1956 წელს დაბრუნდა.⁷

3. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24383, ტ.1 გვ.21-26.

4. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24383, ტ.1 გვ. 31.

5. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24383, ტ.1 გვ. 32.

6. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 24383, ტ.1 გვ. 61-62;

7. საქართველოს შსს არქივი, ყურნალი „საარქივო მოამბე“ №18.

სპირიდონ ჭავჭავაძე

1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, ჭავჭავაძეთა გვარის კიდევ ერთი თვალსაჩინო წამომადგენელი, გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე დაიბადა 1879 წელს თელავის რაიონის სოფელ წინანდალში, ოჯახში, რომელმაც ოთხი გენერალი გამოზარდა. მამა – თავადი მიხეილ სპირიდონის ძე ჭავჭავაძე მეფის არმიის პოლკოვნიკი გახლდათ. სპირიდონმა 1898 წელს დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი, 1900 წელს ელიზავეტგრადის (კიროვოგრადის) სამხედრო სასწავლებელი. 1904 წლამდე მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, მიენიჭა ოფიცრის წოდება. ამავე წელს დაოჯახდა. ცოლად მოიყვანა თბილისის ყოფილი გუბერნატორის ქალიშვილი აგლაიდა თევდორეს ასული ბიკოვა. 1904-1905 წლებში იბრძოდა რუსეთ-იაპონიის ფრონტზე. 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის ოფიცერ-კავალერისტთა უმაღლესი სკოლა. მონაწილეობდა იმპერიალისტურ ომშიც. 1915 წელს მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება, მეთაურობდა ვლადიმირის საცხენოსნო პოლკს. ამავე პერიოდში დაჯილდოვდა 10 საბრძოლო ორდენით.

საქართველოში 1918 წელს დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა I ცხენოსანთა პოლკს. ამავე წლის მაისში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ გენერლის წოდება მიანიჭა. გასაბჭოებიდან ორ დღეში, 1921 წლის 27 თებერვალს 25 ოფიცერთან და გენერლებთან ერთად გადააგზავნეს ქ. რიაზანში, ყოფილი თეთრგვარდიელებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ბანაკში. ხუთთვიანი ტყვეობის შემდეგ გათავისუფლდა, საქართველოში, წინანდალში, მამა-პაპისეულ სახლში დაბრუნდა და მამულის იმ ნაწილში, რომელიც კონფისკაციას გადაურჩა, მეურნეობას მიჰყო ხელი. მალევე აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში კონსპირაციული სახელწოდებით „არკადი“, დამოუკიდებლობის კომიტეტმა აჯანყების მთავარსარდლად დანიშნა. სასტიკი მარცხის შემდეგ სპირიდონმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და სხვა შეფიცულებთან ერთად, 1924 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ახალციხესთან გადალახა სახელმწიფო საზღვარი და ჯერ თურქეთში, შემდეგ კი საფრანგეთში გადაიხვეწა. პარიზში ცხოვრობდა 1947 წლამდე. მიიჩნევდნენ რა აგვისტოს მოვლენების ერთ-ერთ გმირად და მთავარ ძალად, ემიგრანტებს შორის დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა ხელმოკლედ ცხოვრობდა. ნოე ჟორდანიას მთავრობისგან იღებდა პენსიას. შემდეგ უფრო გაუჭირდა, რადგან პარიზში ჩავიდა მისი ოჯახი – მეუღლე, გერი ქალიშვილი და სიძე ნიკოლოზ გოცირიძე. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1942 წელს გარდაეცვალა მეუღლე, 1943 წლის დასაწყისში – გერი.

სპირიდონ ჭავჭავაძეს არც საზღვარგარეთ შეუწყვეტია ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1925 წელს, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად, პარიზიდან პოლონეთში ჩავიდა და იქაურ მთავრობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, ფინანსური დახმარება რომ მიეღო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1939-1940 წლებში პარიზში ხელმძღვანელობდა „ქართულ ეროვნულ

კომიტეტს“, რომელიც, ფრანგულ გენერალურ შტაბთან ერთად, ამზადებდა საქსპედიციო კორპუსს და მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

რაც შეეხება ურთიერთობას გერმანელებთან, ჯერ კიდევ 1925 წელს დაუკავშირდა გენერალ ფონ-კრესს. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის დროს, ქ. აუშვიცში ამზადებდა მზვერავთა კადრებს და კითხულობდა ლექციებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მენშევიკების ბრძოლის შესახებ. კავშირი ჰქონდა სადაზვერვო ორგანო „ცეპელინთან“. 1942 წელს, როცა გერმანელებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კავკასია, სპირიდონი მოიაზრებოდა მომავალი „ქართული მთავრობის“ ხელმძღვანელად. გარკვეული პერიოდი იმყოფებოდა ქ. სტავროპოლში, ელოდებოდა საქართველოში გერმანელების შემოსვლას. მხოლოდ გერმანელთა სასტიკი მარცხის შემდეგ დაბრუნდა ევროპაში.

მონატრებულ საქართველოში ჩამოსვლა 23 წლის შემდეგ, 1947 წელს გადაწყვიტა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი პარიზში ილია თავაძე დაუკავშირდა, სამშობლოში დაბრუნება შესთავაზა და დაარწმუნა, რომ წარსულში ანტისაბჭოთა ქმედებებისთვის პასუხისგებაში არ მისცემდნენ და შეეძლო, თამამად გადმოეღახა საზღვრები.

სპირიდონ ჭავჭავაძე თბილისში, საბჭოს ქუჩის 36-ე ნომერში დასახლდა, მოიყვანა ცოლი – ოლღა ივანეს ასული დეკერი. დაპატიმრებამდე მუშაობდა კულტურის სახლში რუსული ენის მასწავლებლად.

1951 წლის პირველ დეკემბერს №619 ორდერის საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ დააპატიმრა. ბრალდებულმა აღიარა ყველა ანტისაბჭოთა ქმედება. უარყო ის ფაქტი, რომ საქართველოში დაბრუნდა უცხოური სადაზვერვო ორგანოების დავალებით საბჭოთა კავშირისთვის მავნებლური საქმიანობის გასაგრძელებლად. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1953 წლის 23 ივნისის დადგენილებით, სპირიდონ ჭავჭავაძეს შეეფარდა საქართველოს სსრ სსკ 58-1ა (სამშობლოს ღალატი), 58-2 (შეიარაღებული აჯანყების მოწყობა), 58-10 ნაწ. 1 (ა/ს აგიტაცია) და 58-11 მუხლები (კ/რ საქმიანობა), მიესაჯა ქონების კონფისკაცია და 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში, სადაც მალევე გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მისი გარდაცვალების ამბავი უცნობი იყო მეუღლისთვის, რადგან 1954 წელს ის კვლავ იბრძოდა სპირიდონის გასათავისუფლებლად.

რა სახის მონაწილეობა მიიღო 1924 წლის აჯანყებაში, როგორ დაიგეგმა და წარიმართა ეს ამბოხება, როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქაქუცასთან, ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში შსს არქივში დაცულ №51261 საქმეში თავად სპირიდონის საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებიდან ამოღებული ნაწყვეტების თარგმანი დაგვხმარება, თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ჩვენება საბჭოური ციხის კედლებშია დაწერილი: ¹

ჩემმა სამსახურმა საშუალება მომცა, ახლოდან დავეკვირვებოდი სახელმწიფო რეჟიმს. არავითარ შემთხვევაში არ თანავუგრძნობდი მენშევიკური მთავრობის

1. საქართველოს შსს არქივი, (I), ფ. 6, საქმე 512621, გვ. 227.



სპირიდონ ჭავჭავაძე

პოლიტიკას. მთელი ის პერიოდი, როცა მე ვემსახურებოდი რესპუბლიკას, საქართველოს არ შეუწყვეტია ომი სხვადასხვა ფრონტზე – საშინაოზე თუ საგარეოზე. ამ თემას არ განვავრცობ, ისედაც ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ვთქვა, საერთოდ არ მესმოდა, რა უნდოდა მთავრობას. არ მქონდა რა სურვილი და შესაძლებლობა ჩარევისა, თადარიგში გავედი. რამდენად არ ვცემდი პატივს მთავრობის პოლიტიკას, ცხადყოფს ის ფაქტი, რომ არასდროს ვიცნობდი ნოე ჟორდანიას. ყოველთვის გავუზრბოდი მასთან შეხვედრას. ჩემი გაგებით, ის, როგორც ხელისუფლების სათავეში მდგომი მთავრობისა და პარტიის მეთაური, დამნაშავე იყო მკვეთრი ტაქტიკის არქონაში.

ჩემი ღრმა რწმენით, მენშევიკებს არასდროს არ უნდა მიეყვანათ საქმე ბოლშევიკებთან ომამდე. ამაში მდგომარეობდა მათი უხეში შეცდომა. ომის მოგების არანაირი

შანსი არ ჰქონდათ – არც იარაღით, არც იდეურად. იმ დროს საბჭოთა მთავრობის ნათელი და განსაზღვრული პოლიტიკა ხიბლავდა ყოფილი იმპერიის მოსახლეობის უმრავლესობას, მათ შორის – ქართულსაც. მენშევიკები კი ამაყად აცხადებდნენ, რომ საქართველო იყო მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო, სინამდვილეში კი ცდილობდნენ, აეშენებინათ რაღაც ნვრილბურჟუაზიულის მაგვარი.

ჟორდანიას მთავრობას ყველა ხერხით უნდა აერიდებინა განხეთქილება საბჭოთა ხელისუფლებასთან. რაღაც უნდა დასჯდომოდა, თავიდან უნდა აეცილებინა ზედმეტი სისხლის ღვრა...

ომი მაინც მოხდა და მენშევიკებმა ის სამარცხვინოდ წააგეს. საბჭოთა ხელისუფლებამ თბილისში ოფიცრებს ამნისტია გამოუცხადა. რიაზანიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მე რაღაც გაუგებრობით მოვხვდი და მალე გავთავისუფლდი, ცოტა ხანს ვირიცხებოდი საბჭოთა საქართველოს ჯარში, შემდეგ კი წავედი კახეთში, წინანდალში და ხელი მივყავი სოფლის მეურნეობას მთავრობის მიერ დატოვებულ მიწის ნაკვეთში.

ახლა ვუახლოვდები ჩვენების იმ ნაწილს, რომელშიც ჩანს, თუ რატომ წავედი ემიგრაციაში. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელმაც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ჩამითრია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მოვლენებში. და თუ დამაპატიმრებდნენ, უეჭველად დამხვრეტდნენ. ცხელ გულზე არავინ დაიჯერებდა, სინამდვილეში რა როლს ვთამაშობდი აჯანყებაში. ამავდროულად ჩემი დიდგვაროვნული წარმომავლობა, ოფიცრის და, მით უმეტეს, გენერლის ნოდება, ჩემს საწინააღმდეგოდ მეტყველებდა.

აი, როგორ მოხდა: 1923 წლის ბოლოს, ან 1924 წლის დასაწყისში, რიცხვი არ მახსოვს, სოფლიდან მოშორებით, ვენახში ვმუშაობდი. გარშემო არავინ იყო. მოულოდნელად ტყიდან ჩემთვის სრულიად უცნობი გლეხი მომიახლოვდა და სახელით მომესალმა. მივესალმე, თან გაკვირვება გამოვხატე, რომ ჩემი სახელი იცოდა. მიპასუხა, რომ დიდი ხანია მითვალთვალებს და შესაფერის დროს ელოდა მოსასვლელად, რათა არავის დაენახა. ამ დასაწყისმა ძალიან დამაინტერესა. ჩემს კითხვაზე, რა საქმეზე მოვიდა, შემდეგი მაუწყა: ის უზრუნველყოფს კავშირს ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და პარიტეტულ კომიტეტს შორის. კომიტეტმა მიზნად დაისახა აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით. კომიტეტი შედგება საქართველოში არსებული ყველა პარტიის წევრისაგან. პრეზიდიუმის თავმჯდომარეა კოტე ანდრონიკაშვილი, წევრები – შალვა ამირეჯიბი, იასონ ჯავახიშვილი, მდივანი – სოლომონ ზალდასტანიშვილი. ამ ოთხიდან მხოლოდ კონსტანტინე ანდრონიკაშვილი გავიხსენე, რომელსაც ადრეულ ახალგაზრდობაში ვხვდებოდი. დანარჩენებს არ ვიცნობდი. რა თქმა უნდა, ისინი ყველანი არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ერთ-ერთ თათბირზე, რომელზეც იმყოფებოდა ის გლეხიც, გამოცხადებულა გადაცემული ჩოლოყაშვილიც. განუხილიათ აჯანყების მომზადებისა და გამარჯვების შემდეგ ახალი ქართული არმიის შექმნის საკითხები.

იდეური ბელადი და ხელმძღვანელი იქნებოდა ჩოლოყაშვილი, კამათი გამოუნვევია შემდგომი არმიის მოწყობისა და მისი ხელმძღვანელობის საკითხს, მაგრამ ქაქუცას შეუნყვიტავს, განუცხადებია რა, რომ ამ თანამდებობაზე მხოლოდ სპირიდონ ჭავჭავაძეს ცნობდა. აი, ეს ცნობები გადმომცა გლეხმა და დაამატა, რომ დღე-დღეზე თბილისში გამომიძახებდნენ.

ამ ინფორმაციამ შემაცბუნა. მსგავსს არაფერს ველოდი. რა აჯანყება, რა პარიტეტული კომიტეტი, რის მეთაურობა, თავს ძლივს ვიკავებდი. ცოტა რომ დავენყნარდი, სევდამ შემიპყრო. რა გავაკეთო? ვცხოვრობ სოფელში, მივდექ სოფლის მეურნეობას იმდენად, რომ გაზეთის კითხვის დროც არა მაქვს. გლეხს, რომლის გვარიც არ მახსოვს, ვთხოვე, ჩემთან ალარ მოსულიყო. ნავედი სახლში, გზაში ვფიქრობდი, რა მელონა. ბოლოს და ბოლოს მივიღე გადაწყვეტილება – ნავსულიყავი თბილისში და კოტე ანდრონიკაშვილისთვის პირში მეთქვა იმ საზიზღარი, საშინელი შედეგების შესახებ, რაც ამ არასერიოზულ ავანტიურას მოჰყვებოდა.

აქ რამდენიმე სიტყვას ვიტყვი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ და შემდეგაც, რა თქმა უნდა, ხშირად დავუბრუნდები მას.

რუსეთსა და პოლონეთში მრავალი წელი გავატარე. მცირე ხნობით იშვიათად ჩამოვდიოდი კახეთში ახლობლებისა და ნათესავების სანახავად. საქართველოს ცხოვრებას თვალყურს ვერ ვადევნებდი. ჩემი არყოფნის დროს თაობები გაიზარდა, მათ საერთოდ არ ვიცნობდი. ჩოლოყაშვილი იმ პოლკის მიღების დროს გავიცანი, რომელშიც მსახურობდა. შემდეგაც ძალიან იშვიათად ვხედავდი, რადგან ხშირად იყო მივლინებებში, მერე საერთოდაც გადავიდა სხვა, ცხენოსანთა დივიზიაში.

აი, მერე დაიწყო პარტიზანობა და ყველა მასზე ალაპარაკდა. ძვირად და ძალიან ძვირად უჯდებოდა ის ქართველებსა და კახელებს. ბევრი სისხლი და ცრემლი დაიღვარა იმ უდანაშაულო გლეხებსა და თავად-აზნაურებს შორის, რომელთაც ხშირად დაუპატიჟებლად სტუმრობდა.

ბუნებრივია, ყველა, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ იღებდა ქაქუცა ჩოლოყა-შვილს, ან მასთან მიჰქონდა საკვები, ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებს განიცდიდა. მოსახლეობა ორ ცეცხლს შუა იყო. ჩემთან არასდროს მოსულა.

თბილისში ჩამოსულმა, დავიბარე კოტე ანდრონიკაშვილი და გამოვთქვი ყველაფერი, რასაც ვგრძნობდი მათი მხრიდან ჩემი სახელის უცერემონიოდ ხსენებაზე. ჩემი სახელი ითქვა ჩემი თანხმობის გარეშე და ვერავინ დაიჯერებდა, რომ არაფერ შუაში ვიყავი. მან დამანყნარა და მიპასუხა, რომ მომენიჭა იატაკქვეშა სახელი „არკადი“ და ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, ვინ არის ეს „არკადი“. არ იცის თვით იმ კომუნისტმაც, რომელიც მათთან ჩვენთვის მუშაობს, – მითხრა მან. რა თქმა უნდა, ამან არც დამაკმაყოფილა, არც დამანყნარა. შემდეგ გვქონდა ხანგრძლივი საუბარი აჯანყების შესახებ. დანვრილებით ვერ გავიხსენებ ჩვენი საუბრის ყველა დეტალს, მაგრამ მე წინააღმდეგი ვიყავი, ის – მომხრე. სამჯერ შევხვდი ანდრონიკაშვილს და სამივეჯერ მე ჩემსას ვამბობდი, ის – თავისას, მაგრამ ვერ გადავაფიქრებინე – აჯანყება, როგორც ცნობილია, მაინც მოხდა.

აი, მისი არგუმენტები: ჩვენ უნდა მივალნიოთ სრულ თავისუფლებას ქართული სულისა და კულტურისთვის შესაფერისი რეჟიმის დასამყარებლად (რასაკვირველია, ეს მისი აზრია, ჩემი სიტყვებით გადმოცემული). საუკუნეების განმავლობაში საქართველო იბრძოდა თავისუფლებისთვის. ისტორიულად აჯანყება აუცილებელია. ადრე გლეხები რუსებში მტერს ვერ ხედავდნენ და სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ, ახლა კი მათი განწყობილება მკვეთრად შეიცვალა და ბევრი კითხულობს – რაღას ვუცდით? დროა, დავინყოთ! ამ აჯანყებაში მარტონი არ ვიქნებით. ვამყარებთ კავშირებს მთიელებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან. ვიმედოვნებთ, რომ კაზაკებსაც დავუკავშირდებით. ჩვენი მთავრობა პარიზიდან იტყობინება, რომ პოლონელები და ფრანგები დაგვეხმარებიან ფულითაც და იარაღითაც. დახმარება მოდის (თუ უკვე მოსულია) მატარებლით და გემით ხოფაში. ჩვენ ყველაფერი მზად გვაქვს, პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ავიღებთ თბილისს და ბათუმს. პირველს, როგორც ცენტრს და მეორეს, როგორც ზღვაზე გასასვლელს. მძღოლები, არსენალისა და ფაბრიკის მოსამსახურეები ჩვენ მხარეზე არიან და კომიტეტის ყველა ბრძანებას შეასრულებენ. ქაქუცა გლეხებთან ერთად თბილისში შემოიჭრება. სტუდენტობა და ახალგაზრდობა, 4 000-მდე ადამიანი, როგორც კი არსენალიდან იარაღს აიღებს, საომრად გამოვა. ნელ-ნელა დავეუფლებით სიტუაციას, გამოცხადდება მობილიზაცია, შეიქმნება არმია, რომელსაც უხელმძღვანელებ შენ (ე. ი. მე). მაშინვე ვიცოდი, რომ არანაირ არმიას არ ვუხელმძღვანელებდი, რადგან აჯანყება ჩანასახშივე დამარცხდებოდა და მაშინ ჯერ კიდევ ვიმედოვნებდი, რომ ამ დანაშაულებრივ ავანტიურას გადავაფიქრებინებდი. სხვათა შორის, უკვე აჯანყების დროს, მანგლისის ტყეში კოტე ანდრონიკაშვილმა სიტყვა სიტყვით ასე მითხრა, „შენ მართალი ხარ, ეს ნამდვილად ავანტიურაა“. ჩემთვის სრულიად ნათელი იყო, რომ განკარგულებები მოდიოდა პარიზიდან, ყოფილი მთავრობიდან და რომ მენშევიკები აქეზებდნენ აჯანყებისკენ თავიანთი პირადი მოსაზრებით – თითქოსდა მათ ითხოვს ხალხი. შესაძლებელია, ყოფილიყო მატერიალური გათვლებიც. ეს ხმამაღლა გამოვთქვი. ვაცხადებდი, რომ რუსეთი ხელიდან არასოდეს გაუშვებს ამიერკავკასიას, შეუძლებელიც

რომ მოხდეს, ე.ი. აჯანყებამ დროებით გაიმარჯვოს, ბოლშევიკებს საკმარისი არმია ჰყავთ იმისთვის, რომ ხელახლა დაეუფლოს ამ მხარეს და მაშინ ანგარიშსწორება იქნება უსასტიკესი.

აი, რა იქნება „ისტორიულად“ სწორი, რადგან საქართველო ოდესღაც შეუერთდა რუსეთს: გავიხსენე საქართველო-ბოლშევიკების ომი 1921 წელს. მაშინ საქართველოს ჰყავდა არმია, ქვეყანა იყო მთავრობის ხელში და მაინც განიცადა დამარცხება, ახლა რისი იმედი აქვთ? გარედან დახმარების? ეს ხომ ქიმერაა! არავინ, ამკარად არავინ დაგვეხმარება, ბოლოს და ბოლოს რუსეთის სამოქალაქო ომი მაინც გაიხსენონ – მაშინ უცხოელები დენიკინს ეხმარებოდნენ და რითი დამთავრდა? ასეთი საუბრები მიმდინარეობდა ჩემსა და კოტე ანდრონიკაშვილს შორის ჩვენი სამი შეხვედრის დროს და ბოლოს და ბოლოს მან კატეგორიულად განაცხადა, რომ აჯანყება მაინც იქნებოდა, რომ შეჩერება უკვე გვიანი იყო. ამაზე მე, ჩემი მხრივ, განვაცხადა კატეგორიულად, რომ ვემიჯნები მათ. „ბიჭო, რას შვრები!“ – დამიყვირა ამაზე კ. ა.-მ., „ჩვენს წინააღმდეგ ხომ არ იქნები? „არც თქვენს წინააღმდეგ ვიქნები!“ – ვუპასუხე მე. ბრჭყალებში მოქცეული სიტყვები უტყუარია.

არასდროს გამიცია განკარგულება, არასოდეს მიმინერია წერილი, არც მომეთხოვებოდა. ყველაფერი ჩემამდე ჰქონდათ მომზადებული. შუამავლის საშუალებით შემატყობინეს, რომ აჯანყება 18 აგვისტოსთვის იყო დანიშნული. ეს იყო 10-13 აგვისტოს და 16-ში შიკრიკმა შემატყობინა, რომ ყველაფერი დაკარგულია, ჩვენ გაგვცეს. ქართულ ნაწილებში დაპატიმრებულია ბევრი ოფიცერი. ასევე დაპატიმრებულნი არიან სხვადასხვა კუთხეში – ბაქოში, ვლადიკავკაზში და ა. შ. დაგზავნილი ოფიცრები; დაპატიმრებულია ბათუმის მთელი შტაბი; დაპატიმრებები მიდის მთელ ქალაქში... ერთი სიტყვით, სრული ჩავარდნაა. ბანაკებიდან ქალაქში ბრუნდებიან საბჭოთა ნაწილები, ყველგან ხსნიან არასაიმედო დაცვას, ეს ყველაფერი მოგვიანებით გავიგე იმავე დღეს ქუჩაში. გამოგიტყდებით და ეს მოვლენები გამიხარდა, თუმცა სული მტკიოდა იმ უდანაშაულო და მცირედ დამნაშავე ადამიანების გამო, რომლებიც უნებურად დაზარალდნენ, მათ შორის აღმოვჩნდი მეც. ვფიქრობდი საკუთარ თავზე და არ ვიცოდი, რა გადამენწყვიტა. ერთი რამ ნათელი იყო – ქალაქში გაჩერება არ შეიძლებოდა. სანამ განვსაზღვრავდი, როგორ მოვქცეულიყავი, შევხვდი კ. ა.-ს., რათა გამეგო, ფიქრობდნენლა კი რამეს აჯანყებაზე? მინდოდა მეცადა, დამერწმუნებინა, რომ მას გადაერწმუნებინა ჩოლოყაშვილი და გამოსვლა გადაეფიქრებინა. შევცბუნდი, როცა ანდრონიკაშვილმა განმიცხადა, რომ მომხდარის მიუხედავად, აჯანყება გადატანილია 28 აგვისტოს, რომ ის მაინც უნდა მოხდეს, მხოლოდ მოქმედების გეგმა შეიცვალა, ქაქუცამ მის გარშემო შეკრებილი გლეხობა სახლებში გაუშვა და 28 აგვისტოსთვის დაიბარაო.

ძნელია გამოვხატო მსგავსი აბსურდით გამოწვეული ჩემი გაკვირვება. რასაც აქამდე ვამბობდი და გამოვხატავდი აჯანყების საწინააღმდეგო ჩემს პოზიციას, იგივე ვუთხარი ახლაც, მხოლოდ უფრო მკაცრად. დავრწმუნდი რა, რომ ვერ შევძლებდი კ. ა.-ის სიჯიუტის გატეხვას, გადავწყვიტე, თავად მემოქმედა ქაქუცა ჩოლოყაშვილზე. ეს გეგმა არ გავუზიარე კ. ა.-ს. შევთანხმდით, ერთად წავსულიყავით ტყეში 26 აგვისტოს. აჯანყებულთა ბანაკი მანგლისთან ახლოს,

ტყეში ბინადრობდა. იმ დღესვე ავედით მათთან. გზაში შემოგვიერთდა ამირ-ეჯიბი. მას გავუზიარე ჩემი გეგმა და მომიწონა. შემდგომშიც ყოველთვის მეთანხმებოდა.

იმავე ღამეს, სიბნელეში, ვინმეს ყურადღება რომ არ მოექცია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი გვერდზე გავიყვანე, ჩემი მოსაზრება ვუთხარი და რჩევა მივეცი: აჯანყება ყოველთვის განწირულია დასალუპავად (მოუწყვანე ცნობილი ფაქტები), ახლა – მით უმეტეს. დაუყოვნებლივ უნდა შევწყვიტოთ საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც, ზედმეტი სისხლის ღვრის გარდა, არაფერს მოგვითქვანს; თუ 18-ში იმდენი გლეხი შეიკრიბა, რომ ტყეში ხეები დაილენა, ამჟამად მხოლოდ 80-მდე ადამიანია მოსული და ა.შ. დასასრულს, ქართულად ვუთხარი: „რაც უფრო ჩქარა შენ თითონ გახვალ საზღვარგარეთ – უფრო ნაკლები სისხლი დაიღვრება“. ჩემი ეს ფრაზა მოგვიანებით ცნობილი გახდა ამირეჯიბისთვის და რამდენიმე „შეფიცულისთვის“, უფრო მოგვიანებით კი ბევრი სხვისთვის. ქ. ჩ.-ს არ უნდოდა შეემჩნია, რომ ჩემი გავლენის ქვეშ ექცეოდა.

ჩემდა სასიხარულოდ, ქაქუცა მალე დამეთანხმა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ერთმა ფრაზამ – „ვისთვის ცდილობ, მენშევიკებისთვის?“

რადგან მოქმედებების შეწყვეტა და საზღვარგარეთ წასვლა გადანყვიტეს, რა თქმა უნდა, უმოკლესი გზის მოძებნა გემართებდა. მან ამოიჩნია დუშეთისა და კახეთის გზა, რადგან თან აიყვანდა ჯგუფებსა და ცალკეულ პირებს, რომლებსაც მასთან ერთად წამოსვლა ენდომებოდათ. მე არ გამიპროტესტებია.

შეჯახების თავიდან აცილების გადანყვიტელების მიუხედავად, ის მაინც მოხდა მცირე ეპიზოდებად:

პირველი – მანგლისის ყაზარმებში. აქ 5-6-მა ადამიანმა ცეცხლი დაუშინა ყაზარმას და გამოიწვია აჟიოტაჟი. მსხვერპლი არ ყოფილა;

მეორე – ქ. ჩ.-მა შეიტყო, რომ დუშეთის საპყრობილეში 2-3 ახალგაზრდა ვაჟკაცი ჰყავდათ დაპატიმრებული, რაზმის ნაწილთან ერთად წავიდა და გაათავისუფლა. მსხვერპლი არ ყოფილა;

მესამე თიანეთთან ახლოს, სოფელ სიმონიანთ კარში, განთიადისას, ბოლშევიკების რაზმმა გზა ჩაგვიხერგა. მიახლოებისას, თითქმის სიბნელეში, ატყდა სროლა, რომელიც დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა და განთიადისას მიჩუმდა. ორ გლეხთან ერთად გავიქეცი იმ მხარეს, საიდანაც შეიძლება გამოჩენილიყვნენ წითელარმიელები. ყველანი აღმოჩნდნენ ქართველები, ცხენოსანთა პოლკიდან. ცოტა ზედა მხარეს იდგა ქაქუცა, „შეფიცულები“ და მათ წინ ორი ადამიანი. მაშინვე გავიაზრე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო და სასწრაფოდ შევვარდი. ეს ადამიანები აღმოჩნდნენ კომისრები. ერთი მათგანი იყო საშუალო სიმაღლის, გამხდარი, შეშინებული გამომეტყველებით სახეზე, მეორე – მოხდენილი, ალელვებული. ეს უკანასკნელი დაჭრილიყო მარჯვენა ფეხის ბარძაყში, შარვალი გახეოდა და გასისხლიანებოდა. მე გვერდზე მყოფს სასწრაფოდ გამოვტაცე ბინტი, ახლოს მივირბინე ქაქუცასთან, ჩავჩურჩულე – „პირობა მომეცით, არ შეეხოთ“, შემდეგ დაჭრილს საკუთარი ხელით შევუხვიე ჭრილობა. „შეფიცულები“ გაცეცხლები იყურებოდნენ. რამდენიმე წამში ორივე კომისარი გავუშვი. დაჭრილი დახმარების გარეშე, კოჭლობით წავიდა წითელარმიელებისკენ. მე იქვე ვიდექი და ვუყურებდი მანამ, სანამ თავისიანები არ მიეხმარნენ

ნასვლაში. მეც ჩემი მიმართულებით წამოვედი, დამავიწყდა ამ ორი კომისრისთვის ვინაობის გამოკითხვა – როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოდესღაც ამ ფაქტის ჭეშმარიტებაში მათი დამონება დამჭირდებოდა.

ამის შემდეგ აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. ჩვენ გადავლახეთ ივრის ხეობა, თათართა სადგომები და არდაგანიდან 6-7 მილით ქვევიდან გადავლახეთ თურქეთის საზღვარი.

დასანანია, რომ ცუდი მახსოვრობის გამო გამომრჩა რამდენიმე სიტყვის თქმა ერთ შეხვედრაზე. ეს შეხვედრა დიდი მნიშვნელობისა არ ყოფილა. ერთი კია, ვისაც შევხვდი, მენშევიკურ საქართველოში დიდ როლს თამაშობდა. ეს პიროვნება გახლავთ ვალიკო ჯუღელი. მეორე თუ მესამე შეხვედრაზე კოტე ანდრონიკაშვილმა მითხრა, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას არ სურს ჯუღელის აჯანყებაში მონაწილეობა, რადგან მას კვლავ პირველობა, კვლავ სახალხო გვარდიის შექმნა ენდომება და მთხოვა, შევხვედროდი ჯუღელს და შემდეგ ჩემი შთაბეჭდილებები გამეზიარებინა მისთვის. მაშინვე ვუპასუხე, რომ მისი მონაწილეობა-არმონაწილეობა გადამწყვეტად არაფერს შეცვლიდა – აჯანყება მაინც დამარცხდებოდა და უკეთესი იქნებოდა, ის საერთოდ არ გამოჩენილიყო წამქეზებლის როლში მენშევიკური მთავრობის მხრიდან. კ. ანდრონიკაშვილს მაინც დავთანხმდი. გამოვტყდები, ძალიან მაინტერესებდა, რატომ ჩამოვიდა ეს ადამიანი საფრანგეთიდან და საერთოდ, რას წარმოადგენდა. მას საერთოდ არ ვიცნობდი და არასდროს შევხვედრილვარ. მოვითხოვე მესამე პირის დასწრება. დაიბარეს ზალდასტანიშვილი, რომელმაც ღამე გამომიარა და რკინიგზაზე, ერთ მუშასთან მივედი. ჯუღელიც იქ დაგვხვდა. მან ისაუბრა საფრანგეთზე, აღფრთოვანებული იყო იქაური სოციალიზმით, სახელმწიფოებრივი სიბრძნით; ბევრი ილაპარაკა საკუთარ თავზე. თქვა, რომ სარგებლობდა იქ ყოფნით და სრულყოფდა თავის განათლებას, სამხედრო სასწავლებელში ესწრებოდა ლექციებს და სამწყობრო მეცადინეობებს და ა. შ. მან ასე დაამთავრა: იცის თავის შეცდომები და აღარასოდეს გაიმეორებს. მე თითქმის არაფერი მითქვამს. უკან დაბრუნებისას ზალდასტანიშვილს ვთხოვე, კოტე ანდრონიკაშვილისთვის გადაეცა, რომ ისევ ჩემს აზრზე ვიყავი. ცოტა ხანში ჯუღელი დაიჭირეს.

გამოვტოვებ და არაფერს აღვწერ პარიზში ჩასვლამდე, ანუ იმ დრომდე, სანამ რამდენჯერმე არ აღმოვჩნდი პოლიტიკური შეკრების მონაწილე, ესეც მაშინ ხდებოდა, როცა გამომიძახებდნენ. მინდა ვთქვა, რომ პოლიტიკოსობა ჩემი პროფესია არასდროს ყოფილა. არ ვყოფილვარ პოლიტიკოსი, მე მხოლოდ ჩემდა უნებურად შევეხე მას, თუ შეიძლება ასე გამოითქვას. ცხოვრება ემიგრაციაში ისე ძნელია მორალური, და, განსაკუთრებით, მატერიალური თვალსაზრისით, რომ ყოვლად არაფრის მომტან პოლიტიკურ თათბირებზე სასიარულოდ არც სურვილი მქონდა და არც დრო. ქართული ემიგრაცია, როგორც საჭიროა, ირჩევდა თავმჯდომარესა და მდივანს, წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებოდნენ და იქ მიუსვლელობა არ იყო მიზანშეწონილი. უმრავლეს შემთხვევაში თავს იჩენდა ხოლმე შეტაკება მენშევიკებსა და ნაციონალებს შორის.

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ მენშევიკებს უფრო მეტი დისციპლინა და ერთიანობა ჰქონდათ, ნაციონალები ჯგუფებად დაიშალნენ.

პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებები ამ შეკრებებზე სამხედრო პირებს თანაგრძნობისთვის ინვესტდნენ და სწყინდათ, თუ არ მივდიოდით. ითვლებოდა, რომ ოფიცრები პარტიაში არ უნდა შესულიყვნენ.

ეს ყველაფერი ასე დაიწყო: გამოცხადდა ყველა ოფიცრის საერთო შეკრება, რომელსაც დაესწრო პარიზში და მის ახლომდებარე ქალაქებში მცხოვრები თითქმის ყველა ოფიცერი. კრებაზე გადამწყდა, რომ ოფიცერი აპოლიტიკური უნდა ყოფილიყო, ანუ არ უნდა გამხდარიყო რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფების აქტიური წევრი. განისაზღვრა სანევრო შესატანი ურთიერთდახმარებისთვის. ოფიცერთა გაერთიანება იზრუნებდა თავისი წევრების სამსახურისთვის. თავმჯდომარედ აირჩიეს გენერალი კვინიტაძე. ოფიცრებს რეკომენდაცია ეძლეოდათ, წაეკითხათ ლექციები სამხედრო თემაზე. რასაკვირველია, მეც ვიყავი ამ გაერთიანების წევრი და სავსებით ვუჭერდი მხარს მის პრინციპებს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მომიწია კრებაზე ყოფნამ, რომელსაც ესწრებოდა 15 ადამიანი. ლექცია ეხებოდა საქართველოს ისტორიას, მაგრამ ვინ კითხულობდა, არ მახსოვს.

მთელი 23 წლის განმავლობაში მეტად აღარ ყოფილა ოფიცერთა შეკრება. გენერალი კვინიტაძე მას ზედმეტად მიიჩნევდა – მოვა დრო და მთავრობის გადაწყვეტილებით, ოფიცრები შეასრულებენ მოვალეობას, – ასე ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება. არც არავინ ისწრაფვოდა ამ შეკრებებისკენ – ყველას თავისი საქმე ჰქონდა – ხალხი მსახურობდა, მუშაობდა, დაკავებული იყო საკუთარი საქმით, არავის ჰქონდა დროის დაკარგვის სურვილი. თუ ვინმეს დახმარება დასჭირდებოდა, გენერალ კვინიტაძეს მიმართავდა პირადად ან მეგობრების დახმარებით. 10-12 წლის მერე კი გამოჩნდნენ უკმაყოფილო ოფიცრები, რომლებმაც ცალკე დაჯგუფება შექმნეს, თავმჯდომარედ აირჩიეს პოლკოვნიკი ცხაკაია, მაგრამ საქმე კარგად ვერ წაუვიდათ, როგორც ჩანს, იგივე მიზეზებით. რამდენიმე ოფიცერი იქიდანაც წავიდა და პოლიტიკურ პარტიას შეუერთდა.

ჩოლოყაშვილი აბსოლუტურად განცალკევებით იდგა. პარიზში ჩამოსვლისას ერთად დადგინავდით, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მას აშკარად არ აინტერესებდა ჩემი გაჭირვება, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთისკენ მიმავალ გზაზე თავად მთხოვა, არ დამეტოვებინა და ერთად ვყოფილიყავით. მან „შეფიცულებთან“ ერთად იყიდა ცალკე სახლი პარიზის შემოგარენში და ამის შემდეგ იშვიათად ვხვდებოდით. ვგრძნობდი, რომ, დაუმეგობრდა რა ადრე ემიგრირებულ ქართველებს, რალაცას მიმალავდა. ეს იყო 1926 წლამდე, სანამ კვლავ მოგვინვედა დაახლოება.

პოლონეთმა თავის სამსახურში მიიღო ბევრი ჩვენი ოფიცერი, მათ შორის 5-6 გენერალი. სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა 40-მდე ქართველი იუნკერი. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ისინი გამოვიდნენ პოლონური არმიის ოფიცრები. გარდა ამისა, იყვნენ სამთო ოფიცრები. საერთო ჯამში, დაახლოებით 65 ადამიანი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლონეთი ამცირებს ოფიცერთა შემადგენლობას და ეს ეხებოდა ქართველებსაც.

ჩოლოყაშვილმა გადაწყვიტა ვარშავაში წასვლა. მთხოვა, გავყოლოდი და პოლონეთის მთავრობასთან მეშუამდგომლა, არ დაეთხოვა ქართველები. მენშევიკურმა მთავრობამაც იცოდა და ყოფილი მინისტრი გეგეჭკორიც ამ საკითხთან

დაკავშირებით იყო იქ. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით. ჩემს ვიზიტს მოყვა რეზონანსი. ადრე ვმსახურობდი პოლონეთში, მყავდნენ მეგობრები. სამხედრო მინისტრი და ცხენოსანთა კავალერიის ინსპექტორი ჩემი სასწავლებლის მეგობრები იყვნენ. გარდა ამისა, იქ, სახლში დამრჩა ბევრი ნივთი, რომელთა წამოღებაც ვერ მოვასწარი ომის დასაწყისში, 1914 წელს. ვიმედოვნებდი, ამ ყველაფერს გავციდდი. ოფიცერთა საკითხზე მოკლედ ვიტყვი – საქმე გამოვიდა და არც ერთი მათგანი სამსახურიდან არ გაუშვიათ.

მაგრამ იქ, ვარშავაში ჩემთვის მოულოდნელი ამბები მოხდა. გავიცანი ვინმე კორვინ-პავლოვსკი – ძალიან განათლებული და წონიანი ადამიანი პოლონელ საზოგადოებაში, მუშაობდა მსხვილ ჩინოვნიკად ან ვაჭრობის, ან მრეწველობის სამინისტროში. ის გახლდათ მსხვილი მასშტაბების – პოლონეთიდან თურქეთის გავლით კავკასიაში და ა.შ. სავაჭრო ქსელის შექმნის ინიციატორი. როგორც თავად ამბობდა, დასაწყისში საჭირო იყო პოლონელი და ქართველი ხალხის დაახლოება და შეთანხმება, შემდეგ კი შესაძლებელი გახდებოდა სომხებისა და სხვ. მოზიდვა. ქართულ ჯგუფში მან ნ ადამიანი მიიწვია, მათ შორის მეც და ქ. ჩოლოყაშვილიც. შეკრებები საკმაოდ ხშირად იმართებოდა მასთან, რომელთაც თავად თამჯდომარეობდა. ძალიან პედანტურად და პუნქტუალურად აწარმოებდა ყურნალს, გეგმავდა გაერთიანებული საზოგადოების წესდებას... სავსებით გასაგები იყო, რომ ამ ყველაფრის მიღმა იმალებოდა რაღაც პოლიტიკური, თუმცა პავლოვსკი ამის შესახებ არაფერს ამბობდა. ეს საქმე არსებითად არ დამთავრდა. ერთხელაც პავლოვსკიმ განაცხადა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა, დროებით შეეჩერებინა საქმიანობა და ამ მიმართულებით აღარ შეეკრებილვართ.

ვცხოვრობდით სხვადასხვა ბინაში. მე – პოლკოვნიკ სილიმ-ერისთავთან, ქ. ჩოლოყაშვილი – პოლკოვნიკ კანდელაკთან. არცთუ ისე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ისე გამოვიდა, რომ მას თავისი სამეგობრო წრე ჩამოუყალიბდა, მე – ჩემი. დროს ვატარებდით მეგობრულად. ჩვენი პოლიტიკური საუბრები, ძირითადად, პოლონელ ქართველებს ეხებოდა. საქმე ის იყო, რომ „ქართული კოლონია“ ორ მტრულ ბანაკად გაიყო. მასში შედიოდნენ როგორც სამხედროები, ისე სხვები. სათავეში იდგა მენშევიკების მიერ დაყენებული და პოლონური მთავრობის მიერ ოფიციალურად მიღებული გენერალი ზაქარიაძე. ხშირად ჩიოდნენ, რომ გენერალი ოფიცრებს იბირებდა მენშევიკურ მთავრობაში. უკმაყოფილონი პროტესტს გამოთქვამდნენ. ზაქარიაძესთან არსებობდა კომიტეტი, რომელთა წევრებშიც ასევე განხეთქილება იყო. ეს ისტორია ნაკლებად მიზიდავდა და უკვე ვფიქრობდი პარიზში დაბრუნებას, როცა ჩემთან მოვიდა ქ. ჩოლოყაშვილი და მთხოვა, ერთად წავსულიყავით გენერალ სიკორსკისთან.

უნდა ითქვას, რომ პოლონეთში, ისევე როგორც პარიზში, ქაქუცა კვლავ გაცივდა ჩემ მიმართ, უფრო მეტადაც, ზოგჯერ უხეშადაც კი იქცეოდა და ამიტომ გამიკვირდა, ერთად წავსვლა რომ მთხოვა. უფრო ადრე შევამჩნიე, რომ ქ. ჩოლოყაშვილი ვარშავაში რაღაცით იყო დაკავებული, რასაც საგულდაგულოდ მიმაღავდა. კითხვაზე, რა საკითხთან დაკავშირებით სჭირდებოდა ჩემი დაუყოვნებლივ გაყოლა გენერალთან, მიპასუხა, რომ წინასწარ არ უნდოდა თქმა და დადებითი ან უარყოფითი პასუხის შემდეგ მეტყოდა. რომ გავიკვირვე, ამიხსნა,

რომ თქმას შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხი იქნება დადებითი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ვერ მეტყვის, უფრო მეტიც, მთხოვა, არასდროს არავისთან მეტყვა ამის შესახებ. გზაზე გამომიტყდა, რომ სიკორსკისთან უკვე რამდენჯერმე იყო ნამყოფი. გენერალმა დაუყოვნებლივ მიგვიღო და გვთხოვა, დავმსხდარიყავით, ქ. ჩოლოყაშვილს კი შემდეგი სიტყვებით მიმართა: „უნდა გაუნყოთ, რომ სამწუხაროდ, ჩვენს მთავრობას არ შეუძლია თქვენი წინადადების მიღება“. სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი წამოვარდა და გაბოროტებული სახით ხმამაღლა დაიყვირა: „არ გინდათ, ნუ გინდათ, არ გინდათ და არც არის საჭირო!“ – სასწრაფოდ გავარდა და კარი გაიჯახუნა.

ამ მოუხრეველმა საქციელმა გამაოგნა, დამაბნია და პირველ წუთებში არ ვიცოდი, რა მექნა. გადავანყდით რა თვალებით, სიკორსკიმ ხელები გაშალა და სავსებით წყნარად, ღიმილით მითხრა ფრანგულ ენაზე: „*Э боже!*“, რაზეც მე, ჩემი მხრივ, გაუღიმე და ვუპასუხე: „გეთაყვა, აპატიეთ, ის ცოტაოდენ პრიმიტიულია“. მცირე ხნით ვისაუბრეთ და დავშორდით. ამ ეპიზოდის შემდეგ ქაქუცა საბოლოოდ ჩამომშორდა და მალევე მარტო დაბრუნდა საფრანგეთში, თქვა, რომ ჰქონდა რალაც ინფორმაცია და მისი პარიზში ყოფნა აუცილებელი იყო. ვეცადე, მაგრამ ვერ შევიტყვე, რა საქმე ჰქონდა ქაქუცას გენერალთან. ცოტა ხანში მეც წავედი პარიზში. რაც შეეხება ჩემს ნივთებს, ვერ შევძელი მათი გაყიდვა. სახლის მეპატრონემ რალაც-რალაცები დამიბრუნა, დანარჩენზე მითხრა, გერმანელებმა დაიტაცესო.

დაბრუნების შემდეგ ჩემი საქმეებით დავკავდი და ქაქუცა ჩოლოყაშვილს თითქმის ვერ ვხვდებოდი. არ ვიცოდი, რას საქმიანობდა. გავიგე, რომ ტუბერკულოზით იყო დაავადებული და პოლიტიკას ჩამოშორდა.

ეს სპირიდონ ჭავჭავაძის ჩვენების არასრული ნაწილია, რომელიც უშუალოდ 1924 წლის აჯანყებას ეხება. მისი წაკითხვისას და გაანალიზებისას მკითხველი კიდევ ერთხელ მიხვდება იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია აჯანყების მარცხი და უდიდესი მსხვერპლი. ღალატი, საერთო აზრის უქონლობა და ორგანიზებულობის დეფიციტი გახდა მიზეზი ქართველთა საუკეთესო ნაწილის გენოფონდის განადგურებისა.

1924 წელს დახვრებილთა სია

დახვრებილთა საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ

№	გვარი სახელი მამის სახელი	წ.წ.	სოციალური მდგომარეობა	პარტიულობა
ტიფლისის მაზრა				
1	ბოკერია მიხეილ მაქსიმეს ძე	33	ინტელიგენტი. კოოპერატორი	უპარტიო
2	რუსია ირაკლი ათანასეს ძე	48	მუშა. ხურო	მენშევიკი
3	განერელია დავით ამბროსის ძე	30	ინტელიგენტი. აგრონომი	
4	პატარაია გრიგოლ პორფილეს ძე	31	მოსამსახურე	
5	გვერდნითელი გიორგი მიხეილის ძე	32	სამხედრო მოსამსახურე	
6	ჟორჯოლიანი სოლომონ ზაალის ძე	58	ვაჭარი	ნაც.დემოკრატი
7	გედევანიშვილი ავთანდილ ალექსანდრეს ძე	21	ინტელიგენტი. სტუდენტი	
8	ჭკადუა გიორგი მიხეილის ძე	30	მუშა	
9	კაპანაძე ვიქტორ სისოს ძე	35	ვაჭარი	მენშევიკი
10	ახობაძე ვასილ ნიკოლოზის ძე	55	მოსამსახურე. კონდუქტორი	„
11	ძიძიგური ევგენი იოსების ძე	30	მუშა. მემანქანე	„
12	ტაბიძე ისიდორე ივანეს ძე	35	ინტელიგენტი. სახელმწიფო მოხელე	„
13	კახაძე გრიგოლ რაჟდენის ძე	21	ინტელიგენტი. მასწავლებელი	„
14	ნიკურაძე კირილე სოლომონის ძე	24	სტუდენტი	„
15	ჟვანია სევერიან ოქროპირის ძე	52	მუშა	„
16	გეგიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე	36	მოსამსახურე	„
17	გეგუჩაძე ლავრენტი აბრამის ძე	43	ინტელიგენტი. პედაგოგი	„
18	მინაშვილი არსენ ოქროპირის ძე	41	მოსამსახურე. ხარატი	„
19	ნაკაშიძე ფოსტა ბეგლარის ძე	29	ინტელიგენტი. საქმის მწარმოებელი	„
20	კაჭარავა კონსტანტინე ივანეს ძე	28	ინტელიგენტი. კანტორის მოსამსახ.	„

21	ხოშტარია ივანე პეტრეს ძე	31	გლეხი	„
22	ნადარეიშვილი ევგენი მაქსიმეს ძე	37		„
23	ჟვანია მიხეილ გრიგოლის ძე	39	მუშა. თერძი	„
24	მაქაძე ბახვა სოფრომის ძე	54	გლეხი	„
25	ურუშაძე გრიგოლ ილიას ძე	27	ინტელიგენტი. ფერშალი	„
26	ბაირამოვ კიჩიკ ხაჩიკ ვალი ოღლი	34	გლეხი	„
27	ასლამაზაშვილი ივანე ქრისტეფორეს ძე	29	მუშა	„
28	რუხაძე ილარიონ მიხეილის ძე	39	მუშა	„
29	გაგნიძე ფირუზ ივანეს ძე	36	მუშა. მენაღე	„
30	გაჩეჩილაძე ამბროსი ნიკოლოზის ძე	24	ინტელიგენტი. აგრონომი	„
31	სულიაშვილი ანდრია სოკრატეს ძე	32	ინტელიგენტი. ეკონომისტი	„
32	მენტეშაშვილი გრიგოლ ისლამის ძე	30	მოსამსახურე	„
33	ჩხაიძე რაფიელ ივანეს ძე	24	ინტელიგენტი. მასწავლებელი	„
34	დოღბაია ვლადიმერ მარკოზის ძე	46	მოსამსახურე. ნოქარი	„
35	სტურუა ანანია ანდრიას ძე	29	ინტელიგენტი. მედიკოსი	„
